

ISSN—0132—6066

საქართველოს
სსრ მეცნიერებათა
აკადემიის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-ა/2
1981

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

2. 1981

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

2. 1981

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო რ კ ო ლ ე გ ი ა: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვაზარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)
პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкrellidze Т. В., Гвахариа А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.
Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცენ“, ენისა და ლიტერატურის სერია,
1981, № 2

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19 ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაეცა წარმოებას 18.II.1981; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.VI.1981; უე 05901;
ჭალაღის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 16.80; სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბახი 15; ტირაჟი 1800; შეკვ. 594; ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Медицинеба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ი. ლორთქიფანიძე, იოსებ გრიშაშვილი და თეატრი	5
მ. ტყეშელაშვილი, თანამედროვეობის ასახვის სპეციფიკა „გლახის ნაამბობში“	24
გ. შაყულაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძის „მუხამბაზი“ ლათინურის შესახებ	36
ლ. კრელაშვილი, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ატრიბუციისა და გამოცემის ისტორიის საკითხები	45
ს. ეორდანიკა, ცენტრალური სიმბოლოს პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“	63
გ. შეთეკაური, ხალხური ლექსის ექსპოზიციური ფორმულები	73
ც. ყიფშიძე, ს. იორდანიშვილი რედაქტორ-გამომცემელი	86
ნ. თარგამაძე, თოთხმეტმარცვლიანი ტაგების ორგვარი რიტმი მუხამბაზის ტიპის ლექსებში (ქართული მუსსთანადური ტაემი)	102
ლ. ახოზაძე, ეფრემ ასურის თხზულებათა ქართული თარგმანების ურთიერთ-მიმართებისათვის	110
ბ. გიგინეიშვილი, მასალები ქართული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის	126
კ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში	139
ც. ხშიადაშვილი, აზერბაიჯანული ენის ზმულთა მდგრადობის ხარისხის შესახებ	155

16.8.91

ც ნ ო ბ ე ბ ი და შ ე ნ ი შ ვ ე ნ ე ბ ი

ი. მევრელიძე, ლიხვის ზეობის წარწერები და სხვა სიძველეები	161
--	-----

პ უ ბ ლ ი კ ა ც ი ა

თ. სახოკია, ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია	181
--	-----

მ ე ც ნ ი ე რ ი ს ი უ ბ ი ლ ე

ვ. ახვლედიანი, კონსტანტინე წერეთელი	189
---	-----

კ რ ი ტ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ზ. უდალცოვა—ა. ალექსიძე, ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო, (XIII—XIV სს.), 1979	191
ახალი წიგნები	192

СОДЕРЖАНИЕ

Статьи

И. П. Лордкипанидзе, Иосиф Гришашвили и театр	5
М. Ш. Ткешелашвили, Особенности отображения современности в произведении И. Чавчавадзе «Рассказ нищего»	24
Г. Н. Шакулашвили, О стихотворении А. Чавчавадзе «Мухамбази латанури»	36
Л. П. Чрелашвили, Вопросы атрибуции и истории издания сочинений Ильи Чавчавадзе	43
С. Д. Жордания, Проблема центрального символа в «Витязе в тигровой шкуре»	60
Г. Е. Шетекаури, Экспозиционные формулы народных стихотворений	73
Ц. Ш. Кипшидзе, С. Г. Иорданишвили — редактор и издатель	88
Н. А. Таргамадзе, Двойкий ритм 14-сложника в стихах типа мухамбази (грузинская мустазадическая строка)	102
Л. Т. Ахобадзе, О взаимоотношениях грузинских переводов произведений Ефрема Сирина	110
Б. К. Гигинейшвили, Материалы для этимологического словаря грузинского языка	126
К. Д. Данелиа, Следы иноязычного влияния в древнегрузинских письменных памятниках	139
Ц. П. Хмиадашвили, О степени звонкости смыхных в азербайджанском языке	155

Сообщения и заметки

И. В. Мегрелидзе, Надписи и другие древности Лиахвского ущелья	161
--	-----

Публикации

Т. Сахокиа, Библиография произведений Ильи Чавчавадзе	181
---	-----

Юбилей ученых

В. Г. Ахвледиани, Константин Церетели	189
---	-----

Критика и библиография

З. В. Удадьцова — А. Д. Алексидзе, Мир греческого рыцарского романа (XIII—XIV вв.), 1979	191
Новые книги	192



წ ე რ ი ლ ე ბ ი

იოსებ ლორთქიფანიძე

იოსებ გრიშაშვილი და თეატრი*

„...მხო ილიკო, ხომ იცი თეატრი რა დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისთვის, მაგის მეტი ნაციონალიზმის ნიშანწყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს რა. ეგ ერთი ადგილია, საცა ჩვენი ენა სჯაროდ ისმის და სჯაროდ მოქმედებს, ესეც საქმათა, რომ კაცმა თავი გამოიღოს, თორემ თეატრს ხომ სხვა ბევრი სიყვთეც მოსდევს...“


(ი. ქავჭავაძე, თხზ., ტ. X, 1961, გვ. 97.)

ეს დიდებული აზრი, უღრმესი პატივისცემა და უზნალო სიყვარული, რაც თავისებური თანმდევი მაცოცხლებელი ძალა იყო ი. გრიშაშვილის სულიერი კავშირისა თეატრთან, მას ჩაენერგა და გაულღვიდა იმ წლებში, როდესაც მისი მოუხვეხარი სული, როგორც თავად ამბობდა: „ახალ ასპარეზს ეძებდა“. ამ ასპარეზად მას მოევლინა ეროვნული სულისკვთების ტაძარი — ქართული თეატრი, რომელმაც სულ სხვა ეშხზე მოიყვანა მეოცნებე ქაბუკი და მის ცხოვრებაში არსებითი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი ითამაშა, რამდენადაც იმ დროს თეატრს ერის გონებრივი, სულიერი და ეროვნული თვითგაცნობიერების საქმეში წამყვანი ადგილი ეკავა. „ქართული თეატრი, — იგონებდა პოეტი, — თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემი განვითარების კერა იყო. რაც სკოლამ დამაკლო, ის თვითგანვითარებით შევისრულე. თუ ჩემი გულის შინასკენლში რაიმე კარგი სუფევს, ეს ჩვენი კორიფეების სიახლოვის ნაყოფია. როგორც დაკვირვებული ბალღი დაეყურებდი ხოლმე ჩვენი არტისტების სიტყვა-პასუხს და გონების ფირფიტაზე გადამქონდა მათი აკარგი. რა ბუმბერაზ მსახიობთა შორის ვტრიალებდი: მაკო საფაროვა! ვასო აბაშიძე! ლალო მესხიშვილი! კოტე ყიფიანი! კოტე მესხი! ვალერიან გუნიანი! ნატო გაბუნია! რა ბედნიერი ვყოფილვარ“ (ტ. V, გვ. 169). დამწყები მოღვაწისათვის ქართული თეატრი „ნამდვილი უნივერსიტეტი იყო“ (იქვე, გვ. 308).

კავშირი პროფესიულ თეატრთან სცენისმოყვარეობის გზით გაიბა. მოგონებებში („დავით გულაზიანი“, „მე განაპირა უბნებში“ და „დ. ერისთავი“) გრიშაშვილს ჩინებულად აქვს მოთხრობილი თავისი ცხოვრების ეს პერიოდი.

1907 წლის თებერვალში ვ. გუნიამ გრიშაშვილი ქართული თეატრის სუფლიორის თანაშემწედ მიიწვია (1909—1913 წლის დასაწყისამდე, თეატრში სამსახურის მიტოვებამდე, მას მეორე სუფლიორის თანამდებობა ეკავა). ხუთი წელი ემსახურა გრიშაშვილი დიდი სიყვარულით ქართულ თეატრს. მოკარნახეობის გარდა იგი ხშირად მონაწილეობდა წარმოდგენებში როგორც მსახიობი. მას მრავალი მეორეხარისხოვანი როლი აქვს ნათამაშევი. თუ რა როლები შეასრულა მან, ამის დადგენა არ არის ძნელი, რამდენადაც მის არ-

* თავი მონოგრაფიიდან „იოსებ გრიშაშვილი“.





ქიეში დატულია თეატრალური პროგრამები 1906 წლის 28 ოქტომბერს (ამ დღეს გრიშაშვილმა კონსტანტინე მჭედლიშვილის სცენისმოყვარეთა დასის მიერ მურაშკოს თეატრში წარმოდგენილ ა. წერეთლის „კინტოში“ შესარულა თათუზას როლი) 1913 წლის 7 თებერვლამდე (როდესაც იოსებმა ქართულ თეატრის წარმოდგენაში „მსხვერპლი“ თამაშა თავისი ბოლო როლი). ეს პროგრამები აკონტულია ერთ ყდაში, მათზე უამრავი გრიშაშვილისეული შენიშვნაა, რაც გამოადგება ქართული თეატრის ისტორიკოსს როგორც უშუალო პირველწყარო. მსახიობობა მისი ამპლუა არ იყო, რასაც თვითონ კარგად გრძნობდა და არაერთგან აღნიშნავდა: „ვატყობდი ჩემგან დიდი არტისტი არ გამოვიდოდა და ამიტომაც მივატოვე სცენაზე თამაში“¹.

თეატრმა ბევრი კარგი ჩაუნერგა მას, რაც გრიშაშვილმა სასიკეთოდ გამოიყენა ცხოვრების დიდ გზაზე. „თეატრის ნიჟარაში ხუთი წლის განმავლობაში მისდებოდა კითხვა ისეთი ავტორებისა, როგორცაა შექსპირი და შილერი, შოლიერი და გოლდონი, ვიქტორ ჰიუგო და ჰაუპტმანი, ლევ ტოლსტოი და ალ. ოსტროვსკი, მაქსიმ გორკი და ჩეხოვი, დ. ერისთავი და ალ. სუშბათაშვილი, ნ. შიუკაშვილი და ვასილ ყიფიანი, ვალ. შალიკაშვილი და ტრ. რამიშვილი და სხვ. ამ ავტორებმა და მისმა მთარგმნელებმა (მხედველობაში ჰყავს: ივანე მაჩაბელი, ნიკ. ავალიშვილი, გრ. ყიფშიძე და ივანე მაჭავარიანი.—ი.ლ.) ფრიალ წარმუშელები კვალი დასტოვეს ჩემი ნათელი მიზნების ჩნულში და განსაკუთრებით ქართული ენის შესწავლის საქმეში... ყველა ამ ფაქტმა ჩაუქრობელი გრძნობის ჩირაღდანი დამინთეს გულში და დღესაც, ხანდაზმულს, ეს შედეგები არ მშორდებიან და მათთან ვარ დღევ და დამეც“ (ტ. V, გვ. 252).

ცხოვრების დიდ გზაზე იგი ერთი დღითაც არ ჩამოშორებია ქართულ თეატრს, რომლის ისტორიის დაწერის სურვილი მისი ერთი უპირველესი მიზანი იყო და რომელიც ვერ განახორციელა გადატვირთულობის გამო. თავისი თეატრალური წერილებითა და ჩინებული ნაშრომებით გრიშაშვილი ჩვენი შობლოური თეატრის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარი გახდა, რომელმაც შთამომავლობას დაუტოვა მრავალი საინტერესო მოგონება და პორტრეტი ქართული სცენის ამაღმარებზე (მსახიობებზე, სცენისმოყვარეებზე). ქართულ პერიოდულ პრესაში გაბნეულია მისი მრავალი საინფორმაციო წერილი ქართულ თეატრზე. იგი არაერთხელ გვევლინება ახალი დადგმების რეცენზენტად (წარმოიდგინეთ საოპერო დადგმებისაც). მასვე ეკუთვნის ნარკვევები და შენიშვნები ქართული თეატრის ისტორიის საკითხებზე. ამდენად ქართული თეატრის ვერც ერთი ისტორიკოსი ვერ აუვლის გვერდს ი. გრიშაშვილის — XX საუკუნის უბადლო თეატრალის — მემკვიდრეობას.

ი. გრიშაშვილის თეატრალური მემკვიდრეობა პირობითად შეიძლება ასე დაჯგუფდეს: 1. საინფორმაციო წერილები, 2. რეცენზიები ახალ დადგმებზე, 3. თეატრის ისტორიის საკითხები, 4. თეატრალური პორტრეტები, სილუეტები და მოგონებები, 5. გამოკვლევები.

პირველი საინფორმაციო წერილი გრიშაშვილმა 1910 წელს გამოაქვეყნა, რომელშიც ავტორი საზოგადოებას მოუწოდებდა გამოეჩინა ყურადღება

¹ მსახიობობა მარტო ხალისი არ იყო, ის მატერიალურადაც უზრუნველყოფდა მარტოდ დარჩენილ ახალგაზრდას. მუშაობის დასაწყისში „დღეში ათშაბათიანი“ ყოფილა. (ტ. V, 164.), რასაც შემდეგ მსახიობობის გასამრჯელოც ემატებოდა და დღეში „მანეთნახეირიანი“ გახლდა, რაც არტოთ ისე ცოტა იყო იმ დროისათვის.

მ. საფაროვას იუბილესადმი: „ვისაც ამ ოცდაათი წლის განმავლობაში თეატრისათვის თვალყური უდევნებია, რა თქმა უნდა, დღესაც ეხსომება ის ნეტარმოსაგონარი დრო ჩვენი ხელოვნების ზეაღსვლისა. ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ლადო მესხიშვილი, კოტე მესხი, ნატო გაბუნია და მკო საფაროვისა — აი ქვაკუთხედი ჩვენი ხელოვნებისა... ჩემი წერილის საგანი სულ სხვაა: მადლიერმა ქართველმა ერმა უქმად არ ჩაუტარა ღირსეულ შვილებს შრომა და ღვაწლი. გაიხსენეთ ლადო მესხიშვილის ავადმყოფობა, ვასო აბაშიძის და ხატო გაბუნიას იუბილეები და, დასასრულს, უკანასკნელის დაკრძალვა თუ ყველა ზემოხსენებულნი პირნი იყვნენ ღირსნი ასეთის პატივისცემისა, განა მ. საფაროვისა კი ჩვენი თეატრის ვარსკვლავი არ არის? განა საფაროვას ქალი არ წარმოადგენს გვირგვინს ქართული სცენისას? ამისათვის მივმართო ქართველ ერს და უმორჩილესად ვსთხოვ უყურადღებოდ ნუ დასტოვებს თავის ნიჭიერ და ამგადარ ქალს, სიცოცხლეში უთხრას მადლობა და ამთავითვე დაადგას მას გვირგვინი, მისგან ღირსეულად დამსახურებული და შესაფერი იუბილე გადაუხადოს. იმედია ეს მოწოდება არ დარჩება ხმად მალაღდბლისა უდაბნოსა შინა, ვინაიდან ღვაწლი მ. საფაროვის ქალისა თავისთავად მეტად ბევრს ეუბნება ჩვენს სახელს“².

ელისაბედ ჩერქეზიშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი ვრცელი ანგარიშით წარსდგა იგი ქართველი მკითხველის წინაშე 1916 წლის 5 თებერვალს³.

ცალკეული მსახიობების საღამოებისა და კონცერტების არაერთი ანგარიში აქვს გამოქვეყნებული ი. გრიშაშვილს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ნაგალითად, „გიორგი დავითაშვილის საღამო“⁴, „მომღერალ ვარდენ ლორთქიფანიძის კონცერტი“⁵ და ა. შ. საინფორმაციო წერილების მეშვეობით იგი მიმართავდა საზოგადოებას თხოვნით, აღმოეჩინათ დახმარება გაკვირვებაში მყოფთათვის: „მეტად ტუდ ამბავს გეწერენ ბაქოდან. ე. შალიკაშვილი მძიმედ ავად გახდა. ფილტვების სისუსტე — ქლექის ნიშნები აღმოაჩნდა და მუშაობა არ შეუძლიანო... შალიკაშვილს თანაგრძნობა და დახმარება ეჭირებოდა... უეჭველია, ამ ცოტა ხანში, როგორც თბილისის დასი, აგრეთვე ქუთათურებიც, მოახერხებენ თითო წარმოდგენის გამართვას შრომის უნარ მოკლებულ მსახიობ-ამხანაგის სასარგებლოდ“⁶.

„ხალხს თეატრი უყვარს. ხალხი მოწყურებულია ქართულ წარმოდგენებს, საბუთი გნებავთ? მიბრძანდით „სახალხო სახლში“... და ირწმუნეთ. 13 ოქტომბერს, რომ იტყვიან ნემსი არ ჩავარდებოდა, ისე იყო საესე დარბაზი. სიმართლე უნდა ითქვას, რომ პიესებიც შესაფერი იდგმება“⁷. მსგავსი ახგარიშები, დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩვენებით, იშვიათი არ არის მის პრაქტიკაში („სახალხო საქმე“, 1920, № 797; „თეატრი და ცხოვრება“, 1926, № 14).

სახალხო სახლის (ასე ეწოდებოდა ზუბალაშვილების ქველმოქმედებით

² ს. ს. ს., საზოგადოების საყურადღებოდ, „სახალხო გაზეთი“, 1910, № 102.

³ გ. ელ. ჩერქეზიშვილის იუბილე, „თანამედროვე აზრი“, 1916, № 28.

⁴ ვახ. „ტრიბუნა“, 1922, 7 აპრილი.

⁵ „სახალხო ფურცელი“, 1916, № 501.

⁶ გ., შალიკაშვილის დასნეულება, „სახალხო ფურცელი“, 1915, № 452.

⁷ თავიდან მესამე, „თეატრი და ხელოვნება“, „სახალხო საქმე“, 1920, № 797; გ. ი., თბილისის თეატრებში, „თეატრი და ცხოვრება“, 1926, № 14 და შ.



ერეკნული
დღგზსსხნსა

1907 წელს აგებულ კულტურულ დაწესებულებას, რომელშიც აქვს დადებული კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრს) ამოცანებზე ამახვილებდა ყურადღებას თავის ერთ მორიგ კორესპონდენციაში ი. გრიშაშვილი: „დღეს ყველამ ვიცით, რომ ხელოვნება ახალ ფორმებს მოითხოვს, ახალ მეთოდებს. თეატრალურ ხელოვნებასაც ასეთივე მოთხოვნები აქვს. სახალხო სახლის დრამატული წრე კი ძალიან შორს არის ასეთი განახლებისაგან. ძველი რეპერტუარი, ძველი მეთოდი მუშაობისა, პრიმიტიული ქართული სცენისმოყვარეობა, უბრალო „გამოცდილებაზე“ დამყარებული რეჟისურა. ვასაკვირიც არ არის, რომ სახალხო სახლი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე აუდიტორიის მოთხოვნებებს...“ კორესპონდენციის ავტორი მოითხოვს სახალხო სახლის მუშაობის ძირეულ გარდაქმნას⁸.

სრულიად ახალი მოვლენა იყო ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში მსახიობთა აღზრდის კერის — დრამატული სტუდიის დაარსება, რასაც სათანადოდ გამოეხმაურა იოსებ გრიშაშვილი: „...სტუდიის დაარსებით ახალი ერა იწყება ჩვენი თეატრის ცხოვრებაში, ამიერიდან ჩვენი სცენა ვერ იხილავს ისეთ „მსახიობთ“ და „ხელოვანთ“, რომელნიც ხელოსანს მოგვაგონებდა ხოლმე. სცენას უკვე გაუჩნდა ის შესავალი გზა, რომლითაც მასში შევა არა ყველა, ვინც თავს სთვლის შემომქმედად, არამედ ის, ვინც მარტო შემომქმედია, ვინც ხამდვილი ხელოვანია... ფეიქრობთ, რომ... სტუდიას დამჩარებას გაუწევს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ეროვნული კულტურის აყვავება“⁹.

„სასატუმროს დიასახლისი“ პირველად მოსკოვში ენახე... აღტაცებული დაებრუნდი... მსახიობთა არაჩვეულებრივი თამაში ენახე. იმავე საღამოს ვაფრინე დეპეშა რუსთაველის თეატრში: „სურვილი მაქვს ვადმოვთარგმნო „სასატუმროს დიასახლისი“. რომელიც თქვენი მსახიობებისათვის ზედგამოჭრილი იქნება... მოიფიქრეთ“, — წერდა გრიშაშვილი ერთ თავის წერილში¹⁰.

ი. გრიშაშვილი მრავალი თეატრალური რეცენზიის ავტორია. მისი რეცენზიები მოკლე და ლაკონურია. ისინი არ ხასიათდებიან პროფესიული კრიტიკოსის ხედვით და უფრო წმინდა თეატრალის შთაბეჭდილებათა გზიარებაა, თეატრალისა, რომელიც ზედმიწევნით ფლობდა სცენურ ხელოვნებას, იგი მოურიდებლად მიუთითებდა დადგმის დადებით და ნაკლოვან მხარეებზე, ზოგჯერ უმნიშვნელო წვრილმანისა თუ დეტალის (მაგალითად, გრიმიარების ტონი) ჩვენებით. მისი რეცენზიების უმრავლესობა რუსთაველის თეატრის დადგმებს შეეხება.

მისი პირველი რეცენზია მიეძღვნა 1919 წლის სეზონის მორიგ პრემიერას დ. ერისთავის „სამშობლოს“, რომელიც, რეცენზენტის აზრით, „არ არის კლასიკური პიესა, მასში ინტრიგა სუსტობს... ყალბი რიტორიკა, რომელიც

⁸ ვ-ი, სახალხო სახლი, ვახ. „ლომისი“, 1922, № 4.

⁹ ტ ფ ი ს ე ლ ი, დრამატული სტუდია, „ტრიბუნა“, 1922, № 310.

¹⁰ ვახ. „რუსთაველის თეატრი“, 1936 წლის 5 აპრილი.

ი. გრიშაშვილიმა გოლონის კომედიის გარდა ქართულად თარგმნა: ლ. ფულდას „ვირის ჩრდილი“, ბერნარდ შოუს „წმინდა ქალწული (ქანა დარკი)“, ი. ჰაშეკის „ქარისკაცი შეეიკი“, ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“, ნ. პოგოდინის „თოფიანი კაცი“, მ. ღარბინიანის „მეწისქვილე“, მოლიერის „ტარტიუფი“, ალ. ტოლსტოის „თხუთმეტი სახელმწიფოს ლაშქრობა“ და კ. სიმონოვის „დამელოდე“. ყველა მათგანი წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

ოციან წლებში მას თარგმანები კ. მარჯანიშვილის დაკვეთით შეუსრულებია: „სცენაზე აიდგი ფეხი, ვისწორებია ბევრი თარგმანი, გამობრძმედილი ხარ სცენურ ენაზე, იცნობ მსახიობს, წმინდა ქართული კონსტრუქციით ლაპარაკობ, მიღეჭი და თარგმნეო“. (ტ. V გვ. 252).



„სამშობლოში“ მრავლადა გაბნეული, არავითარ გრძნობას არ ჰხატავს, მაგრამ ასეთ პიესებს აქეთ ერთი გამართლება. ეს არის მისი არაჩვეულებრივად დადგმა — მხატვრული შესრულება. თუ ამ მეთოდით ვიხელმძღვანელებთ, პიესას, რასაკვირველია, ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ დეკორაციები კი, განსაკუთრებით ციხეში, ისეთი კარგი და მხატვრული იყო, რომ „სამშობლოს“ განახლება მართლაც ამ ერთი მოქმედებისათვის ღირდა. ეტყობა, ახალგაზრდა მხატვარს ვალერიან სიღამონ-ერისთავს აქვს გემო და წარსულის ცოდნა“. რეცენზიაში ღიდი ადგილი უკავია მთავარი როლების შემსრულებლების (ელ. დონაური, გ. დავითაშვილი, პლ. კორიშელი) თამაშის შეფასებას, აღნიშნულია მათი დადებითი და ნაკლოვანი მხარეები. უკმაყოფილოა რეცენზენტი რეჟისორული ჩანაფიქრის სცენური გადაწყვეტისა¹¹.

რეცენზიაში სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატის“ დადგმაზე ხაზგასმულია სამი ახალგაზრდა მსახიობის (ალისა ქიქოძე, ელ. დონაური და გ. დავითაშვილის) წარმატება. რეცენზენტი იქვე მოურიდებლად შენიშნავს: „პირადად მერუქიას და დათოს როლში მომწონდა თ. გოგოლაშვილის ვნებური მოძრაობა და ალ. იმედაშვილის მიითური იერი. რასაკვირველია, თუ პარალელს გავავლებთ, ახალნი... მოისუსტებენ... დონაური და დავითაშვილი ორი ძლიერი ნიჭია და მათ თამაშში თეატრის მოყვარულმა ზადი არ უნდა ეძებოს განგებ“. მაღალ შეფასებას აძლევს რეცენზენტი სპექტაკლის რეჟისურას: „წუწუნავამ ისე ხიჭიერად დასდგა „ღალატი“ (განსაკუთრებით ბოლო მოქმედება), რომ ნაყურებელი ციხის აფეთქებასთან ერთად თვითონაც აფეთქდა“...¹².

უკმაყოფილება გამოსჭვივის ა. ცაგარლის პიესის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ ალ. ახმეტელისეული დადგმისადმი მიძღვნილ რეცენზიაში. რეცენზენტი ყოველგვარ წვრილმანს აქცევს საგანგებო ყურადღებას, მას არ გამოპარვია ასეთი დეტალები: „ვინ არ იცის, რომ ქართლში თონე მიწაში ყელამდეა ჩაფლული, კახეთში კი ნახევრად. პიესა ქართლში სწარმოებს, მამასადამე თონე და ზვარი შესაფერისად უნდა შეეფარდებინათ... გიჟუას როლის შემსრულებლები (ყალიბგაშვილი, გამყრელიძე) შესახედაობით ორივე ტიპითი იყო; ავეტიქა — ვასო აბაშიძე კარგი იყო... მან. ჭიათურელს კი ამ როლისათვის ახალგაზრდა ხმა აქვს... კარგი იყო კონტაია, განსაკუთრებით მესამე მოქმედებაში. მოურავი ძალიან ყუყუჩად იყო დახატული“. დასკვნაში ავტორი წერდა: „ასეთი დადგმა არ არის სასურველი... ცაგარლის პიესა არც ისე ხელწამოსაკრავია... ვამბობდი და ეხლაც გავიმეორებ, თუ რუსეთი ამაყოფს თავისი ოსტროვსკეებით, ჩვენი სცენაც ამაყოფს ცაგარლის მადლიანი ნიჭით და ზოგიერთი მისი პიესა მოითხოვს მხატვრულ სტრუს და ყოველი წვრილმანის პატივისცემას. სახელით სპეკულიაციას კი უნდა ერიდონ ჩვენი რეჟისორები“¹³...

„ვინ არის დამნაშავეს?“ დადგმას გრიშაშვილმა ორი რეცენზია მიუძღვნა (სპექტაკლში მონაწილე ორივე შემადგენლობას). პირველში აღნიშნულია: «მშვენიერი პიესაა, მშვენიერი თამაში. ნაკაშიძის პიესა მართლაც „დრამა“ დრამატული მომენტებით სავსე... არა ნაკლებ მომხიბლავი იყო დადგმა და თამაში. პიესა საუცხოოდ იყო დადგმული ალ. წუწუნავას მიერ. მსახიობთა

¹¹ დონაური, დ. ერისთავის „სამშობლო“, „სახალხო საქმე“, 1919, № 1042.

¹² უკმაყოფილი, „ღალატი“, გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1921, № 37.

¹³ უკმაყოფილი, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1921, № 34. „რაც გინახავს“, მან მეორე რეცენზიაც მიუძღვნა. იხ. „სამშობლო ხელოვნება“, 1927, № 5 (ტ. V, გვ. 137).



შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვ. ანჯაფარიძის (ფატი), ც. წუწუნავის (დედა), ალ. ქორჯოლიანის (ყარამანი) თამაში. ყოველი მათი მოძრაობა შეგხებული და გამიზნული იყო. შეიძლება თამაშად ითქვას, რომ არც ერთი პიესა, თავისი წვრილმანობით, არ ყოფილა ისე შესრულებული მხატვრულად, როგორც „ვინ არის დამნაშავე?“¹⁴.

ფრიად ორიგინალური და უჩვეულო იყო გრიშაშვილის რეცენზია კ. მარჯანიშვილის დადგმაზე „მზის დაბნელება საქართველოში“. რეცენზიის ფორმა, არქიტექტონიკა რაღაც სიახლის შემცველია. თავისი ქვესათაურებით („კასასთან“, „ფოეში“, „სცენაზე“, „მეორე მოქმედება“, „მესამე მოქმედება“, „მსახიობები“, „კ. მარჯანიშვილი“, „მსახიობის დღე“, „ზურაბ ანტონოვი“). თავისებურია დასაწყისიც: „აუბრებელი ხალხი. რუსთაველის თეატრის დრეფანი დაეკრილა; ანშლაგი. ქუჩის შუშაბანდზე გაოკრულია განცხადება, რომ იახვრის ორისათვის ყველა ბილეთი გაყიდულია. ხალხი მიიწვ არ იშლება. ადმინისტრაციამ აღადგინა წესიერება და ბილეთების მქონე ხალხი საათის შვიდიდან ეშურება თეატრს“. ... ბრწყინვალე შეფასება აქტიორული (ვ. აბაშიძე, ხ. გოცირიძე, ვ. გამყრელიძე, პ. კორიშელი, ნ. ჯავახიშვილი, მ. ქორელი, ა. აბელიშვილი, ალ. ქორჯოლიანი, შ. ლამბაშიძე, ა. ქიქოძე) შესრულებისა: „ყველა კარგი იყო, ყველა!“ დიდი იყო სპექტაკლის წარმატებაში რეჟისორის ღვაწლი: „ერთმა პოეტმა კ. მარჯანიშვილს ახალი ქრისტე უწოდა. აქ სრულებითაც არ არის გადაკარბება. ასეთი პიესის ბოლომდე მოსმენას მხოლოდ მარჯანიშვილის ჯადოსნობას უნდა ეუმადლობდეთ. კ. მარჯანიშვილმა ამ ზერელედ დაწერილ პიესიდან მთელი ეპოქა შექმნა“¹⁵...

კრიტიკულადაა შეფასებული ოსკარ უალდის „სალომეს“ ალ. ანმეტელი-სეული დადგმა: „როგორც თეატრალი, ყოველთვის ვცდილობ, ახლად დადგმულ პიესაში აღმოვაჩინო სიკარგე, დეფექტი კი დავივიწყო, განზე გადავდო. მაგრამ ერთის მხრივ ხელოვნების ინტერესებისათვის და მეორე მხრივ უალდის „სალომეს“ პატივსაცემად, მსურს ორიოდ შენიშვნა გამოთქვა... ჩვენ რეჟისორისაგან ბევრს მოველოდით... არც ერთი მსახიობი არ იდგა თავის დოხეზე, არც ერთი მსახიობი არ ლაპარაკობდა მკაფიოდ... მსმენელს მხოლოდ ნიღნიღი და შრიალი ესმოდა... შემსრულებელთაგან რეცენზენტი გამოყოფდა თამარ ჭავჭავაძეს: „მისმა უკანასკნელმა სცენამ, როდესაც იგი იოქანაანის მოკვეთილ თავს უალურსებს, გვიჩვენა, რომ ამ მსახიობ ქალში იბადება დიდი პოტენციური ძალა“, აკაკი ხორავას (იოქანაანი), გ. დავითაშვილის (ახალგაზრდა სირიელი). ხაზგასმით არის მითითებული ქორეოგრაფიის და პიესის თარგმნის დაბალი დონე: „სალომეს მთარგმნელი (პ. იაშვილი. — ი. ლ.) მოიკოჭლებს ლიტერატურულ ქართულში... უნდა ვერიდოთ თარგმანის თარგმანსო“¹⁶.

დადებითად შეაფასა გრიშაშვილმა აკაკი ფალავას მიერ დადგმული „სამანიშვილის დედინაცვალი“: „როგორია სასცენო განსახიერება? ავტორების (დ. კლდიაშვილი, შ. შარაშიძე. — ი. ლ.) და რეჟისორის მიერ დასახულ ამოცანებს მსახიობნი დიდის ოსტატობით ასრულებდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: შ. ლამბაშიძე (პლატონი), ა. ვასაძე (კირილე), ალ. ქორჯოლიანი

¹⁴ ს., „ვინ არის დამნაშავე?“ გაზ. „ტრიბუნა“, 1922, № 149.

¹⁵ გაზ. „ლომისი“, 1923, № 19 (ტ. V, გვ. 145). „ახალი ქრისტე“ კ. მარჯანიშვილს ი. გრიშაშვილმა უწოდა (იხ. „მსახიობის დღე“, 1923, № 3).

¹⁶ მ. შ., „სალომე“ ჩვენს სცენაზე, გაზ. „ლომისი“, 1923, № 26.



(ერმალო ქეშელაძე, უ. ჩხეიძე (არისტო), პ. კორიშელი (ბეკინა სამხრეთი-ლი)). . . სიამტკებლობის ერთხანტელით იქარგებოდა მთელი წარმოდგენა, — აღნიშნავდა რეცენზიის ავტორი. დიდი მოწონება დაუმსახურებია მხატვრის (ვ. სიღამონ-ერისთავი) ნაშუშევარს¹⁷.

რეცენზენტის აღფრთოვანება გამოუწვევია „მსახიობთა ამხანაგობის“ მხიარულ საღამოს, სადაც წარმოდგენილი ყოფილა ტრიფონ რამიშვილის კომედია „სტუმარ-მასპინძლობა“. შექმულია რეჟისორი, მისი ხელწერა და ერთდელიცა (ვ. ანდრონიკაშვილი) და შემსრულებლები: მის. გელოვანი (ნიკიფორე აბაქუტა), ელ. ჩერქეზიშვილი (მამიდა), ანეტა ქიქოძე (თებრო), ბ. რონელი (ღარო), ვ. ვამყრელიძე (მიკიტანი), ა. დგებუაძე (ბუსხრიკიძე), ავგრთევე: გ. ფრონისპირელის, ვ. მატარაძის, ლ. ადამაძისა და შ. გომელაურის თამაში. „მთელი საღამო სიცილის ხეივანში ვიყავით“, — აღნიშნავს დასასრულს რეცენზენტი¹⁸.

პატარა რეცენზიით გამოეხმაურა გრიშაშვილი ნ. შიუქაშვილის კომედიის „ამერიკელი ძიას“ დადგმას რუსთაველის თეატრის სცენაზე. „ამერიკელი ძია, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, მაღლობს ვერ დამსახურებს. . . რით იხსნება მისი ასეთი გამარჯვება ქართულ სცენაზე? უპირველეს ყოვლისა არა ფაბულით, რომელიც იოლი, ანეგდოტური ამბავია, არა „შიუქაშვილისებური“ სიტყვათა ათამაშებით, რომელიც მთელ პიესაში ტუნწათაა მოცემული, არა ტექნიკური მიღწევებით. . . არამედ ორიოდ მსახიობის კარგი თამაშით და იეთიმ გურჯის იმ პოპულარული პანგებით, რომელსაც გასარეებულად ასრულებენ ინტერმედიის კინტოები, ეს ყარაჩოღელების გადაგვარებული მოდგმა“¹⁹.

მის ბოლო გამოძახილად უნდა ჩაითვალოს რეპლიკისებური „უშანგი—იავო“. „უშანგიმ შექსპირის გენიალობას მიუმატა ერთი ძლიერი ხაზი — ადამიანობა. . . მეერ რა კარგად კითხულობს შექსპირის ტექსტს, როგორ უშუალო განცდით წარმოსთქვამს იმ ჩინებულ აზრს, რომ თითქოს „მისი შინ არ ყოფნის დროს, მის სარეცელში, მის მაგიერად ოტელოს დაედო ბინა“. . . ეს პატარა მონოლოგი ისეთი ფაფუკი ტემბრით არის გადმოღვრილი ხალხში, რომ მაყურებელი აღტაცებაში მოდის. . . უშანგიმ იავო გაადამიანა“²⁰.

¹⁷ ს ო გ რ ი, ქართული თეატრი, ვაზ. „ქართული სიტყვა“, 1924, № 24. (ტ. V, 356).

¹⁸ ს ო გ რ ი, მხიარული საღამო, ეურნ. „ხელოვნება“. 1925, № 1 (ტ. V, 149).

¹⁹ „სახბოთა ხელოვნება“, 1927, № 6, გვ. 9.

²⁰ „სალიტერატურო ვაზეთი“, 1933, № 4 (ტ. V, გვ. 215).

პიეტის არქივში შემონახულია ჩანაწერი—„ქართული თეატრი“, რომელშიც სიტყვათა თამაშში გამოყენებულია იმ პიესების სათაურები, რომლებიც ქართულ სცენაზე დაიდგა: მძრთალია, მუ არა ვარ „ემირი“, მაგრამ ჩემს ძარღვეში ხომ სჩქევს „კაცი მასსა“? ამიტომ უნდა მოგახსენოთ, რომ არ მიყვარს ამ თეატრთა შორის „ღვარძლი“, რომელიც „ხოჭოების დოღს“ ვეგვრებს. . . რა არის რა ამბავია! ბოლოს და ბოლოს „ადამიანი სარკიდან“ ხომ არ არის გაკეთებული, რომ აიტანოს ეს „უღვარძლი“ „ინტერესთა თამაში“?

ეხლა, როცა ახალი ამფთქებლების „ძახილით“ ულიანდაგი გუგუნებს“, როცა პარტერში აღარ არის არც ერთი „ვახანაურებული მდამიო“, როცა გუშინდელი „მგლები“ დღეს „ვირის ჩრდილებსა“—ჰგვანან,—სცენიდან ნათქვამი სიტყვა „კაკალ გულში“ უნდა ხედებოდეს „დიდების გამფლანგველებს“.

ბევრი პიესა მოძველდა, ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავით“, „ღამარა“ როგორც მთელი დედაკაცი თემსაბჭოს თავმჯდომარედ ავირჩიეთ და „წმინდა ქალწულები“ გრიშაშვილისთვის დაგვიომა. პირდაპირ გაუგებარია „ღებურტირკაზე“ ნაყიდი რომელი-



თეატრალური რეცენზენტი გრიშაშვილი სცენის, მისი მრავალი წერილ-მანის ღრმად მცოდნეა. იგი ვერ იტანს დეტალებისადმი უყურადღებობას, მკაცრია მსახიობის მეტყველების, დიქციის შეფასებისას, მოითხოვს სასცენო მეტყველების მაღალ კულტურას, კრიტიკულია რეჟისორული ჩანაფიქრის განუხორციელობის შემთხვევაში და, რაც მთავარია, სავალდებულოდ თვლის ქართული სცენიდან მშობლიური ენის სიწმინდის დაცვას. პროვინციული ქარგონი მას ხელოვნების დაკნინებად მიაჩნია.

ოციან წლებში იოსებ გრიშაშვილი არ შემოფარგლულა მხოლოდ ქართული თეატრით, მისი პორიზონტი უფრო ფართო იყო. მას არაერთი რეცენზია აქვს გამოქვეყნებული თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დადგმებზე, საბალეტო ხელოვნებაზე.

ი. გრიშაშვილი ერთ-ერთი პირველი პოპულარიზატორია ქართული ეროვნული ოპერისა და მისი ვოკალური ხელოვნებისა. მისი წერილები და რეცენზიები ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, ვ. დოლიძის და რ. გოგინაშვილის ოპერებზე სათავეს უდებს ქართული მუსიკალური კულტურის პროპაგანდას ამ თვალსაზრისით მისი დამსახურება ნამდვილად თვალსაჩინოა.

წერილში „ზ. ფალიაშვილის ბენეფისი“ გრიშაშვილი ქართველ მკითხველს უზიარებს თავის შთაბეჭდილებას „აბესალომ და ეთერი“ 25-ე საიუბილეო წარმოდგენაზე და ყურადღებას ამახვილებს კომპოზიტორის მომავალ ბენეფისზე: „... ერთი წლის განმავლობაში „აბესალომ და ეთერი“ შესძლო ოცდახუთჯერ თეატრის ავსება, ეს იმის მომასწავებელია, რომ ოპერის მუსიკა ხალხს ღრმად სწვდება გულში. ასეთი მუსიკა უკვდავია და ხალხის მიერ შემონახული იქნება უძვირფასეს განმად... „აბესალომმა“ დაგვანახა, რომ ბ-ნ ზ. ფალიაშვილს შეუძლიან მუსიკის დარგში მუშაობით ბევრი რამ შესძინოს ჩვენ ღარიბ სამუსიკო ლიტერატურას“. გრიშაშვილი თხოვნით მიმართავდა საზოგადოებას სათანადო ყურადღებით მოპყრობოდა კომპოზიტორის ბენეფისი²¹.

1919 წლის 7 დეკემბერს მან გამოაქვეყნა ვრცელი რეცენზია ზ. ფალიაშვილის უკვდავ ოპერაზე: „აბესალომ და ეთერი“ რა საუცხოოვო ზღაპარია, მშვენიერი გამომხატველი ძველი გმირული ქართველი ხალხის სულსკვეთებისა, მისი კეთილშობილური, მისი რაინდული გრძნობებისა. ეს ზღაპარი ამოქარგულია ათასფერთაგან ძველ ქართულ სინამდვილის კვანძზე და ის წარმტაცია, როგორც ცისარტყელა. ოპერაც... ხომ ცისარტყელაა ჩვენი მუსიკისა!... პირველიდან უკანასკნელ მოქმედებამდე ეს საუცხოოვო მუსიკა ბ-ნ ზ. ფალიაშვილისა განა გამომხატველი არ არის ამ მშობლიური ზღაპრისა?.. აბა მოისმინეთ... ეს მუსიკა თუ არ იგრძნოთ, რომ ბებია ან ვაღია ჩონგურით ხელ-

დაც „ამერიკელი ძიის“ გამოცვლილი შარვალი ჩვენ თაობას „როგორ“ უნდა გამოადგეს? მართლა და მართლა „მზის დაბნელება“ ხომ არ არის?

ჩვენ ახალგაზრდები ვართ, გვიანდა სიცოცხლე და „პოპლია, ჩვენც ეცოცხლობთ“. ჩვენ არ ვიცით რათ მოხდა რეჟისორების „გაყრა“ და მაცურებისათვის „რღვევა“. ეს „დავა“ იმას გაახარებს, ვინც ყველაზე „სულელია“. მხოლოდ ერთი რამ გვიანდა ვიცითხოთ: რათ დიხლართა თეატრის „გზები“. ვინ გამოიტანა ასეთი მკაცრი „განაჩენი“, რატომ არა გვეყავს თეატრში „საქმის ხალხი“, „ვინ არის დამნაშავე?“ აქ გამოხატულია გულისტკივილი იმ განხეთქილების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართულ თეატრში 1927 წ.

²¹ მართლა შეუამდინარელი, ზ. ფალიაშვილის ბენეფისი, „სახალხო საქმე“, 1919, № 694.

ში დაგმეორით საუცხოვო ქართულ ზღაპარს? დე ეს მუსიკა იმდენად ხალხურ გულის ამომახილი იყოს, რომ ქართველი მსმენელი გულის ძვერით უპასუხებდეს, ხან მშვენიერ ალილოს, რომლის გამოხატულება მეოთხე მოქმედების ქვიხტეტი, ხან დასავლეთ საქართველოს ზარი... ხან მოყუყუნე „კახურო“ და „ჩაკრულო“. ოპერა იმდენად ღრმა და სერიოზული ხასიათისაა, რომ ძლიერ დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს მსმენელზე... ეს ხომ დასაწყისია ჩვენი მუსიკალური აღორძინებისა... გუშინ ჩემზე უბედნიერესი კაცი არ მოიპოვებოდა. მეორე მოქმედებაში ისეთი მღელვარება გამოიწვია ჩემში ოპერამ, რომ სიხარულის ცრემლები წამომცვიდა და არც მცხვენოდა, რომ ამოდენა კაცს ასე ამიჩუყდა გული... ამ ოპერაში ხომ მეათასედი და მეათიათასედი არ არის იმ ჰანგათა სიმდიდრისა, რომელიც საქართველოს საუკუნეებს შეუქმნია, ამ ძვირფასი მარგალიტების მოძიენი და შემნახველნი ჩვენი კომპოზიტორება არიან». რეცენზენტი მაღალ შეფასებას აძლევს რეჟისორს, რომელსაც „ასე საუცხოოდ გაუგია და შეუთვისებია სული ამ ზღაპრისა“, ქებას ასხამს ოპერის მხატვრულ გაფორმებას, ყოველივე იმას, რაც „სიუჟეტთან და მუსიკასთან... მშვენიერ ჰარმონიას ქმნის“. რეცენზენტი ვერ ფარავს თავის ალტაცებას „ბალეტის გამო“, რამდენადაც „მუდმივი პრიმიტივობა და ერთფეროვნება, რომელიც ახასიათებდა ჩვენს ქორეოგრაფიას, დამსხვრეულია“²².

ხუთი წლის შემდეგ, 1924 წლის ოქტომბერში გრიშაშვილმა მეორედ გამოაქვეყნა რეცენზია ამ ოპერის კ. მარჯანიშვილისეულ დადგმაზე: „ბოლო წლებში თითქმის ტრადიციული ხასიათი მიიღო „აბესალომ და ეთერი“, რომ სეზონს ყოველთვის ამ ოპერით იწყებენ. ზ. ფალიაშვილის ნაწარმოები სწორედ რომ ღირსია ამ პატივსცემისა... კომპოზიტორმა შესძლო დიდებულ თემის საესკებით დაძლევა. ასე ოსტატურად დამუშავება პარტიტურისა შეეძლო მხოლოდ ისეთ ნიჭიერ ადამიანს, როგორც არის ზ. ფალიაშვილი... მისი „აბესალომი“ ქართულ საოპერო რეპერტუარში დარჩება როგორც კლასიკური ოპერა და ის იქნება ყოველთვის გზის მაჩვენებელი ეროვნული მუსიკის შემოქმედებისა... ოპერა დადგმულია კ. მარჯანიშვილის მიერ... მე მგონია, რომ „აბესალომის“ დადგმა საერთოდ კ. მარჯანიშვილის დადგმებში პირველია. ფანტასტობა ამაზე შორს ვეღარ წავა, რასაკვირველია, აქ დიდი დახმარება აქვს გაწეული დ. შევარდნაძეს²³ თავისი შესანიშნავი ესკიზებით, რომელიც გადაღებულია ქართულ ფრესკებიდან და სადაც სჩანს დიდი ცოდნა ქართული არქიტექტურის, სტილის და ეპოქის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეორე და მესამე მოქმედების დეკორაცია... ვერ ვიტყვი, რომ თვით ოპერის შესრულებამ ისეთივე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა, როგორც დადგამი. პერსონალურ შესრულებას არა უჭირდა. პარტიების აღმსრულებელნი ყველანი ძველები იყვნენ, გარდა ეთერისა, რომელსაც მღეროდა ახალგაზრდა მომღერალი ქალი მამამთავრიშვილი. მომღერალს ჭერჯერობით ვერ აქვს კარგად დამუშავებული პარტია. ვოკალური და სცენური გადმოცემა ვერ არის გაბედული... მამამთავრიშვილს ექნება მომავალი. რბილი, ლირიული სოპრანო, ზომიერი ტემპერამენტი — ყოველივე ლაპარაკობს იმაზე, რომ იგი თავის დროზე კარგი აღმასრულებელი იქნება. აბესალომს მღეროდა ლ. კავ-

²² ი. გ. ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „სახალხო საქმე“, 1919, № 699.

²³ ლაპარაკია მხატვარ დიმიტრი შევარდნაძეზე (1896—1937), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს. მასვე ეკუთვნის თბილისის უნივერსიტეტის ემბლემა.



საძე. მარეხის პარტია ლამაზად შეასრულა გაბაშიძემ. ვენაძეს ეტყობა, რომ ვენაძეს ტემა, მას კარგი ტემბრის ბარიტონი აქვს. მართალია მისი ხმა დიდი დიაპაზონისა არ არის, მაგრამ ისეთ ძნელ პარტიას, როგორც მურმანისაა, მღერის მუსიკალურად, ექსპრესიით და მისი მოსმენა ამ პარტიამი სასიამოვნო იყო. ყველაზე სუსტი იყო ხორო. ანსამბლებში ტონი ზშირად იყო უშლილი... დირიჟორობდა დახელოვნებული მანეტრო ივანე ფალიაშვილი²⁴.

ოპერა „დაისმა“ გრიშაშვილის საგანგებო ყურადღება დიმიტრია: „დაისმა“ უკვე დიდი პოპულარობა მოიპოვა. ეს არაა გასაკვირი. „დაისი“ ილუსტრაციაა ჩვენი ხალხური პანგებისა. ქართული მელოდია ზ. ფალიაშვილის პარტიტურაში წარმოდგენილია დიდი ეფექტებით და საესეებით დაცულია ქართული მუსიკის კანონები. დრამატიზმის მხრივ „დაისი“ უთუოდ მოისუსტებს. მასში არავითარი კვანძი არ არის და ამიტომაც ოპერა ცოტა არ იყოს დაუსრულებელის შთაბეჭდილებას სტოვებს. განსაკუთრებით „დაისის“ უკანასკნელი მოქმედების პირველი ნახევარი მიუღებელია მხატვრული და სცენიურობის მხრივ. სამაგიეროდ ყოველივე ამას ოპერა ისყიდის ისეთი ადგილებით, როგორც არის პირველი მოქმედება მთლიანად, მეორე მოქმედების მაროს არია, გრანდიოზული ანსამბლი და უკანასკნელი მოქმედების ცხარე რიტმიულ მოძრაობაზე აგებული ინტერმეცო და ფინალი. მხოლოდ განსვენებული სახალხო არტისტის ვანო სარაჯიშვილის მალხაზის პარტიის გაპროცენების შემდეგ „დაისი“ გარდაიქცა სარეპერტუარო ოპერად... განახლებულ „დაისში“ მალხაზის პარტიაში გამოვიდა ახალგაზრდა მომღერალი ქუმსიაშვილი. პირველი შთაბეჭდილება მომღერალიდან ძალიან კარგია. კარგად უჭირავს თავი სცენაზე... კარგა ვადმოგვეცემს მუსიკალურ ადგილებს — ნიუანსებს. „თავო, ჩემო“ იმღერა ექსპრესიით. სწორე რიტმიული დენით წარიმართა ფინალის სცენა... მაროს მღეროდა პაპოვა... არია „შუქურ ვარსკვლავო“ შეასრულა დიდი გრძნობით. აქ იყო მელანქოლიური ტანჯვა, სიყვარულიც და სევდაც. ასეთი ვირტუოზულობით რომ შეასრულო ეს ადგილი, უსათუოდ დიდი არტისტი უნდა იყო... რაც შეეხება უკანასკნელი აქტის კაეშნიან „მწუხრს“, აქ პაპოვა საესებით აგვირგვინებს ოპერას. დიდი ექსტაზით ჟღერს მომღერლის ხმა... კარგა შეასრულა მომღერალმა ვენაძემ კიაზოს პარტია... კარგები იყვნენ: ისეცკი (ცანგალა) და თუმანიშვილი (ტატო). კარგია გუნდები, მეორე მოქმედების ანსამბლში იძლევა დიდ სიმძაფრეს. წარმატებას ხელს უწყობს მხატვრული გაფორმება და დირიჟორის ხელოვნება²⁵.

წერილში ზ. ფალიაშვილის იუბილეს გამო“ გრიშაშვილი მოკლედ და გასაგებად გადმოგვეცემს ქართული საოპერო ხელოვნების ფუძემდებლის ბიოგრაფიულ ცნობებს და მის დამსახურებას ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებაში²⁶.

ექტორ დოლიძის „ქეთო და კოტეს“ გრიშაშვილი ორი რეცენზიით გამოეხმაურა. პირველში იგი წერდა: „კოტეს როლს კარგად ასრულებდა ივანე სარაჯიშვილი, რომელიც ამ პარტიაში საუცხოო იყო. პირველ მოქმედებაში გამოტოვებული იქნა კოტეს მშვენიერი არია, ამბობენ სარაჯიშვილის დაღლილობის გამო, მაგრამ მე მეშინიან, რომ ეს კუბიურები ქრონიკულად არ გადა-

²⁴ არმან დი უ ვ ა ლ, „აბესალომ და ეფერი“, ქურნ. „ხელოვნების დროშა“, 1924, № 4.

²⁵ არმან დი უ ვ ა ლ, „დაისი“, „ხელოვნების დროშა“, 1924, № 7, გვ. 13.

²⁶ ქურნ. „ხელოვნება“, 1925, № 14, გვ. 6.

²⁷ ე რ თ ე ლ ი, „ქეთო და კოტე“, „სახალხო საქმე“, 1920, № 990.

იქციონ მსახიობებმა²⁷. მეორე რეცენზიაში ფართო ადგილი აქვს დათმობილი ამ ოპერის განხილვას: „ეს ოპერა იმდენად პოპულარული შეიქმნა, რომ ის მოსკოვშიაც დაიდგა რუსულ ენაზე. ამრიგად, მას უცხო ენაზე, როგორც ქართულ ოპერას, პიონერობა ხვდა წილად. მიზეზი უწინარეს ყოვლისა უნდა ვეძიოთ, რასაკვირველია, არა მის მუსიკალურ შინაარსს ღირსებაში, არამედ თვით ხელსაყრელ სიუჟეტზე, აეკ. ცაგარლის „ხანუმაზე“, რომლის ფონზე იშლება მთელი კომიზმი... დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ ოპერის ასეთი პოპულარობა მხოლოდ აეკ. ცაგარლის და ან ნიჟიერი რეჟისორის ალ. წუწუნაევს დადგმით აიხსნას, არა, აქ ვ. დოლიძესაც დიდი ღვაწლი მიუძღვის, მუსიკალური მასალის მხრივაც ახალგაზრდა კომპოზიტორის მიერ ბევრი რამ არის გაკეთებული. დაე „ქეთო და კოტე“ როსისინის „სევილიელი დალაქის“ გავლენის ქვეშ იყოს დაწერილი, მაგრამ ეს სრულებით არ ართმევს ავტორს ოპერის ორიგინალობას, „ქეთო და კოტეში“ კი არის ადგილობრივი კოლორიტის ნაწიბი. არის მოხდენილი, დამახასიათებელი ლამაზი ჰანგები. კარგად მღერის ქეთოს პარტიას კალანდაძე... სასიამოვნოა ნიჟიერი მომღერალი და მსახიობი ლადო კავსაძე, მისი ხმის ტემბრი სათუთია და ნაზი... კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ: ვენაძე (თავადი ლევანი), ნეიმანი (ბარბარე), ტიბიურია ქურხული (საქო) და კურბატოვი (სიკო). შეუღლებილი არიან სერგეევი (ჩინოვნიკი) და ბარხუდაროვი (პრისტავი). ძნელია საერთოდ მიმიღოთ მოძრაობით ადამიანის სულის გადმოცემა, მაგრამ სერგეევი ეკვივით და ბარხუდაროვი იმიტაციით აღწევენ ამას... კარგად დირიჟორობდა მელიქ-ფაშაევი“²⁸.

ერთ-ერთი პირველი გამოხმაურა გრიშაშვილი ახალგაზრდა კომპოზიტორის რევაზ გოგინაშვილის ოპერის — „ქრისტინეს“ დადგმას: „ოპერას მრავალი ნაკლი აქვს, როგორც სცენიურად, ისე მუსიკის მხრივ. „ქრისტინე“ უფრო სცენებია, ვინემ მთლიანი ოპერა. ახალგაზრდა კომპოზიტორს შეეძლო ესარგებლნა მრავალი ხალხური მასალით, რომელიც ეშხსა და სერიოზულობას მისცემდა ამ ოპერას, როგორც სჩანს, ქართველურის დაუდევრობით არ უსურვებია ავტორს. ეს კი საწყენია, რადგან ჩვენს მაესტროს, ნიჟი ემჩნევა... ოპერაში არ არის ერთი მთლიანი ძარღვი, ყველაფერი თითქოს შეკვეთით ხდება: სოფლის ქალები შემოვლენ, ერთს წაიმღერებენ და ისევე გავლენ... „ქრისტინე“ გურული ცხოვრების ანარეკლია და ოპერაში ერთი გურული ჰანგიც არ არი!... თუ ოპერა სუსტია, გაენდეთ ავტორს, უჩვენეთ ნაკლი... სუსტი ოპერა არ უნდა დაიდგას სახელმწიფო თეატრში... რ. გოგინაშვილი ჯერ სულ ახალგაზრდაა, მას რჩევა რომ მიეცეს... იგი მეტ სარგებლობას მოუტანს ხელოვნებას“²⁹.

გრიშაშვილმა უყურადღებოდ არც დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ დატოვა. განახლებული დადგმის შესახებ იგი წერდა: „ავტორს ორ მოქმედებიანი ოპერა სამ მოქმედებიანად გადაუკეთებია. ეს მოქმედება კი არა, უფრო სურათია. სურათში მხოლოდ დუეტია შოთასი და ნინოსი, რომელიც სასიამოვნო მოსასმენია. კულისებში კი, როგორც ფარდის ახდისას, ისე ჩამოშვებისას, ისმის ურმული. ურმულს მღეროდა სარაჯიშვილი. სარაჯიშვილის ურმული საუცხოვოა, მაგრამ შოთა და ურმული კი როგორღაც ვერ ეგუება ერთმანეთს... არ შეიძლება ჩვენი აღფრთოვება არ გამოეთქვათ იმ უნი-

²⁸ არმან დიუვალ, „ქეთო და კოტე“, ჟურნ. „ხელოვნება“, 1925, № 6, გვ. 10.

²⁹ ი. გ., ოპერა „ქრისტინე“, გაზ. „ტრიბუნა“, 1921, № 94.



ქო უსისტემობაში, რომლითაც გაგვიმასპინძლდა რევისორი. ჩვენში რევისორის სახელის მოხვეჭა იოლი საქმე ყოფილა! ყველას შეუძლიან თურმე, ვინც ბასიდან ვერ არჩევს ტენორს, ირევისოროს ოპერაში!... სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ გუნდი ასცდა ორკესტრს და ერთი კაკაფონია იყო სცენაზე, რომლის მოსმენის დროსაც ავტორიც კი იფარავდა ყურებს. ახლა ბალეტი! შეიძლება ძორდკინი დიდი არტისტი იყოს, მაგრამ გულწრფელად ვურჩევთ თეატრის დირექციას, მეორედ ნუ გაგვიმასპინძლდება ასეთი ბალეტით!.. ერთი სიტყვით ბალეტი წყალწყალა და უელგარული იყო. დ. არაყიშვილის მუსიკის შესახებ ორი აზრი შეუძლებელია, მაგრამ არა მგონია ასეთი შესრულებით დაახტერესოს ქართველობა, როგორც ეს „ეთერიზეა“ ხოლმე. დასასრულს არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ ჩვენს კომპოზიტორებს, რომ ქართულ ოპერებს ლიბრეტო არ უვარგათ. კარგად და სცენისათვის შემუშავებულ ლიბრეტოს კი დიდი მნიშვნელობა აქვს ოპერის სისრულისათვის. შეიძლება ზოგიერთი ოპერა ადგილ-ადგილ საუცხოვოც იყოს, მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ იგი ოპერაზე მიდის და არა რომელიმე საინტერესო საკონცერტო განყოფილებაზე³⁰. ამ ოპერას გრიშაშვილი მეორე რეცენზიითაც გამოეხმაურა. იგი აღნიშნავდა: „თქმულება“ პირველი ოპერაა, რომელმაც გაარღვია რკალი ჩვენ მუსიკალურ ფრონტზე. 1919 წლის 5 თებერვალი ჩვენი საოპერო ხელოვნების ისტორიაში აღინიშნება განსაკუთრებული თარიღით. ეს ის დროა, როდესაც პირველად დაიდგა ორიგინალური ქართული ოპერა... განვლო რამდენიმე წელმა და ჩვენი საოპერო რეპერტუარი გაიზარდა და გამდიდრდა. „თქმულებას“ მოჰყვა „აბესალომი“, „ქეთი და კოტე“, „ლეილა“, „დაისი“, „ქრისტიანე“ და „დედა და შვილი“ (ლეო ფალიაშვილის ერთმოქმედებიანი პიესა). 15 მარტს დადგმულმა „თქმულებამ“... კვლავ განმიძტკიცა აზრი, რომ ქართული ოპერა დიდ შემოქმედებით გზაზე სდგას... დ. არაყიშვილის მდიდარ და ლამაზ მუსიკას არა აქვს კარგი ლიბრეტო, არავითარი დრამატიული ნასკვი, მოქმედების განვითარება აქ არ არის და მეტად ხელს უშლის კომპონისტის მიღწევებს... მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა მომღერალმა ქალმა დანელიანმა (ნინო), რომელსაც კარგ ხმასთან ერთად აქვს დიდი მუსიკალობა და დაკვირვება, მის გადმოცემაში არ იკარგება არც ერთი მუსიკალური ფრაზა... შოთას პარტიას მღეროდა ლ. კავსაძე... იგი ვოკალური ხელოვნების მხრივ დამაკმაყოფილებელი იყო. მკრთალი შთაბეჭდილება დასტოვა ელიოზიშვილმა (აბდულ-არაბი). მის გადმოცემაში არ არის ტემპერამენტი, მაღალი რეგისტრები კარგი აქვს... კარგია ვოლჩანეცკაია (თამარ დიდოფალი). დადგმა მიზანსცენების მხრივ არ არის დამაკმაყოფილებელი³¹.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემითა მოხსენებული გრიშაშვილის მიერ მისი ახლო მეგობრები, ქართული საოპერო და ვოკალური ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენლები — ვანო სარაჯიშვილი (წერილში „გახსენება“, „თეატრი და ცხოვრება“, 1924 წ., № 16) და სანდრო ინაშვილი (მოგონება-მილოცვაში, ტ.V, გვ. 225): „ვანო და სანდრო — განუყრელი სახელებია ქართული ოპერის ისტორიისათვის. ვანო და სანდრო ერთ ტოტზე მობმული ორი

³⁰ უჯარელი, „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „ტრიბუნა“, 1921, № 106.

³¹ არმან დიუვალ, „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ქურონ. „ხელოვნება“, 1925,

ვარდია, ორი თვალის ერთი სინათლეა... ხალხს ლევენდად გაღვივებდა, ორი შესანიშნავი მომღერლის ეშხი და ჯავარი“.

პლასტიკური ხელოვნება — ბალეტი გრიშაშვილის გატაცებისა და ზრუნვის საგანი იყო. განსაკუთრებით აღელვებდა მას ქართული ბალეტის ბედი. „ქართული ბალეტი რომ რიგიანად მოეწყოს, ამას შემოქმედების გარდა, დიდი დრო და მუშაობა სჭირია“, — წერდა იგი წერილში „ქართული ბალეტი“³².

„გოგოას სიზმარი“, რომელიც 1922 წლის 6 აპრილს წარმოუდგენიათ ოპერის თეატრში, გრიშაშვილს „კარგ საბალეტო სიუჟეტად“ მიუჩნევია, მაგრამ „არა სცენიურად განსაზღვრებულად“, რაც, მისი აზრით, არ იძლევა საბაზს „სულ უარყოფითად მოვექცეთ ქართული ბალეტის იდეას“. „გოგოას სიზმარი“ მუსიკა ნაკლებია, მუნჯური სცენები კი ბევრი. მუსიკალური ვარიაციები უეჭველად უნდა ჩაემატოს მას... თუ სერიოზულად დააყენებენ სტუდიაში სწავლის საკითხს, მაშინ მომავალი ქართულ ბალეტს უეჭველად ექნება³³.

საბალეტო სტუდიას, მის საქმიანობას გრიშაშვილი სერიოზულად უდგებოდა. მას გამოქვეყნებული აქვს წერილები თბილისში არსებულ და მოქმედ სბრუი ლისიციან-აზარბეტიანის ცეკვის კერძო სკოლაზე, რომლის მასწავლებელი „ცდილობს შექმნას ახალი მიღწევები ქორეოგრაფიის სწავლებაში“ (ამ სკოლას სტუმრად სწევდია ცნობილი მოცეკვავე ქალი აისადორა დუნკანი, რომელსაც სბრუის სწავლების მეთოდები არ მოსწონებია და დემონსტრაციულად დაუტოვებია დარბაზი)³⁴. ამ კერძო სასწავლებლის გარდა თბილისში მოქმედებდა მ. ი. პერინის საბალეტო სტუდია, რომელიც ამზადებდა საბალეტო ხელოვნების კადრებს. ამ სტუდიას დიდი ღვაწლი მიუძღვის ბალეტის ქართული ოსტატების აღზრდაში. ამ სტუდიის საქმიანობას გრიშაშვილმა ორი წერილი უძღვნა³⁵, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია სტუდიის კარგ მუშაობაზე და გამოთქმულია იმედი: „უდავოა ის ფაქტი, რომ მომავალში თბილისს ეყოლება თავისი პირმო საბალეტო არტიტები, რომელთა დაოსტატებაში იმედი დამსახურება მ. ი. პერინის მიუძღვის“. ამ სტუდიაში აღიზარდნენ: ლ. ჩიკვაძე, ვ. ნადირაძე (ვრონსკი), ლ. გვარამაძე, მ. ბაუერა, ლ. ბეგთაბეგიშვილი, ი. ალექსიძე და საქვეყნოდ ცნობილი ვ. ჭაბუკიანი და სხვები... გავიდა ათეული წლები და გრიშაშვილის მიერ ნაქებმა ვ. ჭაბუკიანმა მსოფ-

16.8.91

³² უ ჯ ა ვ რ ე ლ ი, ქართული ბალეტი, ვაზ. „ტრიბუნა“, 1922, № 188.

³³ ბალეტს, როგორც პლასტიკურ ხელოვნებას, გრიშაშვილი ადრევე მოუხიბლავს. წერილში ილია ზურაბიშვილისადმი (1915 წლის 17 მაისის თარიღით) იგი წერდა: „ეს ეს არის დავრდუნდი ბალეტადან... დიდებული იყო. საუცხოოდ ცეკვავდა ქალბატონი გელცერი, ისეთი მოქნილი ტანი აქვს, ისეთი მარშპარა სვეტები, ისეთი გამოლტილი მკლავები და მთლად ისეთი ამაღლებულ-ჰაეროვანია, რომ მეშვიდე ცაში აყავხარ ვარდისფერ ფიქრებს. ისე გამიტაცა, რომ უნ ბურ მეც ვირბეოდი... ეს მე მაშინ შევიტყე, როცა ჩემმა მეზობელმა ქალმა ზოდიაში მომიხადა: „მეზებოდ-მეხახუნებოდიო!“ ხომ გამოვიცდია, ილია, ასეთ შემთხვევა: მაგალითად, კარგი მსახიობი როცა ტირის, შენც უნებურად თვალზე გივუჯუნდება, ან თუ იციან, შენც გიცვილივებს სახე, ასეა ყოველთვის... და აქ რა საჭიროა, რომ როცა ეს ბალერინა როცაგდა და ცვილივით ჩაოქნილ ტანს აკლანება, მეც უნებურად გვლოვით ვირწოდი, კარგი იყო, კარგი! და მეც ვსწრაფვი შეგატოვობინო ეს ჩემი აღტაცება“ (ი. გრიშაშვილის არქივი, II, 91).

³⁴ რ ა შ ი დ ვ ა რ დ ა ნ ო ლ ლ ი, დუნკანა აზარბეტიანის სკოლაში, „ტრიბუნა“, 1923, № 585.

³⁵ უ ჯ რ ნ. „ხელოვნება“, 1925, № 10 (ტ. V, გვ. 411); Sogri, პერინის საბალეტო სტუდია, უ ჯ რ ნ. „ხელოვნება“, 1925, № 17.

2. მ ა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, № 2

ბ. შარაშენი სს. ბ. სხელოვნების...
მ ი ბ ლ ა (2 0) მ ა



ლიო დიდოსტატის სახელი მოიპოვა და ჯადოქრული ხელოვნებით მიღობით თაყვანისმცემელი დაატყვევა, ხანდაზმულ პოეტს აღფრთოვანებით აღსავსე გამოძახილი გამოაქვეყნებინა ბალებტ „ოტელოს“ ნახვის შემდეგ: „უტექსტო „ოტელო“ ვერ წარმომედგინა, მაგრამ ვ. ჭაბუკიანის სასახელოდ, რომელიც ამ სპექტაკლში მთავარი ძარღვი არის, უნდა ითქვას, რომ თავისი ბრწყინვალე ტექნიკით მან უშუკველად განგვაცდევინა ოტელოს სულიერი ტანჯვა... პირველი შემთხვევაა, რომ საყვარელი არსების მკვლეელი აღტაცებით მიიღო მაყურებელმა. ეს კი დიდი მსახიობის წარმატებაა“ (ტ. V, გვ. 412).

ქართული ხალხური ცეკვის სილამაზე და მომხიბვლელობა მსოფლიოს მრავალ ხალხს გააცნო საქართველოს სსრ ცეკვის დამსახურებულმა ანსამბლმა სსრკ სახალხო არტისტების ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლის წარმატებებს გულთბილად მიესალმა საქართველოს სახალხო პოეტი (ტ. V, გვ. 413).

არმან დიუვალის ხელმოწერით მან გამოაქვეყნა რეცენზიები თბილისის საოპერო თეატრის დადგმებზე: „აიდა“, „პიკის ქალი“, „ფაუსტი“, „დემონი“, „ლემე“, „კარმენი“, „წინასწარმეტყველი“, „რუსლან და ლუდმილა“, „ტოსკა“, „ტრაედატა“, „სევილიელი დალაქი“, „ევეგენი ონეგინი“, „სოფლის პატროსხება“, „ჯამბაზები“, „ბორის გოლუნოვი“ და „რიგოლეტო“³⁶. ცალკე წერილით გამოეხმაურა იგი მომღერალ მიგაის (ს. ი. მიგაი), 1888—1959, უსსრ და რსფსრ სახალხო არტისტი, ბარიტონი) საგასტროლო სპექტაკლებზე³⁷.

იმისათვის, რომ წარმოდგენა გვეჩინდეს, თუ როგორ აფასებს გრიშაშვილი ხელოვნების ისეთ რთულ დარგს, როგორც არის ოპერა, მრავალი გამოქვეყნებული რეცენზიიდან მოვიყვანთ ზოგიერთს: „ვერდის „აიდაში“ მელიოდიები ზღვასავითაა მოვარდნილი. ამ ოპერაში იმდენი გრძნობაა ჩაქსოვილი, რომ ხან გგონია ეს მუსიკალური კასკადი დაუსრულებელი ტკბილი ჰანგების ხმებიანო, მართლაც, გასაკვირია სწორედ ვერდის ნიჭი: აქ კომპოზიტორი ერთი და იმავე დროს იძლევა ცხარე მელიოდიების ეკზალტაციას და გასაკვირველ ტექნიკურ მიღწევებს. ამ ოპერით ვერდიმ მსოფლიო სახელი მოიპოვა, როგორც მელიოდისტის და დიდი კომპოზიტორის, რომლის ტექნიკური საშუალებანი და მუსიკალური ხერხი არ ჩამოუვარდება თვით რიხარდ ვაგნერის მუსიკალურ დრამებს, „აიდაც“ ისეთივე მხატვრული დრამაა, როგორც „ლეონორინი“ და „ტანგეიზერი“ და შეიძლება ამ ოპერებზედაც ზოგიერთი ღირსებით შალა იდგეს. ექვოტიურობა, კოლორიტი და სტილი „აიდაში“ წარმოდგენილია დიდ მხატვრულ ხარჩოებში. დიდებული ანსამბლები, მაგალითად, ვულკანის ტაძარში და მეორე მოქმედების მეორე სურათში. ეს ანსამბლები ამ ოპერას ხდის ერთ-ერთ უმშვენიერეს მუსიკალურ ნაწარმოებად მსოფლიო საოპერო ხელოვნებაში. ჩვენს საოპერო სცენაზე ეს ოპერა ყოველთვის კარგა მიდიოდა და დღესაც, სიმართლე უნდა ვსთქვათ, მშვენივრად სრულდება ახალი ძალების მიერ“. რეცენზიაში დადებითად შეფასებული მთავარი პარტების შემსრულებლების (სედაკო—აიდა, მოსინა—რადამესი, ქარცივაძე — ამონასრო, ტოვსტოლუქსკაია — ამნერისი, ისეკვი—რამფსია და ბლაგობრაზოვი—ფარაონი) სიმღერა და თანაში. „გუნდები „აიდაში“ კარგადაა დაქმნა მუშაობის და კარგად უმკლავდება ის „აიდას“ ძნელ ანსამბლებს.

³⁶ ქურნ. „ხელოვნების დროშა“, 1924, № 5, გვ. 17—19; ქურნ. „ხელოვნება“, 1925, № 3, გვ. 10—11; „ხელოვნების დროშა“, 1924, № 6, გვ. 15—17.

³⁷ ქურნ. „ხელოვნება“, 1925, № 13, გვ. 6.



ივ. ფალაშვილს ეტყობა ეს ოპერა უყვარს, რომ ასეთი ექსპრესიით შესძლებდნენ ვერადის პარტიტურის ამეტყველებას³⁸.

„მასკანის „სოფლის პატიოსნება“ თავისი ინტერმეცოთი წარმოადგენს ტიპიურ იტალიურ ოპერას... ის პატარა ოპერაა, მაგრამ აქაც მოსჩანს სამხრეთის ტემპერამენტი. არის მელოდირი ადგილები, კარგი ადგილები, ცხელი, ეკზალტიური. საერთოდ ოპერა მელოდრამატიულია და მომღერლებისაგან მოითხოვს ნერვების დაჭიმვას. სუსტია ტურიდუა—სტრუტოვ—ბარატოვი. სედენკო (სანტუცა), ვოლჩანეცკაია (ლოლო) და ქაშაკაშვილი (ალფიო) კარგი განმასახიერებელი არიან ამ პარტიებისა“³⁹.

1927 წლის 15 აპრილს რუსთაველის თეატრის დარბაზში წარმოდგენილი იყო უ. ჰაჯიბეკოვის „ლეილა და მეჯნუნი“. ამ ოპერაში მონაწილეობის მისაღებად ბაქოდან თბილისს ეწვივნენ სანახანუმა (ლეილა) და სარბსკი (მეჯნუნი). ოპერამ გრიშაშვილის მოწონება დაიმსახურა⁴⁰.

არც ოპერეტა დარჩენილა მისი ყურადღების გარეშე. 1922 წელს მცირე რეცეზხიაში გრიშაშვილმა შეაფასა კომპოზიტორ სიდნის ოპერეტა „გეიშა“ (ანუ „არაჩვეულებრივი შემთხვევა ერთ იაპონურ საჩაიეში“) თბილისის ოპერის თეატრის სოლისტების შესრულებით.⁴¹

ქართული სცენისმოყვარეთა პირველი ნაბიჯების ამსახველია გრიშაშვილის მოგონება-ნარკვევი „მე განაპირა უბნებში“. მასში მოთხრობილია მის მონაწილეობაზე თვითმოქმედი სცენისმოყვარეთა წრეების მიერ თბილისის გარეუბნებში (ხარფუხი, ორთაქალა, ძალის უბანი, ავლაბარი და სხვ.) გამართულ წარმოდგენებში.

საინტერესო წერილით გამოეხმაურა გრიშაშვილი სახალხო თეატრის 30 წლისთავის იუბილეს .

ახალ, რევოლუციურ საქართველოში, ჩასახულ და განვითარებულ რევოლუციური თეატრის (ხელმძღვანელი კობახიძე) მოკლე ისტორიულ მიმოხილვას გვთავაზობს გრიშაშვილი წერილში „რევოლუციური თეატრი საქართველოში“⁴².

რევოლუციური ეპოქის შესაფერი რეპერტუარის უქონლობაზე ესაუბრება მკითხველს გრიშაშვილი წერილში „ქართული დრამატურგია (გაკვირით)“: „არა აქვს ქართულ თეატრს თანამედროვე, რევოლუციონური ეპოქის შესაფერი რეპერტუარი. ცხადია, ამას თვით ჩვენი რეჟისორებიც აღნიშნავენ. ხშირად მსმენია რეჟისორ კ. მარჯანიშვილისაგან: „— რა ვქნათ, არ არის თანამედროვე ბიესები, დასწერეთ, მოიტანეთ და დაედგამთ“. ამ სიტყვების მოქმელის გულწრფელობაში ვერაფერს შეიტანს ეჭვს... მაშ, საჭირო ყოფილა ფიქრი ქართული დრამატურგიის შესახებ. საჭირო ყოფილა ცდა და ზომების მიღება თანამედროვე დრამატურგიის შექმნისათვის... მასალები არის, საჭიროა მათი დამუშავება. ეს უნდა ესმოდეთ ჩვენს დრამატურგებს... ვინ უნდა მიაქციოს ამ საკითხს მთავარი ყურადღება? რასაკვირველია, იმ ორგანომ, რომელიც განაგებს რესპუბლიკის მასშტაბით მხატვრულ ცხოვრებას. ეს არის მთავარი სახელოვნო

³⁸ „ხელოვნების დროშა“, 1924, № 5.

³⁹ იქვე.

⁴⁰ სო გ რ ი, თურქული ოპერა, „საბჭოთა ხელოვნება“, 1927, № 6 (ტ. V, 408).

⁴¹ უ ჯ ა ვ რ ე ლ ი, „გეიშა“, „ტრიბუნა“, 1922 წ., № 197.

⁴² ფ ი რ უ ხ ი, სახალხო თეატრი, „ჯეჯილი“, 1923, № 11—12. (ტ. V, გვ. 140).



საბჭო, რომელმაც უნდა ეცადოს გამოძებნოს საშუალებები თანამედროვე მატურგის შესაქმნელად⁴³.

ი. გრიშაშვილი ავტორია თეატრალურ მოღვაწეთა პორტრეტებისა და სილუეტებისა, სიყვარულით გამოთბარი მისასაღმებელი სიტყვებისა, მეტად საინტერესო მოგონებებისა თეატრის ამადარებზე.

პირველი პორტრეტი მან გამოაქვეყნა ვალერიან გუნიაზე, როგორც მისმა „ყოფილმა მოწაფემ და მისგან ნაამაგარმა“. იგი იძლევა ვ. გუნიას შემდეგ პორტრეტს: „ვალ. გუნია... მეტად იშვიათი და თავისებური კაცია... მტკიცე ხასიათის მქონე და შეურყეველი ნებისყოფის პატრონი. იგი უშიშრად და მოურიდებლად მიალაჯუნებს ცხოვრების გზაზე და აქეთ-იქით არ იხედება. ...არ უყვარს ბევრი ლაპარაკი და თუ ლაპარაკობს — მოკლედ, მკაფიოდ, ხმამაღლა... მეტად ტკბილი და ენაწყლიანი მოსაუბრეა... ბუნებით მეტად მგრძნობიერი და ბავშვურად გულწრფელი, უცხოთა ძალზე გულჩახვეულ და მიუკარებელ კაცად ეჩვენება... მაგრამ საკმარისია კაცი დააკვირდეს, გამოელაპარაკოს. გამოეხმაუროს და მამუშაოთვე გადაგეშლება მისი მოსიყვარულე გულის სინაზე და მარტივობა... „საქმე გარჯით და მუშაობით კეთდება!“ ხშირად იტყვის ხოლმე და, მართლაც, მე ჯერ მნახველი არა ვარ გუნიასებური მუშაობისა! მუშაობა თავდავიწყებამდე, ქანცის გამოლევაამდე... ბუნებით დიდი ესტეტიკოსი და გონებით მახვილი კრიტიკოსი, იგი მალე გრძნობს ხოლმე სხვის ღირსება-ნაკლოვანებას და ამიტომ არც საკვირველია, თუ იგი მწერლობისა, ხელოვნებისა თუ სასცენო დარგში სწრაფად მიაგნებს ხოლმე ნიჭიერ აღამიანს... აკაკი წერეთლის იუბილეს აზრი და ინიციატივა პირველად ვ. გუნიაზე აგრძნობინა საზოგადოებას... არავისთვის საიდუმლოს არ შეადგენს, თუ როგორი მამობრივი ზრუნვა-მფარველობით მიეგება იგი ნიჭიერ ახალგაზრდობის პირველ ნაბიჯებს... როგორც მწერალმა და დრამატურგმა ვ. გუნია მთელი ხანა შექმნა ჩვენს ცხოვრებაში. მისი პიესები, ნათარგმნი თუ გადმოკეთებულნი, აგერ 25—30 წელიწადია ქართული თეატრის განძს შეადგენენ... მისი პიესები ყოველთვის დროს შესაფერია, მიზანშეწონილი და ეროვნული ინტერესებით გაელენილი, უბრალო ვოდვეილებიც კი ყოველთვის დღიურ პირ-ვარამს ეხება... არ არის ჩვენში არც ერთი ჟურნალ-გაზეთი, რომელშიც ვ. გუნიას არ ეთანამშრომლოს. ჯერ ისევ ივანე მაჩაბლის „დროებაში“ და მერე ილია ჭავჭავაძის „ივერიამი“ იბეჭდებოდა მისი ფრიალ საინტერესო კრიტიკული წერილები, ხოლო მისი რეცენზიები, „ვალკიოას“ ფსევდონიმით და ბეჭდილი, თითქოს სადღეისოდ არიან დაწერილი, იმდენი ცოცხალი სიბრძნე და საქმის ცოდნაა შიგ გატარებული. ვ. გუნიას გამოცემანი ყოველთვის წმინდა ეროვნული, მეტად იდეურნი და გარკვეული მიმართულებისანი იყვნენ. ორჭოფობის სასტიკმა მტერმა და მოძულემ არავითარი კომპრომისი არ ეცოდა. ვინ იცის რით გათავდებოდა მისი ჟურნალისტობა, რომ მთავრობას სულ არ აეკრძალა მისთვის რედაქტორ-გამომცემლის უფლება... რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო ნათლად გამოჩნდება, გამოაშკარავდება თუ რაოდენი სამსახური გაუწია ვ. გუნია საზოგადოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას და ეროვნული ინტერესების სწორ შეგნებას ჩვენში“⁴⁴...

მეტად გულთბილი მოგონება — „მამულის სიყვარულით“ — მიუძღვნა ი. გრიშაშვილმა ვალერიან გუნიას 1963 წელს (იხ. ტ. V, გვ. 264).

⁴³ ს., ქართული დრამატურგიისათვის, „ხელოვნების დროში“, 1924, № 7.

⁴⁴ ვახ. „ზეირთი“, 1916, № 51, გვ. 1—2.



ასევე დიდი სიყვარულითაა დაწერილი მისი პორტრეტები კოტე ყიფიანზე, ვალერიან შალიკაშვილზე და ლადო მესხიშვილზე.

„კოტე ყიფიანი შვილი იყო „მეორე დიმიტრი თავდადებულისა“ — დიმიტრი ყიფიანისა...კოტეს პატარობიდანვე ეტყობოდა დიდი ნიჭი ენების შესწავლისა... შემდეგ მუსიკის, მხატვრობის... 1866 წელს დიმიტრემ კოტე პეტრობურგს წაიყვანა, სადაც სამხატვრო აკადემიაში მიაღებინა, მაგრამ გარე-ძობამ დაამტკიცა, რომ მასში იყო უფრო ძლიერი ნიჭი აღმნიანის სულის ხატვისა სცენაზე“... პორტრეტის ავტორის მიზანია მოკლედ და არსებითად გადმოსცეს კ. ყიფიანის დამსახურება როგორც მსახიობისა, ლექსიკოლოგისა (რომელსაც ვეკუთვნის „რუსულ-ქართულ-ლათინური საბოტანიკო ლექსიკონი“ და „რუსულ-ქართული აკადემიური ლექსიკონი“) და დრამატურგისა (ისტორიული პიესების: „ეკა გურული“, „ცოტნე დადიანი“, „ბედი ქართლისა“, „ორი მამა“, „ვახუშტი სპასალარი“ და სხვ. ავტორი) და მთარგმნელისა, რომლის ძიერ ხათარგმნი პიესების რაოდენობა 50 აღემატება⁴⁵.

ვალერიან შალიკაშვილის თეატრალური მოღვაწეობის პარალელურად ი. გრიშაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მის ლიტერატურულ დამსახურებაზე. 1904—5 წლებში „ივერიის“ თანამშრომლად ყოფნისას მას „ვალერიან გურულის“ ფსევდონიმით გამოუქვეყნებია მოთხრობები და ნოველები. როგორც გრიშაშვილი შენიშნავს, „მისი ბელეტრისტული ნიჭის ნამუქარი რომ შეიკრიბოს, ერთი მოზრდილი ტომი გამოვა“⁴⁶.

„ლადო მესხიშვილი ბუნებრივი ნიჭი იყო — პირდაპირი, უმეშვეო. ლადო ჩვენი ხელოვნების მღაღაროში „ქვიშიან ოქროს“ ჩამოგავდა, რომელიც გრძნობათა მდინარეში საკუთარი ინტუიციით ირეცხება...ლადო მესხიშვილის ზეადი სული ვერ იცხრილებოდა რეჟისორის ვიწრო საცერში, მისი ნიჭისათვის თეორიის მძიმე არტახები აბრეშუმის ნაზი ძაფი იყო...ლადო ჩვენი ეროვნული თავმოყვარობაა! და ალბათ, ამიტომ არის, რომ მას საქართველოს საზღვრებიდან ასე ადვილად ვერ ვისტუმრებდით...ლადო ერთადერთი ფენომენი იყო ჩვენს სცენაზე და ქართულ ხელოვნების ტაძარში ლადო მესხიშვილის ცარიელი სავარძელი მის აჩრდილს უკავია“⁴⁷.

„ქართული თეატრის გაზაფხული“ უწოდა მან კ. მარჯანიშვილს „იმიტომ კი არა, რომ იგი პირველად გაზაფხულზე ჩამოვიდა საქართველოში, არა! მას მოჰყვა საბჭოთა ქართული თეატრის გაზაფხული, ქართული თეატრის აყვავილება; ქართული თეატრის ვარდობის თვე. კ. მარჯანიშვილის წარმოდგენები — ეს სიცოცხლის დღესასწაული იყო, სიხარული და აღტაცება, ფერადი და მღერადი. კოტე — თეატრის რევოლუციონერი, დიდი ფანტაზიის ოსტატი!... მოულოდნელობა და განცვიფრება! — აი მისი შემოქმედების ძირითადი შეგრძნება... კოტე ახალი ფორმების დაუცხრომელი მამიებელი იყო. მისი მიზანსცენები ნოველებივით იწერებოდა“⁴⁸.

1924 წელს ქართველმა საზოგადოებამ დიდი მადლიერებით აღნიშნა სახალხო მსახიობის ნიკო გოცირიძის სასცენო მოღვაწეობის 30, ხოლო 1926 წელს დამსახურებული მსახიობი ქალის ელისაბედ ჩერქეზიშვილის — 40 წლისთავი.

⁴⁵ უკავრელი, კ. მესხი, „სოციალ-ფეფერალისტი“, 1921, № 43 (ტ. V, 210).

⁴⁶ გრიშაშვილის არქივი, 1—1776 (ტ. V, გვ. 210).

⁴⁷ ვახ. „ხომლი“, 1923, № 5. 1950 წელს მან ეკლავ ვაიხენა დიდ მსახიობთან თავისი შეხვედრები (ტ. V, გვ. 157—170).

⁴⁸ „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1924, № 10 (ტ. V, გვ. 171—176).



ორივე ამ ამაგდარის დამსახურებას მიუძღვნა ნარკვევები ი. ჯორჯაძის „ნიკო გოციონიძე“, ტფ., 1924; ტ. V, გვ. 189—209, და „ელისაბედ ჩერქეზი-შვილი“, ტფ., 1926)⁴⁹.

პორტრეტებში გრიშაშვილის მიზანია დაიჭიროს, მოხაზოს უმთავრესი შტრიხი იმ მოღვაწისა, რომელზედაც იგი გვესაუბრება.

პატარა სილუეტებში ჩამოქრწა ი. გრიშაშვილმა სახალხო მსახიობების— ხინო ჩხეიძის („სახალხო საქმე“, 1919, №711; ტ. V, გვ. 279), ვასო აბაშიძის („ტრიბუნა“, 1922, №12), შალვა დადიანის (გაზ. „ლომისი, 1923, №23; ტ. V, გვ. 277) და მანონ კორინთელის („ხელოვნება“, 1925, №22, გვ. 12) აქტიური და რეჟისორული ღვაწლი.

ძველმა სცენისმოყვარემ საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით მეგობრული მისასალმებელი სიტყვებით (მეტად საინტერესო მოგონებებით) მიმართა სახალხო სცენის ერთ-ერთ დამაარსებელს გიორგი ჯაბაურს, სახალხო სცენის მსახიობებს: სონა ვოვაშვილს, გიორგი ფირუშიანს, მარო მღვიანს, ვიქტორ მატარაძეს, მსახიობ ალექსანდრა კორინთელს, საქართველოს სახალხო არტისტს პაულე ფრანგიშვილს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტებს ვერიკო ანჯაფარიძეს და სანდრო ინაშვილს, ქართული ხალხური სიმღერების ცნობილ შემსრულებელს, სახალხო არტისტს მარო თარხნიშვილს (იხ. ტ. V, გვ. 219, 304, 224, 227, 292, 301, 306, 212, 295, 303).

1923 წელს, ახალი თეატრალური სეზონის მოახლოვებასთან დაკავშირებით, გაზეთმა „ხომლმა“ (№ 1) გამოაქვეყნა იოსებ გრიშაშვილის ვრცელი ინტერვიუ ქართველ რეჟისორებთან (კ. მარჯანიშვილი, მ. ქორელი, აკ. ფაღავა, ალ. ახმეტელი, კ. ანდრონიკაშვილი). ქართველი საზოგადოება, რომელიც დიდად იყო დაინტერესებული ჩვენი თეატრის გამარჯვებით, მისი მომავლით, ამ ინტერვიუთი გაეცნო ქართული თეატრის მესვეურების მიზნებსა და სურვილებს 1923/24 წლების თეატრალური სეზონისათვის.

იოსებ გრიშაშვილმა ქართული თეატრის ისტორიოგრაფიაში თავისი დიდი ღვაწლი იმითაც უკვდავყო, რომ მან შთამომავლობას დაუტოვა ფრიად სოლიდური გამოკვლევები, როგორცაა: „ავქსენტი ცაგარელი“ (1936), „ილია და ქართული თეატრი“ (1937), „ალექსანდრე ყაზბეგი როგორც მსახიობი“ (1944), „ივანე მაჩაბელი და ქართული შექსპირიანა“ (1948), „ქართული ესტრადის მოკლე მიმოხილვა“ (1948), მათში პირველწყაროებზე დაყრდნობით სამსჯავრობეა გამოტანილი ჩვენი ეროვნული თეატრალური ცხოვრების მრავალი საინტერესო საკითხი. საკვლევი მასალის ზედმიწევნით ცოდნამ, ფართო ერუდიციამ ამ ნაშრომების ავტორს საყოველთაო აღიარება მოუპოვა.

იოსებ გრიშაშვილი და თეატრი დიდი თემაა და, იმედია, მომავალში მას არაერთი მკვლევარი შეეხება.

⁴⁹ 1953 წელს გრიშაშვილმა ძველი პლედის ამ დიდებულ წარმომადგენელს მშვენიერი მოსკონარი უძღვნა (ტ. V, გვ. 177—188).

И. П. ЛОРДКИПАНИДЗЕ

ИОСИФ ГРИШАШВИЛИ И ТЕАТР

Резюме

В жизни И. Гришашвили театр сыграл важную роль. «Грузинский театр, — вспоминал он, — если можно так выразиться, был очагом моего развития... театр для меня был настоящим университетом». В феврале 1907 г. по приглашению В. Гуния он начал работать суфлером грузинского театра, где проработал вплоть до февраля 1913 г.

Благодаря своим театральным письмам, статьям и монографическим очеркам, И. Гришашвили стал одним из лучших исследователей родного театра. Он оставил большое наследие (насыщенные информацией статьи, публиковавшиеся в периодической прессе с 1910 года, рецензии на новые театральные постановки, портреты выдающихся деятелей грузинской сцены, монографические исследования: «А. Цагарели» (1936 г.), «И. Чавчавадзе и грузинский театр» (1937 г.), «Ал. Казбегі как артист» (1944 г.), «И. Мачабели и грузинская шекспирiana» (1948 г.).

В работе уделяется внимание еще мало изученному материалу: впервые рассматриваются письма И. Гришашвили информационного характера, рецензии на постановки грузинского театра («Родина», «Измена», «Иные нынче времена», «Кто виноват?», «Затмение солнца в Грузии», «Саломе», «Мачеха Саманишвили», «Гость и хозяин», «Американский дядя» и др.).

В конце 10-х — начале 20-х годов он опубликовал множество рецензий на постановки тбилисского театра оперы и балета под псевдонимом Арман Дюваль («Аида», «Пиковая дама», «Фауст», «Лакме», «Кармен», «Пророк», «Руслан и Людмила», «Тоска», «Травиата», «Севильский цирюльник», «Евгений Онегин», «Сельская честь», «Паяцы», «Борис Годунов» и «Риголетто»).

И. Гришашвили был одним из первых популяризаторов грузинской национальной оперы и вокального искусства. Заслуживают внимания его статьи и рецензии на оперы З. Палиашвили («Абесалом и Этери», «Данси»), Д. Аракишвили («Сказание о Руставели»), В. Долдзе («Кето и Котэ»), Р. Гогниашвили («Кристине») и о балетном искусстве, в частности, о развитии национального балета. И. Гришашвили был глубоким знатоком сцены, сторонником высокой культуры сценической речи и художественного воплощения режиссерского замысла.

В работе охарактеризованы театральные портреты И. Гришашвили (В. Гуния, Л. Месхишвили, В. Абашидзе, Н. Чхеидзе, Ш. Дадiani и др.). Установлены его многочисленные псевдонимы.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის საბჭოთა ლიტერატურის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

მ ა ნ ა ნ ა ტ ა შ ე მ ლ ა შ ვ ი ლ ი

თ ა ნ ა მ ე დ რ ო მ ი ო გ ის ა ს ა ხ ზ ის ს პ ე ც ი ფ ი კ ა „ გ ლ ა ხ ის ნ ა ა მ ბ ო ბ ი“

„გლახის ნაამბობს“ ი. ჭავჭავაძე პირშშოს უწოდებდა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თავის შემოქმედებაში. ამ მოთხრობის პირველი ვარიანტი ეკუთვნის სტუდენტობის პერიოდს, 1859 წელს, მაგრამ ავტორის მიერ რამდენჯერმე იქნა გადამუშავებული. 1863 წელს, როცა ილიამ მისი „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდვა განიზრახა, ეს ნაწარმოები სიუჟეტურ-კომპოზიციურად ისე გადაახალისა, რომ ხელმეორედ დაწერას უდრიდა.

„საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი არსებითად ამ მოთხრობით იხსნება. იგი გამოქვეყნდა მ. ჯიმშერიძის ფსევდონიმით. სათაურს ქვემოთ მითითებულია: „პირველი ხუთი თავი ჯერ არ დაბოლოებული მოთხრობისა“. მაგრამ პირველი ვარიანტი, რომ რამდენიმე წლით ადრე ჰქონდა ავტორს დაწერილი, ამას, სხვათა შორის, ადასტურებს ილიას ბიოგრაფის გრ. ყიფშიძის ცნობაც: „ჩაფიქრებულია ახალგაზრდობაში, როცა ილია ჯერ ისევ რუსეთში იყო და სწავლობდა“.

როგორც ჩანს, ეურნალის გამოცემის პერიოდში მწერალმა მეორე ვარიანტის დასრულება ვერ მოასწრო. უთუოდ, არც იმის იმედი ჰქონდა, რომ ცენზურა მომდევნო ნაწილების გამოქვეყნების ნებას დართავდა. 1863 წელს დაიბეჭდა პირველი ხუთი თავი.

ილიას მოწინააღმდეგეები ცდილობდნენ საქმე ისე წარმოედგინათ, თითქოს დაუმთავრებლობის გამო ამ მოთხრობამ ჯეროვანი როლი ვერ შეასრულა ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. ეს თვალსაზრისი ჰემშარიტებას არ გამოხატავს; ჯერ ერთი იმიტომ, რომ ანტიბატონყმური სული-სკვეთება გამოსჰვივის პირველივე თავებიდან; ამასთან ამ ნაწარმოებს ორგანული კავშირი აქვს ეურნალში მთლიანად გამოქვეყნებულ „კაცია ადამიანთან?!“ და „კაკო ყაჩაღთან“; ისიც გავიხსენოთ, რომ მაშინდელ საცენზურო პირობებში მხატვრული ნაწარმოების დაუსრულებლობა იდეური ზემოქმედების გაძლიერების ხერხი იყო. „სოვერემენიკი“, მაგალითად, ხშირად ბეჭდავდა ნაწარმოებებს ხელოვნურად გამოტოვებული თავებით. „გლახის ნაამბობმა“ მკითხველზე ამ სახითაც რომ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ამის საბუთად საკმარისია გავიხსენოთ ა. წერეთლის 1864 წლის წერილი „რამოდენიმე სიტყვა ჩონგურს...“: „ჩემის აზრით, მისი (ი. ჭავჭავაძის. — მ. ტ.) „კაცია ადამიანი?!“ და „გლახის ნაამბობი“ ობოლ მარგალიტებად რჩებიან ჩვენს ლიტერატურაში“.

1872 წელს ეურნალ „კრებულის“ რედაქციის თხოვნით ილია გატაცებით შეუდგა „გლახის ნაამბობის“ მომდევნო თავებზე მუშაობას და მალე წარმატებით დაასრულა ის. თუ რამდენად პოპულარული იყო ეს მოთხრობა, იქიდანაც ჩანს, რომ 1873 წ. „კრებულის“ რედაქციამ იგი ამონაბეჭდის სახით ცალკე წიგნად გამოუშვა, ხოლო 1879 წელს ხელმეორედ გამოვიდა.

„გლახის ნაამბობი“ კომპოზიციურად ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ I—VI თავებში წარმოდგენილია წამყვანი გმირის სულიერი მომწიფების, იდე-

ური ჩამოყალიბების სურათი. ამ ნაწილში სიუჟეტის განვითარებაზე უფრო საყურადღებოა მოძღვრის მოსაზრებანი, რომლებიც ახალ ნაკადად იჭრება გმირის სულიერ ჩამოყალიბებაში.

მეორე ნაწილში გაშლილია სიუჟეტის ძირითადი მიმართულებანი. VII—XII თავები, ასე ვთქვათ, მოთხრობის თეორიული ნაწილის I—VI-ის მხატვრული ხორცშესხმაა. ორივე ნაწილს, მამასადამე მთლიანად ნაწარმოებს, ერთი იდეა ამოძრავებს — სოციალური უთანასწორობის გარდუვალი მოსპობის იდეა. ყველა დანარჩენი საკითხი ამ პრობლემასთან არის დაკავშირებული.

„გლახის ნაამბობი“ ქართველი გლეხი კაცის ისტორიაა. იგი გამოირჩევა მემუარული სიმართლით და უშუალობით, რადგან გლეხკაცის ცხოვრება მასში განცდილი და დანახულია ყმაგლეხის თვალთ. გაბრიელი თვითონ გვიყვება თავის მიმეტი თავგადასავალს; მწერალი თითქმის არ ჩანს, ცდილობს ყველაფერი დაინახოს და შეაფასოს დაჩაგრული გლეხის თვალთ.

ნაწარმოები დაწერილია საგლეხო რეფორმის წინ, ამ რეფორმისათვის მხარდასაჭერად, მისი წარმატების რწმენით, იმის იმედით, რომ რეფორმა ბედნიერებას მოუტანს სოფლის მშრომელ მოსახლეობას. ხელს შეუწყობს ქვეყნის საერთო აღორძინებას. მოთხრობაში ჰირდაპირ არის ნათქვამი: „ღმერთო! მოსავალი მოდის და გულმართლად მოამკევინე ყოველ მუშაკსა“.

„გლახის ნაამბობში“ მწერალმა დიდი რეალისტური სიმართლით გადავეიშა ბატონყმური წყობილების სიმკაცრე და დრომოჭმულობა საქართველოში, როგორც „კაცია ადამიანი?!“ და „კაკო ყაჩაღი“. „გლახის ნაამბობი“ პოლემიკური ხასიათის ნაწარმოებია, პასუხია იმ პირთადმი, რომლებიც 50-იან 60-იან წლებში ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, თითქოს, ბატონყმურ წყობილებას საქართველოში მამაშვილური ხასიათი ჰქონოდა. მწერალი ცხოვრების სურათების გადმოცემით არ კმაყოფილდება. სოციალური სინამდვილის არსს გვიხსნის აგრეთვე ფსიქოლოგიური ანალიზით. მახელი მინიშნებებით. გლეხკაცათვის ბატონყმობის სიმძიმე ერთ მცირე ნიუანსშიც კი მთელი თავისი სიცხადით არის გამოვლინებული. მოძღვრის კითხვაზე გაბრიელი მიუგებს: „ყმა ვახლავარ. ნღვდელმა უგემურად გაიჭნია თავი, თითქო შეწუხდა“.

— რაც უნდა იყოს, მე და შენ კაცები ვართ, ღვთის შვილები“.

მაგრამ ი. ჭავჭავაძე ასეთი ემოციური დეგრესიებით როდი კმაყოფილდება; იგი უშუალო სურათებში წარმოგვისახავს მამინდელი სოციალური სინამდვილის არსს, ეხება ყმაგლეხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს, მისი დამცირებისა და ღვენიის გამოხატულებებს სხვადასხვა სფეროში. ჩვენ წინაშეა ცხოვრების მცოდნე, ხალხის გაჭირვებით გულმოკლული და მის ბედნიერებაზე მეოცნებე შემოქმედი. იგი მთავარ მოქმედ გმირს ისეთ ტკივილებზე ალაპარაკებს, რომლებიც კონდენსირებულად გადმოსცემენ სოციალური ცხოვრების არსებით ნიშნებს, ან ისეთ ამონაკვესს, იმდაგვარ განმაზოგადებელ სიტყვას წარმოათქმევიანებს, რომ მთელი უბედურების მიზეზი ნათელი ხდება. ზოგჯერ თითქოს აზრი დამთავრებული კი არ არის, მაგრამ ეს დაუმთავრებლობა კიდევ უფრო ინტენსიურს ხდის სათქმელს.

„გლახის ნაამბობში“ განუყოფლადაა წარმოდგენილი მშრომელი კაცის როგორც ფიზიკური, ისე სულიერი ტანჯვა. ეს მნიშვნელოვანი სიახლე იყო. ეს იყო პასუხი მათ მიმართ, ვინც ყმაგლეხს ადამიანად არ თვლიდა. მის ტანჯვას ცხოველის ტანჯვასთან აიგივებდა.

ი. ჭავჭავაძემ ამ მოთხრობაშიც წარმოაჩინა ის სიმახინჯეები, სოციალური

უკუღმართობანი, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ზნეობის ელემენტარულ მოთხოვნებს, თვით ქრისტიანული სარწმუნოების ნორმებს, რყენიდა საზოგადოებას, აბრკოლებდა მის ზნეობრივ ამაღლებას: „ბატონი რომ სადილიდან ჩამორჩომილ ნესვის ქერქს მომივდებდა, მაშინვე მუხლზედ საკოცნელად კინწვისკერით წამაბარბაცებდნენ, ამან კი ობოლს, ოხერს, ძმობა დამიპირა, ყმასთანა, რომელსაც, როცა კი ბატონი მოიწადინებს, ქოფაც ძალზედაც გასცეკვის. მოდი ნუ მოიდრეკ იმის წინ მუხლსა“.

პიროვნების დამამცირებელი ეპიზოდებით, რომლებიც ფიზიკურ და სულიერ დაკნინებას ერთდროულად გამოხატავენ, თავიდან ბოლომდე სავსეა ეს ნაწარმოები. „მე ვიშვლივმე ქუდი და როგორც სალდათი უფროსის ისე გამოვეციმე“; „წელში ვერ გავსწორებულვართ, პირუტყვისავით მალლა ვერ აგვიხედნია, სულ დედამიწას დავყურებთ, თითქო ჩვენი ბედი იქ დაკარგულა და ვეძებთო, ვინ ჩვენ და ვინ წიგნი!...“

მწერალი შესაბამის სოციალურ ფუნქციას აკისრებს პეიზაჟს, ყოფით სურათს, ეთნოგრაფიულ დეტალს. ასეთი ადგილები ხელს უწყობენ საზოგადოების კლასობრივი უთანასწორობის მეტი ინტენსივობით წარმოდგენას. „თუ იქნებოდა, ისიც ხანდისხან ზურგწამხდარი, გამჭლევებული გლეხკაცის ცხენი, რომელიც უილაჯობით შორს ვერ წასულიყო“. „ის სამძელი იყო აყრილის კაცისა, ან ამოწყვეტილისა, თავმინებებული და პატრონსავით დავიწყებული“.

მკვლევრები, სრულიად სამართლიანად, ყურადღებას ამახვილებენ პეპიას მხატვრულ სახეზე, რადგან მასში ყველაზე კონცენტრირებულად არის გამოქანდაკებული ქართველი ყმაგლეხის სოციალური მდგომარეობა, ბუნება და ბედობალი.

პროფ. მის. ზანდუყელი კომპლექსური ანალიზის საფუძველზე დაასკვნის: „ყმის აუტანელი, დამცირებული, შეგინებული მდგომარეობა რომ უფრო მწვავედ შეაგნებინოს მკითხველს, ი. ჭავჭავაძე, აღწერს რა პეპიას უფლებაყრილ მდგომარეობას, ამით ცდილობს გააგებინოს მკითხველს, რომ პეპიას მდგომარეობა ტიპიურია. ამიტომ ბოლშაარეულ ვაბროს მწერალი ასე წარმოათქმევინებს: „ღმერთო! რამდენი ამისთანა ცრემლი იღვრება ამ შენგან გაჩენილ დედამიწის ზურგზედ, მაგრამ სიავე ადამიანისა აქამდის არ ჩაირეცხა“. და ეს აღშფოთება, რა თქმა უნდა, თვით ავტორისაა, რომელიც მოხდენილად, დროზე იჭრება სიუჟეტის განვითარებაში, მიმზიდველად აესებს მას ისე, რომ არამცთუ ტვირთავს მას, არამედ ექსპარსიასაც ანიჭებს“¹.

საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს ამ საკითხის გარშემო მკვლევარი გ. ზაუტაშვილი. მისი აზრით, პეპია მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოთხრობის სიუჟეტის განვითარებაში; მიაჩნია, რომ ეს სახე უფრო რელიეფურადაა ნაჩვენები, ვიდრე დავითი, რასაც შემდეგი არგუმენტებით ასაბუთებს: „დავითის სახის ჩვენება მეტ ფერებს არ მოითხოვს: საკმარისია იმისი მითითება, რომ იგი ბატონია, ნამუსდაკარგული და რომ თამრო მოეწონა“. პეპიას სახის ხატვის დროს საჭირო იყო მწერალს ეჩვენებინა ამ გლეხის უნდობლობა როგორც დავითის, ისე ვაბროსადმი, რათა ამით ხაზი გაესვა ადამიანთა ურთიერთობის უკუღმართობისათვის, შემდეგ, არა მითითება ამ ურთიერთობის თავისებურებაზე, არამედ წარმოსახვა, ჩვენება, და ბოლოს აუცილებელი იყო ყველა იმ

¹ მის. ზანდუყელი. ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა, თბილისი, 1968, გვ. 159.

მდგომარეობის ჩვენება, რომლებშიც იყო იგი საციმბიროდ გამგზავრების შემდეგ“.

პეპიას ყველა სხვა პერსონაზე მეტი ყურადღება ექცევა. მასში შენიშნულია როგორც მხატვრული ინდივიდუალიზების, ისე ტიპიზაციის პრინციპული თვისებები. პეპიას სახეში გამოხატულია ფართო გლახური მასების მებატონეებისადმი უნდობლობისა და პროტესტის განწყობილებანი. პეპია ზიზლისა და ეჭვის თვლით უყურებს გაბროს, როგორც მებატონის კაცს: „შენის ბატონის ბატონს რა საქმე უნდა გქონდეს, თუ არ სულის წასაწყემენდი“.

მწერლის სიმპათია მთლიანად ყმაგლეხობის მხარეზეა. იგი სამართლიანობის, თანასწორობის პათოსითაა გამსჭვალული. საერთო სულისკვეთებასთან ერთად ამას ადასტურებს ცალკეული გამონათქვამებიც: „გაბრიელი, მართალია, ღარიბი ბიჭია, მაგრამ გლეხკაცი ღარიბობით არ დაიწუნება“; „შეჩვეული ჭირი ურჩევნია მაგისტანა თავხედს კაცსა შეუჩვევარ ღვინსა“.

გლახის ცხოვრება ტიპურია არა მარტო როგორც ყმაგლეხისა, არამედ როგორც მათხოვრისაც, რაც იმ დროისათვის სოფლის მოსახლეობის გაჩინაგების შედეგად ფართო ხასიათს იღებდა. 50-იანი წლების პოეზიასა და პროზაში ეს თემა მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. ამის გამოხატულია ი. ჭავჭავაძის „მუშა“. აქ ილიამ გააღრმავა ეს სიუჟეტური მოტივი, გადმოგვიშალა მისი მანაზრდობეული სოციალური მიზეზები და წარმოგვიდგინა ცოცხალ-მხატვრულ სახეებში (გაბრო და თამრო). მათხოვრობის სოციალურ საფუძვლად მიჩნეულია ბატონყმური წყობილება. ეს კიდევ უფრო მეტად აღრმავებს ამ სახეთა ტიპობას: „ავდეგ და აქეთ წამოვედი. გზაზედ, რაც ტანისამოსი მქონდა, ამ რუსის ფარაჯაზედ ვავცვალე და ერთი თუმანიც სართი ავიღე. ორ-თვენახევარი ამით ვირჩინე თავი. აქ რომ მოვედი, სიარული ვეღარ შევიძელე, იმიტომ რომ ფეხები დამიწყლულდა, დამიჩირქდა და დამისკდა. აი, ხომ ჰხედავთ, ბოლოს მატლიც დამეხვია. ამ საბძელამდინ, როგორც იყო, მოვაღწეე და ამ ჩარდახტევეშ შევაფარე თავი. გზის პირია, ხალხის ფეხი აქ არ მოსწყდებდა და თითო-ოროლა კეთილი კაცი ხან პურს მაწვდის ხოლმე და ხან წყალს“.

ამავე დროს „გლახის ნამბობს“ აკლია ის გამახვილებული რეალისტური დეტალიზაცია, რომლითაც „კაცია ადამიანი?!“ გამოირჩევა. კლასობრივი ანტიგონიზმისა და სოციალური ბრძოლის უშუალო სიმწვავით ამ მოთხრობას ერთი მხრივ ბადალი არ მოეძებნება მწერლობაში, მაგრამ ამავე დროს, ეს სიმწვავე ერთგვარად შერბილებულია აბსტრაქტული ჰუმანიზმის (შესაძლოა „ქრისტიანული ჰუმანიზმის“), დამოძღვრის, „სოციალური დიდაქტიკის სულისკვეთებით“. ეს ტენდენცია გამოხატულია არა მარტო მოძღვრის სახეში, მოძღვრის ხასიათში, არამედ საერთოდ ნაწარმოების მთლიან გააზრებაში, სახეების განლაგებასა და ლირიკულ ინტონაციაში. გავისხენოთ პასაჟი მღვდლისა და გაბროს დიალოგიდან: — ეენაცვალე შენს დამწერსა! აი, ბატონყმობა თუ იყოს — ამისთანა

— მოგწონს? — მკითხა მღვდელმა

— აბა რა?

— მართალი ხარო, — მიბრძანა იმან ნაღვლიანად, — უარესს ევა სჯობია“.

ეს ტენდენცია ლიტერატურულ კრიტიკას შეუმჩნეველი არ დარჩენია. ამის თაობაზე „კრებულში“ მოთხრობის დაბეჭდვისთანავე გამოითქვა საყურადღებო მოსაზრებანი (ა. ცაგარელი, ნ. ნიკოლაძე და სხვ.). მას შემდეგ პოლემიკა აღარ შეწყვეტილა და იგი დღემდე გრძელდება. აქ მივუთითებთ, რომ კიტა აბა-



შიძისათვის ეს მოვლენა წარმოადგენდა „რომანტიულ ელემენტებს“ სტურ ნაწარმოებში. „ავტორი სწორად ჩაურევს ხოლმე თავის ფიქრსა და გრძნობას... თვით მისი მოძღვარე და ვაბრო უფრო პოეტის აზრისა და სურვილის გამოხატველი სიმბოლოა, ვინემ ცოცხალი ტიპი ჩვენი ცხოვრებიდან ამოღებული, ვაბრო უფრო უმაღლეს სასწავლებლიდან გამოსულ ახალგაზრდასა ჰკავს, მეტიმეტი ფაქიზი ნერვებისა და გრძნობების მქონეს, ვიდრე იმ დროის გაუთლელ მოუხეშავსა და ცხოვრებისაგან დაბეჩავებულ გლეხის შვილს“².

მთლიანი კონცეფცია მაინც სოციალური სინამდვილის ობიექტური ანალიზიდან გამომდინარეობს. პროლოგისა და ეპილოგის შეხშიანება რამაც იმთავითვე მიიპყრო კრიტიკოსებისა და მკვლევართა ყურადღება, სწორედ ამ შეხშიანებაზეა აღმოცენებული. ავტორის რეპლიკას მოთხრობის დასაწყისში მონადირისაგან მოკლულ ირემზე („ისიც კარგია, ჩემო პარტუტეო, რომ იქა კვდები, სადაც დაიბადე“) ეპილოგში ორგანულად ეხმიანება ვაბრიელის ცხოვრების უკანასკნელი ეპიზოდები. ვინეირი, შრომისმოყვარე, პატიოსანი ყმა გლეხი ნობლიური კუთხიდან სადღაც შორს მიუსაფარი კვდება. ამ ადამიანის ბედი პირუტყვთან შედარებითაც კი საზარელია.

„გლახის ნამბობს“ რამდენიმე პარალელური ხაზი და მოტივი აქვს, პრობლემა სხვადასხვა მხრიდანაა მოსინჯული და შეფასებული, მაგრამ ნაწარმოების ძარღვი სოციალური უკულმართობის მხილებაა. ყველა კომპონენტი, სახეები მიზნად ისახავს ბატონყმური წყობილების დრომოკმელობასა და უსამართლობის წარმოდგენას.

მართალია, დათიკო იშვიათ თანაგრძნობას იჩენს ყმა ვაბროსადმი, მაგრამ ეს ვრძელდება მანამ, სანამ ვარდაცვლილი მამის „ტახტზე“ აბრძანებოდეს და სრულ ძალაუფლებას იგრძნობდეს. როგორც კი საყვარელი ყმა მის წუთიერ სურვილს წინ აღუდგება, იოლად გასწირავს მას. თითქოს იგი, როგორც პიროვნება არცთუ ისე მოუთმენელია, მაგრამ მისი სოციალური მდგომარეობის ადამიანი არ შეიძლება კეთილი და პატიოსანი იყოს. მისი ბოროტება სოციალური ბოროტებაა. ის საძაველი და მიუღებელია, როგორც თავისი სოციალური წრის წარმომადგენელი. ვერც კი გრძნობს, რომ ბოროტებას სჩადის. სინდისის ქენჯნას მაშინაც კი არ განიცდის, როცა ვაბრო თავის უნამუსობას წააქლავს; თითქოს სიმართლეს შეეწირო, საზიზღარი და შესაჩვენებელია თვით სოციალური სისტემა, ანტიმორალის საფუძველი. ბატონყმობა განასახიერებს თვითნებობასა და უთანასწორობას.

პროფ. შ. რადიანი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „გლახის ნამბობი“ გამსჭვალულია ბატონყმური ურთიერთობის მძაფრი მხილებით. ი. ჭავჭავაძე არ აღამაზებს, არ ჩქმალავს მჩაგვრელთა და ჩაგრულთა ინტერესების შეუთანხმებლობასა³.

იყო დრო, „გლახის ნამბობი“ ზოგიერთ ლიტერატორს არ მიაჩნდა გამახვილებული სოციალური მხილების ნაწარმოებად. ამასთან დაკავშირებით, პროფ. ვ. კოტეტიშვილი პოლემიკური სიტყვებით ამბობდა: „ზოგიერთები ამტკიცებენ, ამ მოთხრობაში ბატონყმობის წინააღმდეგ კი არ არის ვალა-

² კიტა აბაშიძე, ვტიულები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, თბილისი, 1970, გვ. 267.

³ შ. რადიანი, მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა, თბილისი, 1967, გვ. 146.

შქრება, აქ მომრიგებელი მოსამართლის სილუეტი დგას, რომ ყმები და ბატონები შეარიგოს. იბრძვიან შეყვარებული გაბრო და დათიკო და მათი წოდებრივი სხვადასხვაობა არაფერსა ნიშნავს. ეს ისეთი აბსურდია, რომ სერიოზული კრიტიკის მოცდენა არ ღირს, მარტო „შეყვარებაზე“ რომ იყვეს საუბარი, განა საჭირო იქნებოდა მეტოქეებად ბატონისა და ყმის გამოყვანა? ან რა საჭირო იყო პეპიას წყევლის სიტყვები, რომელსაც იგი ბატონს უგზავნის, ან რად უნდოდა გლეხკაცს ბედის კრულვა და თვით ღმერთის უარყოფაც? — „ჩვენსკენ არც ღმერთი ყოფილაო“ და „ქვეყანა თქვენკენ არისო“. ვინ არის ეს „ჩვენი“, „თქვენი“ ამაზე პასუხის მიცემა შეუძლებელია, თუ ისე არ შევხედოთ საკითხს, როგორც უკვე მოვიხსენიეთ⁴.

რა თვალსაზრისითაც არ უნდა შევხედოთ, სრულიად აშკარად ჩანს, რომ მოთხრობაში წარმოსახული მთელი ტრაგედია ბატონყმური უსამართლობითაა გამოწვეული. მწერალი არ კმაყოფილდება მხატვრული განზოგადებითა და აღირიკული ჩარევით; იგი პუბლიცისტურ შეფასებას აძლევს შექმნილ სიტუაციებს: „ჩვენ თითონ სულღერთა მეუფენი... ერთი ერთმანეთს არ ვუთმობთ“. „... ის თამრო აღარ ვარ... მე ახლა ავლამბრის უნამუსო ვარ, შემობრალე და დამიტირე მე ბედშავი“.

მოთხრობაში „კაკო“ მთავარი გმირი კოლა, რომელიც „გლახის ნამბობის“ დათიკოს წინამორბედი, სასტიკად ეპყრობა მოურავს და ყმებს.

„გლახის ნამბობში“ მწერალი ყურადღებას ამახვილებს სოციალურ მხარეზე. ა. კენჭოშვილის სიტყვით მწერალი დათიკოს ხასიათის მხოლოდ ერთ მხარეს აქცევს ყურადღებას: ზნეობრივ გადაგვარებას, რომელიც ყმებისადმი თავაშვებულ დამოკიდებულებაში გამოიხატა. იგი ფეოდალიზმის ტიპური ნაშეირია, ლუარსაბისაგან განსხვავებით გააღვრებით იცავს თავის უფლებებს და სიცოცხლეს სწირავს მას.

დათიკოს დანაშაული სოციალური ცხოვრების უკუღმართობიდან გამომდინარეობს, აღამიანთა თანასწორუფლებიანობა, კლასობრივი პრივილეგიისა და მასზე დამყარებული აღზრდის ნაყოფია. მწერალმა რთულ, ფსიქოლოგიურ ხასიათში გამოავლინა პიროვნებისა და გარემო წრის მიმართების ეს თავისებურებანი. გაბრიელი მიმტეველურად გვიხსნიათებს დათიკოს დანაშაულის უმთავრეს მიზეზს. ეს შეიძლება არა სოციალურ, არამედ ფიზიოლოგიურ პათოლოგიადაც გავიგოთ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც პათოლოგია წოდებრივი პრივილეგიიდან, მასზე აღმოცენებული აღზრდიდან, კანონის წინაშე არათანასწორუფლებიანობიდან მომდინარეობს. დათიკოს კანონის არ ეშინია, კანონი მას იცავს. მკვლევარი გ. ზაურტაშვილი არგუმენტირებულად დაასკვნის, რომ „ზაქროს ბატონი ბატონის უფლებებს სხვა მიმართულებებში ავლენს, ლუარსაბის სხვა მიმართულებებში დათიკო სხვა უფლებას იყენებს“⁵.

„გლახის ნამბობში“ ი. ჭავჭავაძემ პირველად დასვა და ღრმად გააანალიზა როგორც პუბლიცისტური, ისე მხატვრული საშუალებებით წოდებათა შორის „ხიდჩატეხილობის“ პრობლემა, რომელიც ორი ათეული წლის შემდეგ მთელი სისრულით, კლასიკური სრულყოფით გამოისახა „ოთარაანთ ქვრივში“.

⁴ ვ. კოტეტიშვილი, რჩული ნაწერები, წიგნი პირველი, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX), თბილისი, 1959, გვ. 320.

⁵ გ. ზაურტაშვილი, ილია ჭავჭავაძის მხატვრული სტილის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1969, გვ. 44.



„ხილჩატეხილობა“ ი. ჭავჭავაძის პროზასა და პუბლიცისტიკაში ფართო სოციალური დატვირთვის გამოხატველი ცნებაა და იმ დროს მძაფრი საზოგადოებრივი უღერადობა ჰქონდა არა როგორც წოდებათა შორის მორიგების თვალსაზრისით, არამედ კლასობრივი შეურიგებლობით, ანტაგონიზმით. ავტორი მოქმედებს ისე წარმართავს, რომ უსამართლობით გაქვლილ პერსონაჟთა ცნობიერებაში „ხილჩატეხილობას“ აღმოჩენითი ხასიათი აქვს. გაბროს კლასობრივ გამოფხიზლებას გამოხატავს მისი აღსარება: „მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომ ბატონსა და ყმას შორის სიყვარულის ხიდი არ გაიღება? ეგრე ყოფილა ქვეყანა-ზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!... ეს რომ მცოდნოდა, ღმერთსა ვფიცავ და ჩემს მამა-პაპის სალოცავსა, გულში ნალველას ჩავიწურავდი და იმის სიყვარულს კი იქ არ გავიტარებდი. მაშინ რა ვიცოდი?“

„გლახის ნაამბობში“ კიდევ არაერთგან გვხვდება: „ხიდი ჩატეხილია“, „ხიდი მაშინ ჩატყდა“. მთელი მოთხრობა ამ თვალსაზრისის თავისებური ილუსტრაციაა.

მოთხრობაში წამოჭრილი ყველა საკითხი — სიყვარული, მეგობრობა — უშუალოდ არის დაკავშირებული სოციალურ ურთიერთობათა ხასიათთან.

მწერალმა ძირითადი იდეის გამოსაკვეთად შექმნა ყმისა და ბატონის ურთიერთობის ახალი მოდელი, რომელიც ამ ნაწარმოებს, საერთოდ, სოციალური ანტაგონიზმის სურათს, მნიშვნელოვნად განასხვავებს „კაცია ადამიანი-სა?!“ და „კაკო ყაჩაღისაგან“. დათიკო და გაბრიელი ძმებით თანშეზრდილნი არიან; ამავე დროს დათიკო ლუარსაბის მსგავსი პატრიარქალური და გაუნათლებელი მტარავალი როდია. მას განათლება მიუღია. პროფ. ვ. კოტეტიშვილი შენიშნავდა, „ი. ჭავჭავაძის, რომ მხოლოდ „კაცია ადამიანი?!“ დაეწერა, სურათი ცალმხრივი გამოვიდოდაო, მასში არ იქნებოდა აღნუსხული ამ ინსტიტუტის ყველა მთავარი მომენტო“.

„გლახის ნაამბობის“ მებატონენი გარეგნულად ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ერთი შეხედვით გულმოწყალენიც: დათიკო ნასწავლი, განათლებული, ახალ ცხოვრებას ნაზიარევი კაცია, მაგრამ მათი ყმების მდგომარეობა არსებითად არაფრით არ განსხვავდება სხვებისაგან.

ბატონყმობის საწინააღმდეგო მწერლობის ამ მხარეს ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა: „ჯერ კიდევ ნეკრასოვი და სალტიკოვი ასწავლიდნენ რუსეთის საზოგადოებას მებატონე-მემამულის განათლების შელამაზებული და მოკაზმული გარეგნობის ქვეშ დაენახა მისი მტაცებლური ინტერესები, ასწავლიდნენ ზიზღს ასეთი ტიპების ფარისევლობისა და უსულგულობისადმი“.

დათიკოსა და გაბრიელის სამკვდრო-სასიცოცხლო შერჩენება გამომდინარეობს დათიკოს, როგორც ტიპური მებატონის, არსებითი ნიშან-თვისებებიდან. იგი თავს იჩენს არა მარტო თანაშეზრდილისადმი დამოკიდებულებაში, არამედ ადამიანებისადმი მისი ურთიერთობის მთელ კომპლექსში. გაბრიელი მთელის სიმძაფრით ბოლოს გრძნობს და გვიზიარებს ამას. „არ ვიმეტებდი, თორემ აღრევე იყო ჩემის ზელისაგან გასანიავებელი. ქვეყანა წამურტლა და აჭამდისიკ მიკვირს, რომ ამ მართლდა მურტალს ქვეყანაზედ კაცი როგორ არ გამოჩნდა, რომ თოფი ეკრა და მიწასთან გაესწორებინა“.

დათიკო არც კი გრძნობს, რომ ბოროტებას ჩადის, საკუთარი „კანონიერი“

⁶ ვ. ი. ლენინი, ლიტერატურის და ხელოვნების შესახებ, თბილისი, 1969, გვ. 93.

უფლებების შეგნებით, მშვიდად ეუბნება გაბროს: „ქალი ჩემია“. როცა გაბროსი კლავს, დათიკო არც მაშინ განიცდის სინდისის ქენჯნას.

მთაბეჭდილება გვჩვენებს, რომ იგი დარწმუნებულია თავის სიმატლეში. ნაწარმოებში პრობლემის ასეთი გააზრება მიზნად ისახავს, მკითხველი იმ დასკვნამდე მიიყვანოს, რომ დათიკო ზიზღისა და შეჩვენების ღირსია იმდენად, რამდენადაც საზიზღარი და შესაჩვენებელია უსამართლო საზოგადოებრივი წყობილება, თვითნებობა და უთანასწორობა, რომელსაც ის განასახიერებს: ეს არის მწერლის რეალისტური შემოქმედებითი მეთოდის ტრიუმფი.

გაბრიელი და მოძღვარი ქართული მწერლობის ქეშმარიტი მონაპოვარი არიან. ინტელექტუალური ნერვი, ცხოვრების არსებითი მხარეების ვაცნობიერება, ქცევის ანალოზი გარემოსადმი და საკუთარი თავისადმი კრიტიკული დამოკიდებულება მათ განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს ჩვენს ცხოვრებაში. ამ სირთულემ წარმოშვა აზრთა სხვადასხვაობა მათი ფსიქოლოგიური და სოციალური დამაჯერებლობის გაგებაში. მწერალი უთუოდ გრძნობდა დიდ სიძნელეს და პასუხისმგებლობას, რასაც ამ ხასიათების ხორცშესხმა ითხოვდა. გრძნობდა, რომ ამ შემთხვევაში ეპიკურიული მასალა, შიშველი, ცხოვრებისეული ფაქტები სანდო და საიმედო ვერ იქნებოდა, წარმოსახვა ერთდროულად უნდა დამყარებოდა ფაქტებსაც და ოცნებასაც. ლიტერატურული პასუხისმგებლობის შეგნება, სიფრთხილე და ამავე დროს მხატვრული სითამამე თავიდან ბოლომდე თან გასდევს ამ სახეებს და თუ მათი სრულყოფა შესაძლებელი გახდა, უწინარეს ყოვლისა იმის წყალობით, რომ შემოქმედი ორგანულად გრძნობდა მათ ცხოვრებისეულობას, საზოგადოებრივ და ლიტერატურულ აუცილებლობას, ასეთ ხასიათებზე მკითხველის მოთხოვნილებას. ეს გარემოება თავისთავშივე შეიცავს იმ შეხედულებების უმართებულობასა და უნიდაგობას, რომლებიც ლიტერატურულ კრიტიკაში საერთოდ „გლახის ნაამბობისა“ და კერძოდ აღნიშნული სახეების გარშემო გამოითქვა. მთელ ამ სიუჟეტურ ხაზზე დაკვირვება გვაჩვენებს, რომ ი. ჰეგელმა მოსალოდნელად თვლიდა, რომ გაბრიელისა და მოძღვრის სახეები პოლემიკის საგანი ვახდებოდა და მათი არგუმენტირებისათვის მხატვრულად მყარი ნიდაგი შეუშუადებია. შემოქმედი რეალისტური მხატვრულობის დახვეწილი ტაქტიტ წარმოგვიდგენს მებრძოლ ყმაგლეხს, რომელსაც ნაწარმოებში მთხრობლის ფრიად რთული, ინტელექტუალური როლი აქვს დაკისრებული და მაღალი ადამიანური იდეალების განმასახიერებლად გვევლინება. მწერალს დეტალები შერჩეული აქვს ფაქიზად, ძუნწად, სრული დეტირთვით. გაბრიელის შინაგანი და გარე სამყარო გაშუქებულია არა აღწერით, ხელგაშლილი რეალისტური თხრობით, არამედ სხარტი, მოულოდნელი ფსიქოლოგიური ნიუანსებით, რომელთაც სჭირდება არა უბრალოდ დანახვა, არამედ წვდომა. ერთგან ნათქვამია: „ვეკითხე მე... სწორედ გითხრა ... მეტისა მეგონე ... ეს ისეთი შესვენებით და ჭოჭმანობით მითხრა, თითქო სიტყვა არ დაათავაო... — აი, დედავ, მიუბრუნდა უცბად მღვდელი დედაბერსა, — წუხელ, რომ გითხარი — გაბრიელი — ეს არის. თითხმეტი თუ თხუთმეტი წლისა ყოფილა“. ეს დეტალი ერთბაშად გვაგრძნობინებს, რომ გაბრიელი დაბადებითვე იშვიათი ადამიანია, განსაკუთრებული ნიჭით, ინტელექტით, სულით გამოირჩევა. ამავე დანიშნულებისაა აქა-იქ ჩართული რემარკები, რეპლიკები და მინიშნებები: „გული მორბილებული მქონდა პატარაობითვე“; „შენ, ჩემო გაბრიელ, შევარდენი ყოფილხარ, მე და შენ ცალკე უნდა ვიაროთ: სხვა შეგირდები ტატიტ მიდიან, შენ კი მირბი“; „— სადაური ხარ? — რაჟველი. შენა? — მეც ვუთხარი, სა-



დაურიცა ვარ. — რაქველი? მაშ მოჯამავირედ იღებენ? — დაუშმატყმენდენ
 ალ, სომეხთან ვდგევარ. შენა?; „ბატონის კაცის შვილი მამისა კი ანაზრისა
 ტონისაა, მაგრამ ის კურთხეულისშვილი სხვა გულის პატრონი იყო.“

როგორც ირკვევა, ი. ჭავჭავაძეს „გლახის ნაამბობშიც“ ფართოდ გამოუ-
 ყენებია ზეპირი გადმოცემები, თანამედროვე ცხოვრების ცალკეული ფაქტები
 და ადგილობრივი პრესის მასალები, გაბრიელი ჰყვება: „დიდი ალაყაფისკარე-
 ბიანი სომხის სახლი იყო. იქ ხშირად მინახავს ერთი მოზრდილი იმერლის ბი-
 ჭი, უფრო საღამოს ხნობით გამოდიოდა, დაჯდებოდა კარების ღირეზედ და
 სულ რაღაც ხელნაწერს კითხულობდა“.

ვეფქრობთ, მწერალს ამ შემთხვევაში გამოყენებული აქვს შემდეგი ადგი-
 ლი 1858 წლის მარტის „სალაყბო ფურცლიდან“, რომელსაც ის კარგად იცნო-
 ბდა და აფასებდა: „ამ სიარულში ჩემის გულის სასიამოვნოს შევეფეთე, ვნახე
 უცებ, ზის ერთის დუქნის კარზედ ხაბაზი, უძევს მუხლზედ ცისკარი და კითხუ-
 ლობს მალღივ ხმით... შემოხვევიან გარშემო დუქნის მეზობელნი და უნდა ნა-
 ხოთ, თუ რა სასოებით უვადებენ ყურსა“.

ჩვენს მოსაზრებას კიდევ უფრო ადასტურებს ის გარემოება, რომ დაუმთავ-
 რებელ მოთხრობა „კაკოში“, რომელიც „გლახის ნაამბობის“ წინარე ვარიანტს
 წარმოადგენს, „სალაყბო ფურცლის“ ციტირებული ადგილი თითქმის სიტყვა-
 სიტყვითაა მოყვანილი. „... როცა კაკომ ყველაფერი მიაღავა, გამოვიდა და და-
 ჯდა ქუჩის გარეთ; მიიხედა იქით მარჯვნივ და დაინახა ბიჭები შეგროვებულან
 და რაღაცას ყურს უვადებენ ყურადღებით. ამას ეგონა ზღაპრებს ამბობენო და
 მოყვარული ზღაპრისა კაკო მაშინვე მივარდა იქ. მაშინ ნახა, რო ერთი იმე-
 რელი ბიჭი იჯდა და კითხულობდა რაღაც ხელნაწერსა. გაუხარდა, გაუხარდა
 ცნობისმოყვარე კაკოს, რომ ის ბიჭი წიგნს კითხულობდა, მიუჯდა გვერდით და
 დიდხანს იჯდა იმასთან მოწიწებით მზირალი“.

ეს გარემოება იმით შეიძლება აიხსნას, რომ „კაკო“ და 1858 წლის მარტის
 „სალაყბო ფურცლი“ ქრონოლოგიურად დიდად არ არის დაშორებული და
 მწერალს დეცობა უშუალო შთაბეჭდილებით თითქმის უცვლელად შეუტანია
 აღნიშნული ეპიზოდი.

ანალოგიური დეტალები ადასტურებს, რომ ი. ჭავჭავაძის ამ ნაწარმოებს,
 მის სახეებსა და იდეებსაც ღრმად ჰქონდა ფესვი გამდგარი სინამდვილეშიც, მი-
 სი ძირითადი ხაზები მთლიანად ცხოვრებისეულია, ეროვნული და ხალხური.
 ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ჟურნალ „კრებულში“ გამოქვეყნებული ნ. ნი-
 კოლაძის წერილი, რომელშიც „გლახის ნაამბობის“ შესახებ კრიტიკული შენი-
 შენებია გამოთქმული (ილიას რეალიზმიდან გადახვევა უსაყვედურეს, იმის გა-
 მო, რომ გლეხი გაბრიელი მეტისმეტად მგრძნობიარე, გულჩვილ ადამიანად გა-
 მოიყვანა და მაღალფარდოვნად აამეტყველა), საფუძველს მოკლებულია. მწერა-
 ლმა მართალი სოციალური და ფსიქოლოგიური ფონი შექმნა, ნათელი მოტი-
 ვები წარმოაჩინა გმირის სახის დამაჯერებლობისათვის. გაბრომ საფუძვლიანი,
 გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა-განათლება მიიღო მღვდელთან. ეს ზნეო-
 ბრივად წმინდა, მტკიცე ხასიათის, ინტელექტუალურად და სულიერად ამაღლე-
 ბული სახე ავტორის აუცილებლად სჭირდება ნაწარმოების მხატვრული იდეა-
 ლის ხორცშესახებლად. მისი მიზანი იყო დაენახებინა საზოგადოებისათვის,
 რომ უსამართლობით განაწამები გლეხი მაღალი ღირსებითაა შემკული და მი-
 სი ფეხქვეშ გათელვა ბუნების სამართალს ეწინააღმდეგება. ნ. ნიკოლაძე სწო-
 რად მიუთითებს, რომ ეს იყო რეფორმის წინა პერიოდის რუსული ლიტერატუ-

რის ტენდენცია, მაგრამ მხედველობიდან რჩება ის მყარი, ეროვნული ნიადაგი, ფაქტების პიედესტალი, რომელზედაც მწერალმა თავისი გმირი გამოაქანდაცა. ჩვენი აზრით, მწერალმა არ გაიზიარა კრიტიკოსის ეს შენიშვნა და სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს მისი კატეგორიული განცხადება ნ. ნიკოლაძისადმი წერილში: „დე, მაგ პირმშომან ძემან, ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველ შობილა“.

შემოქმედს სერიოზულად უფიქრია გაბრიელის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბების წინამძღვრებზედ. მან იგი დაუმეგობრა განათლებულ, ქველმოქმედ მღვდელს. ყველაფერი რომ ამით ამოიწურებოდეს, გმირი მართლაც ხელოვნური გამოვიდოდა, მაგრამ ეს ყველაფერი არ არის; იგი გაბრიელის ცხოვრების, განვითარების ერთ-ერთი მორიგი ეპიზოდია, ფართო მხატვრული პლანის ერთ-ერთი კუთხეა, „რომელმაც სხვა ეპიზოდებთან და მონახაზებთან კავშირურთიერთობებში მეტი ეფექტი უნდა გამოავლინოს მწერლის ჩანაფიქრი“. მღვდელი მწერლის იდეალის გამომხატველია, გაბროს ცხოვრებაში ერთადერთი ნათელი და კეთილი სულია. მართებული არ არის მოსაზრება, თითქოს მოძღვარი მხოლოდ „გაბროს გასანათლებლად იყოს შემოყვანილი მოთხრობაში“. გაბროს ბატონები კეთილი ადამიანები არიან. ესეც მხატვრული პლანის ერთ-ერთი კუთხეა, რომლის როლი მხოლოდ თხზულების საერთო გააზრებაში შეიძლება წარმოვისახოთ. დაშვებულ გამოჩაკისებს უაღრესად ტიპურ განზოგადებამდე მიყვავართ და გამოჩაკისების ფუნქციაც ამით ხდება ცხადი. გაბრო ვერ იხსნა ვერც მღვდლისაგან შექნილმა ცოდნამ და მორალმა, ვერც ბატონებთან „კეთილმა ურთიერთობამ“. ცოდნამ და ზნეობრიობამ კიდევ უფრო გაამწვავა და გააღრმავა მისი უბედურება, რადგან გათქაჩებული სული განსაკუთრებულად განიცდის ყოველგვარ უსამართლობას, ადამიანური ღირსებების ოდნავ შებლაღვსაც კი. იშვიათი, ინდივიდუალური შტრიხების შერჩევით მწერალმა მიაღწია გავრცელებულის, არსებითის კონცენტრირებულ ასახვას.

ნ. ნიკოლაძე არარეალისტურად აცხადებს გაბროს, რის არგუმენტებადაც მიაჩნია, რომ ყმაგლეხი „ყოველი ღირსებით და უმანკოებით აღესილა“, პათეტიკურად ლაპარაკობს, ვარკვეული ეთიკური ნორმებით ხელმძღვანელობს. მოთხრობაში გაბრიელის ეს თვისებები სტატიკური კი არ არის, არამედ ხასიათის განვითარების სხვადასხვა მომენტს გამოხატავს, რაც ნათლად ადასტურებს, რომ მწერალი გამიზნული მიკერძობებით კი არ ხელმძღვანელობს და, როგორც ნ. ნიკოლაძეს ეგონა, ტრაფარეტს კი არ გეთავაზობს, არამედ გვიჩვენებს, როგორ ვითარდება პერსონაჟი, როგორ იქცევა სხვადასხვა გარემოებაში, როგორ იცვლება მისი ხასიათი, როგორია მისი რეაქცია განსხვავებულ გამღიზიანებლებზე. ერთი სიტყვით, ეს მოდელი კი არ არის, ადამიანის წინააღმდეგობებით აღსავსე გზაა. ამრიგად, საქმე გვაქვს არა ყმაგლეხის გაიდეალების შაბლონთან, რომელსაც ნ. ჩერნიშევსკი გულისხმობდა და რასაც ნ. ნიკოლაძე „გლახის ნაამბობს“ მიაწერს, არამედ რთული წინააღმდეგობებით აღსავსე ხასიათის განვითარებასთან.

ნ. ნიკოლაძე „გლახის ნაამბობში“ „ცინგლიანობით“ მწერლობის გავლენას ხედავს. შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ დიდი ქართული კრიტიკოსის ამ სტატიას სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის. იგი ლახვარს სცემდა სინამდვილის რეალისტური ასახვის გაიოლებას, მოითხოვდა ღრმა სოციალური შრეების გაშუქებას. პრი-
 3. შ ა ც ნ ე, ვნისა და ლიტერატურის სერია, 1981, № 2

ნციპულად სწორი იყო მისი დებულება: „ასეთი მწერლობის გაცნობისას მკითხველი სიმპათიის გრძნობდა გლეხკაცობისადმი, მაგრამ ის იყვარებდა არა ნამდვილ გლეხკაცობას, ცოცხალ გლეხს კი არა, იდეალური გლეხის „პეიზაჟების“ სურათს... და როცა შემდეგში ცხოვრება იმას ხალხთან აახლოვებდა... მის წინ „პეიზაჟების“ და იდეალური გლეხების მაგიერ ნამდვილი გლეხკაცი დაღვებოდა მისი ნაკლოვანებებით, მისი უგუნურობით და ცხოვრებით გაფუჭებული... ის ვეღარ ცნობდა თავის „საყვარელ გლეხკაცის“ სურათს, ის ფიქრობდა — ეს წამხდარი, უსინდისო, ბინძური და უგრძნობელი ქმნილებაა და არა გლეხკაცი, ის იზიზღებდა იმას“⁷.

ნ. ნიკოლაძე ფაქტურად აკინებდა „გლახის ნაამბობის“ მნიშვნელობას, მოითხოვდა „შეუფერავ რეალიზმს“. იგი იქამდე მიდიოდა, რომ წერდა: „ჩვენს წინ ახალგაზრდა, გამოუცდელი, გზაგამოურჩეველი მწერალი დვას, რომელზედაც ჯერ კიდევ უცხოეთის მწერლობას ვავეუნა აქვს, რომელსაც მიბაძევა თავიდაც ვერ აუცილებია და რომელიც სხვისი კილოთი, სხვისი ენით ლაპარაკობს“.

„გლახის ნაამბობის“ ანალიზი, მისი ოსტატურად გამოძერწილი ტიპური სახეების შესწავლა ცხადყოფს ნ. ნიკოლაძის შეხედულებების სრულ უნიადაგობას, თითქოს ამ მოთხრობაში მწერალი ბაძავდეს ისეთ ნაწარმოებებს, სადაც „გადაკრულ-გადმოკრული სულის ნამივით პბედავდა ხოლმე თუ არ გამოეთქვა, ცოტაოდენ მაინც გაეხსენებინა მკითხველისათვის ეს გულის წადილი“.

კრიტიკოსი იქამდე მიდის, რომ „ბატონყმობის საქმის სიყვარულის ასპარეზზე გადატანას“ მოძველებულ ხერხად თვლის; ეს იმ დროს, როცა აღნიშნული მოტივი ისევე, როგორც ცხოვრებაში, არც ხელოვნებასა და ლიტერატურაში არ კარგავს მარადიული მნიშვნელობა როლს, კერძოდ ამ მოთხრობაში რელიეფურად წარმოგვიჩენს პერსონაჟთა ხასიათს, ბატონყმობის მანკიერებებს და ორგანულად შეესაბამება თვითმყოფ შინაარსს. მწერალს შეეძლო ეჩვენებინა «გაპორუტყვებულ გლეხთა სახეებიც და გლეხთა წრიდან გამოსულ კეთილშობილი რაინდული სულის და მაღალი ზნეობის ისეთი პირებიც, როგორიც გაბრძედი იყო. ქართული ცხოვრების სინამდვილე იძლეოდა ისე, როგორც ერთის მეორის სინამდვილეს. ამის მაგალითად თუნდაც იმ ფაქტის მოშველიება კმარა, რომ ილ. ჭავჭავაძის ყმაგლეხი მასურაძე შესანიშნავი მხატვარი, ინტელიგენტი იყო. ასეთ შემთხვევებში მწერლის არჩევანს განსაზღვრავს არა სოციალური რეგლამენტი და კრიტიკოსის დოგმები, არამედ მხატვრული ნაწარმოების ჩანაფიქრის ხასიათი და სიუჟეტის ხორცშესხმის ამოცანები.

ჩვენ იმ თვალსაზრისზე ვდგავართ, რომ ორივე შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნების გახსნა. მოაზროვნე, მგრძნობიარე, გულმართალი გაბრძედი სახე უფრო ფართო პლანშიც კი ამხელს სოციალურ უსამართლობას, გვიჩვენებს არა მარტო ბატონყმობის, არამედ ყოველგვარი ჩაგვრის, უთანასწორობისა და პრივილეგიის ბოროტებას, წარმოგვისახავს კაცთმოყვარეობის მაღალ ჰუმანისტურ იდეალს.

ნ. ნიკოლაძის „შეუფერავი რეალიზმის“ თეორიასთან დაკავშირებით პროფ. ა. კენჭოშვილი სამართლიანად მიუთითებს: „ი. ჭავჭავაძეს „გლახის ნაამბობი“ მიზნად ისახავდა ეჩვენებინა ყოველი გლეხობის არა მხოლოდ ერთი მხარე — მისი დაბეჩავება ბატონყმობისაგან, არამედ დაეხატა გლეხების მაღალი ზნე-

⁷ ს კ ა ნ დ ე ლ ი, „გლახის ნაამბობი“, „კრებული“, 1873, № 5—6.

ობრივი სახე, ეჩვენებინა მისი ადამიანური ღირსებანი მჩაგვრელ კლასებთან კონტრასტულ დაპირისპირებაში: ამაზე იგი სწორედ „გლახის ნამბობის“ გამოქვეყნების პირველ დღეებში სწერდა თავის მეუღლეს: „ჩემი არსება ისეა აგებული, რომ ამ უბრალო გულზვიადობას მოკლებულ მოკვდავებში ყოველთვის ნაკლები ქუჩუკი და სალი აზრი მეგულება, ვიდრე ზოგაერთ ბატონში, რომლის შთამომავლობით კეთილშობილური სისხლი გულზვიადობას შეუღებდებია“⁸.

ი. ჭავჭავაძემ „გლახის ნამბობში“ გვიჩვენა მებრძოლი ყმაგლეხის ტიპი, რომელსაც მორალურად, გონებრივად ღრმად გააზრებული აქვს თავისი საქციელი. იგი ახალი დროის დაჩაგრული კლასის გამირია. მას შეგნებული აქვს თავისი სოციალური მდგომარეობა და ტანჯვითა აქვს მოპოვებული წოდებრივი უთანასწორობის მოსაბობის აუცილებლობის იდეა. ბუნებით მოკრძალებული, სათნო, მორწმუნე კაცი ამაყად აცხადებს: „შიგ მარცხენა ძუძუში დამბაჩა დავეცი“. მწერალს დიდი დამაჯერებლობითა აქვს ყმაგლეხის კლასობრივი ცნობიერების ჩამოყალიბების ისტორია, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. იგი არსენას ლექსის სიტყვებში პოულობს გაბრბოს საქციელის გამამართლებელ საბუთს: „მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როგორ წავახდენსა“. ცხოვრებაში მღვდლის რელიგიური ქადაგებანი საწინააღმდეგო ზნეობრივ შინაარსს იძენს; ცხოვრება უფრო მკაცრი და სამართლიანი დამრიგებელია. „ის დალოცვილი მღვდელი, — ამბობს გლახა, — ხშირად მარიგებდა ხოლმე, რომ მტერსაც პატივი უნდაო, მეც ვამბობ, მაგრამ მაგას მარტო ენა ამბობს, გულში კიდევ სხვა ბალღამი ტრიალებს... სულ ტყუილია, მაინც ადამიანს მტერი არ შეყვარებია“.

მწერლის სიდიადე ის არის, რომ მან თავისი დროის სინამდვილის ფართო ასპარეზზე, ჩაგვრისა და უსამართლობის სამყაროში წარმოგვისახა ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანის იდეალი. ეს ადამიანი ფეხქვეშ გათელილი ხალხის წრიდანაა გამოსული. ეს ფაქტი თავისთავად გვიდასტურებს, რაოდენ შორსაა ი. ჭავჭავაძის რეალიზმი სინამდვილის ფოტოგრაფირებისა და ნატურალისტური ცოდვებისაგან, რომელსაც მას სწამებდნენ.

М. Ш. ТКЕШЕЛАШВИЛИ

ОСОБЕННОСТИ ОТОБРАЖЕНИЯ СОВРЕМЕННОСТИ В ПРОИЗВЕДЕНИИ И. ЧАВЧАВАДЗЕ «РАССКАЗ НИЩЕГО»

В работе дается анализ первенца художественной прозы великого грузинского писателя И. Чавчавадзе «Рассказ нищего»; выявлено, как отразилась в этом произведении жизнь Грузии дореформенного периода; показано, какой отпечаток накладывает на воплощение художественного вымысла историческая обстановка. В судьбах главных героев произведения находят отражение характерные черты социально-политической и экономической жизни эпохи, психология, мораль, нравы и обычаи отдельных социальных слоев.

⁸ ა. კ ე ნ ჭ ო შ ვ ი ლ ი, ი. ჭავჭავაძე—მხატვრული შემოქმ. საკითხები, თბ., 1962, გვ. 158.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ურნალისტიკის განყოფილება წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

გიორგი შაჰსლავანი

ალექსანდრე ჭავჭავაძის „მუხამბაზი ლათაიურის“ შესახებ

ალექსანდრე ჭავჭავაძის დამოკიდებულება აღმოსავლურ ლიტერატურულ ტრადიციებთან ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ აღმოსავლურ სალექსო ფორმებს, რომლებითაც უხვად სარგებლობდა ჩვენი პოეტი, და ზემოაღნიშნულ დამოკიდებულებას აღმოსავლურ მხატვრულ სიტყვასთან მხოლოდ თემატურ-იდეური თვალსაზრისით განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ პოეტის თხზულებათაგან აღმოსავლურ სამყაროსთან ყველაზე მეტ სიახლოვეს იჩენს ლექსი „მუხამბაზი ლათაიური“, რომელიც ჩვენ ლიტერატურათმცოდნეობაში ინტერპრეტირებულია, როგორც: 1. XIX საუკუნის ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის ეთიკური ნორმების მძაფრი კრიტიკა; 2. ლექსი ეპიკურისტული; 3. ლექსი ანაკრონტიკული; 4. გრძნობის პრიმატის აპოლოგია; 5. ლექსი აღმოსავლური ლიტერატურული ტრადიციების შემცველი¹.

რადგანაც „მუხამბაზი ლათაიური“ პოეტის ლიტერატურული ორიენტაციის თვალსაზრისით ერთგვარ გზაჯვარედინად არის მიჩნეული, ზუნებრივია, აღნიშნული ლექსი საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი, რაც, ჩვენი აზრით, ლექსის არა მხოლოდ შინაარსობრივ, იდეურსა თუ ესთეტიკურ ანალიზს, არამედ „ლათაია“ სიტყვის ეტიმოლოგიურ ძიებას, მის სემანტიკურ ცნებათა დადგენასა და სათაურის ლექსის შინაარსთან შეპირისპირებას გულისხმობს. ეს უკანასკნელი იმიტომაც არის საჭირო, რომ თავისი მნიშვნელობით მრავლის მომცველი „ლათაის“ სხვადასხვაგვარი გაგება ლექსის სხვადასხვაგვარად აღქმის მიზეზად იქცევა ხოლმე. ლექსის ასეთი კვლევის შედეგი, თუ ის ღირებული იქნება, ხელს შეუწყობს ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების სრულყოფილად შესწავლას, რაც თავის მხრივ მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული აზროვნების განვითარების რთულ პრობლემატიკას უკავშირდება.

წერილში ორი საკითხია წარმოდგენილი: 1. „ლათაია“ სიტყვის ეტიმოლოგიური ანალიზი; 2. ლექსის სათაურის შეპირისპირება მის შინაარსსა და გააზრებასთან.

ქართული ენის ლექსიკონებსა თუ სხვა სახის თხზულებებში ლათაია ასეა განმარტებული:

1. ზღაპარი, არაკი²; 2. არაკი, იგავი, ანეკდოტი, მიკიბულ-მოკიბული, მოჩმახული, შეთხზული ამბავი³; 3. მიდებულ-მოდებული, მიკიბულ-მოკიბული, უსაბუთო ლაპარაკი⁴.

გიორგი ერისთავი კომედიიაში „გაყრა“, ლათაიას ხმარობს როგორც იგავს, ჭკუნის დამრიგებლურ სიტყვას⁵.

დავით რეჟტორი უფრო დეტალურად განმარტავს ჩვენთვის საჭირო სიტყვის მნიშვნელობას და ცნობასაც გვაწვდის მისი წარმომავლობის შესახებ: „ლათაია თათრულია; გარდმოვლით გიობა, გინა კრიტიკა“; „მუხამბაზი ლათაიური,

ესე იგი გაკიცხვითი, გინა გიობითი, უწოდებენ ევროპელნი კრიტიკას. თათრული ლექსია“⁶.

ი. გრიშაშვილი „ლათაიის“ პარალელურად „ლათაის“ ფორმას იძლევა და ამბობს: იგი ნიშნავს თამამ, თავხედურ, მიკიბ-მოკიბულსა და უსაბუთო ლაპარაკს⁷.

მონმობილი მასალის საფუძველზე საძიებელი სიტყვის გენეზისისა და ეტიმოლოგიის დადგენა სიძნელეს აღარ წარმოადგენს. დ. რეჰტორის მითითება — ლათაია თათრული ლექსიაო (ლექსი ძველ ქართულში სიტყვის სინონიმი იყო) — და ი. გრიშაშვილის მიერ ფიქსირებული „ლათაის“ ფორმა იმის საბუთს იძლევა, რომ სიტყვა აღმოსავლური ენების ლექსიკურ ფონდში ექიძით.

არც იმის გარკვევაა ძნელი, აუ თათრებად რომელი ერი იჯულისხმება. მართალია, ქართველები თათრებად ზოგადად მაჰმადიანებს, უფრო კი სპარსელებს, მიიჩნევდნენ⁸, მაგრამ მოგვიანებით საქართველოში თათრებს დღევანდელ აზერბაიჯანელებს უწოდებდნენ. ეს დ. რეჰტორის მიერ შედგენილი ერთ-ერთი ანთოლოგიიდანაც კარგად ჩანს. დ. რეჰტორმა ანთოლოგიაში შეტანილ ავტორთა პოეტურ ნიმუშებს ნაკლებად გაცნობიერებული მკითხველებისთვის კომენტარები დაურთო, მიუწერა ხმა, პანგი, სალქსო ზომა და სხვა: „ეს სპარსული“, „ეს არაბული“, „თურქთა ხმათა ზედა სათქმელი“ და ა. შ.⁹ კომენტარებში ჩამოთვლილია ისტორიულად მეზობელი ყველა ის ქვეყანა, რომლებთანაც საქართველოს ურთიერთობა ჰქონდა, ნახსენები არ არის მხოლოდ აზერბაიჯანი, რომლის ეკვივალენტად „თათრები“ უნდა ვიგულისხმოთ. ამის გარდა, ზემოხსენებული „ლათაიის“ აზერბაიჯანული ენის სალიტერატურო *Латаји* სიტყვის დიალექტური ფორმაა. ეს უკანასკნელი კი არაბული **لَا تَايَة** „ლათაიფუ“ ლექსიკური ერთეულისგან არის მიღებული (1. სიმახვილე, სფაქიზე, დახვეწილობა; 2. ანეკდოტი, ხუმრობა, მახვილსიტყვაობა)¹⁰, რომლის ბოლოკიდური **ت** — **ث** — აზერბაიჯანულში შეცვლილია **ح** — **خ** თანხმონით. ამგვარი ფონეტიკური პროცესი ბუნებრივი და კანონზომიერია საზოგადოდ თურქული ენებისათვის.

მაგალითად: აზ. **Ф-аф-ыр** > **h-афыр** — ლაჩიზი, არარას მქონე; **Ф-ынды** > **h-ындыг** — თხილი; **Шо-ф-ер** > **Шо-h-ер** — შოფერი¹¹.

მაშასადამე, დ. რეჰტორის მიერ აზერბაიჯანულად მიჩნეული „ლათაია“ არაბული წარმომავლობის სიტყვაა, რომელიც მცირეოდენი ცვლილებებითა და ნიუანსებით მთელ რიგ აღმოსავლურ ენებში, მათ შორის აზერბაიჯანულშიც, დამკვიდრებულა. როგორც ჩანს, ქართული ენის ლექსიკურ ფონდში მან აზერბაიჯანული ენის მეშვეობით მოიკიდა ფეხი¹².

ქართული „ლათაია“ სემანტიკურად თითქმის იდენტურია არაბულ-სპარსულ-თურქულ-აზერბაიჯანული ენების „ლათაიფ“-ისა. ერთგვარ სიშორეს იჩენს დ. რეჰტორისეული განმარტება — იგი „გიობის“ ფარდიაო. საბას მიხედვით, გიობა არის „გმობა, გინა ძაგება, გინა ბოროტად ხსენება“¹³.

შესაძლოა „არაკში“, „იგავში“ იყოს გმობის, ძაგების გააზრება, მითუმეტეს, რომ მათი ალგორითული და დიდაქტიკური ხასიათი გამიზნულია აღამიანის ნაკლოვანი მხარეების სამხილებლად, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ იგი ნათლად არ ჩანს.

აღნიშნული იყო, რომ თურქული ენებისთვის დამახასიათებელია კბილბაგის-მიერი ყრუ **з** — **Ф** — ბგერის ფარინგალურ **h**-სა და უფულარულ **x**-ში გადასვლა — *Латајџ* > *Латаји* — „ლათაიფ“ > „ლათაიპ“. ბოლოკიდური **з**-ს დაკარგვა კი ქართული-



სათვის კანონზომიერი პროცესია. ასეთ ვითარებაში „ლათაი“ ფორმამ ქართულ ნიადაგზე მიიღო „ლათაიას“ სახე. ქართულ ენაში ანალოგიური მაგალითები ბევრია, მაგალითად: 1. სპარს. **كلا** „ქალაღ“, აზერბ. **Kalaf-ajay** (წმინდა შალის დიდი მოსახვევი); ქართულში „ქალაღაია“; 2. სპარს. **داراي** „დარაი“, აზერბ. **darajay** (წმინდა შალის ქსოვილი); ქართულში „დარაია“. 3. სპ. **روباي** „რობაი“, ქართულში „რობაია“. 4. სპ. **شاه شاه** „შაჰ შაჰი“ (სამეფო თევზი), ქართულში „შამაია“ და სხვა.

დასკვნის სახით იმის თქმა შეიძლება, რომ ქართული „ლათაია“ აზერბაიჯანული ენის მეშვეობით მიღებულია არაბული „ლათიფე — ლათიჟი“-იდან და მასში ნათლად და გამოკვეთილად „გიობის“ სემანტიკა არ ჩანს.

თუ ზემომოყვანილი მსჯელობა და დასკვნა მართებულია, მაშინ „მუხამბაზი ლათაიურის“ შესახებ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება ნაკლებ-დამაჯერებელი აღმოჩნდება. მხედველობაში გვაქვს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ფართოდ გავრცელებული შეხედულება — „მუხამბაზი ლათაიურის“ პოეტის თანამედროვე საზოგადოების იმ ნაწილის მძაფრ კრიტიკას წარმოადგენს, რომელიც თავისი ცხოვრების საუკეთესო დროს ლენინის სმაში კლავდათ. ეს მოსაზრება აღნიშნული ლექსის დ. რექტორისეულ კომენტარებს ეყრდნობა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ივაკში“, „არაკში“ ჩანს „გიობის“ გააზრება და „ლათაიაც“. გიობა იყოს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია ლექსი „მუხამბაზი ლათაიური“ გაკიცხვითად მივიჩნიოთ.

აღ. ჭავჭავაძის ლექსის ლეიტმოტივი თავდავიწყებაა, კონკრეტულად, თავდავიწყება ლენინით. თრობით. აქ ხაზი უნდა გაესვას მას, რომ ლენინი და თრობა არა თავშექცევსათვის, არამედ თავდავიწყებისათვის. ლექსის არსი ეს არის:

1. მთერალს, ლენინონსავამს სიცივე არც აზინებს და არც ახსოვს;

2. თმში გონიერი, ბრძენი საქმის აწონ-დაწონითა და სიფრთხილით დაილუბება. მთერალი კაცი კი, რომელსაც გონი დაკარგული აქვს, უკეთ იბრძვის, მთერალი ივიწყებს საფრთხეს;

3. გონიერი ომის საშინელებას, სიკვდილის რეალურ საფრთხეს წინასწარ განსჭვრეტს, რაც გაბედულებას დაუკარგავს. ლენინისგან გონწართმეული კი ყოველგვარ მოსალოდნელ საფრთხეს ივიწყებს, რის მეშვეობითაც გამარჯვების მეტი იმედი აქვს;

4. ბრძენი, გონიერი სიკვდილზე ფიქრობს. ეს ფიქრი ტანჯვია წყაროა. მთერალი, ლთი სიკვდილს ივიწყებს, ნაკლებ იტანჯვის და ბედნიერია;

5. სატრფოს უნახაობა ოხერა-ვარამს ამრავლებს. მთერალი სატრფოს ივიწყებს და ამით ტანჯვას იმცირებს.

თავდავიწყება, გაქცევა, პასიური წინააღმდეგობა წუთისოფლის წარმავლობის წინაშე — ეს არის ლექსის დედააზრი. რაც შეეხება დ. რექტორისეულ კომენტარებზე აგებულ მოსაზრებას, ლექსი გიობითაო, ძნელი სარწმუნოა. იმის გარდა, რომ შინაარსობრივ-აზრობრივი მხარე სათაურს არ ესადაგება, არც იმის უცილობელი დადასტურება გვაქვს, სათაური თვით პოეტისეულია თუ არა. ლექსის ავტოგრაფი არ არის (S 2385, H 101), ზოგში კი მხოლოდ „მუხამბაზი“ აქვს მიწერილი (S 2455). სამ ხელნაწერს შემოუნახავს ჩვენთვის საინტერესო დასათაურება. ესენია: S 1512, S 105, A 1408¹⁴. აქედან პირველი დ. რექტორის მიერ შედგენილი, გადაწერილი და კომენტარებული კრებულია;

მეორე ხელნაწერის ლექსის „მუხამბაზი ლათაიურის“ ავტორი დ. რექტორია, ხოლო მესამე ხელნაწერი ქრონოლოგიურად ორივეზე გვიანი ჩანს, რაც იმის შესაძლებლობას იძლევა ვიფიქროთ, რომ ლექსი დასათაურებულია S 1512 ხელნაწერის მიხედვით.

უნდა გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი გარემოებაც: არაერთი უზუსტობაა დ. რექტორისეულ კომენტარებში. მაგალითად, ჩვენ ლექსს დ. რექტორის ხელით „მუხამბაზი“ აწერია, მაგრამ ვერც შაირის, ვერც ტაეპისა და ვერც მარცვალთა რაოდენობის თვალსაზრისით ვერ აკმაყოფილებს იმავე კრებულში მოცემულ განმარტებას მუხამბაზისას, რომელიც დ. რექტორისავე ეკუთვნის¹⁵.

უზუსტობანია თვით ალ. ჭავჭავაძის ავტოგრაფებშიც. ამით ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ ლექსის დასათაურება ჭეშმარიტ სურათს ვერ ქმნის და ლექსის შინაარსთან არაა სრულ თანხმობაში ვერ არის.

„მუხამბაზი ლათაიურის“ არსია თავდავიწყება, სიკვდილის შიშით გაქცევა რეალური ცხოვრებიდან; თავდავიწყების საშუალებად მოქმენილია თრობა. ყოველივე ეს ნათლად და გამჭვირვალედ მოჩანს ლექსში. მიღებული მოსახრების თანახმად კი ლექსი კრიტიკულია და გაიკეცულია ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც ღვინის სმაში ლევედა სიცოცხლის დღეებს. მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ქართველი საზოგადოების ამ ნაწილს აწვალებდა „მუხთალი სოფლის“ ხანმოკლეობა, ამ ნაწილში მეღანქოლიურ, შემამფოთებელსა და შემამარწყუნებელ გუნებაგანწყობილებას ფესვი ჰქონდა გამდგარი (ასეთია, მაგალითად, გრ. ორბელიანის ჰედონისტური ლირიკა). ასეთ შემთხვევაში საძიებელია წარმავლობის ფილოსოფიის გზა და ის სოციალურ-პოლიტიკური ეპოქალური მიზეზები, რომლებიც ასაზრდოებდნენ ზემოაღნიშნულ გუნებაგანწყობილებას. არისტოკრატი პოეტის გამკიცხავი ლექსის ობიექტი — საზოგადოების რაღაც ნაწილი — უნდა ნაგულისხმევი იქნეს განსაზღვრულ სოციალურ ფენაში, რომლის არაეთიკურ მოქმედებას პოეტის ყურადღება მიუქცევია. მაშინ, შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ ასეთ ობიექტურ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებზედ ვიგულისხმოთ იგივე მოვლენები, რამაც წარმოშვა ქართული რომანტიკული მიმდინარეობა. ამ პერიოდისთვის მხოლოდ ეს მოვლენებია საგულისხმებელი. მაგრამ საზოგადოების იმ ნაწილის კრიტიკოსი ალ. ჭავჭავაძე ვერ იქნებოდა. ალ. ჭავჭავაძე ქართულ მხატვრულ სიტყვიერებაში რომანტიზმის ოფიციალური მეკვლეა და ქართველი საზოგადოების რომელიმე ნაწილში თუკი ასეთი გუნებაგანწყობილება სუფევდა, მაშინ პირველყოვლისა თვით ალ. ჭავჭავაძე არა მგმობელი, არამედ მისი მატარებელ-გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გვგონია, რომ ალ. ჭავჭავაძის „მუხამბაზი ლათაიური“ კრიტიკული ხასიათისა არ უნდა იყოს.

კრიტიკული და გიობითია დავით რექტორის ამავე სათაურის მქონე ლექსი, რომელიც, როგორც ჩანს, მას ალ. ჭავჭავაძის გავლენით დაუწერია, მხოლოდ სხვაგვარი გააზრება მიუცია. ამის გამო ამ ორ „ლათაიურს“ შორის განსხვავება უფრო მეტია, ვიდრე მსგავსება¹⁶.

დ. რექტორის „მუხამბაზის“ პერსონაჟი, ისევე, როგორც ალ. ჭავჭავაძის ლექსისა, ბრძენს ეკამათება წუთისოფლის არსის, ცხოვრების მიზნის რაობაზე. მხოლოდ, თუ ალ. ჭავჭავაძის პერსონაჟისათვის ღვინო და ლოთობა არა ფიზიკური გრძნობების დაქმყოფილების, არამედ სიკვდილზე ფიქრისაგან თავის დახსნის საშუალებაა, დ. რექტორის „ლათაიურის“ პერსონაჟისათვის ეს ქვე-



ყანა მარტოოდენ სიამოვნების ვულგარული შეგრძნებების წყარო — და მრუშობაა, რომლისთვისაც არ ერიდება არც ქურდობას, არც კაცმკვლას. ალ. ჭავჭავაძის ლექსის „გმირის“ შემეცნებას სულ სხვაგვარი ფილოსოფიურ-ეთიკური კანონები კვებავს, დ. რექტორის „ლათაიურის“ „გმირის“ ეთიკა პირუტყვულ სწრაფვამდეა დასული. დ. რექტორის ლექსის პერსონაჟი ათი მცნების არსებითი დებულებების — არა კაც-ჰკლა, არა იპარო, არა იმრუშო, არა ცილსწამო... — დარღვევით ცხოვრობს. დ. რექტორის ლექსში მარტივი ალგორითული ხერხია გამოყენებული და სრულიადაც არ არის ძნელი ლექსის „გიობითი“ ხასიათი დაკინახთ.

ძნელია გადაჭრით ითქვას ლექსის შინაარსსა და დასათაურებას შორის არსებული შესაბამისობის მიზეზი რა არის: ერთი კი გასათვალისწინებელია, რომ ქართულ ხელნაწერებში გაბნეული ლექსები და თვით ალ. ჭავჭავაძის თხზულებანი სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვა სათაურითაა წარმოდგენილი. ამის გამო წერდა მკვლევარი აკ. კენჭოშვილი: „... ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ალ. ჭავჭავაძის 24-მდე ლექსის სათაური „ხმების“ მიხედვით შეიძლება თვით ავტორს კი არ ეუთვნოდეს, არამედ მხოლოდ გადამწერთ“¹⁷.

ალ. ჭავჭავაძე ეპიკურეისტ პოეტად არის მიჩნეული. ეს მოსაზრებაც მეტნაკლებად „მუხამბაზ ლათაიურს“ ეყრდნობა. მაგრამ ეს ლექსი ეპიკურეს ფილოსოფიურ ნააზრევს არ ექვემდებარება. ალ. ჭავჭავაძის ლექსში ვინება უარყოფილია როგორც წინაღობა სიამოვნებისა თუ ბედნიერებისაკენ მიმავალ გზაზე:

დაეხსნათ ცოდნის ძებნასა, ღვინო სჯობს ყოველ მცნებასა,
ბრძენი სულ სიკვდილსა ფიქრობს და ლოთი გამარჯვებასა¹⁸.

ეპიკურეს მორალისა და ეთიკის საფუძველთა საფუძველი, ბედნიერებისა და სიამოვნების ერთ-ერთი ჭეშმარიტი გზა გონიერება და სიბრძნეა¹⁹. „მუხამბაზი ლათაიური“ კი ეპიკურეს მოძღვრების საპირისპირო იდეას ქადაგებს. შესაძლოა, ალ. ჭავჭავაძის პოეზიის არასწორი შეფასების მიზეზი თავის დროზე ეპიკურეს ფილოსოფიური ნააზრევის არასწორი გაგებისა თუ ეპიკურესა და არისტოტელს მოძღვრებათა ერთმანეთში აღრევის შედეგიც იყოს. ყოველ შემთხვევაში დღეისათვის ალ. ჭავჭავაძის „მუხამბაზი ლათაიურის“ ეპიკურეიზმი გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს.

ზოგიერთი ქართველი მკვლევრის მიხედვით ალ. ჭავჭავაძე ანაკრონტელი პოეტია, მაგრამ უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ალ. ჭავჭავაძე „ვარდბუღულიანის“ მომღერალი პოეტი არ იყო. მისი შემოქმედება ამსახველია მე-19 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ეს დასკვნა მიღებულია ღრმამეცნიერული კვლევისა და პოეტის შემოქმედების საფუძვლიანი შესწავლის შედეგად, რაც თავისთავად უკუაგდება ალ. ჭავჭავაძის „ანაკრონტულობას“. მართლაც, ანაკრონტის პოეზია ლიტერატურის ისტორიაში შეფასებულია როგორც მსუბუქი, დროის ტარების, სიყვარულისა და უზრუნველი ცხოვრების აპოლოგია. ანაკრონტის პოეზიამ არ იცის საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი თემატიკა²⁰.

ერთი კი უნდა აღინიშნოს, ანაკრონტის პოეზიის ზოგიერთ ფრაგმენტში (ფრ. 44)²¹ ჩანს არა მხოლოდ უზრუნველობა, არამედ ღრმად მელანქოლიური განწყობილება, წუთისოფლის წუთიერების ტრაგიკული აღქმა: „ჰალარა გავხდი, თმა გამითეთრდა, ნეტარი სიჭაბუკე გაქრა, კბილებიც დამიბერდა, ტკბილი სიცოცხლის ცოტალა დამრჩა. ამიტომ ვტირი გულმდღუარედ, რადგან მეშინია

სიკვდილისა. საზარელია ჰადესის მღვიმე, საშინელია მისკენ მიმავალი გზის ვინც კი ერთხელ იქ ჩავა, ველარ დაბრუნდება“²².

ანაკრენტის პოეზია ფრაგმენტების სახით შემოგვრჩა. თუ კი ანაკრენტის საღაღობო და განცხრომის პოეზიას საფუძვლად ზემოაღნიშნული განწყობილება უდევს, მაშინ ალ. ჭავჭავაძის „ლათაიური“ ანაკრენტულობის ზოგი ელემენტის დანახვა შეიძლებოდა, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი ალ. ჭავჭავაძის „ანაკრენტულობა“ მაინც აღმოსავლური კლასიკური ლიტერატურის გზით შეიძლებოდა ახსნილიყო.

გვგონია, რომ ალ. ჭავჭავაძის „მუხამბაზი ლათაიური“ ჩვეულებრივი აღმოსავლური განწყობილების ლექსია, რომელსაც თავისი მნიშვნელობით არ შეუძლია განსაზღვროს პოეტის ლიტერატურული ორიენტაცია ან კრედო. ჩვენს პოეტს ცხოვრება მოუხდა მეტად რთულ სოციალურ-პოლიტიკურ ეპოქაში, მისი ლიტერატურული შეხედულებანი ჩამოყალიბდა არაერთი და ორი კულტურის შეთვისების საფუძველზე და, ბუნებრივია, პოეტის შემოქმედებითი კრედოც, ლიტერატურული ორიენტაციაც და ესთეტიკური სამყაროც უნდა შეფასებულ იქნეს არა ერთი-ორი პოეტური თხზულების, არამედ მთლიანი შემოქმედებისა და ეპოქის, მათ შორის აღმოსავლური კულტურისა და ლიტერატურის შესწავლისა და გამოყენების საფუძველზე. ეს უკანასკნელი ალ. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევისას ჭერ კიდევ სუსტად არის წარმოდგენილი და ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში არსებულ აზრთა მრავალსახეობაც მისი მიზეზით უნდა ხდებოდეს.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ე ბ ი

1. იმ მკვლევართა შრომების ჩამოთვლა, სადაც ამ საკითხზეა საუბარი, შორის წაგვიყვანდა. აღნიშნულ მოსაზრებათა ერთგვარი კლასიფიკაცია საქართველოში ჩავთვალოთ.
2. ძველი საქართველო, ტფილისი, ტ. II, 1913, იხ. დართული ლექსიკონი.
3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, თბილისი, 1955.
4. ვ. ბ ე რ ი ძ ე, სიტყვის კონა, СПб., 1912.
5. ვ. ე რ ი ს თ ა ვ ი, თხზულებანი, თბილისი, 1966, გვ. 198.
6. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი S 105, 99r; S 1512, გვ. 264.
7. ი. გ რ ი შ ა შ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, თბილისი, 1966, იხ. დართული ლექსიკონი.
8. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1969, გვ. 42-43.
9. იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი S 105, S 1512.
10. Б а р а н о в. Х. К., Арабско-русский словарь, М., 1957.
11. Ш и р а л и е в, Ш. Ш., Об одном редком фонетическом явлении Ф>h, встречаемом в говоре азербайджанского языка, «Доклады Аз ССР», 1961, Т. XVII. № 5. Ш и р а л и е в. Ш. Ш., О звуке «h» в азербайджанском языке, труды АГУ им. С. М. Кирова (сер. филологич.), вып. 5, Баку, 1945.
12. არ არის გამოცემული, რომ ქართულ „ლათაიურ“ მეორე წყარო იყოს აზერბაიჯანული ლათაიურ „ლათაირ“ სიტყვა, რომელიც ნიშნავს უცნაურ, უზრდელ, გაუთვალისწინებელ, უტიფარ, კადნიერსა და თავხედურ ლაპარაკს (Азербайжан дилинин диалектологи лугати, Баку, 1964). ამ ვარიანტის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ „ლათაირს“ ქართულ მნიშვნელობებში латайურ „ლათაირ“-ის ცნებაც გვაქვს. ამის გარდა „ლათაირ“-ის „ლათაია“-დ გარდაქმნის ფონეტიკური პროცესიც უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. აზერბაიჯანული ენის დიალექტებში სიტყვის ბოლოკიდური p-ს დაკარგვა

ჩვეულებრივია; ხოლო დარჩენილ ფუძეზე ქართული „ა“ ხმოვნის დართვა ტექსტში მოყვანილი საილუსტრაციო მასალის ანალოგიურია. ეს ვარიანტი შენიშვნებში იმიტომ გამოვითქანეთ, რომ ი. გრიშაშვილის მიერ მოყვანილი „ლათიხ“ ფორმა, რომელიც ფაქტიურად ქართული „ლათიას“ გენეზისზე მიგვიითყებს, უკავშირდება „ლათაიან“-ს და არა „ლათიან“-ს.

13. სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1884.
14. აღნიშნული ხელნაწერები ეკუთვნის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდს.
15. S1512, გვ. 63r—64v. პროფ. დ. კობიძე აღნიშნულ ლექსს კატეგორიულად არ მიიჩნევს შესაძლებლად.
16. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი S 105, გვ. 99r—100v.
17. აკ. კ ე ნ ჯ ი შ ვ ი ლ ი, აღ. ჰეპეკიაძე (ცხოვრება და შემოქმედება), თბილისი, 1953, გვ. 43.
18. იქვე, თბილისი, გვ. 6.
19. მ. გოგობერიძე, ფილოსოფიის ისტორია, თბილისი, 1941, გვ. 169; თ. კუკავა, დემოკრიტე, ეპიკურე, ფრამენტები, წერილები, თბილისი, 1959, გვ. 24—39; Г о м п е р ц Т., Греческие мыслители, СПб., 1913, გვ. 157—187; Г ю и я М., Мораль Эпикура и ея связь с современным учением, СПб., 1899.
20. Р а д и г, С. И., История древнегреческой литературы, М., 1940, გვ. 109—111; К р у а з е А. и М., История греческой литературы, СПб.; 1912, გვ. 160—163; ს.; შ ა ვ ლ ა შ ვ ი ლ ი, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1971, გვ. 109—129; История греческой литературы, под ред. С. И. Соболевского (и др.), т. I, М.-Л., 1946 და სხვ.
21. ს. შ ა ვ ლ ა შ ვ ი ლ ი, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 197, გვ. 126.
22. იქვე.

Г. Н. ШАКУЛАШВИЛИ

О СТИХОТВОРЕНИИ А. ЧАВЧАВАДЗЕ «МУХАМБАЗИ ЛАТАИУРИ»

Резюме

Перекрестком литературной ориентации Ал. Чавчавадзе принято считать стихотворение «Мухамбази латаиური». Но этимологический анализ слова «латаиа» показал, что его семантическое понятие и, исходя из этого, заглавие не отражают содержания стихотворения.

Не имея автографа названного произведения, можно считать сомнительным, что заглавие стихотворения принадлежит автору.

Следовательно, традиционно существующее соображение, согласно которому «Мухамбази латаиური» критикует этические нормы определенной части грузинского общества XIX века, не обосновано. Стихотворение отличается обыкновенным восточным настроением, и оно не может определить литературную ориентацию поэта.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდ-
 ნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილება
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
 აკადემიის აკადემიკოსმა ნ. ჯიჭიამ

ლიან ზრელაშვილი

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აბრიჯაციისა და გამოცემის ისტორიის საკითხები

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემა საერთოდ და თხზულებათა სრული კრებულისა კი კერძოდ იყო, არის და იქნება განსაკუთრებული მოვლენა, რადგან დიდი ილია ეპოქის შემქმნელია ქართული კულტურის ისტორიაში. დღემდის პ. ინგოროყვამ ყველაზე დიდი ამაგი დასდო მწერლის ნემკვიდრობის გამოშვეურებას. მეცნიერის მიერ გამოცემულ ათომეულში მრავალი ტექსტოლოგიური საკითხი იქნა გადაწყვეტილი, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის შესასწავლი. ამ მხრივ მეცნიერების წინაშე მდგომი ამოცანის შესრულება განსაკუთრებით საშურია დღეს, რადგან დღის წესრიგში იდგას ილიას თხზულებათა სრული კრებულის ახალი აკადემიური გამოცემის განხორციელება. ვფიქრობთ, უკვე დაწყებულ დიდ საქმეს ხელს შეუწყობს ჩვენი შრომა.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, თ. სახოკიას ფონდში, დაცულია ამ მოღვაწის მიერ შედგენილი „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“¹. ჩვენ შევისწავლეთ იგი სხვადასხვა კუთხით: გეარკვიეთ თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფიის“ ურთიერთობა როგორც პ. ინგოროყვას მიერ გამოცემულ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ათომეულთან, ისე გაზ. „ივერიის“ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიასთან. იგი შევეუდარეთ აგრეთვე თვით გაზ. „ივერიას“.

1. „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“. რომლის ტექსტსაც აქვე ვაქვეყნებთ, წარმოადგენს ცალხაზიან რვეულს, რომელიც სიძველის ბეჭედს ატარებს (ხაზები უკვე შეუმჩნეველია). „ბიბლიოგრაფია“ მოიცავს მწერლის 1889—1905 წლების ნაწერებს. თ. სახოკიას თავის შრომა დაუწყია იქიდან, სადაც შეჩერდნენ ისინი, ვინც ავტორთან ხელშეკრულებით, ე. ი. ილიას დავალებით, აწარმოებდნენ მის თხზულებათა სრული გამოცემისათვის წინასწარ სამუშაოებს, — კერძოდ კი ცნობილი გამომცემელი ვარლამ ჭილაძე და თვით წ. კ. გ. სახოგაძოც ი. მანსვეტაშვილის ხელმძღვანელობით (ამაზე ქვემოთ).

„ბიბლიოგრაფიაში“ აღრიცხულია სულ 386 ერთეული, აქედან 253 „მეთაური“ და 133 „ფელეტონი“. „მეთაურების“ წინ მითითებულია გაზეთის ნომერი, ხოლო შემდეგ კი ნაწარმოების დასაწყისი. ყოველი წლის დასაწყისში დასმულია მისი აღმნიშვნელი რიცხვი. ასე, მაგ.:

„ივერია“, 1889.

№ 1. მეთაური, იწყება: „დაღვა ახალი წელიწადი და ნება გვიბოძეთ, ასე გიკვლიოთ“.

ამგვარად არის მოცემული „ფელეტონების“ აღრიცხვაც, მაგ. № 178, 179 ფელეტონი, „წერილი მეგობართან“, „სფირიდონ ჩიტორელიძე“ და სხვა. თ. სახოკია, როგორც „ბიბლიოგრაფიიდან“ ჩანს, თავის შრომისათვის

¹ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაზე“ მივეითთა თ. სახოკიას ასულმა თინათინ სახოკიამ, რომელსაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.



სარგებლობდა საკუთარი ცოდნით, დოკუმენტური წყაროებითა და მეგობარი ძველი მოღვაწეების კონსულტაციებით. 1889 წლისათვის ბიბლიოგრაფს უსარგებლნია ვაზ. „ივერიის“ სარედაქციო კომპლექტით, რომელშიც ზოგიერთ „მეთაურ“ წერილს მიწერილი აქვს ილია ჭავჭავაძის ინიციალები. როგორც ცნობილია, ეს კომპლექტი თავის დროზე ეკუთვნოდა წ. კ. გ. საზოგადოებას, ხოლო ამჟამად კი დაცულია კარლ მარქსის სახ. სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. აღნიშნული კომპლექტიდან თ. სახოკია, მაგ., აკეთებს ასეთ აღრიცხვას: „№ 7. მეცაური, იწყება: ყველაზედ უწინარეს საცნობელი ის არის, რომ საგლეხკაცო ბანკი (ბოლოს ფანქრით აწერია ი)“. აღსანიშნავია, რომ ამ კომპლექტის მიმართ ბიბლიოგრაფი ილიას ინიციალებს არ ჭერდება და აღრიცხავს სხვა ხელმოწერილ „მეთაურებსაც“; მაშასადამე, „ივერიის“ კომპლექტის გარდა მას ჰქონდა სხვა წყაროებიც.

თედო სახოკია, როგორც ვაზ. „ივერიის“ ძველი თანამშრომელი, ჩანს, უშუალოდ იყო ბევრი რამის კურსში. მაგ., იგი თავის მოგონებებში ვრცლად ეხება შიო არაგვისპირელის ბიოგრაფიიდან ერთ მომენტს — მწერლის სასაქლოაზე მუშაობის დროს სპანდარიანცის მიერ „ტრიხინიანი“ ლორების ხორცის ბაზარზე გაყიდვას — და წერს: „ილია ჭავჭავაძემ 1897 წლის „ივერიაში“ №№ 85, 86, 88, 89 და 90 თითოეული გაზეთის ცალგვერდიანი მეთაური უძღვნა ქალაქის სასაქლოაზე მომხდარ საქმეს, საამჟამაოზე გამოიჩანა ქალაქის გასგებობის მელაძეობა, ყოველი მათი დასავგობი საქციელი და ამ საქმეში მონაწილეობა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა“². მკვლევარი უშუალოდ იცნობდა „ახალმოსულის“ ფსევდონიმით ილიას კამათს ნ. ყორდანიასთან და არჩილ ჭორჭაძესთან, რაზეც მას პირდაპირ აქვს ნათქვამი ილიაზე მოგონების ხელნაწერში³.

თ. სახოკია, ჩანს, იმდენად ზედმიწევნით იცნობდა „ივერიას“, რომ, მოგონებების მიხედვით, მოსაუბრეს (თვით პ. ინგოროყვას მიერ მწერლის თხზულებათა ავტორმეულის პირველი გამოცემის შემდეგაც) ილიას ნაწერებზე „ივერიის“ მიხედვით მიუთითებდა: „ერთხელ თედომ, — წერს ალ. სიგუა, — ჩამაწერინა 1897 წლის გაზეთ „ივერიის“ ნომრები (№№ 53, 61, 67, 65, 68, 80, 86, 88, 89, 90, 91, 95) და მითხრა — აქ ხელმოწერილად დაბეჭდილი მოწინავე წერილები ილიას ეკუთვნის. წაიკითხე და გაიგებ, ვინ იყო ილია ჭავჭავაძე: ყოველი მისი მოწინავე წერილი, გარდა თავისი მებრძოლი საზოგადოებრივი მნიშვნელობისა, წარმოადგენს მხატვრულ შედევრს, ქართული ენის მთავარი ძარღვი აქ სცემს“⁴. პატივცემულმა ალ. სიგუამ ჩვენს შეკითხვაზე, როდის ჰქონდა ადგილი ამ ფაქტს, გვითხრა, რომ ეს მოხდა 1934 წელს. მართლაც, ყველა აღნიშნული „მეთაურები“ თ. სახოკიას შეტანილი აქვს თავის „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“.

როგორც მოგონებებიდან ირკვევა, თ. სახოკიას ბოლომდის ახლო ურთიერთობა ჰქონდა სხვა ძველ მოღვაწეებთან. ბიბლიოგრაფის ცხოვრების წესი ისეთი იყო, რომ თითქმის ყოველდღე შეეძლო დაეზუსტებინა მათთან საკითხები: „ბ-ნი თედო საერთოდ ძალიან ორგანიზებული პიროვნება იყო, — იგო-

² თ. სახოკია, ჩემი საუკუნის აღმჩანებები, თბილისი, 1969, გვ. 210.

³ თ. სახოკია, ილია ჭავჭავაძე, გვ. 23, კ. კვავიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, თ. სახოკიას ფონდი, № 309.

⁴ ალ. სიგუა, წერილები და პორტრეტები, თბილისი, 1977, გვ. 48.

ნებს ნინო ნადირაძე, ... მეგობრები მას ბევრი ჰყავდა. კვირის ყველა დღე განკუთვნილი ჰქონდა უახლოესი მეგობრებისათვის: კვირა — ვ. ბარნოვი, ორშაბათი — კალისტრატე ცინცაძე, სამშაბათი — ალ. მიქაბერიძე, ოთხშაბათი — პროფ. ე. შალამბერიძე. ხუთშაბათი — შიო დედაბრიშვილის ოჯახი, პარასკევი — ი. გუნცაძე, ორშობიანი წლებიდან კი ს. ცაიშვილი, შაბათი — ნიკ. ყავრიშვილი⁵. როგორც მოგონების ავტორი აღნიშნავს, იგი თ. სახოკიას იცნობდა 1925 წლიდან.

ცხოვრების აღნიშნული წესის მქონე მოღვაწე მანამდის, ცხადია, ხშირად მოინახულებდა სხვა თავის ძველ მეგობრებსაც, კერძოდ ალექსანდრე და გრიგოლ ყიფშიძეებს, რომლებიც თბილისში ცხოვრობდნენ ბოლომდის. „ა. ყიფშიძეს ვიცნობდი 1891 წლიდან“⁶, — წერს თ. სახოკია, ხოლო გრ. ყიფშიძეს ნეკროლოგში ასე მიმართავდა: „საუკუნოდ იყავნ ხსენება შენი, საყვარელო ძმაო და ძვირფასო მასწავლებლო“⁷. მკვლევარი რომ ამ მოღვაწეების კონსულტაციებითაც სარგებლობდა, ჩანს თ. სახოკიას მიერ 1921 წელს შედგენილი „ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ბიბლიოგრაფიიდან“⁸, სადაც ავტორი ერთგვან პირდაპირ მითითებას აკეთებს: „რამე-რუმე მთისა (დაბეჭდილია კორესპონდენციისებური სამი ფელეტონი. აწერია „მწარია“, ვაჟასი უნდა იყოს. მიიწვ. გ. ყიფშიძეს უნდა ეკითხოს — 24, 25, 27“⁸. (უქანასკნელი რიცხვები გაზეთის ნომრებს აღნიშნავს.—ლ. ჭ.). კონსულტაციების კვალი „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიასაც“⁹ ატყვია. ავტორს 1902 წლისათვის ამოუწერია „მ. ტფილისელის“ წერილებიც, მაგრამ შემდეგ ისევ გადაუხაზავს. ცხადია, ეს საკითხის გარკვევას გულისხმობს. „მ. ტფილისელს“ სხვა ხელით მიწერილი აქვს „მ. მაჩაბელი“.

როგორც „ვაჟა-ფშაველას ბიბლიოგრაფია“, ისე „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“ გვიჩვენებს, რომ თ. სახოკია ფრთხილ კვლევა-ძიებას აწარმოებდა. იგი აღრიცხავდა მხოლოდ იმ ნაწარმოებს, რომლის შესახებ დანამდვილებით იცოდა, სხვა საკითხებს კი უწერდა „საეჭვოა“ და არკვევდა ძველ მოღვაწეებთან ერთად. უქანასკნელის მაგალითები უკვე მოვიყვანეთ, პირველზე კი მიგვიითებენ ბიბლიოგრაფის მინიშნებათ: „1889 წ., № 13 ფელეტონი, ამბავი ყბადასალები და წყალწასალები — პოლემიკა «Тиф. листок»-ის მწერლებთან, აწერს ივერიელი (მე ილიასად მიმანჩია)“, ე. ი. სხვების შესახებ ყოველგვარი ეჭვის გარეშე იცოდა, რომ აღრიცხული ნაწერები ილია ჭავჭავაძის ეკუთვნოდა. თ. სახოკიას როგორც სიფრთხილეზე, ისე ბიბლიოგრაფის ალღოზე მიგვიითებებს „ვაჟა-ფშაველას ბიბლიოგრაფიაც“. ფსევდონიმ „მწარიასთან“ მიწერილი „საეჭვოა“, როგორც ცნობილია, ჩვენს დროში გამართლდა. ს. ხუციშვილმა დაამტკიცა, რომ მკვლევრის მიერ აღრიცხული „რამე-რუმე მთისა“ ბაჩანას (ნიკო რაზვიშვილის) ნაწარმოებია და არა ვაჟა-ფშაველასი⁹. მას „საეჭვოა“ აქვს მიწერილი სხვა შემთხვევაშიც; აი ისინიც: „1884 წ., მეგობრების საუბარი ჩვენს ახლანდელ მდგომარეობაზე“ (აწერია „გორი.

⁵ ნინო ნადირაძე, მოგონება, კრ. „თედო სახოკია“, თბილისი, 1969, გვ. 75.

⁶ თ. სახოკია, ჩემი საუკუნის აღმამანები, თბილისი, 1969, გვ. 211.

⁷ იქვე, გვ. 138. (ხაზი ჩვენია.—ლ. ჭ.)

⁸ თ. სახოკია, ვაჟა-ფშაველას ... ბიბლიოგრაფია, გვ. 8, კ. ქველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, თ. სახოკიას ფონდი, № 307.

⁹ ს. ხუციშვილი, ილია ჭავჭავაძის ერთი წერილისათვის, „ლიტერატურული საქართველო“, 1973, 2 მარტი.



ლ. ზარათელი“ (საეჭვოა)“, „1885 წ. თიანეთი (კორესპ.), აწერია მგელა ხინკალაჰამიაშვილი (საეჭვოა)“, „ხმა მთიდან. კორესპ. (აწერია მგელა ხინკალაჰამიაშვილი, საეჭვოა)“. თ. სახოკიას ეს ეპიკებიც გამართლდა. „ლ. ზარათელი“ საერთოდ უარყოფილ იქნა, ხოლო „მგელა ხინკალაჰამიაშვილი“ ვ. აბრამიშვილის გამოკვლევით აღმოჩნდა ნ. ხიზანიშვილის ფსევდონიმი¹⁰. ყოველივე ეს მიგვიბრუნებს, რომ უპრეტენზიოობითა და პატიოსნებით ცნობილ თ. სახოკიას სახით ფრთხილი და შეუცდომელი ალღოს მქონე ბიბლიოგრაფთან გვაქვს საქმე. ამას ემატება მისი კონსულტაციები ძველ მოღვაწეებთან, რაც ამ მკვლევარის მიერ შედგენილ ბიბლიოგრაფიებს დიდ მეცნიერულ ღირსებას ანიჭებს. კერძოდ ილიას თხზულებათა „ბიბლიოგრაფია“ საწინა საფუძველს ქმნის მწერლის თხზულებათა გამოცემისათვის.

„ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიის“ ღირსების გათვალისწინებისათვის მისი შედგენის თარიღსაც აქვს მნიშვნელობა. „ბიბლიოგრაფია“, სამწუხაროდ, უთარილოა; თუმცა მას გააჩნია რეალიები, რომელთა საშუალებით ხერხდება დაახლოებით ზუსტი თარიღის დადგენა. თედო სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“ ჩვენი აზრით, შეუდგენია 1921 წლამდე ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოებანი: როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, თედომ 1920—1921 წლებში შეადგინა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ბიბლიოგრაფია, რომელიც დათარიღებულია 1921 წლით¹¹. ქალაქის სიძველით ეს ორი შრომა ერთი დროისა ჩანს. „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“ უფრო ძველადაც კი გამოიყურება — რვეულს აღარ აჩნია ხაზები. ილიას თხზულებათა „ბიბლიოგრაფიაში“ ვსადაგზა ჩანიშნულია ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები, რაც საჭირო აღარ იქნებოდა ვაჟას „ბიბლიოგრაფიის“ არსებობის შემთხვევაში. მაგ., 1889 წლის „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აღრიცხვის დროს № 45-ის „მეთაური“ წერილის შემდეგ ჩაწერილია „ჩვენი სოფელი (სურათი)“ ვაჟა-ფშაველასი, № 45, მე-3 გვ.; ეს ჩანაწერი „ბიბლიოგრაფიის“ ავტორს შემდეგ ფრჩხილებში ჩაუსვამს და გადაუხაზავს. ასევე: 1890 წლის ილიას თხზულებათა აღრიცხვის დროს „ივერიის“ მე-20 ნომრის „მეთაური“ წერილის შემდეგ ჩაწერილია: „ამავე მე-20 №-ში ვაჟას „პატარა სცენა“¹². ორივე აღნიშნული ნაწარმოები ვაჟას „ბიბლიოგრაფიაში“ თავის ადგილზე ზის. მიგვაჩნია, რომ ამ „ბიბლიოგრაფიის არსებობის შემთხვევაში მსგავსი ჩანიშვნები საჭირო აღარ იქნებოდა.

ზოგიერთი გარემოება მივიანიშნებს იმაზე, რომ თედო სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“ არსებობდა პავლე ინგოროყვას მიერ განხორციელებული ილიას თხზულებათა ათტომეულის პირველი გამოცემის წინ. მაგ., როგორც ცნობილია, პ. ინგოროყვას 1927 წელს „სფირიდონ ჩიტორელიძე“ ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმიდან მიაჩნდა, რის გამო „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი „სფირიდონისა და თადეოზის ბაასთან“ ერთად „ივერიაში“ დაბეჭდილი ერთი წერილიც მწერლის თხზულებათა მეოთხე ტომში შეიტანა; მაგრამ მკვლევარმა ს. ხუნდაძისა და სხვების მიერ მითითებული

¹⁰ ვ. აბრამიშვილი, ვაჟა-ფშაველას ერთი ფსევდონიმისათვის, „ლიტერატურული საქართველო“, 1969, 31 ოქტომბერი.

¹¹ თ. სახოკია, ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ბიბლიოგრაფია, ვ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, თ. სახოკიას ფონდი, № 307.

¹² თ. სახოკია, ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია, ვ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, თ. სახოკიას ფონდი, № 309.

ახალი ცნობების გამო შეხედულება შეიცვალა და მომდევნო ტომში საკითხის შესახებ სპეციალური შენიშვნა დაბეჭდა, სადაც უარყო თავისი პირველი შეხედულება. ეს გარემოება იმ დროს ყოველი კულტურული აღმანიანისათვის ცნობილი იყო. მიუხედავად ამისა, თედო სახოკიას თავის „ბიბლიოგრაფიაში“ ვაზ. „ივერიაში“ სფირიდონ ჩიტორელიძის ხელმოწერით დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილები უყოყმანოდ აქვს შეტანილი. ვფიქრობთ, „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“ 1927 წლის შემდეგ რომ შეედგინა თედო სახოკიას, მომზდარ მეცნიერულ ფაქტზე რეაგირებას მოახდენდა. თედო სახოკია პავლე ინგოროყვას აზრს, ჩვენი აზრით, უუქვევოდ იცნობდა, რადგან გამოცემის შენიშვნებიდან ჩანს, რომ მკვლევარი ამა თუ იმ საკითხის, კერძოდ ატრიბუციის, გარკვევის დროს მასაც მიმართავდა. იმავეზე მიგვიითხება ისიც, რომ თედო სახოკიას მეშვეობისა — თინათინ სახოკიასთან ახლაც ინანება თედოს ნაწილი ილიას თხზულებათა პავლე ინგოროყვასეული გამოცემის ტომები, რომლებზეც თედო სახოკიას უმუშავია კიდევც.

თედო სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“ რომ ილიას თხზულებათა აღნიშნულ გამოცემაზე ადრე არსებობდა, მიგვიითხება სხვა გარემოებანიც. თ. სახოკია 1889 წლის თხზულებათა აღრიცხვის დროს წერს: „№ 13, ფელეტონი. ამბავი ყბადასალები და წყალწასალები, პოლემიკა «Гидр. Писток»-ის მწერლებთან, აწერია ივერიელი — მე ილიასად მიმანია“. აქ „ბიბლიოგრაფიის“ დათარიღების თვალსაზრისით საყურადღებოა შემდეგი: რატომ წერს თ. სახოკია კატეგორიულად „მე ილიასად მიმანია“, როცა ეს პუბლიცისტური წერილი 1928 წელს პ. ინგოროყვას ი. ჭავჭავაძის თხზულებათა IX ტომში შეტანილი აქვს არტემ ახნაზარის დასტურის მიხედვით. ტომში პ. ინგოროყვას დამოწმებული აქვს ა. ახნაზარის ნიშანდობლივი ჩვენება: „მეორე პამფლეტი „ამბავი ყბადასალები და წყალწასალები“ ხელმოწერილი „ივერელის“ ფსევდონიმით, — წერს მკვლევარი, — რომ ილიას ფაქტების, ეს დაამოწმა ივერიის თანამშრომელმა არტემ ახნაზარმა: ჩვენს შეკითხვაზე პატივცემულმა არტემ ახნაზარმა გადმოგვცა, რომ იგი აწარმოებდა ვაზ. ივერიაში ფელეტონების განყოფილებას და კერძოდ ეს პამფლეტი ილიამ მის ივერიაში ყოფნის დროს დაწერა და კორექტურაც მასთან გაასწორა“¹³. ვფიქრობთ, ამ პირდაპირი მითითების დაბეჭდვის შემდეგ თ. სახოკია კატეგორიულად ვეღარ დაწერდა, რომ „ივერიელის“ ფსევდონიმით დაბეჭდილი წერილი „ამბავი ყბადასალები და წყალწასალები“ მას მიაჩნდა ილიას ნაწარმოებად. ასეთი შენიშვნა სხვა „დასტურის“ არსებობას ან ამ ნაწარმოების ილიას თხზულებათა გამოცემაში არსებობას გამორიცხავს.

პ. ინგოროყვას 1929 წელს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი ტომის ბოლოს „ილიას ფსევდონიმებში“ გარკვეულად აქვს ჩაწერილი: „ფირუზა — მოწერილი აქვს პარტო ერთს პუბლიცისტურ ლექსს: „ორხმიანი საახალწლო ოპერეტი“. ტომში ლექსი დაბეჭდილია 332—343 გვერდებზე; ხოლო თ. სახოკია თავის „ბიბლიოგრაფიაში“ 1895 წლის თხზულებათა დასაწყისშივე წერს: „№ 4 დაბეჭდილია საახალწლო ექსპრომტი და შიგ ილია ჭავჭავაძეცა“. ეს ნაწარმოები კი სწორედ „ორხმიანი საახალწლო ოპერეტი“. დასკვნა: შამსადაძემ თ. სახოკიას მიერ „ბიბლიოგრაფიის“ შედგენის დროს დაბეჭდილი არ იყო საერთოდ პ. ინგოროყვას გამოცემა; წინააღმდეგ შემთხვე-

¹³ ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IX, თბილისი, 1938, გვ. 398.



ვაში წარმოუდგენელია ისეთი ბიბლიოგრაფი და დიდი პასუხისმგებლობის მქონე მოღვაწე, როგორც თ. სახოკია იყო, რომ არ დაინტერესებულყო, რა მიაჩნდათ მის თანამედროვე გამომცემლებს ილიას ფსევდონიმებად, და ისე დაეწყო მწერლის ბიბლიოგრაფიის შედგენა. მან უბრალოდ არ იცოდა, რომ „ფირუზა“ ილიას ფსევდონიმი იყო და ბიბლიოგრაფიაშიც ის ჩაწერა, რაც იცოდა. ყველა ფაქტი, ჩვენი აზრით, გვიჩვენებს, რომ თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“ არსებობდა პ. ინგოროყვას მიერ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი გამოცემის განხორციელებამდე და თ. სახოკიას მიერ „ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ბიბლიოგრაფიის“ შედგენის უწინარეს, ე. ი. 1920 წლამდის.

ვფიქრობთ, ზოგიერთი ფაქტი თარიღის უფრო დაზუსტების საშუალებასაც იძლევა. თ. სახოკიამ კარგად იცის, რომ „ახალმოსული“ ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმია. მას „ბიბლიოგრაფიაში“ შეტანილი აქვს ამ ფსევდონიმით არჩ. ჭორჯაძის წინააღმდეგ გამოქვეყნებული წერილები, მაგრამ არაა შეტანილი ნოე ყორღანის წინააღმდეგ მიმართული პუბლიცისტური ნაწერები. ეს გარემოება მიგვაჩინა იმის ნიშნად, რომ „ბიბლიოგრაფიის“ შედგენის დროს ნოე ყორღანა უკვე სახელმწიფოს მეთაური იყო, რასაც თ. სახოკიამ ნაწარმოში ანგარიში გაუწია. ამდენად „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“ დავათარიღეთ 1917—1920 წლებით. ამ ფაქტს, ჩვენი აზრით, გარკვეული მნიშვნელობა აქვს, რადგან იმ დროს თ. სახოკიას „მასწავლებელი“ გ. ყიფშიძე თბილისში იყო და მკვლევარს მასთან კონსულტაციის მიღება ყოველთვის შეეძლო, რომ აღარაფერი ვთქვათ „ივერიის“ სხვა ძველ თანამშრომლებზე, რომელთაც კვირაში რომელიმე დღეს უეჭველად იხანულებდა.

II. „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიის“ პ. ინგოროყვას მიერ გამოცემულ ილიას თხზულებათა ათტომეულთან შედარებამ გვიჩვენა: 1889—1905 წლებიდან პ. ინგოროყვას „ათტომეულში“ შეტანილი აქვს 102 ხელმოწერილი „მეთაური“ ვაზ. „ივერიისა“ და აგრეთვე „ფელეტონები“, მათში შედის ხელმოწერით გამოქვეყნებული ნაწერებიც, როგორცაა „ქვეთა ღალადი“ და სხვა. ე. ი. თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფიის“ 386 ერთეული ყოველ შემთხვევაში ადასტურებს „ათტომეულის“ მასალას, რომლის ატრიბუცია (ცხადია, გარდა ხელმოწერილი „ფელეტონებისა“) პ. ინგოროყვამ მოახდინა სხვა წყაროების საშუალებით: კვლევა-ძიებით და ძველი მოღვაწეების, მათ შორის თვით თ. სახოკიას, დასტურით. ეს გარემოება, ჩვენი აზრით, თ. სახოკიას მიერ შედგენილი „ბიბლიოგრაფიის“ ღირსებაზე მიგვანიშნებს. იქ შეტანილ ნაწერებს ილია ჭავჭავაძეს მიაკუთვნებდა არა მარტო თ. სახოკია, არამედ მკვლევარი პ. ინგოროყვაც და ის ძველი მოღვაწეებიც, რომელთაც ამა თუ იმ საკითხის გარკვევის დროს მიმართავდა მეცნიერი (არ. ახნაზარი, გ. ლასხიშვილი, თ. სახოკია და სხვა). თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფიის“ ტექსტში ნაწარმოებები, რომლებიც შესულია „ათტომეულში“, აღნიშნული გვაქვს ერთი ვარსკვლავით.

ზოგიერთ შემთხვევაში შეინიშნება განსხვავება თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფიას“ და პ. ინგოროყვას მიერ გამოცემულ „ათტომეულს“ შორის. რამდენიმე „მეთაური“ „ათტომეულში“ შეტანილი აქვს პ. ინგოროყვას და არ არის აღრიცხული თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფიაში“. მაგ., 1889 წლის „ივერიის“ მეხუთე ნომრის მოწინავე და მეცამეტე ნომერში დაბეჭდილი „არ გათეთრდება ყორანი“ თ. სახოკიას შეტანილი არა აქვს თავის „ბიბლიოგრაფიაში“, მაგრამ ირკვევა, რომ ეს შემთხვევითობაა. პ. ინგოროყვა მათი ატრიბუციის გამო

წერს: „ხუთი წერილი 1889 წლისა (18, 19, 23, 34, 35) აღნიშნულია ილიას ინიციალებით გაზეთ „ივერიის“ სარედაქციო კომპლექტში 1889 წლისა, № 2651“¹⁴. იგივე არის აღნიშნული ივერიის 245 ნომრის „მოწინავეს“ შესახებ, რომელიც პ. ინგოროყვას გამოცემაშია და არა აქვს აღრიცხული თ. სახოკიას. იგივე გამოირკვა 1891 წლის 167-ე ნომრის, 1893 წლის 28-ე ნომრის, 1894 წლის №№ 189, 201 ნომრების, 1895 წლის № 11, 245 ნომრების, 1897 წლის 190—225 ნომრების შესახებ. ისინი არ არის აღრიცხული თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფიაში“, მაგრამ სათანადო დასაბუთებით — სარედაქციო კომპლექტის ჩვენების თუ ძველი მოღვაწეების დასტურის საფუძველზე — „ათტომეულში“ შეტანილი აქვს¹⁵ პ. ინგოროყვას. ეს გარემოება, ვიმეორებთ, მიგვანიშნებს თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფიის“ ღირსებაზე, რადგან მასში მოცემულია თ. სახოკიასათვის უდავოდ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები, ხოლო რაც დანამდვილებით არ იცოდა, არ შეუტანია. რაც შეეხება შემთხვევებს, როცა სარედაქციო კომპლექტზე სათანადო მითითებების მქონე ნაწარმოებია გამოტოვებული, ეს, ცხადია, გამორჩენილ მასალაზე — ბიბლიოგრაფიულ ლაფსუსზე მიგვანიშნებს და არა იმაზე, რომ ისინი თ. სახოკიას სადავოდ მიაჩნდა¹⁶.

III. თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფიის“ გაზ. „ივერიის“ „ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიისთან“ შედარებამ შემდეგი სურათი მოგვცა: 1889—1900 წლების ფარგლებში ცნობილ ბიბლიოგრაფებს, თ. მაჭავარიანს და სხვებს „ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში“ პ. ინგოროყვასაგან განსხვავებით ი. ჭავჭავაძის თხზულებებად აღრიცხული აქვთ კიდევ 81 „მეთაური“ წერილი და 92 ფელეტონი. თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფია“ ადასტურებს 67 „მეთაურს“ და 80 ნომრის „ფელეტონს“.

ყურადღებას იქცევს ამ ბიბლიოგრაფებს შორის არსებული განსხვავებაც. იგი წარმოდგება ზოგ შემთხვევაში იქიდან, რომ თ. სახოკიას გარკვეული მოსაზრებით მასალა განგებ არა აქვს აღრიცხული. მან იცის, რომ „ახალმოსულის“ ფსევდონიმით თუ ხელმოწერის გარეშე, „პატარა საუბრები“ ი. ჭავჭავაძისა არის, მაგრამ ტოვებს იმ წერილებს, რომლებიც მიმართულია ნოე ყორღანისა წინააღმდეგ. ეს ცხადია, ბიბლიოგრაფის პრაქტიკული მოსაზრება იყო 1917—1920 წლებში. განსხვავება ნაწილობრივ აიხსნება გაზეთის კომპლექტის არასისრულით ან რაიმეს ყურადღებიდან გამორჩენით, რადგან მკვლევარს, მაგ., აღრიცხული არა აქვს 1899 წლის გაზეთის 230-ე ნომერში დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა ბარონ დე-ბაისთან შეხვედრის დროს; ასევე, თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფიაში“ არ არის ილიას სიტყვა თეატრის 50 წლისთავეზე, რომელიც დაბეჭდილია 1900 წლის „ივერიის“ მე-4 ნომერში. აქვეა გამოტოვებული ი. ჭავჭავაძის დეპეშა ივანე თარხნიშვილისადმი (№ 4C) და ილიას წერილი რედაქციის მიმართ, რომელშიც მწერალი, მადლობას უხდის მათ, ვინც კითხულობდა მისი ჯანმრთელობის ამბავს, ასეთი შემთხვევები, რასაკვირველია, ბიბლიოგრაფიული ლაფსუსებია და არა ის, რომ

¹⁴ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VIII, თბილისი, 1957, გვ. 359.

¹⁵ იქვე, ტ. IX, გვ. 320.

¹⁶ სარედაქციო კომპლექტთან დამოკიდებულებაში პ. ინგოროყვას და თ. სახოკიას ბიბლიოგრაფიის შორის განსხვავება დამაფიქრებელია. 1920 წლის შემდეგ მოწინავეებს „ი“ ხომ არავინ დაუმატა. მოულოდნელია, რომ ასეთი წერილი თ. სახოკიას გამორჩენოდა.

4. მაიკნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, № 2

თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფია“ არ ადასტურებს „ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ მასალას.

„ანალიტიკური ბიბლიოგრაფიისა“ და თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფიის“ მცირე განსხვავება „ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში“ აღრიცხული მასალის უარყოფის საფუძველს არ იძლევა. თ. მაჭავარიანისა და სხვა ბიბლიოგრაფების ვარაუდები ანგარიშგასაწევე მოსაზრებაზე არიან დამყარებულნი და მკვლევარს მათი აზრისადმი დადებითად განაწყობს. მაგ., თ. სახოკიამ, როგორც ჩანს, ზუსტად არ იცოდა, „ივერიაში“ ფსევდონიმი „ივერიელი“ ნამდვილად იყო თუ არა ილია ჭავჭავაძისა. ამიტომ იგი, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, სათანადო წერილის ბოლოს წერს: „მე ილიასად მიმაჩნია“.

დასახელებული ფსევდონიმისადმი გარკვეული დამოკიდებულება ბოლო დრომდის გრძელდება. პ. ინგოროყვამ აღნიშნული ნაწარმოები შეიტანა „ათტომეულში“. „ივერიელი“ ი. ჭავჭავაძის ფსევდონიმიდან დასახელა, მაგრამ „ათტომეულში“ არ შეიტანა ამ ხელმოწერით გაზ. „ივერიის“ „მეთაური“ წერილები, რომლებიც დაბეჭდილია 1894 წელს (№№ 21, 22, 23). პლ. კეშელავამ ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია და „ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში“ ეს პუბლიცისტური წერილები სამართლიანად აღრიცხულია, როგორც ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები.

„ივერიელისადმი“ ეჭვის საფუძველი არ არსებობს. როცა დაიბეჭდა „ამბავი ყბადასალები და წყალწასალები“, იმავე ხანებში უფრო „თეატრმა“ დაბეჭდა კარიკატურა, რომელზეც გამოხატული ლომი („ივერიელის“ წარწერით) თათით სრესს «Тиф. Листоки»-ის თანამშრომლებს— „ვანოს“ და „დ. კეხელის“— სახეებიან ორთავიან ურჩხულს¹⁷. ეს ფაქტი ი. ჭავჭავაძის ავტორობაზე მიგვითითებს. ამდენად სწორია პლ. კეშელავას ვარაუდი, რომელიც ფსევდონიმსა და წერილის სტილთან ერთად შინაარსსაც ეყრდნობა. პუბლიცისტური ნაწარმოების თემა კახეთის რკინიგზის საკითხია, რომელსაც ილია ჭავჭავაძე არა მარტო დასტრიალებდა, არამედ შეძლებისდაგვარად მეურვეობდა კიდევ. ყოველი წერილის განხილვა შორს წაგვიყვანდა, თუმცა ისინი სულ ერთი ათეულით განისაზღვრება. ვფიქრობთ, სწორედ ეს განსხვავებანიც თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფიის“ ღირსებაზე მიგვითითებენ. ზგი აღრიცხავდა მხოლოდ ისეთ მასალას, რომლის შესახებ ყოველგვარი ეჭვის გარეშე იცოდა, რომ იგი ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა.

ამრიგად, თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფიის“ „ივერიის“ „ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიასთან“ შედარება გვიჩვენებს: ძველი მოღვაწის მიერ შედგენილი „ბიბლიოგრაფია“ წერილობითი დასტურია იმ ნაწარმოებისთვისაც, რომლებიც თ. მაჭავარიანმა, პლ. კეშელავამ და სხვებმა გაზ. „ივერიაში“ მიაკუთვნეს ილია ჭავჭავაძეს. მეორე მხრივ გამოცდილი და დიდი ბიბლიოგრაფიული აღიარების მქონე მკვლევრები თავიანი მიგნებებით უეჭველს ხდიან თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფიის“ ღირსებას.

„ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ მასალა, რომლის ავტორად თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფია“ ი. ჭავჭავაძეს ასახელებს, „ბიბლიოგრაფიის“ ტექსტში ორი ვარსკვლავით გვაქვს აღნიშნული.

IV. გაზ. „ივერიასთან“ თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიის“ შედარებამ გვიჩვენა შენდები: 1889—1905 წლების ფარგლებში თ.

¹⁷ უფრო „თეატრი“, 1889, № 5.

სახოკიას „ბიბლიოგრაფია“ ძირითადად შეიცავს თიოქმის ყველა იმ „მეთაურს“, რომლებიც ხელმოუწერლად არის გამოქვეყნებული. როგორც ზემოთ, დაინახეთ, სხვადასხვა მიზეზით გამოჩენილია ზოგიერთი „მეთაური“, მაგრამ ისინიც შემთხვევით არის გამოტოვებული. ირკვევა, რომ ეს „მეთაურები“ სხვა წყაროების მიხედვით — პ. ინგოროყვას, თ. მავჭარიანის და პლ. კეშელავას გამოკვლევებით — ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. ამ ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ისეთ ხელმოუწერელ წერილებზე, რომლებიც ვახ. ივერიის: „სხვა ბიბლიოგრაფიებთან“ შედარების შემდეგ, საერთოდ რომელიმე ავტორზე აღურიცხავნი დარჩნენ. ასეთი აღმოჩნდა სულ შვიდი წიგნი: 1889 წელს გაზეთის 140-ე, 220-ე და 230-ე ნომრების „მეთაურები“, 1890 წლის 59-ე ნომრის მეთაური და 1893 წლის 206-ე, 207-ე და 250-ე ნომრის მეთაურები. ჩვენი აზრით, ეს წერილებიც ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის და შემთხვევით დარჩნენ ბიბლიოგრაფების ყურადღების გარეშე.

1889 წლის 140-ე ნომრის „მეთაური“ ეხება ჯორდანო ბრუნოსათვის იტალიაში ძეგლის აგებას და ამ ფაქტზე პაპისა და შთაფრობის რეაგირებას. წერილს აქვს მხატვრული შესავალი: „ამჟამად პოლიტიკის ცა ცოტად თუ მეტად წარბ-შეკრულია, — წერს ავტორი, — თუმცა გაზეთები დაბეჯითებით, გადაწყვეტილს ვერას ამბობენ, წვიმად წამოიქუხნებს ეს ხშირი ღრუბელი, თუ მშვიდობიანობის ქარი ამოვარდება საიდგანმე და გაჰფანტავს“ მას. ბოლოს განსაზღვრულია გაზეთების ამბების მნიშვნელობა იტალიის პოლიტიკური მოქმედებისათვის. „ეს შინაური უთანხმოება, — წერს ავტორი, — ცოტად თუ ბევრად-კი ხელს უკრავს იტალიას და ნებას არ აძლევს საერთაშორისო პოლიტიკაში თამამად გაერიოს“. ედიქტობთ, მხატვრულ შესავალთან ერთად წერილის მთელი სტილი, განსაკუთრებით აქ მოყვანილი მწერლის სპეციფიკური გამოთქმები: „ხელს უკრავს“, „თამამად გაერიოს“, აგრეთვე „ცოტად თუ ბევრად-კი“, ილია ჭავჭავაძის ავტორობაზე მიგვიითხებს.

იმვე წლის 220-ე ნომრის „მეთაური“ ეხება საქართველოში თავდაზნაურობისათვის სახელმწიფო ბანკის დაარსებას. ავტორი ადარებს არსებულ სათავადაზნაურო ბანკს სახელმწიფო ბანკს და ბოლოს აღნიშნავს კრედიტის არსს: „კრედიტი, — წერს იგი, — რაც უნდა სუბუქი იყოს, მაინც ტვირთა და ტვირთი. ტვირთს, რაც უნდა სუბუქი იყოს, ზიდვა უნდა და სწორედ აქ არის ის ფონი, რომელიც წინდაუხედავს არჩობას“. როგორც ხედავთ, წერილი ეხება ისეთ თემას, რომელიც ილიას პუბლიცისტიკაში მუდმივად იყო მსჯელობის საგანი. მოყვანილი ციტატაც და წერილის მთელი შინაარსიც ილიას ცნობილი კონცეფციაა: თავდაზნაურობას ღუპავდა უყიარაობა და არა ბანკის კრედიტი, უკანასკნელის გონიერი გამოყენებით ფონს გასვლას და არა „დარჩობას“ ურჩევდა ქართველ მემამულეებს ილია ყოველთვის. ამდენად, ედიქტობთ, ეს ხელმოუწერელი ნაწარმოებიც ი. ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის.

მესამე „მეთაური“ ამ წლისა (№ 230) ეხება რუსეთისა და გერმანიის იმპერატორების მოლაპარაკებას და გაანალიზებულია ამ მოვლენაზე იტალია-ავსტრიის რეაგირება. ავტორი წერს: „რასაკვირველია, თ. ბისმარკი — ეს გენიოსი კაცი გერმანიისა — მეტისმეტად მოხერხებულია ყოველ ამისთანებში, მაგრამ მოხერხებასაც თავისი საზღვარი აქვს, რომელს იქით ყოველივე შემძლებლობა ადამიანისა უქმია. ჩვენის ფიქრით, ზემოხსენებული ამბავი, ნაუწყი გაზეთებისაგან, დასაჯრი არ არის და ნათქვამია მარტო იმისათვის, რომ ჯერ ხანად საჭიროა მაგისი თქმა, რადგანაც გერმანიის ცოტა არ იყოს,



აბრუ გაუტყდება ევროპაში“. გამოთქმები: „შემძლებლობა“, „ჭერ ხანაძე“, „მავისი თქმა“, „სოტა არ იყოს, აბრუ გაუტყდება“ და საერთოდ თვით ბისმარკის შეფასება („ეს გენიოსი კაცი გერმანიისა“), ვფიქრობთ, ილია ჭავჭავაძეზე მიგვითითებს. ეს გამოთქმები და ბისმარკის შეფასებაც ორგანული ნაწილია ამავე თემაზე დაწერილი (ძალიან ბევრი) სხვა წერილებისა, რომლებიც უღადვოდ ილიას კალამს ეკუთვნის.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ბიბლიოგრაფიებისა და კვლევა-ძიების გარეშე დარჩენილია 1890 წლის 58-ე ნომრის „მეთაური“. იგი ეხება ისევ გერმანიის კანცლერის — ბისმარკის სამსახურიდან განთავისუფლებას. წერილის სტილი ილიაზე მიგვითითებს. ილია „ივერიის“ დაარსებიდანვე საჭიროზე მეტ ყურადღებასაც კი უთმობდა „რკინის კანცლერის“ მოღვაწეობას (ამაზე იმ დროს მიუთითებდნენ კიდევ), ამიტომ უცნაურიც კი იქნებოდა, რომ ბისმარკის კარიერის დასასრული მწერლის ყურადღების გარეშე დარჩენილიყო. ამ „მეთაურის“ ილიასადმი კუთვნილებაზე მიგვითითებს 63-ე ნომრის მოწინავე წერილიც, რომელიც შეტანილი აქვთ თ. სახოკიასა და სხვებს ბიბლიოგრაფიებში. ეს ორავე წერილი ერთ თემას ეხება, 63-ის „მეთაურში“ ავტორია უბრუნდება 58-ე ნომრის მოწინავე წერილის საკითხს. ამ წერილებს შორის სხვა განსხვავებაც არ შეიმჩნევა; პირიქით, პირველი უფრო აქცენტებს ი. ჭავჭავაძის სტილს, წლების განმავლობაში ამ საკითხით დაინტერესებას და ახალი ფაქტით გამოწვეულ განცდას.

1893 წლის „ივერიაში“ მხოლოდ ერთი ხელმოწერილი წერილია, რომელსაც „ბიბლიოგრაფიები“ და მკვლევრები ილია ჭავჭავაძეს არ მიაკუთვნებენ. ან უკეთ მწერლის ნაწარმოებად არ არის აღრიცხული. წერილი ეხება წინადადებას, რომ სათავადაზნაურო ბანკმა კრედიტი ვალად სათურქესტანის მხარესაც აძლოს. ავტორს წინადადება მისაღებად მიჩანია და საჭიროდ სცნობს, შესწავლილ იქნეს იქაური ვითარება. ვფიქრობთ, საკითხს აქვს პრაქტიკული მხარე — ბანკის მიერ კრედიტის ვალად გაცემის საზღვრების გაფართოება, რომელიც თავმჯდომარის ან გამგეობის კომპეტენციაში შედიოდა. ამიტომ წერილის ავტორად ილია ჭავჭავაძე უნდა მივიჩნიოთ, საკითხის დადებითად გადაწყვეტა წინასწარ მხოლოდ მას შეეძლო. ამ შეხედულებას მხარს უჭერს ნაწარმოების სტილი, თემა ხომ ილიას ნაწერების საყოველთაოდ ცნობილი თემაა.

V. თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“ პ. ინგოროყვას გამოცემისა და „ანალიტიკური ბიბლიოგრაფიისა“ განსხვავებით ილიას ნაწარმოებად დასახელებულია ვაზ. „ივერიის“ კიდევ 64 „მეთაურა“ წერილი. მათი ცალ-ცალკე განხილვა შორს წაგვავანდა. ისინი ისეთივე ხასიათის ნაწარმოებებია, როგორც იყო ზემოთ განხილული შვიდი „მეთაური“, ილიას ნაწარმოებებად საერთოდ რომ არ არის აღრიცხული. ამ თხზულებათა ენა, სტილი, თემა და სხვა კომპონენტები აშკარად მიგვანიშნებენ, რომ ისინი ილიას ნაწერებია და თ. სახოკიას სამართლიანად აქვს აღრიცხული. ის გარემოება, რომ თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფიის“ უდიდესი ნაწილი დღეისთვის ნახევარსაუკუნოვანი კვლევა-ძიებით უკვე დადასტურებულია, აღნიშნული 64 „მეთაურის“ ილიასადმი კუთვნილების თავდებოცაა. საფუძველი არა გვაქვს, რომ არ ვერწმუნოთ ამ ძველი მოღვაწის მიერ შედგენილ „ბიბლიოგრაფიას“. მას დღევანდელ მკვლევართან შედარებით, როგორც დავინახეთ, მუშაობისათვის დიდად ხელსაყრელი პირობები ჰქონდა: თ. სახოკია თვითონ იყო „ივე-

რისი“ ყოფილი თანამშრომელი და ახლო ურთიერთობა ჰქონდა სხვა ძველ თანამშრომლებთანაც, რომელთა კონსულტაციებით უსარგებლია „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიის“ შედგენის დროს.

ჩვენი აზრით, ვაზ. „ივერიის“ ხელმოწერული მოწინავე წერილების ატრიბუციის საკითხი თანამედროვე დონეზე ახლებურად დგება: რადგან ყოველი „მეთაური“ დოკუმენტურად ილიას სახელს დაუკავშირდა, დასამტკიცებელია არა ის, ეს წერილები ეკუთვნის თუ არა ილია ჭავჭავაძეს, არამედ ის, რომელი მათგანი არ ეკუთვნის „ივერიის“ რედაქტორს. ჩვენ პირადად 1889—1900 წლების ფარგლებში ასეთი ხელმოწერული „მეთაური“ არ გვეგუფლებოდა; ისინი ყველა როგორც დოკუმენტური ჩვენებით, ისე შინაარსობრივად თუ ენობრივ-სტილური ნიშნებით ილიას ნაწარმოებებია. მიგვაჩნია, რომ ილიას თხზულებანი როგორც „ივერიაში“ დაბეჭდილი, ისე არქივებში დატული ყველა ხელმოწერული მეთაური წერილი.

თ. სახოკიას „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“, ვფიქრობთ, „ივერიის“ „მეთაურების“ ატრიბუციის მიმართულებით ქართული ფილოლოგიური აზრის განვითარებასაც ადასტურებს. ცნობილია, პ. ინგოროყვას შემდეგ თ. მაჭავარიანმა და პლ. კეშელავამ დაიწყეს „ივერიის“ ხელმოწერული მოწინავე წერილების ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებად აღრიცხვა „ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში“. მათი შეხედულებანი 1962 წლის დეკემბერში განიხილა მეცნიერთა კოლექტივმა. კამათში მონაწილეობა მიიღეს: პ. კანდელაკმა, ვლ. ზამბახიძემ, ს. ხუციშვილმა, ა. კენჭოშვილმა, შ. გოზალიშვილმა, ა. გაჩეჩილაძემ და სხვებმა. მათ ძირითადში მიიღეს ბიბლიოგრაფების დასკვნები, მაგრამ კვლევა-ძიების აუცილებლად გაგრძელების საჭიროებაც მოითხოვეს. შეხედულება, რომ ხელმოწერული მოწინავეები ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, გამოთქვა შ. გოზალიშვილმა, რომელიც, რამდენადაც ვიცით, ამ აზრს დღემდეც ადგას. მაგ., მკვლევარმა აღნიშნა: „მოწინავეები, რაც ხელმოწერილი არ არის, უეჭველად ილიას კალამს ეკუთვნის“, მაგრამ იქვე ვლ. ზამბახიძემ შენიშნა: „საბუთებით უნდა დამტკიცდეს“¹⁸.

თ. მაჭავარიანისა და პლ. კეშელავას მიერ ახლადგამოვლენილი ნაწერების ატრიბუცია, მართლაც, გაგრძელდა. აკად. გ. ჯიბლაძემ ბიბლიოგრაფების მიერ ილიას კუთვნილებად მიჩნეული ნაწერები მწერლის მსოფლმხედველობის გაშუქების დროს გამოიყენა თავის მონოგრაფიაში „ილია ჭავჭავაძე“¹⁹. ნ. შალუტაშვილმა წიგნში „ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები თეატრის შესახებ“ სტილური ანალიზით გაამაგრა ბიბლიოგრაფების შეხედულება. ი. ლორთქიფანიძემ სპეციალურად შეისწავლა 1891—1892 წლების „ივერიის“ მოწინავეები და დაასკვნა, რომ ამ წლებში რედაქტორის მიერ მოწინავე წერილების ხელმოწერულად ბეჭდვა წესად ჰქონიათ ამ გაზეთში²⁰. დღეს თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფიის“ შესწავლა გეიჩვენებს, რომ სწორი ყოფილია ჯერ კიდევ იონა მუხნარგას მიერ 1886 წელს მოწოდებული ცნობა, რომ „ივერიაში“ ორ-სამ მოწინავე სტატიის გარდა, რაც რამ პოლიტიკური და სხვა არაპოლიტიკური სტატიები იყო, სულ ილიასი არის“» „ორი-სამი მოწინავე“ — ეს არის

¹⁸ ილია ჭავჭავაძის უცნობის ნაწერებისადმი მიძღვნილი სხდომების ოქმები, 1962 წ. 27 დეკემბერი, გვ. 7, გ. მარქსის სახ. საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკის არქივი, № 26.

¹⁹ გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე, თბილისი, 1966.

²⁰ ი. ლორთქიფანიძე, ილია ჭავჭავაძის თხზულებების გამოცემის სრულყოფილათვის, „ლიტერატურული საქართველო“, 1980 წ. 15 თებერვალი.

რუსული პრესიდან გადმოღებული „მოწინავეები“, რაც ჩვეულებრივ აღნიშნულიცაა გაზეთში.

თუ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მომავალ აკადემიურ გამოცემაში, არსებული გამოცემებისაგან განსხვავებით, თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფიაში“ დასახელებულ 24 ერთეულსაც შევიტანთ (გვერდის ავლის უფლება უკვე აღარ გვაქვს), ცხადია, ახალი გამოცემა 4—5 ტომით გაიზრდება.

„ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“ ყურადღებას იქცევს ფსევდონიმებით გამოქვეყნებული ნაწარმოებები. როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, „ივერელას“ შესახებ თ. სახოკია წერს: „ფელეტონი, ამბავი ყბადასალები და წყალწასალები (პოლემიკა «Тифл. Листок»-ის მწერლებთან, აწერს „ივერიელი“ (მე ილიასად მიმაჩნია)“. სხვა შემთხვევაში მასალა ასეა აღრიცხული: „№ 88, ფელეტონი, წერილები სხვადასხვა რაგინდარამ (წერილი პირველი), აწერია სფირიდონ ჩიტორელიძე“; „№ 89, იგივე“, „ფელეტონი, წიგნი გადაღმიდან, სფირიდონ ჩიტორელიძის“; „№ 178, 179, ფელეტონი, წერილი მეგობართან“, სფირიდონ ჩიტორელიძის“; „ფელეტონი: ნიკოლოზ ბარათაშვილი (პატარა ეტუდი ერთის წერილიდან ამოღებული), ქვეშ აწერია XXX და ფანქრით ილია ჭავჭავაძე“; „1895, № 4 დაბეჭდილია საახალწლო ექსპრომტი და შიგ ილია ჭავჭავაძეცა“; „1902, № 21, ფელეტონი, გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჭორჭაძის ფსიხოლოგია, აწერს „ახალმოსული“; „№ 44 ფელეტონი: არაპატარა საუბარი. ახალმოსული“, 1891 წელს 117-ე ნომრის მომდევნოდ თ. სახოკიას ამოუწერია „მანოელიძის“ „მეთაურები“ და 202-ე და 208-ე ნომერში დაბეჭდილი „ქართული თეატრი“, რომლებიც შემდეგ გადაუხაზავს. 1891 წლის 275-ე ნომრას შემდეგ ბიბლიოგრაფს ჩაწერილი აქვს: „სოფრომ მგალობლიშვილის ფსევდონიმთაგანი (ციკია, „პროვინციელი“-ის. ივერია, 1892, № 72, „ხმა პროვინციიდან“)“ 1900 წლის 95-ე ნომრის შემდეგ ამოწერილია 1902 წლის ივერიის მეთაურები შემდეგი ნომრებისა: 1, 131, 132, 133, 136, 137, 138, 140. ყოველ ნომერს საერთოდ მიწერილი აქვს ტექსტის დასაწყისი. ბიბლიოგრაფს, ჩანს, საკითხის გარკვევის შემდეგ გადაუხაზავს. ასევეა 1902 წლის 44-ე ნომრის შემდეგ, სადაც ამოწერილია „მ. ტფილისელის“ წერილები „სოფელი და სოფელელი“, რომლებიც შემდეგ კვლავ გადახაზულია. „მ. ტფილისელს“ სხვა ხელით მიწერილი აქვს „მ. მაჩაბელი“.

როგორც ვხედავთ, თ. სახოკიამ ილია ჭავჭავაძის ზოგიერთი ფსევდონიმი დანამდვილებით იცოდა, როგორიცაა: სფირიდონ ჩიტორელიძე და***, ხოლო ზოგის შესახებ კი, კერძოდ „ივერიელის“ მიმართ, ვარაუდი აქვს გამოთქმული. თ. სახოკიასათვის ჭერ ცნობილი არ ყოფილა, რომ „ფიროუზა“ ილიას ფსევდონიმი იყო, რადგან „ორხმიანი ოპერეტკა“ აღრიცხულია როგორც მასალა მწერლის შესახებ.

„ბიბლიოგრაფიაში“ მკვლევარს პირველად „მანოელიძის“ (არტემ ახნაზარის) და „მ. ტფილისელის“ (მ. მაჩაბელის) წერილებიც კი შეუტანია, მაგრამ შემდეგ კვლევა-ძიებით, ძველ მოღვაწეებთან კონსულტაციებით ვაურკვევია და დაუზუსტებია ისინი. ამრიგად, ვფიქრობთ, ცხადია, რომ თ. სახოკიას „ბიბლიოგრაფიის“ სახით საქმე გვაქვს „ივერიის“ ძველი თანამშრომლების კოლექტიური ცოდნით დადასტურებულ დოკუმენტთან.

„ბიბლიოგრაფიაში“ დასახელებული ფსევდონიმებიდან ჩვენს ფილოლოგურ მეცნიერებაში შექმნილი ვითარების მიხედვით განსაკუთრებულ ყურად-

ლებას იპყრობს ფსევდონიმი „სფირიდონ ჩიტორელიძე“, სხვა შრომაში გამოსახული თარებული გვაქვს შეხედულება, რომ სფირიდონ ჩიტორელიძე როგორც „საქართველოს მოამბეში“, ისე ვაზეთ „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმი. ამდენად მიგვაჩნია, რომ თ. სახაკიამ ფსევდონიმი სამართლიანად შეიტანა თავის ნაშრომში. ვაზ. „ივერიის“ ძველ თანამშრომელს, რომელიც (თავის მასწავლებელ გრ. ყიფშიძესთან და სხვებთან კონსულტაციებით) საპეციალურად მუშაობდა ილიასა და ვაქას ბიბლიოგრაფიების შედგენაზე, ჩვენი დასტური, რა. საკვირველია, არ სჭირდება: მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ საკითხში ზოგიერთი მკვლევრის პოზიციის გამო შეუძლებელიც შესაძლებელი ხდება. ამდენად იძულებული ვართ დოკუმენტები და რამდენიმე მოსახრება წარმოვადგინოთ შრომის ამ ნაწილის დასასაბუთებლად.

სფირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმიც ყურნ. „საქართველოს მოამბეში“ და ვაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებული ნაწერების შესახებ შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესიაზე წაკითხული მოხსენების თეზისებში აღნიშნული გვაქვს: „ვაზ. „ივერიაში“ სფირიდონ ჩიტორელიძის ნაწერების რეალიები ცალმხრივად არის შესწავლილი. მათში მოიპოვება მ. ყიფიანის ავტორობის როგორც სასარგებლო, ისე გამომრიცხველი ფაქტები. პირველი ნამდვილი ავტორის დაფარვისათვის გამოყენებული საშუალებანია, ხოლო მეორე სახის ფაქტები კი გვიჩვენებენ, რომ თხზულებათა ავტორი თბილისში მყოფი ილია ჭავჭავაძეა და არა ვლადიკავკაზში (ძაუჯი-ყაუში) მყოფი მ. ყიფიანი“²¹. ამ ჩვენ ვგულისხმობდით შრომის იმ ნაწილს, სადაც მსჯელობა გვაქვს იმის შესახებ, რომ რეალიების შინაარსი და მისი დოკუმენტური შესწავლა გვიჩვენებს: პუბლიცისტური წერილებისათვის ბოლოს მიწერილი „ძაუჯი-ყაუ“ (კავკავი), სადაც იმყოფებოდა ნიხ. ყიფიანი, რეალურ მნიშვნელობას მოკლებულია და გამოყენებულია მხოლოდ ნამდვილი, თბილისში მყოფი ავტორის დასაფარავად. ტექსტის რეალიები შესწავლილი უნდა იქნეს მწერლის მიერ განგებ შექმნილი წინააღმდეგობის გახსნის გზით. ამ თვალსაზრისით გაანალიზებული გვაქვს მრავალი რეალია, რომელთაგან ამჯერად წარმოვადგენთ მხოლოდ ერთს.

1889 წელს ვაზ. „ივერიის“ 88-ე ნომერში სფირიდონ ჩიტორელიძე ერთი კონცერტის რეცენზიის გამო აკრიტიკებს იაკობ სვიმონიძეს, ე. ი. იაკობ გოგებაშვილს, და წერს: „**კუმ ფები გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო, უნდა მარაქაში გარევა.** ერთი ყური დაუგდეთ იაკობ სვიმონისძეს (51, „ივერია“, 1889), **მუზიკალურს კრიტიკოსსა, როგორ იქმანება.** ისეთს ალტაცებაში მოუყვანია დარდაკოვის (ტარტაკოვის. — ლ. ჭ.) სიმღერას, რომ ცხელდება მორეულივით ჰბოდავს... ფაფას, ფაფლუქს, ფაფუქს ამსგავსებს დარდაკოვის ხმას. ამას გარდა სტერეომეტრიულის საწყაოთი ჰზომავს დარდაკოვის სიმღერის ღირსებასა და ისე ლუწურტად და უგემურად აქებს, რომ მგონია ისიც არ დაეჯერება, რომ თვითონ ავტორსაც მოსწონებოდეს იმისი სიმღერა! ან კი რაში გამოიყენებს დარდაკოვი ქართულ ქებას. რუსულად რომ დაეწერა, მაშინ იქნება დარდაკოვს ვაზეთი წაელო თან და **განთქმულ მუსიკალური კრი-**

²¹ ლ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ყურნ. „საქართველოს მოამბეში“ და ვაზ. „ივერიაში“ სფირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმიც გამოქვეყნებული ნაწერების ატრიბუციის საკითხი, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XIII სესიის თეზისები, თბილისი, 1978, გვ. 10.

ტიკოსის ნათქვამით თავი მოეწონებია ვისთვისმე, თუ არა, რა გამოვიდა, თუ-
 კი ვერაფერში გამოიყენებს დარდაკოვი თავის მთარაშის კიკიკის. ასეთი
 არეულობა არის ჩვენს პატარა ქვეყანაში. სვიმონიძეებს, ბერიძეებს, ქორი-
 ძეებს თავის სამშობლოსი ვერა გაუგიათ რა და სხვას რას გაიგებენ“.

ჩვენ კვლევის დროს მხედველობაში ვიღებთ ი. გოგებაშვილისა და მიხ.
 ყიფიანის როგორც ურთიერთობას, ისე მათ დამსახურებას ქართული კულტუ-
 რის წინაშე; აქ გასათვალისწინებელია აგრეთვე თვით ილიას დამოკიდებულე-
 ბა ამ მოღვაწეებისადმი. მიგვაჩინა, რომ არც მ. ყიფიანი იკადრებდა ი. გოგე-
 ბაშვილის გამოლანძღვას და არც ილია დაუბუქდავდა სხვას ამ ლანძღვას თა-
 ვის გაზეთში. მ. ყიფიანს არ შეეძლო „დედა ენის“ შემქმნელისათვის უპასუ-
 ხისმგებლოდ ეთქვა: „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ ნახირაო, უნდა მარაქაში
 გარევა“, „ცხელეზამორეულივით ჰბოდავს“, „იწმანება“, „ლუყურტად და
 უგემურად აქებს“, „განთქმული მუსიკალური კრიტიკოსი“, „თავის მთარაშის
 კიკიკის“, სვიმონიძეს არაფერი გაეგება თავისი სამშობლოსიო და სხვა.

ფაქტის დოკუმენტურ მხარეს როცა ვსწავლობთ, ირკვევა, რომ მიხ. ყი-
 ფიანი თავისუფალია აღნიშნული ბრალდებისაგან, რომელსაც უყენებს მას ზო-
 გიერთი მკვლევარი. კონცერტი, რომლის გამოც სფირიდონ ჩიტორელიძე ლან-
 ძღავს ი. გოგებაშვილს, შედგა 1889 წლის 5 მარტს. წ. კ. გამავრცელებელი
 საზოგადოების ფონდში დაცულია მიხ. ყიფიანის მიერ გამგეობისათვის ძა-
 უჯი-ყაუდან გამოგზავნილი მიმართვები, რომელთა შორის ერთ-ერთი დათარი-
 ლებულია 1889 წლის 6 მარტით. მიხ. ყიფიანი გადალმიდან თხოულობდა ქეით-
 რების ათი წიგნაკის გაგზავნას²². ვფიქრობთ, გასაგებია პატივცემული მკვლევ-
 რებისათვის, რომ 5 მარტს იგი თბილისში კონცერტს ვერ დაესწრობოდა. მით
 უარესი, ე. ი. მიხ. ყიფიანმა „ძაუჯი-ყაუდან“ იაკობ გოგებაშვილი გამოლან-
 ძღა იმ კონცერტის გამო, რომელიც არც მოუსმენია და არც უნახავს; ასეთი
 რამ ჯერ არ მომხდარა და ნამდვილად უსამართლოდ აწუხებენ მკვლევარები
 უპატიოსნესი კაცის სულს.

აღნიშნული სახის წინააღმდეგობა ახასიათებს „ივერიაში“ დაბეჭდილი
 წერილების სხვა რეალობასაც; 1889 წლის „ივერიის“ 85-ე ნომერში გამო-
 ქვეყნებულ წერილში ავტორს წერს, რომ ნ. გაბუნიას ჩვენებური სიმღერების
 კონცერტი „მე თითონ ვნახე ქართულს თეატრში“ და „გაოცებული დავრჩიო“.
 კონცერტი ქართულ თეატრში შედგა 7 თებერვალს, მიხ. ყიფიანს კი სწორედ
 ამ დღეს ხელმოწერით რეზოლუცია აქვს დადებული საბუთზე ძაუჯი-ყაუში²³.
 არის შემთხვევა, როცა სფირიდონ ჩიტორელიძის წერილებში რეაგირებაა ჯერ
 დაუბუქდავ წერილებზე. ჩვენ კვლევის დროს ყურადღება მივაქციეთ იმასაც,
 რომ სადავო ნაწარმოებები იბეჭდებოდა ტექსტში დასახელებული „ივერიის“
 ნომრების გამოსვლიდან 5—6 დღის შემდეგ, მაშინ როდესაც მარტო ფოსტის
 წასვლა-მოსვლას ათ დღეზე მეტი უნდოდა. იქიდანვე ჩანს, რომ წლის ბოლო
 თვეებში მიხ. ყიფიანი თითქმის მეორე დღეს კავკავში კითხულობდა თბილისი-
 დან გაგზავნილი „ივერიის“. თვით მიხ. ყიფიანის მიმართვები, რომლებშიც გამო-
 გზავნილია წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობისადმი, მიღებულია მაქსიმუმ თო-
 თხმეტი, საშუალოდ რვა და მინიმუმ 5 დღეში. ფოსტის წასვლა-მოსვლის გათ-

²² საქართველოს სსრ ციხე, ფონდი 481, ანაწ 1, საქმე 206, გვ. 1, 21.

²³ ჩრდილო ოსეთის ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 242, აღწ. I, საქმე 657, გვ. 5, 7, 9, 10.

ვალისწინებით „ივერიის“ პუბლიცისტურ წერილები, როგორც გვიჩვენებენ, არც ერთი არ შეიძლება დაეწერა მიხ. ყიფიანს. ამ კვლევა-ძიების ჩატარების შემდეგ ვაკეთებთ დასკვნებს, რომ პუბლიცისტურ წერილების ბოლოს მოწერილი „ძაუჯი-ყაუ“ თუ სათაურები „წერილები გადაღმიდგან“ და სხვა რეალური მნიშვნელობისა არ არის და გამოყენებულია მხოლოდ თბილისში მყოფი ნამდვილი ავტორის — ილია ჭავჭავაძის — ვინაობის დასაფარავლად²⁴.

როგორ ხსნიან რეალებს და როგორ ხედებიან ამ მიმართულებით მიმდინარე კვლევას საწინააღმდეგო თვალსაზრისის ავტორები. «„ივერიაში“ დაბეჭდილ წერილებში გვხვდება... ინდივიდუალური თვისების მატარებელი გამოთქმები, — წერს ი. ლორთქიფანიძე, — „ის სტერეომეტრიულის საწყაოთი ჰზომავს დარდაკოვის სიმღერის ღირსებას“... ამ სპეციფიკურ გამოთქმას, როგორც სტილისტურად დამახასიათებელს, ატრიბუციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება (ილიას ლექსიკაში მსგავსი ცნებების ხმარება არ გვხვდება)»²⁵.

«სფირილონ ჩიტორელიძის» ფსევდონიმით არც ერთი ისეთი წერილი არ დაბეჭდილა „ივერიაში“, — წერს დ. გამეზარდაშვილი, — რომლის მიხ. ყიფიანისეულობის რაიმე არგუმენტი, ან თუ გნებავთ, საფუძვლიანი ვარაუდი საეჭვოდ ხდიდეს. ამ წერილების უმეტესობას (ხაზი ჩემია. — ლ. ჭ.). გარდა იმისა, რომ მათ ახლავთ საგანგებო მითითება დაწერის ადგილის „ძაუჯი-ყაუ“ შესახებ, შინაარსობრივადაც აშკარად ამჩნევიათ, რომ ისინი თბილისიდან მოცილებით არიან დაწერილი და გამოგზავნილი; შევასხენოთ ისიც, — შენიშნავს მკვლევარი ალ. კალანდაძის მიმართ, — რომ მიხ. ყიფიანი კავკავში მუშაობის დროს მოწყვეტილი არ ყოფილა თბილისის ცხოვრებას. ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, მას სამსახურებრივი მოვალეობაც კი იძულებულს ხდიდა, მჭიდრო კონტაქტი ჰქონოდა თბილისთან, კერძოდ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან და მის მესვეურებთან»²⁶.

ერთი წუთით დავუჭეროთ პატივცემულ მკვლევარებს. დავუშვათ, რომ მართალია ი. ლორთქიფანიძე, როცა ის წერს: „სტერეომეტრიულის საწყაოთი ჰზომავს დარდაკოვის სიმღერის ღირსებას“ მხოლოდ მიხ. ყიფიანს უნდა ეთქვა და არა ილია ჭავჭავაძეს, მაშინ ისიც ხომ მართალი უნდა იყოს, რომ იმავე მიხ. ყიფიანს შეეძლო ეთქვა იაკობ გოგებაშვილისათვის, შენცა ხარ რა, „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო“ და სხვა სალამდავი სიტყვები. ყოველფეც უნდა დაეიჭროთ მიხ. ყიფიანის ნათქვამად იმ კონცერტის შესახებ, რომელიც მას არც მოუსმენია და არც უნახია. ასეთი შეუძლებლობა რომ უნდა დაეიჭეროთ, ფიქრობს დ. გამეზარდაშვილიც, რომელიც წერს: „მიხ. ყიფიანი კავკავში მუშაობის დროს მოწყვეტილი არ ყოფილა თბილისის ცხოვრებას“. ჩანს, მკვლევრები ყველაფრის დაჭერებას მოგვთხოვენ: უნდა დაეიჭეროთ, რომ მიხ. ყიფიანი 5 მარტს დაესწრო ტარტაკოვის გამოსათხოვარ კონცერტს, იმავე ღამეს გადაევიდა ჯერ ისევ ჩაკეტილ ჯვრის უღელტეხილს და, რადგან წ. კ. გ. საზოგადოებაში ქეთრების წიგნაკები დააიწიყა, კავკავში ჩასვლისთანავე 6 მარტს დილით მომართვა გამოუგზავნა გამგეობას, არიქათ

²⁴ ლ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ე ლ რ ნ. „საქართველოს მოამბეში“ და გაზ. „ივერიაში“ სფირილონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწერების ატრიბუციის საკითხი, ეურნალისტიკის საკითხები, III, თბილისი 1981. (აქვე გვაქვს მოცემული საკითხის ისტორია).

²⁵ ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ე ის ე ჯ უ თ ვ ნ ის ფ ს ე ვ ლ ი ნ ი მ ი — „სფირილონ ჩიტორელიძე“, ეურნალისტიკისა და თეორიის საკითხები, VI, თბილისი, 1978, გვ. 494.

²⁶ დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი, ვ ა ნ ა ხ ა ვ ს კ ა ც მ ა ნ პ ი რ უ თ ე ნ ლ მ ა ნ, თბილისი, 1980, გვ. 63.

ქვიტრები გამოიგზავნეთო, შემდეგ კი დალილი დაჯდა წერად იაკობ გოგებაშვილის ლანძღვისა.

დასახელებულ მკვლევართა მსჯელობიდან თუ გამოვალთ, უფრო მეტი უნდა დავიჭეროთ. მიხ. ყიფიანს ხომ სასწაული უნდა მოეხდინა, რომ ერთსა და იმავე დროს — 7 თებერვალს — თბილისში ნ. ვაბუნიას კონცერტსაც დასწრებოდა და ძაუჯი-ყაუში საბუთზეც მოეწერა ხელი. ასეთი ორად გაჭრა ბუნებაში არ ხდება და ამიტომ ჰეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს პატივცემული მკვლევარების წარმოდგენებს. ილიას, რომელიც მიწების გამიჯნაზე წლების განმავლობაში მუშაობდა, არაფერი ესწავლებოდა ელემენტარული მათემატიკური ტერმინებისა. სფირიდონ ჩიტორელიძის მიერ გაზ. „ივერიაში“ დაბეჭდილ პუბლიცისტურ წერილებში, თუ მათი რეალიების წინააღმდეგობას გამოვიკვლევთ, უხვი ფაქტები მოიპოვება იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ: მათ ავტორობასთან საერთო არაფერი აქვს მიხ. ყიფიანს. ისინი ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებს წარმოდგენენ, აქედან კი წყდება „საქართველოს მოკვების“ წერილის საკითხიც, რადგან, როგორც დ. გამეზარდაშვილიც ამბობს, ჩიტორელიძე წერს. „ბაასი“ მე დავწერო.

იაკობ გოგებაშვილს კონცერტზე დასწრების გარეშე კავკავიდან არათუ მიხ. ყიფიანი შეკადრებდა ლანძღვას, თვით თბილისში მყოფ ილიას მიმართაც საფიქრებელია: რატომ და როგორ გააკრიტიკა მან თავისი თანამებრძოლი იაკობი ასეთი გამეტებული მიმართვებით. ამ საკითხზე ვრცელი მსჯელობა გვაქვს სხვა შრომაში (იხ. დასახელებული შრომა), აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ ტექსტი რედაქტორის უფლებამოსილებას (რამდენადმე უფლებაზე გადაჭარბებასაც კი) ამჟღავნებს, რადგან, ვარდა იაკობის გამეტებისა, ტარტაკოვის გვარი გადაკეთებულია „დარდაკოვად“. სხვას ასეთ წერილს რედაქტორი არ დაუბეჭდავდა, ხოლო თვითონ კი საამისოდ ნამდვილი მიზეზი უნდა ჰქონოდა. ირკვევა, რომ ილიას, მართლაც, ჰქონდა ამის მიზეზი. იაკობ გოგებაშვილმა ადრე გამოთქვა ილიას საწინააღმდეგო გაუმართლებელი აზრი, რომელსაც ჩიტორელიძეს ამოფარებულმა ილიამ მკაცრი პასუხი გასცა. ი. გოგებაშვილი გაუჩუმიდა მას; ჩანს, გაარკვია თუ ვის ეყუთვნოდა მის წინააღმდეგ მიმართული წერილი. ილიას ცნობილ ნაწარმოებებთან სადავო წერილების შეპირისპირება გვიჩვენებს, რომ მწერალი ჩიტორელიძის ფსევდონიმით პუბლიცისტურ წერილებს წერდა სხვა ნაწარმოებებში დასმული საკითხების დამატებითი პოპულარიზაცია-განმარტების მიზნით (იხ. ზემოთ ხსენებული ჩვენი შრომა).

საწინააღმდეგო თვალსაზრისის მკვლევარები „ივერიაში“ დაბეჭდილი სფირიდონ ჩიტორელიძის პუბლიცისტური წერილების რეალიებს პირდაპირი მნიშვნელობით იგებენ; ისინი ფიქრობენ, რომ რადგან წერილებს „ძაუჯი-ყაუ“ აქვს ბოლოს მიწერილი, ავტორიც კავკავში უნდა ყოფილიყო. როგორც დავინახეთ, ამ ნიშანს არავითარი რეალური მნიშვნელობა არა აქვს. იგი მხოლოდ რეალური ავტორის დაფარვის საშუალებაა. მკვლევარების შეცდომა წარმოდგება იქიდან, რომ ისინი ვერ სწვდებიან ტექსტის რეალიების წინააღმდეგობრივ ხასიათს, რომლის ახსნაშია ჰეშმარიტების მიგნების გზა. შეცდომას იწვევს ის გაფრთხილება, რომ კვლევის დროს მხედველობიდან არის გამოტოვებული ილია ჭავჭავაძის მიერ ქართულ პუბლიცისტკაში დამკვიდრებული წარმოსახულ ადრესატთან მცდარი რეალიების მომარჯვებით მიწერის თუ მიწერ-მოწერის ხერხი; ეს ხერხი განსაკუთრებით ფართოდ იყო გამოყენებული გაზ. „ივერიაში“. ბაშირ-ეფენდი თბილისიდან თეირანში წერდა წერილებს ჰამზას,

ხოლო ვაჟა-ფშაველას კი მიწერ-მოწერა ჰქონდა თავის მეგობარ ექვთიმესთან. 1893 წელს „ივერიაში“ დაბეჭდილია „თეირანიდან ტფილისს, წერილი მეგობართან“, რომელსაც ხელს აწერს „მენი მარად ერთგული ჰამზა“. წერილის პასუხიც დაიბეჭდა „ტფილისიდან თეირანს“, რომელსაც ხელს აწერს „ბაშირ-ეფენდი“. ამ პუბლიცისტურ წერილებში განჭიქებულია ვაზ. „კვალის“ მიმართულებები²⁷.

არასერიოზულობა იქნებოდა, რომ ჰამზა და ბაშირ-ეფენდი თეირანში ან თბილისის თათრებში გვექებნა, რადგან მსგავსად „ძაუჯი-ყაუსი“ წერილები თეირანიდანაც იწერება. მართლაც, როგორც ვ. აბრამიშვილმა დოკუმენტურად დაამტკიცა, „ბაშირ-ეფენდი“ ნ. ხიზანიშვილის ფსევდონიმი²⁸. „ჰამზაც“ ქართველია, ჩვენი აზრით, ილია ჭავჭავაძე; მაგრამ აქ ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ ამ მიწერ-მოწერას აწარმოებენ თბილისში მყოფი პირები. აი, ეს პუბლიცისტური ხერხი, რომელიც განსაკუთრებული რელიგიურობით ამ მასალებში ჩანს, გამოყენებული აქვთ ვაჟა-ფშაველასაც და სფირიდონ ჩიტორელიძესაც, ანუ ილია ჭავჭავაძეს. როგორც თეირანს, ისე ძაუჯი-ყაუს არავითარი რეალური მნიშვნელობა არა აქვთ.

ამრიგად, „ივერიაში“ დაბეჭდილი სადავო წერილების შინაარსი, მათი რელიგიების წინააღმდეგობების დოკუმენტური გახსნა გვიჩვენებს, რომ თ. სახოკიას სავსებით სამართლიანად აქვს შეტანილი სფირიდონ ჩიტორელიძის ნაწერები მის მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“.

²⁷ მენი მარად ერთგული ჰამზა, თეირანიდან ტფილისს, წერილი მეგობართან; იხ. აგრეთვე: ბაშირ ეფენდი. ტფილისიდან თეირანს, ვაზ. „ივერია“, 1893, №№ 41. 45.

²⁸ ვ. აბრამიშვილი, ნიკო ხიზანიშვილის ფსევდონიმები, ეჭურნ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1979 წ., № 4, გვ. 66.

Л. П. ЧРЕЛАШВИЛИ

ВОПРОСЫ АТРИБУЦИИ И ИСТОРИИ ИЗДАНИЯ СОЧИНЕНИЙ ИЛЬИ ЧАВЧАВАДЗЕ

Резюме

В работе изучены историко-литературные вопросы, связанные с трудом Т. Сахокия «Библиография сочинений Ильи Чавчавадзе». Автор считает, что все произведения, представленные в этой «Библиографии», должны войти в будущее академическое издание сочинений И. Чавчавадзе. В связи с этим по сравнению с предыдущими изданиями оно увеличится на четыре—пять томов.

Л. Чрелашвили подготовил к изданию указанную выше «Библиографию». В труде представлены также неизвестные архивные материалы. По мнению Л. Чрелашвили, эти документы еще раз подтверждают, что спорный псевдоним «Спиридон Читорелидзе» принадлежит Ильи Чавчавадзе.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის
 სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

СУЛХАН ЖОРДАНИЯ

ПРОБЛЕМА ЦЕНТРАЛЬНОГО СИМВОЛА
 В «ВИТЯЗЕ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ»

«Красота, которую я прозреваю
 своим умственным взором, радостна,
 победоносна и могуча, и она
 покорит весь мир!»

Кьеркегор

Шота Руставели — вершина духовной культуры грузинского народа. Поэма его является шедевром мировой поэзии. Научное изучение бессмертной поэмы началось с ее появления в печатном виде в 1712 году¹. Однако наиболее плодотворному всестороннему анализу поэма подверглась после установления в Грузии Советской власти.

Руставели — апологет красоты, любви, дружбы, патриотизма². «В истории мировой литературы, включая позднее средневековье, — пишет И. Абашидзе, — трудно подыскать другое произведение, в котором внутренний мир человека был бы раскрыт с такой глубиной и с таким совершенством. Одновременно, редко встречаем мы художника с таким самозабвением увлеченного и очарованного духовной и физической красотой человека. В поэме Руставели находим настоящий культ человеческой красоты»³.

На протяжении веков разношерстные реакционно-консервативные круги, в основном, церковно-клерикальное общество, ожесточенно боролись с поэзией Руставели, с поэзией посягавшей на человеческую жизнь и радости⁴. «Неизбежно оставаясь, в целом, на почве средневековой идеологии, — пишет в связи с этим П. А. Шария, — Руставели делает опромный шаг вперед в сторону преодоления церковно-религиозного мракобесия»⁵.

Исследователи поэтики «Витязя в тигровой шкуре» едины в утверждении особой высокохудожественности слога Руставели. По словам А. Г. Барамидзе, «Вепхисткаосани» представляет собой такой памятник, в котором достигнуто высшее совершенство единства формы и содержания. Ученый отмечает метафоричность основополагающим

¹ А. Г. Барамидзе, Шота Руставели, Тб., 1975, с. 3 (на груз. языке).

² См. цит. произв., с. 117—145.

³ И. Абашидзе, Слова, дороги, образы... Тб., 1971, с. 42 (на груз. языке).

⁴ А. Г. Барамидзе, указ. раб., с. 456.

⁵ П. А. Шария, Творчество Руставели на фоне творчества его великих современников. В книге: «Проблема эстетики и теории литературы», Тб., 1979, с. 226; см. также на груз. языке: К. Гамсахурдия, Критика, I, Тб., 1956, с. 18; М. И. Дудучава, Эстетические воззрения Шота Руставели, Тб., 1966, с. 116—117; Э. Г. Хинтибидзе, Мировоззренческие проблемы в поэме Руставели «Вепхисткаосани», Тб., 1975, с. 364—365.



959. «Ему, прекрасному, как солнце, никто не может нанести урона»
 1518. «Идем, я соединю тебя, льва, с солнцем, пойдём быстрее!»

Ассоциируя прекрасное в человеке с солнцем, поэтическая фантазия Руставели постоянно возвращается к великому светилу. Естественно, что высокая частотность использования тропа «солнце ≈ человек» в рамках одной поэмы не может не повлиять на его предсказуемость, новизну и, естественно, на вносимую им в текст эстетическую инфермацию. Для того, чтобы троп не потерял оригинальность, самобытность, автор поэмы с удивительным мастерством обновляет его. Одним из способов обновления тропа является изменение, модификация плана выражения, при неизменности плана содержания. Неоднократно красота человека обозначается соперничеством с солнцем. О Тинатин говорится:

34. «Когда она подросла (наилась), она затмевала солнце».
 38. «Дай царствовать той, кем солнце покорено».
 51. «Тинатин затмевала солнце, а солнце подражало Тинатин».
 66. «Поклялся он жизнью Тинатин, которая была краше солнца».
 101. «Она (Тинатин) соперничала с солнцем».
 286. «Ныне послала меня та, с которой ни солнце, ни эфир не могут сравниться».

Красота Нестан-Дареджан тоже неоднократно выражается способом соперничества человека с солнцем, в котором красота человека выходит неизменным победителем:

377. «Той, на которую даже солнце стеснялось смотреть:
 От нее, лучи которой затмевают даже дневной свет».
 548. «Солнце не могло освещать окрестности ярче, чем она».
 1417. «Та, что столь же светлее солнца, сколь хрусталь светлее смолы!».

Соперничество красоты героев поэмы с красотой солнца иногда искусно переплетается с развитием тропа в других направлениях, усиливающим впечатление всеобъемлемости и наглядности. Троп в таких случаях обогащается новыми признаками, эстетическими атрибутами. Они могут быть связаны с впечатлением, с физическим воздействием красоты человека на созерцающих его, с детализацией, конкретизацией эффекта действия красоты на окружающую реальность, с невозможностью описания ее человеческим языком. Вот какое развитие находит рассматриваемое явление в устах Фатьман, когда она рассказывает о красоте Нестан-Дареджан:

1119. «Солнцу было бы достаточно, если бы оно могло сравниться с ней красотой».
 1120. «Когда дева повернулась в мою сторону, лучи упали на скалу,
 Сияние ее ланит разлилось меж землей и небом;
 Я прищурила глаза, не могла доле глядеть на нее, как на солнце».
 1124. «Клянусь, поскольку она солнце, солнцу не пристало быть солнцем.
 Кто может выдержать ее свет, кто может передать ее черты!».

Порой эффект, создаваемый рассматриваемым тропом, заключается не в его распространенности, а в употреблении его в таком контексте, где он как-то особенно живо, ярко и выпукло «смотрится». Рисуя такие, как будто бы реальные, а не моментальные, воображаемые карти-

ны, Руставели с необыкновенной пластичностью заставляет не только слышать о красоте человека, но и **видеть** ее. Иногда это достигается путем контраста и описанием эффекта влияния красоты человеческой на созерцающих ее, иногда путем неожиданного помещения солнце-человека в необычайно конкретное, но логичное, в ракурсе разума, положение:

685. «Горделиво восседало солнце на троне».

Такие тропы как-то особенно запоминаются и врезываются в память. Сравните с этим такой библейский образ, тоже интересный тем, что объект мысли увиден в необычайно алогичной, но яркой перспективе:

«И увидел я одного Ангела, стоящего на солнце».

Солнце на троне и ангел на солнце — здесь поэтическому воображению есть где раздвинуть крылья. А вот и в самом деле ослепляющий своим неестественно ярким светом троп:

1213. «В одну очень темную ночь мы двигались полем,

Посередине поля вдруг вспыхнул яркий свет;

Мы сказали: «Неужели это солнце, спустившееся на землю?».

1214. «Одни сказали: «Это утренняя заря», другие говорили: «Это луна»;

Из сияния послышался голос, говорящий нам».

Данный троп примечателен еще и тем, что он как-то особенно убедительно направляет интеллект читателя на ожидание появляющегося из сияния **божества**. Путники в поэме тоже думали, что имеют дело с неземным созданием. Однако из сияния слышен голос человека, женщины, красавицы Нестан-Дареджан. План выражения развернутого тропа очень напоминает некоторые пассажи Библии и древнегрузинской агнографической литературы, но в отличие от них, он направлен не на бога, его посланников и святых, а на посюстороннее существо. Уже было отмечено, что Руставели часто обращается к солнцу, как к единице плана выражения тропового мышления. Показательным является тот факт, что при обновлении тропа «солнце≈человек», который в своей простейшей форме иногда в контексте поэмы не выделяется особой экспрессивностью, автор часто обогащает его смысловую структуру признаками, так или иначе связанными с понятием света. О Тинатин говорится:

33. «Мироосвещающее светило, к солнечной группе (системе) причисленное».

43. «Да озарит она всех, как лучезарное солнце».

673. «Тинатин, светилу немеркнущему:

Она смелее солнца стала излучать сияние».

676. «Автандил, лев из львов, поклонился ей, солнцу солнц.

Лицо ее сияло ярче, чем свет небесный».

700. «Однако, о солнце, уподобься для меня полному светилу».

Сравните с этим характеристику Нестан-Дареджан:

1506. «Молит и она, (Нестан—С. Ж.) та, что походит на солнце, источающее лучи,

Та, что является моим светом, моей зарей, рассеивающей мрак».

1200. «Сгинул луч, который, как солнце, освещал поля!»

531. «Была она словно солнце на земле, или полная луна».

Несомненно, такие развернутые более или менее тропы являются носителями большей эстетической ценности, ярче сверкают в языковой ткани поэмы, чем простое уподобление человека светилу. Сопоставим для наглядности несколько примеров. Вот примеры употребления рассматриваемой модели в ее элементарной форме. О царе Парсадане и его супруге говорится:

306. «Станом—лев, ликом солнце».

313. «Царь и солнцеподобная царица были бездетны».

Сравните с этим усложненные, обогащенные семантическими признаками, варианты. Вот описание красоты Нестан-Дареджан:

387. «Под ним сидела она, ликом подобная солнцу, струящему нежное сияние».

Постпозитивная определительная конструкция конкретизирует «солнце», придает тропу больше выразительности и самобытности. Даже такие элементарные дополнения тропы признаком оживляют его:

531. «Была она словно солнце на земле».

1473. «Тариэл, это сияющее солнце, засмеялся и сказал».

Однако вернемся к понятию света. Если внимательно просмотреть цитируемые нами примеры, то нетрудно будет заметить, что из разнообразных признаков солнца на красоту человека спроецирован один признак — это признак свет. Можно предположить, что глубинной структурой всех этих тропов, метафор и сравнений является структура «свет≈красота». Если при обновлении тропы солнце — человек Руставели неоднократно прибегает к признакам, непосредственно связанным с глубинной структурой, то было бы вполне закономерным, если бы при дальнейшей эксплуатации архетипа он с целью нарушения монотонности постоянно повторяющегося тропы заменил основную единицу плана выражения непосредственно связанным с ней семантическим признаком. Руставели неоднократно использует этот поэтический прием и достигает желаемого результата. Обратите внимание на разнообразие предметов, излучающих свет, и на разнообразие их сочетаний в поэме. Очень часто единицей плана выражения выступает «луна»:

105. «Сияет ее лицо подобно луне в полнолуние».

119. «Луноликая, стройная как кипарис».

121. «Своим сиянием она затмевала луну»—

говорится о Тинатин. А вот и характерное сочетание двух светил:

207. «Вот, погляди, он едет, подобный солнцу и луне»—

это о Тариэле. Несравненно более экспрессивными в поэме являются развернутые тропы с луной, как единицей плана выражения:

260. «Увидели луну (Тариэла—С. Ж.), выходящую из реки, разливающую свет».

278. «Тариэл пошел ему навстречу; они оба были похожи на солнце

Или на луну небесную, чей безоблачный свет расстилается по долине».

401. «Появилась луна (Нестан-Дареджан—С. Ж.), заливавшая все вокруг лучами». Об освобожденной из Каджетской крепости Нестан-Дареджан читаем:

1406. «Увидели, что луна, выпущенная змеей, встретила с солнцем».

В поэме нередко встречаем совместное употребление нескольких предметов, источников света. Вот сочетание **звезды с солнцем и луной**:

1523. «Солнечная и лунная, с какой звездой сравнимая!».

Оригинальным представляется сравнение Таризла со звездой в таком динамичном тропе:

1322. «Автандил соскочил с коня, казалось, он мчится за звездой».

Редко Руставели обращается к искусственным источникам света. Троповое употребление «лампалды» и «свечи» встречаем в 1505 и в 977 четверостишии, соответственно:

«На лице Таризла промелькнул отблеск, ярче мерцания лампады».

Руставели не довольствуется простой, нетроповой констатацией превосходства Автандила над Придоном и поэтому обращается к поэтическому сравнению. Все четверостишие как бы представляет перевернутую притчу, в которой сперва речь идет на уровне логики разума, а затем на уровне логики воображения, поддерживающей сказанное в абстрактной форме:

«Какому витязю дано сравниться в Придоном!

Однако ему (Автандилу—С. Ж.) присущи такие достоинства, которых не знать другим.

Солнце делает незримым светила, сходясь с ними,

Свеча не дает света днем, ее лучи светят ночью».

Иногда Руставели основной единицей плана выражения тропа использует предмет «луч»:

1247. «Под вечер он (Автандил—С. Ж.) проснулся, рассыпал свои лучи по полям».

455. «Я отложил их, как дар для той, лучи которой меня освещали».

369. «Солнечный луч (Нестан.—С. Ж.) писал: «О лев!».

134. «Роза моя не завянет, твои лучи щедро освещают ее».

Сравните с этим употребление в плане выражения предмета **«сияние»**:

1493. «Щеки Тинатин вспыхнули утренним сиянием».

501. «...дочь, в сиянии ее мы недостатка не испытываем».

108. «Сияние его освещало Вселенную и край света».

Довольно своеобразна и следующая метафора, в которой основным признаком плана выражения является «блеск», а признак **солнца** выступает постпозитивным определением к нему:

472. «Увидев блеск ее щек, подобный солнечному свету, я содрогнулся!».

Сравните с этим и такое:

64. «Блеск его белых зубов озарил поля».

Средоточием света в тропе иногда является и **«молния»**:

121. «Та, несравненная, (Тинатин.—С. Ж.) сидела хмурая и была красива, как молния».

135. «Белые зубы их блестели, как белая молния».

202. «Мы глядели на него, едва могли вынести свет его молний (глаз—С. Ж.)».

Гипербола, необыкновенное увеличение качества, признаков своих героев и разнообразных явлений, как уже можно было в этом убедиться, судя по рассмотренным примерам, является излюбленным поэти-



ческим приемом Руставели. Как бы утверждая, что его поэтической фантазии предела нет, Руставели говорит:

278. «С ними (с их станом—С. Ж.) не мог сравниться и тополь;
Они были подобны семи светилам,—с чем я еще могу их сравнить!».

После этих слов автор в процессе развития сюжета сравнивает своих героев (как у нас была, частично, возможность увидеть это) с самыми разнообразными высокохудожественными феноменами. Привлекает внимание в этом отношении и троп «утренний час≈красота» в следующем сложном обращении метафоры и сравнения:

315. «Я превосходил солнце красотой, как утренний час—сумерки».

В некоторых тропах единицей плана выражения выступает инвариантный признак, признак архетипа:

338. «Ныне погас тот свет, затмевающий солнце!».

В этом тропе свет — это красота Нестан-Дареджан, и погас он потому, что Тариэл не видит ее, похищенную. Узнав о том, что Автандил тайно оставил родину с целью помочь Тариэлу, царь Парсадан восклицает:

812. «Куда ты ушел и где скрыл столпы света?!».

Источник света может и не быть назван, но он имплицитно и в том случае, когда речь идет о его воздействии на созерцающего, хотя из контекста бывает ясно, какой источник имеется в виду:

10. «Ослепленные ею очи мои жаждут вновь узреть ее».

Рассмотренных примеров, пожалуй, достаточно для того, чтобы показать, каким разнообразием единиц плана выражения пользуется Руставели для постоянного обновления своего наиболее часто употребляемого архетипа «свет≈человеческая красота». Подобное обновление тропа играет важную роль в художественности поэмы. Редко, но с большим мастерством автор выходит за пределы пластичности, возобозримости «солнечного» тропа. Тариэл говорит о своей возлюбленной:

414. «Блеск ее лучей разливается, подобно свету, в моем сердце».

Это нехарактерный для Руставели троп. Обычно и планом содержания и планом выражения тропа у него выступают конкретные, зримые предметы. Данный троп абстрактен. Красота, свет, блеск не может разливаться в душе, невозможно представить луч, проникающий в сердце. Однако нам могут возразить, что можно представить эмоцию, радость, разливающуюся в сердце человека от созерцания красоты возлюбленной. Тогда структура тропа осложняется. «Блеск ее лучей» в подобном случае будет сложной семантической единицей: «Красота, стимулирующая радость». Однако и при подобном истолковании значения тропа «красота, изливающаяся в сердце» этот абстрактный, невообразимый момент не устраняется полностью, а сосуществует в тропе, наряду с понятием **радость**. Какой бы интерпретации не подвергся данный троп, он все-таки ни в коей мере не может изменить характер общей картины поэтической семантики «Витязя в тигровой

шкуре», которая является манифестацией хотя и гиперболических, но зримых, пластичных, осязаемых тропов. Сила тропового мышления Руставели заключается не в абстрактных метафорах и сравнениях, а в конкретных, в таких, как этот:

412. «Свет, солнцем струившийся из эфира, был моим».

Свет солнца и луны, молнии и звезд, лампад и свечей, сияние, блеск всех светочей вселенной в совокупности нужны были Руставели для того титанического акта, который он совершил. Замкнутый над Грузией купол христианского неба разомкнулся и человек увидел новое небо, разверстое над миром. Для этого прорыва в иное небо и в иной мир нужно было много, очень много света, больше, чем излучало небо Библии. В «Витязе в тигровой шкуре» весь свет вселенной перенесен в человека. Человек, а не бог освещает вселенную. Он сам освещает себе путь и ему не нужны больше библейские светочи. Над ним алкионическое небо Руставели. Не бог ослепляет созерцающих своей красотой, а красота человека ослепляет созерцающих его. Все тускнеет, все блекнет при свете человеческой красоты, и свет бога и сияние реального солнца. От библейского бога и богочеловека древнегрузинской агиографической литературы Руставели приходит к утверждению нового явления — явление это **солнце-человек**. Солнце-человек любит и ненавидит, дарует жизнь и убивает, прощает и карает. Ничто человеческое ему не чуждо. Свет и красота. Прекрасное и солнце. Потоки света выплескиваются за все границы руставелевской стихии, которая держится на вере: «Красота мир спасет».

Понятие красоты, увиденной через призму солнечного тропа, явление гораздо более сложное, чем то, о котором шла речь при анализе вышерассмотренных примеров, планом содержания которых выступал признак телесной красоты. Уже в этих примерах порой нам было трудно говорить только лишь о физической красоте, настолько другие признаки, единицы плана содержания, вплотную примыкали к этому понятию. Телесная красота в системе тропов поэмы является основным стержнем плана содержания, но сводить идеальную сторону архетипа **свет ≈ красота** всецело к физическому феномену в контексте поэмы Руставели было бы непростительным упрощением, вульгаризацией сложной, рафинированной структуры плана содержания рассматриваемого тропа. Проследим за модификацией его содержания в контексте поэмы. В Сказе о Ростеване царе арабов о Тиматиин говорится:

39. «Ее деяния, как и ее блеск красоты, проявляются подобно солнцу:

Щенки льва равны, самцы они или самки».

Из микроконтекста ясно, что в данном случае значением тропа солнце является деяние, нечто управляемое интеллектом, разумом. Солнцу, свету в таком случае приписывается духовный признак. Это подтверждается и последующим за тропом афоризмом: женщина **по интеллекту** равна мужчине. Сравните такую интерпретацию тропа со следующим примером:



49. «Так же, как розу и навоз солнце равно заливает лучами,—
И тебе пусть не надоест быть милостивой и к великим (знатным) и к малым
(простым)!».

Из этого тропа видно, на каком основании реальному солнцу приписывается признак **справедливости**, духовного начала, разума. Этот троп по своему содержанию перекликается с вышерассмотренным. Персонификация солнца в поэме производится на основе разнообразных качеств. Солнце справедливо, ибо оно одинаково греет всех, но оно же и могущественно управляет всеми светилами космоса. Отсюда аналогия: солнце-человеку тоже повинуются подчиненные. Под пером Руставели эта мысль преобразуется в такую форму:

134. «О солнце, ибо бог сотворил тебя солнцем,
Повинуются тебе все небесные светила, какие только есть.»

В контексте поэмы аналогичное использование архетипа «**свет**≈**человек**» повторяется, и вместе с этим понятие красоты телесной в ассоциации с небесными светилами становится неотъемлемой частью понятия духовной красоты. Духовная красота человека, эксплицитно выраженная таким тропом, конкретно заключается в мудром, справедливом деянии. Автандил пишет своим поданным:

166. «Пусть светит (Шермади) над всеми вами, как
солнце, пусть не заморозит розу, не даст ей
увянуть (т. е. будет справедлив и добр к поданным).
А всех провинившихся пусть растопит, как воск».

В данном случае один признак солнца — **тепло** как бы рассматривается с двух различных ракурсов: с одного ракурса оно может греть, т. е. **благодействовать**, с другого — жечь, растапливать, т. е. **карать**, а способность солнца светить идентифицируется с разумным руководством людьми, правлением, государством. Карающей справедливостью следует считать и значение тропа **солнце** в следующем контексте:

234. «Солнца (Тариэла.—С. Ж.) нет со мной, это ты знаешь,
потому так обижаешь меня»—

говорит Аснат Автандилу, подразумевая мощь своего друга. На могущество Тариэла намекает и Автандил:

224. «Разве он не солнце небес!»—сказал Автандил,
Вдыхая аромат мирта, похищенный ветром (у витязя),
Ему (витязю) убить льва было так же просто, как льву убить козла».

Силу физическую и рассудительность следует видеть и в содержании того тропа, где Тариэл говорит хатайцам:

452. «Я—солнце—не сжег вас, знайте, оставил вас —неопаленными».

Сравните с этим троп, в котором Тариэл обращается к разгневанной Нестан:

523. «Солнце, (раз) опалило ты меня, спали дотла».

Рассматриваемый троп приобретает значение **мощи**, **силы** и тогда, когда он употребляется в одном синонимическом ряду с такими понятиями:

1305. «Написал: «Величайший Придон, счастья исполненный царь царей,
Мощью сердца льву подобный, солнце, расточающее лучи,

Ниспосланный свыше, могущественный, проливающий потоками кровь врагов!».

Использование **солнца, света** в значении разума и мощи человека согласуется с тем пониманием сущности реального солнца, которое выражено в поэме устами Автандила. Направляясь к Придону, Автандил так беседует с реальным солнцем:

946. «Солнце, молю тебя, всемогущего над всеми могущественными,
Ты, которое возвышаешь униженных, воцаряешь их, даруешь счастье.
Не разлучай меня с моей возлюбленной, не обращай мой день в ночь».

Показательным в цитированном потоке ассоциативного мышления является противопоставление «дня» «ночи», которое можно интерпретировать как контрастное сопоставление счастья и несчастья. В самом деле, в поэме неоднократно встречаем тропы, планом выражения которых является свет и тьма, а планом содержания счастье и несчастье соответственно. Тайный уход Автандила расценивается в его стране, как **исчезновение солнца**, т. е. несчастье. Ростевану сообщают об этом так:

811. «Солнце (Автандил — С. Ж.) не светит более нам, погода перестала быть ясной!».

Сравните с этим следующее:

816. «Они говорили: «Мы, несчастные, повержены во тьму,
ибо небесное солнце (Автандил. — С. Ж.) ушло от нас!».

Счастьем, радостью расценивается и прибытие Таризла войском Нурадина-Придона:

604. «Они хвалили меня: «Солнце, вы несете нам хорошую погоду!».

В поэме встречаем и более косвенное уподобление солнце-человека счастью. Царь Парсадан говорит о Таризле:

468. «Он может озарить сердца глядящих на него, какими бы мрачными они ни были».

Иногда встречаем и обратное явление. Автор говорит о **радости, уподобившейся свету**:

402. «Мрак моего сердца развеялся, радость вознеслась столбом света».
379. «Радость осветила мне темноту, погасли сжигавшие меня огни».

Однако чаще планом выражения тропа выступает **свет, солнце**, а счастье и радость имплицитно.

36. «Что это за свет, которому сопутствует тьма?!
Мое чадо, которое краше солнца, посадим владыкой».
144. «Коль снова вас увижу,—бог этим озарит мне мрак».
280. «Не убивайте себя, не затемняйте (омрачайте) солнца вашим мраком (горем)».

303. «Сидел, словно солнце в тучах, долгое время не излучал света».

Нельзя без восхищения пройти мимо такого метафорического описания счастья и радости, вызываемого видением возлюбленной, которое исходит из уст Таризла:

408. «Ты будешь светом моих глаз, для взгляда солнцем будешь».
409. «Ты окутываешь меня своими лучами, озаряя все мрачное сердце».



Понятия красоты, счастья и радости и безотносительно рассматриваемого тропа — взаимосвязанные и взаимопроникающие явления. К этим же понятиям примыкает и понятие **любви, любимой**. Именно такое истолкование тропа диктует следующее его употребление:

372. «Что еще может сделать для тебя солнце? Ведь я превратила мглу в зарю!».

Эти слова, адресованные Тариэлу Нестан-Дареджан, следует истолковывать так: «Что еще может сделать для тебя твоя **любимая** (любовь), ведь я превратила твою скорбь (несчастье) в радость (счастье)». В тех случаях, когда солнце употребляется как обращение к адресату письма, план содержания тропа наполняется смыслом **любимый (-ая), возлюбленный (-ая)**:

375. «Солнце, так как ты восходишь для меня светозарно».

Это обращение Тариэла в письме к Нестан-Дареджан. Мы не уйдем далеко от истины, если перефразируем его так: «**Любимая**, так как ты мое счастье, радость моя». Обращает внимание следующее явление. Когда рассматриваемый троп в конкретном словесном окружении реализует данное значение, например, значение «возлюбленная», то остальные значения тропа, такие, как физическая и духовная красота и счастье не элиминируются полностью, а имплицитно реализуются значением. Имплицитные значения в таких случаях являются смысловыми оттенками, как бы приращенными к смысловому ядру. Естественно, что подобное обогащение плана выражения рассматриваемого тропа стабилизируется, оформляется в процессе развития художественного произведения. Было бы неправильно утверждать, что в первых же случаях использования архетипа «**свет ≈ человек**» план содержания тропа предполагал такое богатство смысловых признаков. На протяжении определенного времени, до тех пор, пока Руставели не употребил троп в значении **счастья, возлюбленной, силы и разума** план содержания его ограничивается значением телесной красоты:

«Миджиуру подобает быть с виду красивым, словно солнце».

Факт приращения смысловых оттенков остается в силе даже в тех случаях, когда излучающий свет предмет использован в далеко отстоящем от признаков красоты и счастья значении. В основу тропового употребления **света**, как уже было отмечено, Руставели кладет разнообразные признаки. Интересным в этом отношении является такое использование «**луны**». Автадил рассказывает Нурадин-Придону о Тариэле:

989. «Как луна, он беспрестанно странствует, не останавливаясь,

Он сидит на подаренном тобою коне».

Здесь, как видим, от луны, как предмета объективной реальности, Руставели выделяет признак постоянного движения и переносит его на человека, подчеркивая этим, в первую очередь, экзальтированное от горя психическое, душевное состояние Тариэла, а затем и ничем не измеримое стремление его найти возлюбленную и спасти, освободить ее. Красота и сила Тариэла в данном тропе уходят на задний



план, но не элиминируются полностью, а имплицитно превращаются в оттенки значения. Сила и мужество Тариэла выступают значением аналогичного тропа всего на несколько четверостиший раньше:

982. «Он убил их запросто, сражение не было ему в тягость;

Одним перебил руки и ноги, другие испустили дух;

Тогда только узнали, что нельзя было лулу совратить с пути».

Эти два тропа являются хорошим примером того, как великий художник слова один признак предмета — движение применяет для художественной характеристики другого предмета в двух противоположных аспектах: **горя** и **силы**. Эти тропы вполне согласуются с той характеристикой Тариэла, которая развернута на страницах «Витязя в тигровой шкуре». Однако сравните в этом отношении с данными тропами такое явление. Разгневанный тайным отъездом Автандила, царь Ростеван спрашивает:

811. «Ушло ли солнце, непостоянством уподобившись луне? (не останавливаясь, как луна)».

Если рассматривать этот троп с точки зрения высшей переводческой точности, то придется констатировать, что он не воссоздает смысл соответствующего тропа в оригинале. Здесь не место пространным рассуждениям о проблемах художественности и точности **подстрочного перевода**, но обойти полностью данный, конкретный пример не считаем уместным в связи с исследуемой нами проблемой. Каждый троп в истинном художественном творчестве, если он не «украшение» в самом деле, а выражение содержательной сути его, многочисленными смысловыми нитями связан как с другими тропами произведения, в своей совокупности составляющими систему, а не механическое объединение единиц, так и с темой, действующими лицами подлинника. Поэтому и рекомендуется переводчикам прежде, чем начинать перевод, хорошо изучить оригинал. Руставели не мог назвать Автандила **непостоянным**, ибо данное слово в русском языке имеет негативный смысловой оттенок (ср., например, непостоянный в любви), а в рассматриваемом контексте даже имплицитно нечто вроде предательства Автандилом Ростевана. Исходя из содержания поэмы и взаимосвязи данного тропа с остальными, и, в первую очередь, с тропами, соотносящими движение **луны** с непоколебимой решимостью помочь другу в несчастье и неотвратимости этого решения, его следовало переводить так: «Ушло ли солнце, дневной бег которого остановить нельзя?». Замена луны солнцем в данном случае будет гораздо менее ущербным, чем уподобление Автандила непостоянному человеку¹¹. В связи с анализом плана содержания рассматриваемого явления надо будет отметить следующий момент. В поэме **солнце** несколько раз употребляется в значении **жизнь**. Например, в обращении к Парсадану Тариэл говорит:

556. «Клянусь твоим солнцем (твоей жизнью), я далек от того, чтобы добиваться твоей дочери!».

¹¹ Следует отметить, что подстрочный перевод «Вепхисткаосани» исполнен на очень высоком уровне и рассматриваемый пример является исключением.



В другом примере это значение приобретает такой смысл:

439. «...оба они простылись с солнцем (умерли)».

Из вышеизложенного не следует, конечно, думать, что в поэме реальному солнцу вовсе нет места, или что божественный свет — незнакомое для Руставели понятие. Мы встречаем употребление солнца и света и в таких значениях.

Но это капля в море по сравнению с тем количеством уподобления человека и его разнообразных признаков свету, которое встречаем, в среднем, чуть ли не на каждой странице поэмы. Характерно для «Вепхисткаосани» как то, что в нем высокохудожественным солнечным тропом владеют как сам автор, так и самые разнообразные персонажи произведения, так и то, что эти тропы адресованы не только главным героям поэмы. Так, например, купец Усен не менее красноречив при восхвалении своего царя, чем Аснат в своей хвалебной речи к Богу:

1156. «О великий властелин,

Простирающий лучи с неба, солнце, посылающее жизнь всему сущему!».

В стихотворении «Поэма тигра» Галактион Табидзе говорит о Руставели как о человеке, который был больше, чем гениальный поэт:

«Поэт был судьей и больше—
 Был ураганом, был потрясением,
 Был мировой силой—
 не существовали для него препятствия—
 Его любили, как надежду».

Так выразил свое отношение к автору «Витязя» поэт. И, в самом деле, Руставели был не просто поэтом. Он был создателем новой идеологии, нового миропонимания посредством поэтического слова. Через призму своего «солнечного» тропа, который в контексте поэмы развивается, набирает силу и, перерастая в величавый символ, достигает невероятных размеров экспрессивности, его духовное око видит мир обновленным, воспринимает его как эстетическое явление, в центре которого стоит человек-поэт, человек-философ. Поэтому, наверное, многие характеры его поэмы говорят символами. Архетип «свет ≈ человек» радикально меняет глубинную структуру поэтической семантики древнегрузинской художественной литературы новым поэтическим мышлением. Разнообразные символические реализации этого архетипа в каждом конкретном контексте имеют одно значение, но глаголят о чем-то более значительном и серьезном, намекают на что-то неисчерпаемое и беспредельное, как если бы великий поэт слил такие понятия как красота, разум, сила, любовь, счастье, справедливость в одно целое.

Отдел комплексных теоретических проблем Института мировой литературы им. М. Горького

Представил Институт истории грузинской литературы им. Ш. Руставели АН Грузинской ССР

გიორგი შთიშაური

ხალხური ლექსის ექსპოზიციური ფორმულები

ხალხური სიტყვიერების დეფინიციურ მომენტს შემოქმედებითი პროცესის მიხედვით კოლექტიური და ინდივიდუალური საწყისების გარკვეული ურთიერთშეხამება განაპირობებს, სადაც დომინირებული როლი კოლექტიურ საწყისს განეკუთვნება. კოლექტიურ საწყისში კი ტრადიციულობა იგულისხმება, მასში ე. წ. ფოლკლორული მემკვიდრეობითი ფაქტორი საკმაოდ ფართო გაქანებითა და მასშტაბურობით მოქმედებს. ეს ყოველივე რელიეფურად მიანიშნებს იმ მრავლისმთქმელ გარემოებაზე, რომ ხალხური სიტყვიერება თაობებისა და ეპოქების მიხედვით რაღაც იზოლირებულ. კარჩაეკტილ, ერთმანეთისათვის დაუკავშირებელ ფოლკლორულ ნაწარმოებთა მექანიკურ გამს კი არ წარმოადგენს, არამედ იგი თავიდან ბოლომდე გენეზისისა და ევოლუციის თვალსაზრისით ერთ საერთო ლოგიკურ მაგისტრალურ ხაზს ექვემდებარება. აქ ხალხური სიტყვიერი ხელოვნების საუკუნეობრივი ინერციის გამოვლინება ფოლკლორის იმანენტურ ბუნებას მთელი თავისი სიცხადითა და კოლორიტულობით წარმოაჩენს, ამავე დროს ფოლკლორის კოლექტიურობასა და ტრადიციულობაზეც განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს.

ხალხური სიტყვიერების კოლექტიურობა და ტრადიციულობა კონკრეტულად მუდმივ ანუ სტერეოტიპულ ფორმულებში ვლინდება, რაც თავის აქტიურ გამოყენებას პოულობს, კერძოდ, ცალკეულ ხალხურ პოეტურ ტექსტებშიც. აქ ლექსში ძირითადად სტრუქტურული განლაგების მიხედვით გვხვდება სტერეოტიპული ანუ ტიპური (ტრადიციული) ფორმულის სამი სახეობა—ექსპოზიციური, მედიალური და ფინალური ფორმულები.

ექსპოზიციური ფორმულა ტიპური ფორმულის ყველაზე უძველეს პოპულარულ სახეობას შეადგენს. იგი ხალხური პოეზიის ნიმუშებში ფართოდ არის გავრცელებული და როგორც თემატიკური, ისე სტრუქტურული ნაირფეროვნებით ხასიათდება. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ექსპოზიციური ფორმულა ლექსის შესავალში მონაწილეობს და, ამრიგად, გარკვეული საწყისი კომპოზიციური დანიშნულება აქვს მისადაგებელი; ლექსი „მისით იწყება“, მაგრამ იგი მხოლოდ წმინდა კომპოზიციურ ელემენტად არ გვევლინება. ხალხური წყობილისიტყვიერი ნაწარმოების შექმნის პროცესში ექსპოზიციური ფორმულა მნიშვნელოვან რიტმულ-ინტონაციურ ფუნქციას ასრულებს. ეს ფუნქცია არცთუ იშვიათად მთქმელის შესაბამისი პოეტური განწყობილების შექმნით, მასში „სალექსო სიმის“ პირველსაწყისი „შერხევით“ გამოიხატება, რომელსაც ლექსის მთელი შემდგომი რთული ორკესტრირება მოსდევს. ლექსის ექსპოზიციურ ნაწილს „პოეტური ნაპერწკლის“ პირველალმნთების როლი, ანუ განწყობის თეორიის ცნობილი ტერმინი რომ ვიხმაროთ, ინსპირაციის როლი ეკისრება.

ექსპოზიციური ფორმულა ლექსის ერთგვარი ლირიკული პრელუდიაა, რომელიც ლექსის მთელ ორგანიზმზე თავის უძლიერეს შემოქმედებას ახდენს. მასში აღებული ინერცია ლექსს ბოლომდე ვაჰყვება. აქ იგულისხმება კომპოზიციური, რიტმულ-მელოდიური, ვიბრაციული, ფაბულური და სხვ. ფაქტორები.

აქ მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის მომენტი, რომ, რადგანაც ექსპოზიციური ფორმულა (ისევე როგორც ტრადიციული ფორმულის სხვა სახეები) მხოლოდ ერთი ფოლკლორული ნაწარმოების სიუჟეტთან არ არის დაკავშირებული და ხშირად სხვადასხვა ზეპირსიტყვიერ ტექსტში მექანიკურად შეორდება, ამიტომაც იგი მეტ-ნაკლებ შინაარსობრივ-კომპოზიციურ დამოუკიდებლობას ააშკარავებს. თუმცა მისი ეს „მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობა“ ხალხური პოეტური სტილის ფონზე შედარებით ხასიათს ატარებს და ფოლკლორული ნაწარმოების კონკრეტულ შინაარსთან სუსტი ან მყარი კონტაქტით არის შეპირობებული. მასში ტრადიციულობა, როგორც საერთოდ ხალხური შემოქმედების ორგანული თვისება, მკვეთრი იერით არის გამოკვეთილი. ეს გარემოება კი, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ზეპირსიტყვიერების კოლექტიური ხასიათით არის სტიმიულირებული.

„კოლექტიური შემოქმედებითი შრომის შედეგებს, რომლებიც ტრადიციებშია განმტკიცებული, ხალხური ხელოვნების თვითეული ოსტატი ითვისებს, — აღნიშნავს ვ. პ. ანიკინი. — ცალკეული ოსტატი ღებულობს ხალხისაგან პოეტურ ხერხებს, გამომსახველობით საშუალებებს, ინტონაციას, პოეტურ წყობას, არცთუ იშვიათად თვით სახეებსაც, ამბების იდეურ გაშუქებას, რომელთა შესახებაც ის მოგვითხრობს. ტრადიციის წყალობით ხალხურ შემოქმედებაში დგინდება ფოლკლორული ნაწარმოებების წინამორბედ და შემდგომ შემქმნელთა და შემსრულებელთა თანაუტორობა“¹. უფრო ადრე ა. ფ. გილფერდიაცი დახლოებით იმავე მომენტის თავისებურ დაკონკრეტებას ახდენდა, როდესაც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ბილინური ეპოსის შექმნისა და განვითარების შემოქმედებითს პროცესში მონაწილეობას ღებულობდა „რალაც პოეტური, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხალხის პოეტური ალლო“². ეს ტრადიციულობაც და ე. წ. ხალხის პოეტური ალლოც თავის მკვერამეტყველურ განსახიერებას პოეებს ტიპურ ანუ ტრადიციულ ფორმულებში, კერძოდ კი ექსპოზიციურ ფორმულებში.

ტიპური ფორმულები ანუ საერთო ადგილები (loci communes) ყველა ქანისა და თემატიკის ზეპირსიტყვიერ ნაწარმოებებში დასტურდება. იგი როგორც პოეტური, ისე პროზაული ფოლკლორის რეპერტუარში საკმაო რაოდენობით არის რეალიზებული, თუმცა ორივე შემთხვევაში იგი განსაზღვრული ნიშნებით განსხვავდება.

საერთო ადგილები, მაგალითად, ზღაპარში უფრო მობილურია, ვიდრე ლექსში. დასახელებული ქანის ზეპირ ფანტასტიკურ პროზაულ ნაწარმოებში საერთო ადგილები (იგივე ტიპური ანუ ტრადიციული ფორმულები) ამა თუ იმ მთქმელის იმპროვიზაციის დროს იოლად იცვლება. ამ ფაქტორს ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ზღაპარი თხრობითი ხასიათისაა და მისი თითოეული პერსონაჟის თავგადასავლის აღწერისა თუ დახასიათების დროს არცთუ იშვიათად მთქმელი ნებისმიერ ცვლილებებს იძლევა.

ხალხური პოეტური ნაწარმოები კი, როგორც ცნობილია, არქიტექტონიკის თვალსაზრისით გარკვეულ კონსერვატიზმს გვიჩვენებს. ეს კონსერვატიზმი თუ

¹ В. П. Аникин, Коллективность как сущность творческого процесса в фольклоре, сб.: Русский фольклор, материалы и исследования, т. V, М.-Л., 1960, стр. 11.

² А. Ф. Гильфердинг, Олонецкая губерния и ее народные рапсоды, в кн.: Онежские былины, записанные А. Ф. Гильфердингом летом 1871 года, т. I, М.-Л., 1949, стр. 51.

სტაბილურობა მოტივირებულია ლექსის მეტრით, რიტმით, რითმით ერთი სიტყვით, იმ აუცილებელი ვერსიფიკაციული თუ მელოდიური სქემით, რაც ლექსის არსებით კომპონენტებს შეადგენს. ლექსს მისივე გარეგნული მეტრული თუ რიტმული „სამოსელი“ იცავს საუკუნეთა განმავლობაში ცვლილებებისაგან. სახელდობრ ამ მიზეზით ლექსის ზეპირად თქმისას იმპროვიზაციის ელემენტი ჯეროვან შეზღუდულობას ავლენს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს ლექსში დროთა განმავლობაში ტრანსფორმაციის ტენდენციები საერთოდ არ შეინიშნება. რა თქმა უნდა, საუკუნეთა მანძილზე ლექსი სათანადო ცვლილებას განიცდის და შესაბამისად ასევე სათანადო ცვლილებას განიცდის ლექსის სტანდარტული ფორმულები, მაგრამ ეს ცვლილებები უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე საკუთრივ ზღაპარში.

პროზაულ და პოეტურ ნაწარმოებთა ტრადიციული ფორმულები ფუნქციონის მიხედვით ერთმანეთისაგან სერიოზულ პრინციპულ განსხვავებას არ შეიცავენ, მაგრამ მათ შორის განსხვავება ზოგჯერ ამა თუ იმ ინტენსივობით აღინიშნება. უკანასკნელი მომენტის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტად გამოდგება თუნდაც ის, რომ პროზაულ ნაწარმოებთა ტრადიციული ფორმულები შედარებით მცირე რაოდენობისაა და გაცილებით მარტივ სახეს ლეზულობს, ვიდრე ამას ჩვენ პოეტური ფოლკლორული ტექსტების ტრადიციული ფორმულების მაგალითზე ვხედავთ. კერძოდ ქართული ხალხური ზღაპრის ექსპოზიციური ფორმულები ფუნქციონალური შინაარსის მიხედვით ძირითადად ორი ტიპისაა: მ. ჩიქოვანის კლასიფიკაციით ესაა თხრობით-რეალისტური და რელიგიურ-ხოტბითი დასაწყისის ტრადიციული ფორმულები (მათ შიგნით კიდევ სხვა ჯგუფებიც გამოიყოფა)³. აი, ამ ფორმულების რამდენიმე ნიმუში: „იყო ერთი მელია. მუდამ მარტოკა დაცუნტულებდა“; „იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხი კაცი“; „იყო და არა იყო რა, ღეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთ ქალაქში ერთი მეთევზე“ და ა. შ. რუმინული ზღაპრების მიხედვით ნ. რომიანუსს მოცემული აქვს ინიციალური ფორმულების (ასე უწოდებს იგი ზღაპრის საწყის ფორმულებს) ორი სახეობა: დროის (ქრონოლოგიური) და სივრცის (ტოპოგრაფიული) ფორმულები⁴. მისი აზრით, „ყოველი მეზღაპრე, როგორც წესი, თავის ზღაპარს იწყებს მოქმედების „დათარილებით“, ე. ი. დროში მისი (ე. ი. მოქმედების, გ. შ.) ფიქსაციით (T), და ამ მოქმედების ლოკალიზაციით, ადგილის მითითებით (S)“⁵. იქვე მას მოაქვს შესაბამისი მაგალითებიც («Был однажды» (T), «Далеко-далеко, в какой-то стране на востоке была одна женщина» (S) და სხვ.)⁶.

ქართული ხალხური ლექსების ექსპოზიციური ფორმულები, როგორც ვთქვით, ფუნქციური მრავალფეროვნებითა და მდიდარი თემატიკური შედგენილობით გამოირჩევა. საკუთრივ დროის (ქრონოლოგიური) და ადგილის (ტოპოგრაფიული) ფორმულების ვარდა აქ ჰარბად მოიპოვება სხვადასხვა რეალის შემცველი ფორმულები. აქვე უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ხალხურ პოეზიის რეპერტუარში მედიალურ და ფინალურ ფორმულებთან შედარებით ექსპოზიციური ფორმულები უფრო მრავალრიცხოვანია და მათი დანიშნულებაც დანარ-

³ მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 366.

⁴ Н. Рошняну, Традиционные формулы сказки, М., 1974, გვ. 18.

⁵ იქვე.

⁶ იქვე, გვ. 18. 32.

ჩენი ორი ტიპის ფორმულების ფუნქციებს ნაირგვაროვნებით დიდად აღემატება. ექსპოზიციური ფორმულები აქტიურად გამოიყენება ყველა ქანრისა და თემატიკის ტექსტებში, განსაკუთრებით კი საგმირო, საისტორიო, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო ხალხურ ლექსებში. იგი ინტენსიურად ფიგურირებს სიუჟეტთან პოეტურ ნაწარმოებებში, უფრო მეტად კი ხალხურ ბალადებში. რაც შეეხება უსიუჟეტო ზეპირ პოეტურ ნიმუშებს, აქ ტიპური ფორმულების, და კერძოდ ექსპოზიციური ფორმულების, ხმარება გაცილებით იშვიათ მოვლენას წარმოადგენს.

ტიპური ფორმულები არქაულ პოეტურ ძეგლებში ძალზე მცირე რაოდენობით გვხვდება. შემდგომი პერიოდის ტრადიციულ პოეტურ ნაწარმოებებში იგა ფართო გავრცელებას პოულობს, ხოლო თანამედროვე ხალხურ ტექსტებში ეს კომპოზიციური ხერხი კვლავ შეზღუდულ ხასიათს ატარებს. ეს დახასიათება საკუთრივ ექსპოზიციურ ფორმულებსაც თანაბრად მიესადაგება.

ამჯერად კი ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცდებით ექსპოზიციური ფორმულების ფუნქციურ-თემატიკური დიფერენციაციის დადგენას და ამ დიფერენციაციის კვალობაზე მათს შესაბამის დახასიათება-ანალიზს.

დროის (ქრონოლოგიური) ფორმულები. ექსპოზიციური ფორმულების გარკვეულ ჯგუფს დროის ანუ ქრონოლოგიური ფორმულები ქმნიან. ეს ფორმულები ხალხურ პოეტურ ნიმუშებში მაინცდამაინც ფართო რაოდენობით არ ხასიათდება და დროის აღმნიშვნელი ობიექტიც მათში სათანადო ერთფეროვნებას ამჟღავნებს. ამით ლექსის შინაარსი ჯეროვან კონკრეტულობას იძენს და ამბის ზილადობა უფრო ნათელი და გამჭვირვალე ხდება. ამასთან ლექსის საშუალებით აღწერილი მოქმედების დროში ფიქსირება მსმენელზეც უფრო ძლიერ ზემოქმედებას ახდენს, მაგალითად:

„პარასკევ გათენება და დილა ას ყინულიანი,
ჩემს ძმობილს გამაუფრავნავ, ლექსი უთქვამის კვიანი“⁷.

ან კიდევ:

„პარასკევ გათენება და გარმონ მივირავს კელსაო,
ჩემის გარმონის ქერაი მიღ-მოდოდა თემსაო“⁸.

გვაქვს დროის ექსპოზიციური ფორმულების სხვა მოდელებიც, რომლებიც მხოლოდ დღის დასახელების მიხედვით ავლენენ სხვაობას, თორემ მათი შედგენის პრინციპი, მათი ინვარიანტულობა ლექსის შესავალში ერთი და იმავე ფუნქციით ამოიწურება. ეს ფუნქცია კი კვლავ და კვლავ მოქმედების მსგავს ქრონოლოგიურ აქცენტირებას გულისხმობს:

„სამშაბათ გათენება და თვალზე მდიოდა ცრემლიო,
გამაწირივის ძმობილი, მომაწერის ხელიო“⁹.

სხვა მაგალითი:

„კვირავს გათენება და დაღებრნე ქარო მთისაო,
დაგიკრავ ბუზიანტაო, წარა-მარაის ჭკვისაო“¹⁰.

⁷ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევისურული, ტფ., 1931, გვ. 138.

⁸ იქვე, გვ. 156.

⁹ იქვე, გვ. 137.

¹⁰ იქვე, გვ. 145.



ქვემოთ მოყვანილ ნიმუშში ამ ფორმულის იგივე მოდელია მომარტყვული, ოღონდ აქაც დღის დასახელებაა შეცვლილი, აგრეთვე მოდელის დანარჩენი სიტყვებიც რამდენადმეა გადასხვაფერებული, თუმცა კონკრეტული ფუნქცია უცვლელი რჩება:

„ორ შაბათ დილა გათენდა, ღრუბელი, ავი დარია,
მღერები ერთად შეიბნენ, მიწა დაიძრა წაალია“¹¹.

დროის განმსაზღვრელი ფორმულის ზოგიერთ მოდელში, სადაც აგრეთვე ლექსში აღწერილი მოქმედების დღეა ფიქსირებული, ნაცვლად „გათენებადა“ გვხვდება „დაღამებადა“:

„ხუთ შაბათ დაღამებადა ამობილს ვარ შაპირბული,
არცაით წასავალია, საქმეა ვაჭირბული“¹².

მართალია, საანალიზო ექსპოზიციურ ფორმულას სხვადასხვა ლექსში ერთი და იგივე კონკრეტული როლი აქვს მინიჭებული (იგი დროს აზუსტებს), მაგრამ უცვლელი სტრუქტურული სქემით მაინც არ მეორდება. აქ ის ზოგად სტაბილურ იერს ინარჩუნებს და ვარიანტების ტენდენციებსაც გარკვეულწილად შეიცავს. თუმცა აქ ისიც რეალობაა, რომ ვარიანტების ეს ტენდენციები მოდიფიკაციის ფარგლებს არ სცილდება. აღნიშნული მომენტი კიდევ ერთხელ მიუთითებს ხალხური ლექსის შემოქმედებითი პროცესის თავისებურებაზე, რომლის დროსაც იმპროვიზაციას საპატიო ადგილი უჭირავს. იმპროვიზაციის დროს არცთუ იშვიათად ხალხური სიტყვიერების ნიმუშის თითქოს მნიშვნელოვანი განახლება წარმოებს, ამასთან ხშირად ტრადიციული ფორმულაც ახალი სიტოცხლით ივსება. ამით მსმენელთა კოლექტივის ინტერესებიც არის გათვალისწინებული. თავიდან რომ იქნეს აცილებული შაბლონი, მონოტონურობა და შესაბამისად აუდიტორიის ყურადღებაც რომ უზრუნველყოს, მოქმედი საჭიროებისდა მიხედვით, ხანგამოშვებით ამა თუ იმ პასაჟის, პერსონაჟთა დახასიათების, მხატვრულ-კომპოზიციური ხერხის (მათ შორის ტრადიციული ფორმულის) მეტ-ნაკლებ ცვლილებას მიმართავს და ამგვარად „გაკვალული გზით სიარულს“ ერიდება. „ტრადიციული მსმენელებისათვის ცნობილი ზღაპრის, სიმღერის, პიესის და ა. შ. ყოველი შესრულების დროს, — აღნიშნავს პ. გ. ბოგატირიოვი, — შემსრულებელმა აუცილებლად უნდა შეიტანოს იმპროვიზაცია, რომ კოლექტივისათვის ცნობილი სიმღერა თუ ზღაპარი ახლებურად აედერდეს. უკეთეს ხალხური ხელოვნების ყველა სახეში არ იქნებოდა შეტანილი იმპროვიზაცია, ტრადიცია შტამპად გადაიქცეოდა. ნაწარმოები მექანიზებული გახდებოდა, დაკარგავდა თავის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას — მსმენელებსა და მავურებლებზე ზემოქმედების ფუნქციას — და თანდათანობით გაქრებოდა ფოლკლორული რეპერტუარიდან“¹³. ამრიგად, მოქმედი შემოქმედებითად ითვისებს ხალხური ლექსის ტრადიციებს.

სივრცის (ტოპოგრაფიული) ფორმულები. ამ ტიპის ფორმულები სხვა კატეგორიის ექსპოზიციურ ფორმულებთან შედარებით ხალხურ ლექსებში ყველაზე

¹¹ ხალხური სიტყვიერება, I, ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, ტფ., 1918, გვ. 15.

¹² ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 154.

¹³ П. Г. Б о г а т и р ы е в, Традиция и импровизация в народном творчестве, VII Международный конгресс антропологических и этнографических наук, М., 1964 г, გვ. 7.

მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს. იგი ბევრჯერ ზეპირი პოეტური ტექსტის ანკეტურ მონაცემებს ამდიდრებს მეტად საგულისხმო ფაქტით — მიუთითებს იმ ადგილს, სადაც ლექსში ასახული ამბავი ხდება. ამრიგად, მას სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება ხალხური პოეტური ნიმუშის პასპორტიზაციის თვალსაზრისითაც. ზოგჯერ ამ მოქმედების ლოკალიზაციით ლექსის გენეტიკური წარმომავლობაც დგინდება.

ტოპოგრაფიული ფორმულები უმთავრესად საგმირო და საისტორიო ლექსებშია გამოყენებული. მათში ხშირად საქართველოს მშფოთვარე სისხლიანი წარსულის არაერთი ტრაგიკული ეპიზოდი ილანდება. ამ მიზეზით ასეთი შინაარსის ზოგიერთ ტოპოგრაფიულ ფორმულას ისტორიული დოკუმენტურობის მკაცრი ანაბეჭდი აზის.

ერთი რიგის ასეთ ექსპოზიციურ ფორმულებში კონკრეტულად არის მინიშნებული ის დასახლებული პუნქტი, სადაც საომარი სამზადისი წარმოებს და ლაშქარი იკრიბება:

„დ უ ე ე თ ი ყ რ ე ბ ი ს ლ ა შ ქ ა რ ი, არ ერგებიან გზანიო,
 სადგომლად არ ეყოფიან ბახალეთურნი ტბანიო“¹⁴.

მეორე ნიმუშში მხოლოდ ადგილის გეოგრაფიული სახელწოდებაა შეცვლილი, ექსპოზიციური ფორმულის სხვა წევრები კი იგივეა:

„დ ი ლ ლ ო ს ი ყ რ ე ბ ი ს ლ ა შ ქ ა რ ი, ერთის ურჯულოს თავზედა,
 აღიან, წამოვიღიან გვიანს მუქარაზედა“¹⁵.

ექსპოზიციურ ფორმულებში „დუეეთ იყრების ლაშქარი“ და „ლილოს იყრების ლაშქარი“ მართოდენ ტოპონიმები („დუეეთ“ და „ლილოს“) იცვლება, დანარჩენ ნაწილებში („იყრების ლაშქარი“) ექსპოზიციური ფორმულები აბსოლუტურ იდენტურობას ამჟღავნებს.

ანალოგიური შინაარსის სხვა ექსპოზიციურ ფორმულებში გეოგრაფიულ პუნქტებთან მოქმედება უფრო ექსპრესიულად არის მოსადაგებული:

„ა რ ღ ო ტ შ ი რ ა ა მ ბ ა ვ ი ა ? ჩამატეხას ზევე ცისასა,
 ამბობენ ლაშქრის მოსვლასა, გარდამაქდა არშეისასა“¹⁶.

სხვა მაგალითი:

„ა მ ბ ა ვ გ უ რ ო ჩ ი რ ა ი ა ? რა წყრომა დადგა ხეთისაო,
 ელომა გაუბედავის ულაჯურის შეილთაო“¹⁷.

ილუსტრირებულ ექსპოზიციურ ფორმულებში სხვადასხვა სოფელია დასახლებული, მაგრამ თვით ფორმულის ძირითადი სქემა ერთნაირ ხასიათს ატარებს „რა ამბავია?“ და „ამბავ რაია?“ — ამ ფრაზებში მოცემულია ერთი და იმავე სიტყვების სპეციფიკური განლაგება, რომელიც განსხვავებას მხოლოდ სინტაქსური კონსტრუქციით, სტილისტური თვალსაზრისით გვიჩვენებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ეს კონსტრუქციები კითხვითს წინადადებებს განასახიერებენ და ამგვარად მათში ემოციური ელემენტი მაღალ ეფექტს აღწევს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვეთანხმებით პ. დ. უხოვის დასკვნას, სადაც იგი ამტკიცებს, რომ

¹⁴ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, I, გვ. 1.

¹⁵ იქვე, გვ. 31.

¹⁶ იქვე, გვ. 49.

¹⁷ იქვე, გვ. 112.

ტიპური ფორმულის ფუნქცია ლირიკულ ნაწარმოებებში მეტწილად ექსპრესიულობის შექმნით განისაზღვრება. „თუ ეპოსში ტიპური ადგილები უპირატესად თხრობითი სურათებია, რომელიც აუცილებელია სიუჟეტის განვითარებისათვის, — აღნიშნავს იგი, — სამაგიეროდ ლირიკაში ისინი უპირატესად ემოციური გამომსახველობის საშუალებას წარმოადგენენ“¹⁸.

ჰეროიკული ბალადების ერთ ნაწილში ტოპოგრაფიული ფორმულების მთავარ ობიექტად ციხე არის სახელდებული. ციხე როგორც საფორტიფიკაციო ნაგებობა სათანადო სტრატეგიული ფუნქციით იყო აღჭურვილი და იგი ხშირად გააფთრებული ბრძოლების ასპარეზს შეადგენდა. ასეთი შინაარსის ტიპურ ადგილებში უმთავრესად სოფლის და ზოგჯერ ციხის პატრონის სახელია შეცვლილი:

„ა ხაღს ვოდერძის ციხეო, სამუქარო ხარ მტრისაო“¹⁹.

ან კიდევ:

„ვერხოვანს წვრილო ციხეო, ქვა ვინ გაწო ქვაზედა“²⁰.

არცთუ იშვიათად ერთი და იმავე ბალადის ვარიანტები, რომლებიც სხვადასხვა კუთხეშია გავრცელებული, ასევე ექსპოზიციური ფორმულების განსხვავებულ წაკითხვებს იძლევა. ეს უკანასკნელი მომენტით კი დიალექტური ნიუანსებით ვლინდება. საილუსტრაციოდ ქვემოთ ვახშირო ბალადის „წოვეთში გიგის ციხის“ ორი ვარიანტის ექსპოზიციურ ფორმულათა შეპირისპირებას. პირველი თუშეთშია ფიქსირებული, მეორე—ფშავეში. ბალადის ფაბულა ადასტურებს, რომ იგი გენეტიკურად თუშეთთან უნდა იყოს დაკავშირებული:

1. „წოვეთას გიგის ციხეო, ქვაც ნუ გდებია ქვაზედა, ქაჩუს გადმოდის ჯარები, ციხე, შენს მუქარაზედა“²¹.
2. „წოვეთში გიგის ციხეო, ქვამც ნუ სდებულხარ ქვაზედა, მოგიხდეს ჭარულ შეილები, ალი აგხეივს თავზედა“²².

პირველი თუშური ვარიანტია და იგი თუშეთში ივ. ბუჭურაულის მიერ არის ჩაწერილი, მეორე კი, როგორც ფშავეში არსებული ვარიანტი, იმავე კუთხეში დ. სიზანაშვილის მიერ არის მოპოვებული. თითოეულ ფორმულაში (და საერთოდ ვარიანტში) საკუთარი კუთხის კილოკავია დაცული, ამით კი თვით ვარიანტის არეალი, კერძოდ ამ კუთხისადმი ვარიანტის კუთვნილება დგინდება. დიალექტური სიტყვები, გამოთქმები და გრამატიკული ფორმები ფოლკლორული ნაწარმოებისათვის მრავალგზის კოლორიტულად არის დამახასიათებელი. ეს ე. წ. ტერიტორიული დიალექტი არცთუ იშვიათად ხალხურ პოეტურ ტექსტში მკვეთრი იერით არის შეჭრილი, რის მეოხებითაც ზოგ შემთხვევაში ხერხდება ლექსის სადაურობის დაზუსტება, ზოგ შემთხვევაში კი ვარიანტის გავრცელებულობის შემოწმებაც.

ხალხური წყობილსიტყვიერი ნაწარმოების სხვადასხვა ვარიანტში ერთი და იმავე ექსპოზიციური ფორმულის განსხვავებული სახეები ბევრი ფოლკლორული ტექსტის მაგალითზე დასტურდება. ერთ-ერთი მშაფრისიუჟეტისანი ხალხური ბალადის ვარიანტებში განსხვავებული ტოპოგრაფიული ფორმულებია წარმო-

¹⁸ П. Д. У х о в, Атрибуции русских былин, М., 1970, გვ. 174.

¹⁹ ფშაური ლექსები შეკრებილი დ. ხიზანაშვილის მიერ, ტფ., 1887, გვ. 6.

²⁰ ხალხური სიტყვიერება, I, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 100.

²¹ იქვე, გვ. 58.

²² ფშაური ლექსები, შეკრებილი დ. ხიზანაშვილის მიერ, გვ. 48.



დგენილი. ამ ფორმულებში ქალის ტირილის დრამატული ეპიზოდია აღწერილია ფორმულა ყველა ვარიანტში ერთსა და იმავე ქალს მიუთითებს, ოღონდ ერთ ვარიანტში ქალის მამის სახელი იცვლება. ამავე დროს თითქმის ყველა ვარიანტში—სოფლის სახელწოდებაც. აი ამ ბალადის სამიოდვე ვარიანტის ექსპოზიციური ფორმულები:

1. „ჩილოს წისქვილში ატირდა ნანა თორღაის ქალი“²³.
2. „ტუტარიკს წისქვილს ატირდა ნანა თორღაის ქალი“²⁴.
3. „ახვას შუ უბან ასტირდა ნანა მგელაძის ქალი“²⁵.

ამრიგად, აქ ერთი და იმავე ბალადის სამი სხვადასხვა ვარიანტის ასევე განსხვავებული ექსპოზიციური ფორმულებია ციტირებული. ვარიანტულმა განსხვავებამ შესაბამისად გამოიწვია ტიპური ადგილების სხვაობაც. მასასადამე, ჩვენ გვაქვს თვით ექსპოზიციური ფორმულათა ვარიაციები, რომელიც შედგენის ერთ პრინციპს, ერთ სქემას, ერთი დეტალის დაკონკრეტებას ეფუძნება.

ზოგიერთი ხალხური პოეტური ნაწარმოების შესავალში ქვემოთ დამოწმებულ ექსპოზიციურ ფორმულას საკმაო პოპულარობა აქვს მოპოვებული. მოვიყვანთ მის რამდენიმე ნიმუშს, რომლებიც ერთი ბალადის სხვადასხვა ვარიანტში კი არ გვხვდება, არამედ იგი სხვადასხვა დამოუკიდებელი შინაარსის სიუჟეტურ ლექსებშია შესული:

1. „დიდოს ვინამ ხარ პატრონი, ვინამ დაჰბუი ბანზედა, ზამთარსა დალევე ჰირთა, ვახაფხულს ჩახვალ ცხვარზედა?“²⁶
2. „მომბლო დედისერთაო, საღ რაბა ღბრუნავ ბანზედა? ნეტავი წამოვიყვანა, შამოვაელი მთაზედა“²⁷.
3. „ქისტო, ვინა ხარ ქისტეთსა, ქისტო, ვინ ღბრუნავ ბანზედა, აღარც გამოხვალ სამყნოს, აღარც დავეიღებ კარზედა“²⁸.
4. „ვინ ღბრუნავ შიბუს ქალასა დილა აღრიან მწკალზედა? ვინ ხევები სიმავრეებსა, მოყმევე, ვინ უვლი თავედა“²⁹.

ციტირებული სალექსო ფრაგმენტებში დაცული არის ამა თუ იმ თავისთავადი პოეტური ტექსტის მიმართ ერთი და იმავე ექსპოზიციური ფორმულის დიფერენციული გამოყენების მეთოდი. დიფერენციულ გამოყენებაში იგულისხმება ფორმულის ზოგად სქემაში სპეციფიკური მონაცემების (სოფლის, ადამიანის სახელების და სხვ.) „ჩასმა“ იმის მიხედვით, თუ აღნიშნული კომპოზიციური ხერხით სახელდობრ რომელი ლექსის შინაარსი იწყება. განსაკუთრებულ განსხვავებას უკანასკნელი (მეთოხე) ნიმუში ამჟღავნებს. მასში ტიპური ადგილის ხერხემალი („ბანზე ბრუნვა“) მკრთალად არის მოცემული. ამასთან ეს ფორმულა პირველ ფრაზადაა წარმოდგენილი (სხვა ნიმუშებში კი მას მეორე ფრაზა უკავია). აღსანიშნავია, რომ დამოწმებულ ტოპოგრაფიულ ფორმულებში S (სივრცის) ელემენტი კოლორიტულ ლოკალს შეიცავს.

როდესაც საერთოდ ტიპური ადგილების დიფერენციული გამოყენების მეთოდზე ვლაპარაკობთ, აქ არ შეიძლება საგანგებოდ ზაზი არ გაეცვას ამ მიმართებით მოქმედის როლსა და ინდივიდუალურ ესთეტიკურ ორიენტაციას. რადგანაც სხვადასხვა მოქმედი სხვადასხვა ხალხურ პოეტურ ნაწარმოებში

²³ ხალხური სიტყვიერება, I, ვ. თაყაიშვილის რედ., გვ. 50.

²⁴ იქვე, გვ. 51.

²⁵ იქვე, გვ. 101.

²⁶ იქვე.

²⁷ ხალხური სიბრძნე, IV, ქს. სიხარულიძის რედ., თბ., 1965, გვ. 377.

²⁸ ხალხური სიტყვიერება, I, ვ. თაყაიშვილის რედ. გვ. 57.

²⁹ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, გვ. 112.

ერთსა და იმავე ტიპურ ადგილს სხვადასხვანაირად იყენებს, ამიტომაც ლექსში მივიღოთ სპეციალური აზრი იმის შესახებ, რომ მთქმელის მიერ ტრადიციული ფორმულების შეთვისება ხშირ შემთხვევაში ზეპირად არ წარმოებს³¹. მის მიერ ეს ხერხი უფრო შემოქმედებითად იხმარება, რასაც ცალკეულ ხალხურ პოეტურ ნაწარმოებთა ამ თვალსაზრისით შესწავლა მოწმობს. ამის ერთერთ ფაქტს კი ზემოთ მოყვანილი ნიმუშების სათანადო ანალიზიც გვიჩვენებს. ეს შომენტი თავის დროზე შენიშნა ა. ფ. გილფერდინგმა, როდესაც დაასაბუთა, რომ „ტიპურ ადგილებს თითოეულ მთქმელთან აქვს თავისი თავისებურებანი და თითოეული მთქმელი ხმარობს ერთსა და იმავე ტიპურ ადგილს ყოველთვის, როცა საამისოდ შესაფერის აზრი გაჩნდება... ამრიგად, ტიპური ადგილები ყველაზე მეტად ასახავს მთქმელის პიროვნებას“³¹. პ. დ. უხოვის შეხედულებით კი „ტიპური ადგილების სიტყვიერი გაფორმება მთქმელის კერძო შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს. ამიტომაც ტიპური ადგილების ხასიათის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მთქმელთა შემოქმედების მანერაზე“³². მისივე ცნობით, „რუსული ბილინების მრავალრიცხოვან კრებულებში საექვოა დამბინილ იქნეს ერთი მთქმელის ტიპური ადგილების საესებით ზუსტი დამთხვევის თუნდაც ერთი ნიმუში სხვა მთქმელის მსგავს ადგილებთან; ზოგიერთ, თუნდაც ნაწილობრივ დეტალში განსხვავება მაინც გვხვდება“³³. უფრო მეტიც, პ. დ. უხოვისავე დაკვირვებით „თუნდაც ერთი და იმავე ადგილის მთქმელებთან ტიპური ადგილების ზუსტი დამთხვევა არ წარმოებს“³⁴.

ჩვენი აზრით, პ. დ. უხოვის ეს ბოლო დებულება გარკვეულ ლოგიკას არის მოკლებული. ასეთი მკაცრი დასკვნის გაკეთება და ხალხური პოეზიის ყველა ეანრის ნაწარმოებზე მისი თანაბრად გავრცელება ჩვენ არასწორად მიგვაჩნია. თუ ბალადის ეანრის ფოლკლორულ ნიმუშებში სიუჟეტის შესაბამისად ტიპურ ფორმულას მართლაც ცვლილებები ეხება, სამაგიეროდ ლირიკულ ნაწარმოებებში საერთო ადგილი არცთუ იშვიათად სტაბილურობას ინარჩუნებს.

ასე, მაგალითად, უცვლელი სტრუქტურით არის წარმოდგენილი ტოპოგრაფიული ფორმულა სატრფიალო ლირიკის ორ სხვადასხვა მინიატურაში:

1. „ბ ა ლ ა შ ი ა გ ა დ ვ ი ხ ე დ ე, ქ ა ლ ი ვ ნ ა ხ ე მ შ ო ლ ი ა რ ე, თ ა ვ ი თ ე დ გ ა თ ე თ რ ი ვ ა შ ლ ი, ფ ე ხ თ ი თ უ ფ რ ო მ ს მ ს ო ი ა რ ე“³⁴.
2. ბ ა ლ ა შ ი ა გ ა დ ვ ი ხ ე დ ე, გ ა რ დ ა მ ი შ ი ა ი ა მ ა, ყ ა ყ ა ჩ ო ა ყ ვ ა ე ბ უ ლ ა, ვ ა რ დ ი ვ ა შ ლ ი ლ ა, გ ა ი ა მ ა“³⁵.

ტოპოგრაფიული ხასიათის ექსპოზიციური ფორმულა „ბალაშია გადვიხედე“ შაირის ტიპის ორივე დამოწმებულ ლექსში უცვლელი სახით მეორდება. მსგავს მოვლენას აქვს ადგილი ბევრი სხვა ტრადიციული ფორმულების გავრცელებულობის თვალსაზრისითაც.

ზემოთ ნათქვამის კიდევ უფრო საფუძვლიანი არგუმენტირებისათვის ჩვენ

³⁰ А. Ф. Г и л ф е р д и н г, Олонская губерния и ее народные рапсоды, в кн.: Онежские былины, записанные А. Ф. Гильфердингом летом 1871 года, Ленинград, 1949, гл. 57—58.

³¹ П. Д. У х о в, Из наблюдения над стилем сборника Кирши Данилова. Русский фольклор. Материалы и исследования, I, М.-Л., 1956, гл. 99.

³² იქვე, გვ. 97.

³³ იქვე, გვ. 98.

³⁴ პ. დ. უ ხ ი ა შ ე ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, II, მ. ჩიქოვანის რედ., თბ., 1964, გვ. 148.

³⁵ იქვე.

6. მ ა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, № 2



შეგვიძლია მოვიხმოთ სხვა დანიშნულების ექსპოზიციური ფორმულების სხვა სხვა ლუსტრაციო მაგალითები:
პირველი ნიმუში:

1. „ღმერთო, რა დიდი, ბრალთა, არევა ქალაქისაო, დაღუვა ბაგრატიონთა, ჩარჩევა მასკვლავისაო“³⁶.
2. „ღმერთო, რა დიდი ბრალთა სიკვდილი კაი ყმისაო, ჭიშკლას დაიქვა ჭეჭიერი, კუთხი გამასკდა ქვისაო“³⁷.

მეორე ნიმუში:

1. „ნეტავი ქალო შე და შენ ყანები მოგეცა ზიარი, შოგ სამარგელი მოპრია, ნაპირი მისცა ტყიანი, მე და შუნ ტყეში შევიდეთ, ყანები დარჩეს ტალი“³⁸.
2. „ნეტავი, ქალო, შე და შენ ერთმანეთს დაგვატოლო, რომელიც მეტი მოვიდეთ, სასხლევით გადაგემორაო“³⁹.
3. „ნეტავი, ქალო, შე და შენ გვეთამაშოს ნადი ორი, ხელი ხელთა გადაგვედოს, მივდიოდეთ ბაღში ორი“⁴⁰.

მესამე ნიმუში:

1. „მოვდივართ, მოგვიხარია, მოგვეყვს ლამაზი კეკელა, ქალი, სძალი მშვენიერი, პირ-ვარდი, აღუა-კეკელა“⁴¹.
2. მოვდივართ, მოგვიხარია, მოგვეყვს დედალი ხოხობი, თვალ-წარბებ გადახატული, ქალია ძუძუ-კოკობი“⁴².

აქ მოყვანილი ცალკეული ნიმუშების მიხედვით სხვადასხვა ლექსის შესავალში ექსპოზიციური ფორმულები უცვლელი სახით გამოიყურება. იგივე ვითარება შეინიშნება ზოგიერთი სხვა ექსპოზიციური (და საერთოდ ტრადიციული) ფორმულების გამოყენების დროსაც.

ქრონოლოგიური (T) და სივრცის (S) ფორმულებს გარდა ფოლკლორული ლექსის შესავალ ნაწილში სხვა ხასიათის ექსპოზიციური ფორმულებიც იხმარება. მათი რამდენიმე მაგალითი ეს-ეს არის ზემოთ მოვიყვანეთ, სადაც უცვლელი სახით გამეორებადი ტიპური ადგილებია დემონსტრირებული.

კოლორიტულ „შინაარსს გადმოგვეცემს ექსპოზიციური ფორმულა „წიგნს მოგწერ, გამოგიგზავნი“, რომლითაც ხალხური სატრფიალო ლირიკის რამდენიმე ნაწარმოები იწყება. იგი ზოგიერთი ლექსად დაწერილი სამიჯნურო ხასიათის თავისებურ პროლოგს წარმოადგენს. მათში გარკვეული გრამატიკული ვარიაციები დასტურდება:

1. „წიგნს მოგწერ, გამოგიგზავნი, ვარღო გაშლილო ველათა, სად მოიკალა იმ ღმერთმა შენის თვალ-წარბის წერათა, ან სად იშოვნა კალამი, დაგხატა ათას ფერათა“⁴³.
2. „წიგნს დავწერ, გამოგიგზავნი შავის მელნითა ნაწერსა, შენ შავ თვალებს წააკითხე, შავი წამწამი აძვესა, მანამდინ შენა გნახამდე, მანამ ვილა გააწეესა“⁴⁴.

³⁶ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, გვ. 23.

³⁷ იქვე, გვ. 39.

³⁸ ბ. უშიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, II, 1964, გვ. 84.

³⁹ იქვე, გვ. 47.

⁴⁰ იქვე, გვ. 38.

⁴¹ ხალხური სიბრძნე, IV, ქს. სიხარულიძის რედ., გვ. 289.

⁴² იქვე.

⁴³ ბ. უშიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, II, გვ. 52.

⁴⁴ იქვე.

3. „წიგნი მინდა მომეწერა, წვერი მომიტყდა კალამსა, როცა გვერდით გახლები, მაშინ მოგართმევ სალამსა“⁴⁵. და სხვ.

ეს ფორმულები მეტ-ნაკლებ სტრუქტურულ სხვაობას ავლენენ, მათგან მესამე ნიმუში უფრო მკვეთრი თავისებურებით გამოირჩევა, თუმცა მისი ეს თავისებურება სემანტიკურ ფარგლებს არ სცილდება.

ბევრი ექსპოზიციური ტიპური ადგილი, რომელიც ლექსის შინაარსის ერთ-გვარ „პიშკარს“ წარმოადგენს, მიმართვის ფორმით გამოიხატება. ამ დროს მისი ლირიკული პათოსი უფრო იზრდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიმართვის ფორმა ექსპოზიციურ ადგილებს მეტ ინტიმურობასა და ემოციურობას ანიჭებს. დასაწყისი ფრაზებიდან აღებული ექსპრესიული ინერცია ლექსს ზოგჯერ ბოლომდე გაჰყვება. საერთოდ მიმართვა ექსპოზიციურ ფორმულას ხაზგასმული უშუალოდობითა და მძლავრი პოეტური ენერგიით აღავსებს, ლექსში მკაფიო, აქტიური მხატვრული სულისკვეთება შეაქვს. ამასთან დინამიზმი და პლასტიკურობა ლექსს, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, მკვეთრი ვიბრაციით „ამოძრავებს“.

თავისებურ პირველ ომახიან შეძახილად გაისმის ექსპოზიციური ფრაზა „ვერ გაიგეთა ქართველნო“ ერეკლე მეორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით შექმნილ საგმირო-სამელოვიარო ლექსში, სადაც ამ ფრაზაზე განსაკუთრებული აზრობრივ-ლოგიკური სიმძიმის ცენტრი გადადის:

„ვერ გაიგეთა, ქართველნო? შეგესნათ რკინის კარია,
ალარ გყავთ ნუფე ერეკლე, არც მისი საომარია,
დამღვარა ბაირალები, ალარ ჭეხს ზარბაზნია“⁴⁶.

იგივე ექსპოზიციური ფორმულა ამ ლექსის მკვეთრად განსხვავებულ ვარიანტშიც გამოიყენება:

„ვერ გაიგეთა ქართველნო, შეგესნათ რკინის კარით,
მზე ჩაგვიფიდა უკულმა, ჩავარდა შუა ზღვაშიო,
მთვარე დახნულდა, გაშვიდა, ალარ გვინათებს ცაშიო“⁴⁷.

ამ ფორმულის პირველი ნახევარი თავისებური სინტაქსური წყობით ერეკლე მეორის ციკლის სხვა ლექსშიც არის რეალიზებული:

«ქართველებ, ვერ გაიგეთა, ჰვეის მთა გარმასულაო?
ცოტანაი ას სნოს წყალი, ჯერ დიდი არ მასულაო,
იარალაის კულაი ჰვეის მთას გარმასულაო,
ერეკლე ბატონიშვილი ტახტზეთ გარამქდარაო,
იარალები აუსხამ ბაბლიას გარდამქდარაო,
კაცი ჰვესურეთ წალაღა: „თავ დამჭირდება ყმისაო...“⁴⁸.

აღნიშნული ტიპური ადგილი გვხვდება ფშაურ ლექსში, ოღონდ აქ ეს ფორმულა ლექსის მეორე (თექვსმეტმარცვლოვან) სტრიქონშია მოთავსებული, ამავდროს „ქართველნო“-ს ნაცვლად გვაქვს „ფშაველნო“:

„მინდვრით მოვიდა ამბავი, შამაიარა მთანია,
ვერ გაიგეთა ფშაველებო, შეგესნათ რკინის კარია,
ოსებ ხარანულსა საომარ ეტყვის მხარია“⁴⁹.

⁴⁵ იქვე, გვ. 53.

⁴⁶ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, გვ. 23.

⁴⁷ ხალხური სიბრძნე, IV, ქს. სიხარულიძის რედ., გვ. 200.

⁴⁸ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 19.

⁴⁹ ხალხური სიტყვიერება, III, შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, მ. ჩიქოვანიძის რედ., თბ., 1953, გვ. 50—51.



ამრიგად, აღნიშნული ექსპოზიციური ფორმულა უკანასკნელ მსგავსობაში 'შუაის კონკრეტულ სინამდვილესთან არის მისადაგებული.

საკმაოდ პოპულარულ ექსპოზიციურ ფორმულად აღირიცხება „დაუკარ, ჩემო ჩონგურო“, რომელიც უცვლელად ან მცირეოდენი ვარიაციებით სხვადასხვა თემატიკის ხალხური ლექსების შესავალში ფიგურირებს. უმეტესწილად კი იგი სალალობო-იუმორისტულ ხალხურ პოეტურ ტექსტებში იხმარება. დაბეჭი-თებით შეიძლება აღინიშნოს, რომ მას გამოყენების სიხშირის მიხედვით ერთ-ერთი წამყვანი როლი აქვს განკუთვნილი ამ ტიპის საერთო ადგილებს შორის. აქაც მიმართვის ობიექტი წოდებით ბრუნვაში არის დაყენებული, რაც დასახე-ლებული ექსპოზიციური ფორმულის შინაგან ტემბრსა და მელოდიურობას კი-დევე უფრო აძლიერებს. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ კატეგორიის ტიპური ადგი-ლები ახალი ეპოქის მოვლენას წარმოადგენს. იგი ქართულ ხალხურ ლექს-სიმ-ღერებში მას შემდეგ უნდა გავრცელებულიყო, რაც მუსიკალური ინსტრუმენ-ტი ჩონგური შემოვიდა ხმარებაში და ამის კვალობაზე თვით ეს ტერმინიც ეროვ-ნულ ენაში იქნა დამკვიდრებული. როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, ძველ ქართულ ხალხურ საკრავებში ჩონგური არ იხსენიება და, ბუნებრივია, იმდროინდელ წერილობით ძეგლებში არც ეს ტერმინი გვხვდება. როგორც კ. კეკელიძე ასკვნის, ჩონგური პირველად არის დადასტურებული XVII ს. და-წერილ პოემა „სიბილაიანში“⁵⁰. ეს კი იმაზე მეტყველებს, აღნიშნული ხალ-ხური საკრავი ქართულ ეროვნულ ინსტრუმენტარიუმშიც ამავე ხანებიდან ჩნდებ-ბა. მითითებულ მომენტს ამ ტერმინის შემცველი ხალხური ლექსის წარმოშო-ბის ქრონოლოგიური ჩარჩოების მოხაზვის მხრივ სათანადო მნიშვნელობა ენი-ჭება. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ფოლკლორული წყობილიტყვიერი ნა-წარმოები, რომელიც საანალიზო ფორმულით იხსნება, როგორც თვით ფორმუ-ლის შინაარსი გვიჩვენებს, ჩვეულებრივ სასიმღეროდ არის გათვალისწინებული.

ექსპოზიციური ფორმულა „დაუკარ, ჩემო ჩონგურო“ სტაბილური სტრუქ-ტურული ფორმით მეორდება შემდეგ ხალხურ პოეტურ ნიმუშებში:

1. „და უკარ, ჩემო ჩონგურო, ამოიღე ხმაო, გულს ნისლი შამომწოლა, ლექსი უნდა ვთქვაო“⁵¹.
2. „და უკარ, ჩემო ჩონგურო, შე თუთა წმინდა ხისაო; პაპიქემსა ვათლილო, ბებიაჩემის ხნისაო“⁵².
3. და უკარ, ჩემო ჩონგურო, გაქვა-გამოქვა ხელია, მშვიდობით მოვიჭამა ჭერ კალო, მერე რთველია“⁵³.... და ა. შ.

მოიპოვება ამ ლექსების სხვადასხვა ვარიანტი, სადაც ეს სტერეოტიპული ფრაზა უცვლელ სტრუქტურას ინარჩუნებს, ან გარკვეული დოზით ვარიაციას იძენს.

განხილული ექსპოზიციური ფორმულა ერთ-ერთ ლექსში შუა ადგილას არის მოთავსებული. ამ მიზნით მისი ექსპრესიულობა ნელდება. აქაც იგი სტა-ბილური სახით არის მოცემული:

„ქება გითხრა რისა, ქება ლექსებისა,
ვარდო მაისისა,

⁵⁰ კ. კეკელიძე, საანალიზო ისტორიისათვის ძველ საქართველოში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1945, გვ. 156.

⁵¹ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 21.

⁵² იქვე.

⁵³ ხალხური სიტყვიერების მასალები, I, შერკ. ჯ. სონღულაშვილის მიერ, ელ. ვიოსალაძის რედ., თბ., 1955, გვ. 140.

ლარო ჩონგურისა? და უკარ ჩემო ჩონგურო, თუთა წმინდა ხისა,
ლექსით ვეტყვი სიმღერას ხმა გაქვს ლარებისა⁵⁴...

ხევსურეთში ჩაწერილ ხალხურ პოეტურ ნიმუშში ცვლილება მხოლოდ საა-
ნალიზო ფორმულის ზმნის სტრუქტურას ეხება:

„და ვიკრავ ჩემო ჩონგურო, ღალატან ხარ, ძნელი,
ვინ იყავ, რომელმ იამბე, „მააწერის ზელი“⁵⁵“

ამავე შინაარსისაა ექსპოზიციური ფორმულა, სადაც მიმართვის ობიექტად
ფანდური არის მოხმობილი. ასეთი ლექსების დიდი უმრავლესობა ხევსურეთში
არის ფიქსირებული. და ეს ვასაგებიცაა. ჩონგურის ნაცვლად იქ უმთავრესად
ფანდური იხმარებოდა⁵⁶. ხალხური პოეტური ნაწარმოები, რომელშიც აღნიშ-
ნული მუსიკალური საკრავი ფიგურირებს, გენეტიკური ძირებით უფრო შორე-
ულ ეპოქას განეკუთვნება. სარწმუნო ცნობებით, ეს ინსტრუმენტი X საუკუ-
ნიდან ჩანს შემოტანილი⁵⁷. ქართულ მეტყველებაში ტერმინ ფანდურის დამკვიდ-
რებაც ამავე დროსაა საეარაუღებელი. ცხადია, ეს ტერმინი ხალხურ ლექსებში
იმავე პერიოდში იწყებს შეღწევას და ამ დროიდან იგი აქ შესაფერისი მოქა-
ლაქობრივი უფლებებითაც არის გარემოსილი.

ექსპოზიციური ფორმულა, რომელშიც მიმართვის ობიექტად ფანდური
გვაქვს, მეტწილად ასეთ სახეს ღებულობს: „იძახე, ჩემო ფანდურო“.

საილუსტრაციო მასალა:

1. „იძახე ჩემო ფანდურო, როსაც ავიღებ ზელშია,
ცუდებ გავივი ამბავი, რა ძნელი ვასაგებია“⁵⁸.

2. „იძახე ჩემო ფანდურო, იცი ღამაზად ვიფინი,
ჩაგისხი თითბრის ლარები, ავასხი ოქროს ზინზილი“⁵⁹. და ა. შ.

ფორმულაში ზმნა „იძახე“ ხევსურული დიალექტური კოლორიტით არის
შეფერილი. იგი აქ კონკრეტულად ნიშნავს „იძახადი“, „ხმა ამოიღე“, „იმლე-
რე“...

სხვა ექსპოზიციურ ტიპურ ადგილში „იძახე“-ს „ა ბეჩავ“ ენაცვლება.
ამ უკანასკნელში უფრო შექების, შეგულიანების, წაქეზების იმპულსი გამოსკ-
ვივის:

„ა ბეჩავ ჩემო ფანდურო, ფანდურ არა გვობ ხისო,
დავიკრავ, ვგრე იძახებ, მგონე სპილენძისა“⁶⁰.

ამავე მიმართვის ობიექტის მონაწილეობით გვხვდება სხვა ექსპოზიციური
ფორმულებიც („გადმოვიტანე ფანდური“⁶¹ და სხვ.).

თანამედროვე ხალხური პატრიოტული ლირიკის რეპერტუარში მოიპოვება
ნაწარმოებები, სადაც ექსპოზიციური ფორმულის მიმართვის ობიექტად სამ-
შობლო არის სახელდებული. ამ ლექსებისათვის ნიშანდობლივია მძლავრი ში-
ნაგანი ტემპერამენტი, იდეურობა, უშუალობა და გულწრფელობა.

ეს საერთო ადგილები სიტყვიერი ფაქტურისა თუ გრამატიკული ფორმე-
ბის განსაზღვრული თვითმყოფობით ხასიათდება.

⁵⁴ ხალხური სიბრძნე, IV, თბ., 1965, გვ. 385.

⁵⁵ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, ტფ., 1931, გვ. 258.

⁵⁶ ალ. ლონტი, ქართული შაირები, თბ., 1941, გვ. 107—108.

⁵⁷ ი. ჭავჭავაძე, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ.,
1938, გვ. 150.

⁵⁸ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, გვ. 134.

⁵⁹ იქვე, გვ. 148.

⁶⁰ იქვე, გვ. 89.

⁶¹ იქვე, გვ. 115, 159.

აი, რამდენიმე ნიმუში ამ თემატიკის ექსპოზიციური ფორმულებიდან:

1. „სალამი ჩემო სამშობლოვ, საბჭოთა საქართველო, ორთა ზღვას შუა მდებარე მთა-ბარ-ტყე, მინდორ-ველო“⁶².
2. „ჩემო სამშობლოვ, მთა-გორო, მიდამოვ, ველებიანო, ქვეით ხეებო, გარშემო სულ მუდამ თოვლო წყლიანო“⁶³...
3. „სამშობლოვ, ჩვენო მშობელო, გულს ია-ვარდი გვენია, მაისის დღესასწაული, რა ლამაზადა გშვენია“⁶⁴... და სხვ.

სტერეოტიპული ფორმულებით იხსნება სხვა თემატიკის ხალხური ლექსებიც. მაგალითად, შრომის პოეზიის ნიმუშებში გვხვდება ექსპოზიციური ფორმულები „შენი ჭირიმე, გუთანო“⁶⁵, „გლესავ და გლესავ ნამგალო“⁶⁶ და სხვ., მითოლოგიურ პოეტურ ძეგლებში — „შხეო, ამოდი, ამოდი“⁶⁷, „ა, ელია, ელია“⁶⁸, „ახ, ლაზარე, ლაზარე“⁶⁹ და ა. შ.

როგორც დავინახეთ, ექსპოზიციური ფორმულები ხალხური პოეზიის ტექსტებში საკმაოდ ფართო გამოყენებას პოულობს. მათ ფუნქციური და სტრუქტურული მრავალფეროვნება ახასიათებთ და ძირითად ტექსტთან განსხვავებული ინტენსივობის კონტაქტს ამყარებენ. ამასთან თითოეული მათგანის სიხშირის კოეფიციენტი არათანაბარ მანგვენებელს იძლევა. საახალიზო კომპოზიციური ხერხი სხვადასხვა რაოდენობით დასტურდება ფოლკლორულ ლექსებში.

ექსპოზიციური ფორმულა თავისი გენეზისით შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. მასში, ვიმეორებთ, გარკვეული აქტიურობით იქნა ასახული სტერეოტიპულობა, როგორც საერთოდ ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისება. აქ კი ისეთი პრობლემაც აღიძვრება, როგორც არის ტრადიციულობა, რომელიც აგრეთვე ხალხური შემოქმედების თავისებურებას წარმოადგენს.

ზოგადად საერთო ადგილები («loci communes») საყურადღებო მომენტს შეიცავს ხალხური ლექსის შემოქმედებითი პროცესის ცალკეულ მომენტთა შესაბამისი კონსტატაციის მასშტაბითაც. მისი შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ხალხური ლექსის შემოქმედებითი ლაბორატორიის ზოგიერთი საიდუმლოების მნიშვნელოვანწილად შეცნობა-გამომზეურება. ამასთან აქ საცნაურდება ხალხის, როგორც კოლექტიური ავტორის, მხატვრული ოსტატობა, ინტუიცია, შემოქმედებითი გამოცდილება, ფოლკლორული მზა სქემებისა თუ ზეპირი დეტალების ორგანული, ესთეტიკური შეთვისების უნარი.

ექსპოზიციური ფორმულა, როგორც ტრადიციული ფორმულის ერთ-ერთი სახეობა, ხშირად იმ პირველ გასაღებს წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც მთელი ლექსის „სივრცე“ გადაიშლება და ამრიგად პოეტური ნაწარმოების პირველსაწყისი სტიქიაც მთელი თავისი ატრინუტებით მქოვანდება.

საბოლოო დასკვნით, ექსპოზიციური ფორმულა ყველა თემატიკის ხალხურ ლექსებშია რეალიზებული, თუმცა იგი მაინც უმთავრესად სიუჟეტურ ლექსებში, საგმირო, საისტორიო, საყოფაცხოვრებო, სალაღობო და სხვ. ორბიტის

⁶² ხალხური სიტყვიერება, I, მ. ჩიქოვანის რედ., 1950, გვ. 3.

⁶³ იქვე, გვ. 8.

⁶⁴ იქვე, გვ. 3.

⁶⁵ ხალხური სიბრძნე, IV, ქს. სიხარულიძის რედ., გვ. 45.

⁶⁷ ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, ნაკვეთი I, მ. ჩიქოვანის რედ., თბ., 1972, გვ. 79, 80.

⁶⁸ იქვე, გვ. 109.

⁶⁹ იქვე, გვ. 108.

ფოლკლორულ პოეტურ ტექსტებში გვხვდება. აქ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იგი, ერთი მხრივ, სტაბილური (უცვლელი), ხოლო, მეორე მხრივ, ვარიანტული (ტრანსფორმირებული) სახით არის გამოყენებული. ეს კომპოზიციური ხერხი იხმარება როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ხალხურ ლექსებში, თუმცა უფრო აქტიურად ტრადიციულ წყობილიტყვიერ ტექსტებში ფიგურირებს. საერთოდ მას კომპოზიციური, ფაბულური, მელოდიური და ემოციური ფუნქცია აქვს დაკისრებული.

Г. Е. ШЕТЕКАУРИ

ЭКСПОЗИЦИОННЫЕ ФОРМУЛЫ НАРОДНЫХ СТИХОТВОРЕНИИ

Резюме

Экспозиционная формула, как один из распространенных художественно-структурных приемов, издавна находит свое широкое применение в репертуаре фольклорной поэзии. Она обычно участвует в начале поэтического текста и на нее возложены соответствующие изобразительно-экспрессивные функции.

В исследовании на основе конкретных иллюстрированных материалов проанализированы экспозиционные формулы разных темпов: хронологические, топографические и др. В образцах народной поэзии они встречаются как в стабильном, так и в варьированном виде, и в них в должной степени проявляется характер коллективности устного поэтического народного творчества.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
 ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
 აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული
 ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის
 განყოფილებამ

ციხანა ყიფშიძე

სოლომონ იორდანიშვილი
რედაქტორ-განამდგამელი

მრავალმხრივი იყო სოლომონ იორდანიშვილის მოღვაწეობა: იგი იყო მთარგმნელი, რუსთველოლოგი, ლექსიკოლოგი, ტექსტოლოგი, პედაგოგი, რედაქტორი.

წლების განმავლობაში ს. იორდანიშვილი ქართულ პერიოდულ გამოცემებში თანამშრომლობდა როგორც შესანიშნავი მთარგმნელი რუსული ენიდან. 1933 წლიდან იგი იყო ცენტრალური სატერმინოლოგიო კომიტეტის წევრი. ამავე წლიდან იგი ლექციებს კითხულობდა უნივერსიტეტში რუსთველოლოგიასა და ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. 1946 წ. ს. იორდანიშვილი მიიწვიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგედ. ამ დროიდან იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენაში როგორც ერთ-ერთი რედაქტორი და ამ ლექსიკონის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. ამასთან ერთად 1935—1937 წლებში იგი იყო «ვეფხისტყაოსნის» ტექსტის დამდგენი კომისიის მდივანი.

ს. იორდანიშვილის კალამს ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევები ქართული მწერლობის ისტორიასა და ქართულ ლექსიკოლოგიაში. ცნობილია აგრეთვე მისი ღვაწლი რუსთველოლოგიის დარგში. ტექსტის ღრმა ცოდნითა და სიზუსტით შესრულებულმა იორდანიშვილისეულმა «ვეფხისტყაოსნის» სიტყვასიტყვითმა რუსულმა თარგმანმა განსაკუთრებული როლი შეასრულა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის სხვა ენებზე თარგმნის საქმეში.

იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა თანამედროვე ქართული ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიის მუშაობაში. მისი გამოკვლევისა და პროექტის მიხედვით დადგენილ იქნა ქართული კომპოზიტების დაწერილობა, რომელიც მიღებულია ნორმად ქართულ სალიტერატურო ენაში.

ს. იორდანიშვილის მოღვაწეობაში საგამომცემლო საქმიანობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი დაუღალავი შრომითა და რუდუნებით არა ერთი და ორი წიგნი გამოიცა. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კლასიკოსთა გამოცემის საქმეს. ს. იორდანიშვილის უშუალო მონაწილეობითა და თაოსნობით განხორციელდა დ. გურამიშვილის, ვეჟა-ფშაველას, სულხან-საბა ორბელიანის «სიბრძნე სიტყვისას», «რამიანას», ეზოპის იგავების, თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგის გამოცემები. მან მონაწილეობა მიიღო «ვეფხისტყაოსნის» 1937 წლის და ნ. ბარათაშვილის 1945 წლის საიუბილეო გამოცემების მომზადებაში და სხვა. ეს არასრული სიაც კი ნათელყოფს მის ღვაწლს და დამსახურებას ქართველ კლასიკოსთა გამოცემის საქმეში. ს. იორდანიშვილის მოღვაწეობის ამ მხარეს გვინდა შევხვოთ ჰენს ნამროშვი. თანმიმდევრობით განვიხილავთ მის მიერ განხორციელებულ გამოცემებს.

1931 წელს ალ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით გამოვიდა

„დავითიანი“¹. გამოცემას წამძღვარებული აქვს ალ. ბარამიძის ვრცელი გამოკლევა. გამოცემას დამატების სახით დართული აქვს დ. გურამიშვილის შედგენილი „სარწყავისა და წისქვილის ამბავი და მოხაზულობა“. აქვეა ვარიანტები, რედაქციის შენიშვნები ტექსტისათვის და ლექსიკონი.

ავტოგრაფულ ნუსხაში მოთავსებული არალიტერატურული მასალა, რომელიც ამ გამოცემაში დამატების სახით არის წარმოდგენილი, არც ერთ წინა გამოცემაში არ დაბეჭდილა, თუმცა დამოუკიდებლად იგი რამდენჯერმე გამოქვეყნდა.

1931 წლის გამოცემის ტექსტი ემყარება გურამიშვილის ავტოგრაფულ ნუსხას. გარდა ამისა, მხედველობაშია მიღებული სიძველეთსაცავებში დაცული „დავითიანის“ ყველა ხელნაწერი.

ტექსტოლოგიური თვალსაზრისით რედაქტორები სწორ პოზიციებზე დგანან „დავითიანის“ გამოცემისას, არ ეხებიან ტექსტს და, თუ აუცილებელია რომელიმე უნებლიე, კალმისმიერე ლაფსუსის გასწორება, ასეთ შემთხვევაშიც დიდ სიფრთხილეს იჩენენ.

ტომს ერთვის ვარიანტები. აქ მოცემულია ვარიანტული სხვაობები, რაც კარგად გვიჩვენებს რედაქტორების გულმოდგინე მუშაობას ტექსტის დადგენაზე. შემდეგ მოდის რედაქციის შენიშვნები, სადაც აღწუსებულია თითოეული შემთხვევა გადაზავისა თუ ჩაწერისა, რა ფერის მელნითაა დაწერილი ან რა ადგილას არის ავტოგრაფში ესა თუ ის სიტყვა ჩაწერილი. გამოცემას ბოლოში ერთვის ს. იორდანიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი და საკუთარ სახელთა საძიებელი.

წინა გამოცემებისგან განსხვავებით აქ პირველად გამოქვეყნდა დ. გურამიშვილის ლექსი „სავარგონია“. ეს ლექსი, როგორც პ. უმიკაშვილმა კარგა ხნით ადრე აღნიშნა, დ. გურამიშვილს თვითონ ჩაუწერია მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკის“ თავისუფალ ფურცელზე.

რედაქტორებმა უცვლელად დატოვეს თხზულებათა რიგი ავტოგრაფის მიხედვით, მხოლოდ ერთხელ დაირღვა ეს წესი: „ამ წიგნთა გამლექსავის გვარისა და სახელის გამოცხადება“ ავტორს ხელნაწერის ბოლოში მოუთავსებია; შინაარსის მიხედვით კი იგი „დავითიანის“ შესავალს წარმოადგენს და ამიტომ გამოცემებშიც ლექსი წინ გადმოიტანეს.

რედაქტორები სწორად მოიქცნენ, როდესაც ტექსტს კრიტიკულად მიუღწვენ და ავტორის ვინაობის „განმცხადებელი“ ლექსი წინ, შესავალს ადგილას მოათავსეს. მათი აზრის სისწორე მომდევნო გამოცემებშიც დადასტურა. შემდეგდროინდელ გამოცემებში „დავითიანის“ ლექსები ამ თანმიმდევრობით იბეჭდებოდა. ტომში პარალელური ფორმები და ორთოგრაფია უცვლელადაა დატოვებული.

შემდეგი გამოცემა, რომელიც ს. იორდანიშვილმა განახორციელა 1935 წ. გ. ლეონიძესთან ერთად, არის ფეშანგის „შაჰნავაზიანი“². ეს იყო ამ პოემის პირველი პუბლიკაცია.

გ. ლეონიძეს, როგორც თვითონ გადმოგვცემს, დიდხანს აწვალებდა სურვილი ამ ნაწარმოების გამოცემისა. ამ მიზნით მას 1928 წელს ლენინგრა-

¹ „დავითიანი“, მეხუთე გამოცემა, ტექსტი, გამოკლევა, ლექსიკონი, ალ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1931.

² ფეშანგის, შაჰნავაზიანი, გიორგი ლეონიძისა და სოლ. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1935.

დის სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ყოფილ სააზიო მუზეუმში დაცული „შაჰნავაზიანის“ ხელნაწერის ფოტოპირი გადაულია და ტექსტიც გადაუწერია. „შაჰნავაზიანის“ გამოქვეყნება ჯერ კიდევ სტუდენტობისას განუზრახავს დავით ყიფშიძეს. მისი ტექსტით უსარგებლია კ. კეკელიძეს, როცა 1924 წ. იგი ლიტერატურის ისტორიის კურსში შეეხო „შაჰნავაზიანს“.

აღნიშნული გამოცემისათვის ტექსტი მოამზადეს გ. ლეონიძემ და ს. იორდანიშვილმა. გამოცემას უძღვის გ. ლეონიძის ვრცელი გამოკვლევა. ავტორისა და პოემის შესახებ, დართული აქვს ს. იორდანიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი და საძიებელი. პოემა დაიბეჭდა ერთადერთი წყაროს მიხედვით და ვარიანტული წაკითხვები არ მოეპოვება.

საქმის ღრმა ცოდნითა და გულისყურითაა შედგენილი ს. იორდანიშვილის მიერ საძიებლები. საინტერესოა სახელთა ის დაყოფა, რომელიც მას აქვს წარმოდგენილი საძიებელში: 1. პიროვნებანი, 2. გეოგრაფიული, 3. ეროვნებახი, სადაურობა, 4. ფაუნა, 5. ფლორა, 6. მინერალები, 7. ასტრონომია, 8. რელიგია, 9. ცრუმორწმუნეობა, ზნე-ჩვეულება, ჯადო, 10. სოციალური ურთიერთობა, ეთიკა, 11. რიცხვი, 12. ფულა, საწონი, საზომი, 13. თამაშობანი, სპორტი, 14. სამხედრო და საზღვაო, 15. საზოგადოებრივი საქმეები, აღმშენებლობა, მოწყობილობა, 16. მუსიკა. აქ ჩამოთვლილი დასახელებებიც კი ნათლად წარმოგვიდგენს, თუ რამდენი შრომა გაუწევია ს. იორდანიშვილს ამ საძიებლის შესადგენად. იგი კარგ სამსახურს გაუწევს ამა თუ იმ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარს.

ს. იორდანიშვილისვე შედგენილია ლექსიკონი. იგი საკმაოდ დიდი მოცულობისაა და გამოირჩევა სისრულით.

„შაჰნავაზიანის“ რედაქტორებმა უთუოდ კარგი საქმე გააკეთეს ამ გამოცემის განხორციელებით: მე-17 საუკუნის ნაწარმოები ყველა დაინტერესებული მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახდა.

1936 წ. ს. იორდანიშვილის რედაქციით გამოვიდა ვაჟა-ფშაველას საბავშვო მოთხრობები. სამწუხაროდ, ამ გამოცემას არა აქვს არც შესავალი წერილი, საიდანაც ცნობილი იქნებოდა ის პრინციპი, რის საფუძველზე შეადგინა ეს გამოცემა რედაქტორმა, არც ვარიანტები.

1938 წელს ს. იორდანიშვილის რედაქციით გამოქვეყნდა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“. გამოცემას უძღვის გ. ლეონიძის გამოკვლევა.

ეს ბრწყინვალე ლიტერატურული ძეგლი პირველად 1859 წ. გამოიცა და ისიც სანკტ-პეტერბურგში განახორციელა დ. ჩუბინაშვილმა. შემდეგ რამდენჯერმე დაიბეჭდა, მაგრამ ყოველთვის მეორდებოდა ჩვენამდე ტრადიციით მოღწეული ტექსტი. ამ გამოცემის წინა გამოცემა, რომელიც გ. ლეონიძის რედაქციით განხორციელდა 1928 წელს, მიზნად არ ისახავდა ტექსტის დაზუსტებას არსებული ხელნაწერების მიხედვით. მან გაიმეორა ის ტექსტი, რომელიც წლების მანძილზე მოდიოდა დ. ჩუბინაშვილის ზემოაღნიშნული გამოცემიდან.

ამ მხრივ სრულიად განსხვავებულია ს. იორდანიშვილის მიერ მომზადებული ტექსტი. აქ მთლიანად დაცულია ავტორის სტილი და თხზულების აგე-

* ხელნაწერი დაცულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის ხელნაწერთა განყოფილების ბროსესეულ კოლექციაში (ხელნაწერი № 38).

ბულება. ტექსტი საქართველოს სიძველეთსაცავებში დაცული ხელნაწერების შესწავლისა და შეჯერების შედეგადაა მიღებული.

იგავების ის დასათაურება და აღრიცხვა, რომლებიც ადრინდელ ნაბეჭდ გამოცემებში იყო მოცემული, რედაქტორების ჩარევის შედეგია და არსად არ გვხვდება ხელნაწერებში. ამიტომ ს. იორდანიშვილმა იგავების აღრიცხვა ამოიღო, დასათაურებაც არეებზე გაუკეთა, როგორც ეს ხელნაწერებშია მოცემული.

ხელნაწერში დიალოგები დაყოფილია სინგურით წაწერილი სათაურებით, რომლის მიხედვითაც ნათელია, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იგავი, და აქვია იგავის ტექსტიც. ამ გამოცემაშიაც ასეა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სათაური სინგურის ნაცვლად ფართო ინტერვალითაა დაბეჭდილი.

გამოცემას დართული აქვს გ. ლეონიძის ვრცელი გამოკვლევა, სადაც მოცემულია სულხან-საბას ბიოგრაფიაც და თხზულების გარჩევაც.

წიგნს დართული აქვს ლექსიკონი და სძიებელი.

ამ გამოცემის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სამეცნიერო აპარატში არ არის წარმოდგენილი ყველა ის წაკითხვა, რომლებსაც მოგვემდა, ალბათ, ძირითადად აღებული ტექსტის შეჯერება სხვა ხელნაწერებთან. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ს. იორდანიშვილი თავისი მუშაობის პრაქტიკაში არ იყენებს ამ საჭირო ტექსტოლოგიურ პრინციპს (ერთადერთი შემთხვევა ვარიანტების აღნუსხვისა მოცემულია „დავითიანში“).

სხვაგვარიც ამ გამოცემის მაღალ დონეზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 19 წლის შემდეგ, 1957 წელს აღნიშნული გამოცემა კვლავ გამეორდა.

1940 წ. ს. იორდანიშვილმა გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“⁴. ეს პირველი გამოცემაა, რომელიც მკვლევარმა დამოუკიდებლად განახორციელა.

იგი წარმოადგენს პირველ ცალკე გამოცემას „მოგზაურობისას“ (მისი შემოკლებული ტექსტი გ. ერისთავმა გამოაქვეყნა 1852 წლის „ცისკარში“). რედაქტორს დიდი შრომა გაუწევია, რათა ქართული მწერლობის ეს ძვირფასი ძეგლი უნაკლოდ მიეწოდებინა მკითხველისათვის.

ამ ნაწარმოების ავტორგრაფს ჩვენამდე არ მოუღწევია. „მოგზაურობის“ ტექსტი ს. იორდანიშვილს მოუშადადებია ორი ხელნაწერის მიხედვით. ამ ხელნაწერთაგან ერთი ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (№ 30), მეორე კი კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (№ 93). „მოგზაურობის“ პირველი ნაწილი, რომელიც საბას საფრანგეთში ყოფნას ეხებოდა, დღესდღეობით დაკარგულად ითვლება. აღნიშნულ ხელნაწერებში ტექსტი იწყება საფრანგეთიდან იტალიაში გამგზავრებით, ამიტომ „მოგზაურობის“ ეს ნაწილი ძირითადად საბას იტალიაში ყოფნას გადმოგვცემს. რადგან ეს ხელნაწერები სხვადასხვა პირთა მიერ არის გადაწერილი, მართლწერის თვალსაზრისით ტექსტში სიზრულე შეინიშნება, მაგრამ გამოცემელი სამართლიანად მორიდებია ტექსტის სწორებას და ისევე დაუტოვებია, როგორც ხელნაწერებშია.

გამოცემას წამძღვარებული აქვს რედაქტორის მოკლე, შინაარსიანი წინასიტყვა, სადაც გარკვეულია ევროპაში საბას მოგზაურობის ძირითადი მიზანი.

⁴ სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით, თბ., 1940.

საბას მოგზაურობის პოლიტიკური მიზნები რომ უფრო ნათლად გაითვალისწინოს მკითხველმა, რედაქტორმა ტექსტს დამატების სახით დაურთო ვახტანგ VI-ისა და საბას მიმოწერა — რომის პაპთან, ლუდოვიკო XIV-სა და სხვა დიდ მოხელეებთან.

მოგზაურობის ტექსტის ადვილად ათვისების მიზნით ს. იორდანიშვილმა გამოცემას დაურთო შენიშვნები და მწელად გასაგები სიტყვების ახსნა. აქვეა წარმოდგენილი მრავალგანყოფილებიანი საძებელი. გამოცემის ეს ნაწილი ნათლად წარმოგვიდგენს ს. იორდანიშვილს როგორც ერუდირებულ და ფართოდ განათლებულ მკვლევარს.

შენიშვნებში მოყვანილია ბევრი საინტერესო მიგნება. მაგალითად, საბას გადმოცემით მეფის სასახლესთან არსებობდა მუზეუმი ანუ „ბატონის სალარო“, როგორც ის უწოდებს: „ბატონის სალაროში ღორის კბლსავით რომ კბილია, ორი მისთანა, მაგრამ იმტოლი ვერ იყო. კაცის თავი გაქვავებული, სოკო გაქვავებული. ეს ქართლშიაც მინახავს...“ აქედან გამომდინარე საყურადღებოა ს. იორდანიშვილის მოსაზრება: „საბა აქ გვაწვდის მეტად საინტერესო ცნობებს საქართველოში „მუზეუმის“ ჩანასახისა ბატონის სალაროში. საყურადღებოა აგრეთვე მისი პალეონტოლოგიური ცნობები ქართლის გაქვავებულ ცხოველთა და მცენარეთა შესახებ“.

თითქმის ყველა საჭირო სიტყვა გამოტანილია და თითოეული მათგანი ახსნილია მაღალკვალიფიციურად და სრულყოფილად. საერთოდ, მთელ გამოცემას გამოცდილი და განსწავლული რედაქტორის ხელი ატყვია.

1942 წ. ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით დაიბეჭდა „სიმღერა როლანდზე“ (მთარგმნელები რ. გვეტაძე; ხ. ვარდოშვილი, ალ. აბაშელი).

ქართველი პოეტების თხოვნით პოემის სიტყვასიტყვითი თარგმანი ს. იორდანიშვილმა შეასრულა იმ ფრანგული გამოცემის მიხედვით, რომელიც უძველესი, XII საუკუნის ოქსფორდის ხელნაწერს ეყრდნობა.

ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის კომენტარები, ღრმად და საფუძვლიანად გაკეთებული შენიშვნები ხელს უწყობენ ტექსტის ზუსტად და სწორად გაგებას. ამ კომენტარებიდან ჩანს, რომ ს. იორდანიშვილი შესანიშნავად იცნობდა „სიმღერის“ სხვა ვარიანტებსაც.

1943 წელს ს. იორდანიშვილის რედაქციით დაიბეჭდა ინდური ეპოსის ბრწყინვალე ძეგლი „რამაიანა“.

ქართველმა საზოგადო მოღვაწემ ალექსანდრე სარაჯიშვილმა პროზით შესრულებული „რამაიანას“ მეორე წიგნის თარგმანი გამოაქვეყნა 1897 წელს.

პოეტ რ. გვეტაძეს სწორედ ალ. სარაჯიშვილის თარგმანმა შთააგონა მასზე მუშაობა. თარგმნის დროს რ. გვეტაძემ გამოიყენა პოლცმანის გერმანული ტექსტი და აგრეთვე რ. რომენსკის მიერ 1902 წ. რუსულ ენაზე გამოცემული თარგმანი. პოეტმა დახმარებისათვის მიმართა სანსკრიტულის მცოდნე ს. იორდანიშვილს, რომლის კონსულტაციით იგი 1935 წ. შეუდგა „რამაიანას“ ვალექსევას.

ს. იორდანიშვილმა წიგნს დაურთო შესავალი წერილი, სადაც მოკლედ მამოიხილა „რამაიანას“ რაობა, მისი მნიშვნელობა ინდური და მსოფლიო ლიტერატურისათვის, მისი მხატვრული ღირებულება. გარდა ამისა, მან გამოცემას დაურთო შენიშვნები. შენიშვნებიდან კარგად ჩანს ინდოელი ხალხის ისტორიის, ზნე-ჩვეულებების საფუძვლიანი ცოდნა. ს. იორდანიშვილი

ზოგჯერ პარალელურად ავლებს ქართულ ნაწარმოებებთან. მაგ., „და მხეველს მისცა ბეჭედი უცხო“ — ამ სტრიქონს ს. იორდანიშვილი ასეთ კომენტარს უკეთებს: «სასიხარულო ამბის პირველ მთხრობელს საჩუქრად ძველად, ინდური ჩვევის თანახმად ბეჭედს მიართმევდნენ ხოლმე. ამ მხრივ საყურადღებოა „ვეფხისტყაოსნის“ გმირის ტარიელის მიერ ასმათისათვის მიართმეული საჩუქარი ნესტან-დარეჯანის პირველი სამიჯნურო წერილის მიტანის გამო: „ერთი აილო ბეჭედი, მართ აწონილი დრამითა“». რა თქმა უნდა, ასე მაღალკვალიფიციურად შესრულებული შენიშვნები კიდევ უფრო საინტერესოს ხდის გამოცემას.

1944 წელს გამოვიდა ეზოპის „იგავნი“ ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით⁵.

„იგავნი ესოპესნის“ სახელწოდებით ჩვენს სიძველეთსაცავებში ინახებოდა აქამდე გამოუქვეყნებელი რამდენიმე ხელნაწერი წიგნი. ზოგ მათგანზე სხვა სახით არის წარმოდგენილი სათაური — „ცხოვრებანი მოდგმითი გონებამახვილისა ესოპესნი“ ან „მოდგმითი ცხოვრება და მოქალაქობა გონებამახვილისა ესოპესი“. ამ ხელნაწერებში იგავების გარდა აღწერილია ეზოპის ცხოვრებაც.

ს. იორდანიშვილმა მიზნად დაისახა თანამედროვე ქართველი მკითხველისათვის მიეწოდებინა მხოლოდ ის რჩეული ორმოცი იგავი, რომელიც დაცულია ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში.

უძველესი ხელნაწერები არ შემონახულა, ხოლო ის, რამაც ჩვენამდე მოაღწია, მე-17—18 საუკუნეებს განეკუთვნება. აღნიშნული გამოცემის მოკლე წინასიტყვაობაში ს. იორდანიშვილს მოჰყავს ეზოპის მოღვაწეობისა და ცხოვრების შესახებ არსებული ცნობები, მისი იგავების ბედ-იღბალი და აგრეთვე მოიხსენიებს იმ ძველ სწავლულთა სახელებს, რომელთა ნაწარმოებებში საუბარია ეზოპის ცხოვრებისა თუ შემოქმედების ცალკეულ დეტალებზე.

ნახევრად ლეგენდარული ბერძენი პოეტის ეზოპის იგავებმა საუკუნეების მანძილზე მრავალი ცვლილება განიცადეს. იმისათვის, რომ ქართველმა მკითხველმა თვალნათლივ დაინახოს ეს სახეცვლილება იგავებისა, ს. იორდანიშვილმა იმ რჩეულ 40 იგავს, რომლებიც ხელნაწერებში მოიპოვება და რომლებიც მკვლევრის აზრით პროზაული ბერძნული დედნიდან უნდა მომდინარეობდნენ, დამატების სახით დაურთო „იგავნი იეზებოს ფილოსოფოსისანი — თარგმნილი და გამოცემული ქართულ ენასა ზედა სასარგებლოდ ივერიისა“, რომელიც ვენეციაში დაბეჭდა 1859 წელს.

დამატებაში წარმოდგენილი 95 იგავი, რომლებიც იტალიურიდან არის თარგმნილი, მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენამდე მოღწეული 40 რჩეული იგავისაგან.

ამ გამოცემაში შევიდა აგრეთვე 5 იგავი, რომლებსაც ეზოპი ამბობს საპყრობილეში და სიკვდილით დასჯის წინ. ეს იგავები წარმოდგენილია ქართულ ხელნაწერებში. ს. იორდანიშვილს ისინი მოცემული აქვს იმავე თანმიმდევრობით, როგორც ხელნაწერებშია. იგავები დასათაურებულია ს. იორდანიშვილის მიერ.

გამოცემას დართული აქვს შენიშვნები, სადაც რედაქტორი იძლევა ტექსტოლოგიური ხასიათის ცნობებს. გამოცემის ბოლოში მოცემულია ლექსიკონი, სადაც მრავალი უცხო და იშვიათი სიტყვაა განმარტებული.

⁵ ე ს ო პ ე, იგავნი, თბ., 1944.



1945 წელს ს. იორდანიშვილმა გამოსცა თეიმურაზ ბატონიშვილის ბატონიშვილის ზურაბი ჩემი ევროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა, თავისი რედაქციით, წერილით და შენიშვნებით.

თეიმურაზ ბატონიშვილის ამ შესანიშნავი ლიტერატურული ძეგლის აღმოჩენა ს. იორდანიშვილის მიერ ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, „მოგზაურობამ“ ჩვენამდე მთლიანად ვერ მოაღწია, მაგრამ იმ სახითაც კი, როგორც ის გამოავლინა ს. იორდანიშვილმა, მეტად საყურადღებოა.

გამოცემას წინ უძღვის ა. გაბისონიას „წინასიტყვის მაგიერ“, სადაც ავტორი მოგვითხრობს თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრებასა და სამეცნიერო მოღვაწეობაზე.

წინასიტყვის შემდეგ დაბეჭდილია ს. იორდანიშვილის პატარა წერილი: „თეიმურაზ ბატონიშვილის მოგზაურობა ევროპაში“. აქ მკვლევარი განიხილავს ახლად აღმოჩენილ ხელნაწერს და იძლევა მის დაწვრილებით აღწერილობას.

როგორც „მოგზაურობიდან“ ჩანს, თეიმურაზ ბატონიშვილს უცხოეთში წაუღია ქართული ხელნაწერები და წიგნები. მას თან ჰქონია „ქართლის ცხოვრება“ სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი“, დავით ბატონიშვილის ქართულად გამართული რუდოლფ-ფოსტრატის „ღირსი ხსოვნისა ქალაქთა ეროპისითა“, პარიზში ბროსეს მიერ 1834 წ. ფრანგულად გამოცემული „ხელოვნება აზნაურობითი, გინა ქართული ენისა თვითმასწავლებელი“ და სხვ.

როგორც ს. იორდანიშვილი გადმოგვცემს, ხელნაწერს აქვს შიგადაშიგ ჩანართ-დამატებანი, არშიაზე გატანილი და გარშემოწერილი შენიშვნები და განმარტებანი. ყველაფერი ეს ცხადად ასახავს მწერლის რთულ შემოქმედებით პროცესს.

ს. იორდანიშვილმა გამოცემას დამატების სახით დაურთო თეიმურაზ ბატონიშვილის წერილები მ. ბროსესადმი. წიგნს ურთვის აგრეთვე შენიშვნები. წიგნის 25-ე გვერდზე მოცემულია „მოგზაურობის“ პირველი გვერდის ფოტოკოპი. თეიმურაზ ბატონიშვილის მოგზაურობის უკეთ გასათვალისწინებლად ს. იორდანიშვილმა წიგნს დაურთო რუკა თეიმურაზ ბატონიშვილის მოგზაურობის მარშრუტის აღნიშვნით.

ვანსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ს. იორდანიშვილის სიცოცხლის ბოლო წლები: წელი არ გავიდოდა, რომ მისი რედაქტორობით წიგნი არ გამოსულიყო.

1947 წელს სოლომონ იორდანიშვილმა თავისი რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით გამოსცა პიესა „სამსახეობა რაინდისა“⁷. პიესა მან ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ მასალებში მოიპოვა. შესავალ წერილში „სამსახეობა რაინდისა“ და თეიმურაზ ბატონიშვილი» ს. იორდანიშვილი არკვევს პიესის რაობას და ცდილობს გაარკვიოს ნაწარმოების ავტორობის საკითხი, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საკვანძო საკითხია ტექსტოლოგიაში.

⁶ თეიმურაზ ბატონიშვილი, მოგზაურობა ჩემი ევროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა, თბ., 1945.

⁷ „სამსახეობა რაინდისა“, ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბ., 1947.

როგორც ამ წინასიტყვაობიდან ირკვევა, დედნის პირველ თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ წარწერაა გაკეთებული, რომელიც თავისთავად მრავალ საინტერესო ცნობას გვაწვდის პიესის შესახებ. ამ მინაწერიდან ჩანს, რომ ეს წიგნი თეიმურაზ ბატონიშვილს გადმოუწერია ძველი ხელნაწერიდან, რომელიც მას უპოვნია „ქვემოთა ივერიასა“ 1836 წელს და როგორც საუკუნო სახსოვარი „წინდად სიყვარულისა“ მიუძღვნია გრიგოლ დადიანისათვის (გრ. დადიანი ქართულ მწერლობაში ცნობილია „კოლხიდელის“ ფსევდონიმით). ამავე წარწერიდან ნათლად ჩანს, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ეს „სათიატრო სახიობა...“ საუტხოვოდ არის შექმნილი „უძველესთა ჩვენთა მთხზველთაგან“.

ს. იორდანიშვილი აღნიშნავს საინტერესო ფაქტს, რომ ამ ხელნაწერიდან ერთი ლექსი „სირაძის სიმღერა“ გრიგოლ დადიანს მოუთავსებია თავის „ლექსთა კრებაში“ ასეთი წარწერით: «ეს ლექსი არის გადმოღებული თხზულებიდან „სამსახეობა რაინდისა“». ს. იორდანიშვილი ასეთ ვარაუდს გამოთქვამს: შეიძლება ვინმემ იფიქროს, რაკი კოლხიდელი სირაძის სიმღერას თავის ლექსთა კრებულში ათავსებს, „სამსახეობა რაინდისა“ საიდანაც არის ეს ლექსი ამოღებული, მისივე უნდა იყოსო. მაგრამ ს. იორდანიშვილი აქვე ამტკიცებს ამ ვარაუდის უსაფუძვლობას. ის წერს, რომ დავით ჩუბინაშვილიც არ იცნობს ამ თხზულების ავტორს, თუმცა მან კარგად იცოდა როგორც კოლხიდელის, ისე თეიმურაზის ლიტერატურული მემკვიდრეობა. დ. ჩუბინაშვილს თავის ქართულ-რუსულ ლექსიკონში, სადაც მოყვანილია „შემოკლებით დაწერილი სიტყვები და წიგნების სახელები, რომელნიც იპოებიან ლექსიკონში“, დასახელებული აქვს რამდენიმე წიგნი თეიმურაზ ბატონიშვილისა და აქ მას მოხსენიებული არა აქვს „სამსახეობა რაინდისა“, თუმცა ლექსიკონიდან ჩანს, რომ ამ წყაროთიც უსარგებლია ჩუბინაშვილს. ამის საფუძველზე ს. იორდანიშვილი ვარაუდობს, რომ რაკი ჩუბინაშვილი „რაინდის“ ავტორად არ მიიჩნევდა არც კოლხიდელს და არც თეიმურაზ ბატონიშვილს, საფიქრებელია, მას სჯეროდა „რაინდის“ ანონიმურობა და მისი დედანი, ალბათ, მართლა „ძველ ქართველ მთხზველთა წიგნთა საუნჯეში“ ნაპოვნად მიაჩნდა.

ს. იორდანიშვილი ცდილობს გაარკვიოს — „ესე სამავალითო სასახიობე“ წიგნი მართლა უძველესია თუ არა.

ს. იორდანიშვილი საფუძვლიანი, ლოგიკური მსჯელობით შემდეგს ადგენს: თეიმურაზ ბატონიშვილს წიგნის გადაწერის დროს თითქოს დაუცავს ძველი დედნის სტილი ამა თუ იმ სიტყვის დაწერილობისას, იგი შენიშნავს: დედანში ასე ეწერაო. მეორე მხრივ, პიესის პერსონაჟთა გვარების (თავჭვაძე, მეხაძე), რუსიციზმების, ორთოგრაფიისა და სხვა ნიშნების მიხედვით მკვლევარი სამართლიანად ასკვნის, რომ ეს ნაწარმოები ვერ იქნება მიჩნეული უძველესი დროის ნაწარმოებად და რომ ნაწარმოების შინაარსის დაკვირვებით შესწავლა (რამდენადაც ეს შესაძლებელია დაუმთავრებელ ნაწარმოებში), მისი იდეური მიზანდასახულობა გვაფიქრებინებს, რომ ასეთი პატრიოტული პიესა, რომელიც საქართველოს ოქროს ხანის დიდების გახსენებით ცდილობს თანამედროვეებში გააღვიძოს ბრძოლის სურვილი სამშობლოს გასათავისუფლებლად, შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ წარმოშობილიყო, რაც იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტით 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა. ეს პიესა, ს. იორდანიშვილის



ღრმა რწმენით, მხოლოდ მე-19 საუკუნის პირველ ხანებში შეიძლება შექმნილიყო, უფრო 1832 წლის შეთქმულებამდე. 1836 წ. კი პიესის ავტორის გამჟღავნება, რასაკვირველია, უმტკივნეულოდ არ ჩაივლიდა. ამით ხსნის ს. იორდანიშვილი პიესის ჩვენამდე ანონიმურად მოღწევას.

ბევრი ფაქტი იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ პიესა ეკუთვნის თეიმურაზ ბატონიშვილის კალამს, რასაც აღნიშნავს კიდევ სოლომონ ცაიშვილი „მნათობში“ გამოქვეყნებულ რეცენზიაში⁸. სოლომონ ცაიშვილი პრინციპული ხასიათის შეცდომად უთვლის ს. იორდანიშვილს თხზულების ანონიმურად გამოცხადებას და აგრეთვე იმას, რომ ზედმეტი სიფრთხილის გამოჩენით უგულვებელყოფილია თეიმურაზ ბატონიშვილის ავტორობა: „ნამდვილად კი აღნიშნული პიესის ავტორია თეიმურაზ ბატონიშვილი (1782—1846), ძე მეფე გიორგი მეცამეტისა“, — წერს ს. ცაიშვილი⁹. მისი აზრით, პიესაზე მინაწერი, რომ ეს პიესა გადაწერეთ, არსებული ხელნაწერიდან გადაწერას კი არ გულისხმობს, არამედ იმას, რომ მან თავისი ნაწარმოები უბრალოდ გადაწერა და მიუძღვნა მეგობარს.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის სახელით ცნობილ პოემას „ვაშლი“, რომელიც პირველად 1860 წ. გამოქვეყნდა¹⁰ (მას ს. იორდანიშვილი თავის გამოცემაში დამატების სახით მთლიანად ბეჭდავს, როგორც პიესასთან უშუალოდ დაკავშირებულს), აქვს წარწერა ლექსად, საიდანაც ირკვევა, რომ პოემა „ვაშლი“ თეიმურაზს დაუწერია და გაუგზავნია „გონიერ ოდიშარ კაცისათვის“, ე. ი. გრიგოლ დადიანისათვის, როგორც განმარტება „სამსახეობა რაინდისაში“ მეხაძის მიერ თავქეპის დასახასიათებლად ნათქვამი იგავისა, რომელიც, როგორც ჩანს, ვერ გაუგია გრ. დადიანს.

ზემოთქმულის საფუძველზე ს. იორდანიშვილი მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამს, რომ როგორც პოემა „ვაშლი“, ასევე პიესაც შეიძლება თვით თეიმურაზის კალამს ეკუთვნოდესო.

თეიმურაზ ბატონიშვილი, როგორც ჩანს, ამ პიესას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა, რაკი იგი „საუკუნო სახსოვრად“ უძღვნა გრ. დადიანს. გრ. დადიანიც, ჩანს, ამ პიესას ძვირფას სახსოვრად მიიჩნევდა, რადგან მე-19 საუკუნის 60-იან წლებში მხატვარ ბრიულოვისათვის თავის პორტრეტზე ამ წიგნის ასახვა და მასზე პიესის სათაურის გამოყვანა დაუვალეობია. როგორც ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, სწორედ ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული აღნიშნული პორტრეტის ახლო გასინჯვამ და დახატულ წიგნზე წარწერის — „სამსახეობა რაინდისა“ — ამოკითხვამ შეუწყო მას ხელი პიესის გამოვლენაში.

ამ ორიგინალური, პატრიოტული ძეგლის გამოცემას ეროვნული დრამატურგიის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მასში ალგორითულად არის გადმოცემული მე-19 საუკუნის 30-იანი წლების საქართველო.

გამოცემის რედაქტორს დიდი მუშაობა ჩაუტარებია ჭერ ძეგლის გამოსავლენად, შემდეგ მისი ტექსტის გასამართავად და გამოსაცემად მომზადებისათვის. ძირითად ტექსტად მას აღებული აქვს ზუგდიდის მუზეუმში დაცული ავტოგრაფი, მაგრამ 53-ე გვერდის რამდენიმე სტრიქონის შემ-

⁸ ს. ცაიშვილი, „სამსახეობა რაინდისა“, „მნათობი“, 1947, № 7.

⁹ იქვე, გვ. 163.

¹⁰ ტურნ. „ცისკარი“, 1860 წ. 11 სექტემბერი.

დეგ ავტოგრაფის ტექსტი წყდება და მის გაგრძელებას რედაქტორი ბექდავს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული A—1762-ის მიხედვით. აქაც არ არის დამთავრებული პიესის ტექსტი და იგი ნაკლები სახით იბეჭდება. ს. იორდანიშვილს ტექსტი გადმოწერილი აქვს უცვლელად, ავტორისეული სქოლიოებით. ის, სადაც საჭიროა, ყველგან აკეთებს სქოლიოს, რომ ესა თუ ის სიტყვა ასომთავრულითაა დაწერილი და სათვალავი ანბანი ნუსხურითაა წარმოდგენილი.

გამოცემას ბოლოში ერთვის შენიშვნები და სიტყვათა განმარტება.

სიტყვათა განმარტებაში ს. იორდანიშვილს ბევრი ძველი სიტყვა აქვს ახსნილი, რაც ხელს უწყობს ტექსტის სწორ გაგებას. აქვეა ბერძნული მითოლოგიის კარგი ცოდნით დაწერილი კომენტარები.

1948 წელს კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკამ ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით გამოსცა თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგი იმ ხელნაწერის მიხედვით, რომელიც A — 1091 ნომრით ამჟამად დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

გამოცემაში წინასიტყვაობის შემდეგ მოთავსებულია კატალოგის ტექსტი. მას მიჰყვება კატალოგის შემდგენლის შენიშვნები, შემდეგ მოდის დამატებანი და შენიშვნანი, სადაც მოთავსებულია „მასალები თეიმურაზ ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის — რუსეთის უმაღლესი მმართველობის მიწერილობანი“.

ეს დოკუმენტები ს. იორდანიშვილმა 1944 წელს გამოავლინა ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგი ამ სახით პირველად გამოქვეყნდა. კატალოგის ფრანგული თარგმანი ჯერ კიდევ 1838 წელს გამოსცა შარი ბროსემ, ხოლო ალ. ცაგარელმა იგი ქართულადაც გამოაქვეყნა, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ თეიმურაზის წიგნსაცავის სრულ კატალოგს: ბროსეს მიერ ფრანგულად დაბეჭდილი კატალოგი ასახავს შედგენილობას მხოლოდ 1835 წლამდე.

ს. იორდანიშვილმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კატალოგი გამოსცა იმ ტექსტის მიხედვით, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. იგი ვარაუდობდა, რომ აღნიშნული კატალოგის ხელნაწერი შედგენილია თეიმურაზ ბატონიშვილის გარდაცვალების, ე. ი. 1846 წლის შემდეგ.

ამ კატალოგიდან ცხადად ჩანს მაშინდელი ქართველი საზოგადოების მოწინავე წრეების სასიცოცხლო ინტერესები, თუ რამდენად მაღალი იყო საშობლოდან მოწყვეტილი ქართული წრეების კულტურული დონე, რამდენად ფართო იყო მათი ინტერესების დიაპაზონი.

აღსანიშნავია აგრეთვე კატალოგის შემდგენლის მიერ ბოლოში დართული რამდენიმე შენიშვნა, საიდანაც კარგად ჩანს, რომ იგი ზედმიწევნით იცნობს ქართული ხელნაწერი წიგნების სხვა ფონდებსაც.

წერალები, რომლებიც ს. იორდანიშვილმა დამატების სახით დაურთო ამ გამოცემას, მან მოიპოვა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზუგდიდის მუზეუმში. პირველად გამოქვეყნდა რუსეთის უმაღლესი მმართველობის მმართველები თეიმურაზისადმი, რომელთა პირები მას შეუხანახავს და თავისი ხელით გაუკეთებია ქართული დასათარებები.



აქ მოთავსებულია ძვირფასი მასალა თეიმურაზ ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის.

წიგნს ბოლოში ერთვის გამომცემლის მიერ შედგენილი „ავტორ-მთარგმნელთა და აღმწერელთა საძიებელი“.

აღ. ცავარლის მიერ გამოქვეყნებულ თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნ-საცავის კატალოგში ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების რაოდენობა სულ 206-ია. კატალოგში, რომელიც მ. ბროსემ გადათარგმნა ფრანგულად, ხელნაწერები ოცდართი დარგის მიხედვით არის აღწერილი, ხოლო ხელნაწერში, რომლის მიხედვითაც გამოაქვეყნა კატალოგი ს. იორდანიშვილმა, ცოტათი მეტი დაყოფაა მოცემული; ამასთან აქ 214 ნომერია აღრიცხული. თითოეულ ხელნაწერ თუ ნაბეჭდ ცალს უმეტეს შემთხვევაში ახლავს ანოტაცია. აქვეა ცნობები ხელნაწერის ავტორის, სათაურის, მთარგმნელისა და სხვათა შესახებ.

ნ. სიხარულიძემ შენიშნა, რომ ამ კატალოგის დედანში აღწერილია 213 სახელწოდება, და არა 214, რომ „ლოცვები“ მექანიკურად ორჯერაა აღნუსხული¹¹.

გ. შარაძე კიდევ უფრო აზუსტებს ამ რიცხვს და დაჰყავს 212-მდე. იგი ადგენს, რომ დედნის (ც 38) 107-ე ნომერი — „ახალი აღთქმა მხედრულად დაბეჭდილი, სახარება, სამოციქულო სრული ს. პეტერბურგს, ბიბლიის საზოგადოებისაგან“ — და კატალოგის ახალი, მე-10 განყოფილების სათაური — „კდ რომელიმე შემეცნებანი მოთხრობათა მოკლედ და სიტყვანი“ — ასლის, ე. ი. ს. იორდანიშვილის დედნის, გადამწერს ორ ნომრად გაუყვია და განყოფილების სათაური წიგნის სახელწოდებად მიუჩნევია: „107 ახალი აღთქმა მხედრულად დაბეჭდილი...108. კდ რომელიმე შემეცნებანი...“

გ. შარაძის გუშანით, გადამწერი მაშინვე მიმხვდარა დედანთან შედარებით ერთი ნომრის წამატებას და ამის გამო დედნის მომდევნო ორი ნომერი — 108 და 109 — შეუერთებია და ამგვარად აღუდგენია დედნის სათვალავი. ს. იორდანიშვილის გამოცემაში კი კატალოგის მე-10 განყოფილების სათაური წიგნად დარჩა, ხოლო ხელნაწერებში შეერთებული ორი წიგნი (№ 108 და № 109) სავსებით სამართლიანად ცალ-ცალკე შევიდა, რამაც გამოიწვია აღნუსხვის ერთი ნომრით გაზრდა¹².

რაც შეეხება ამ გამოცემის დედნის თარიღს, ს. იორდანიშვილი ვარაუდობს, რომ A—1091, რომლის მიხედვითაც დაიბეჭდა აღნიშნული გამოცემა, შედგენილია თეიმურაზ ბატონიშვილის ვარდაცვალების შემდეგ (1846 წ.).

ქრ. შარაშიძე უარყოფს ამ მოსაზრებას და აცხადებს, რომ „ქალაქის ერთ-ერთი ჭვირნიშანი — 1834, გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ კატალოგი თეიმურაზის სიცოცხლეში მისივე მონაწილეობით არის შედგენილი 1835 წელს ან ამ წლის ახლოს“¹³.

გ. შარაძე იზიარებს ქრ. შარაშიძის ვარაუდს და ასკვნის, რომ A—1091 ასლია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნა-

¹¹ ნ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართული კატალოგრაფიის ისტორიისათვის, „მაცნე“, 1964, № 5, გვ. 102.

¹² გურამ შ ა რ ა ძ ე, თეიმურაზ ზაგრატიონი, ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი, თბ., 1974, გვ. 40.

¹³ „საქართველოს სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, ტ. IV, 1954, გვ. 56.

წერდა ფონდის C—38-ისა, ავტოგრაფისა, იმ განსხვავებით, რომ ეს შესრულებულია თეიმურაზის ბრძანებით და არა მისი მონაწილეობით¹⁴.

1949 წელს ს. იორდანიშვილის რედაქციითა და გრცელი გამოკვლევით გამოქვეყნდა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი“¹⁵.

„ქართული ლექსიკონი“ პირველად 1884 წელს დაიბეჭდა რ. ერისთავის რედაქტორობით, ხოლო მეორედ — 1928 წელს ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით.

ს. იორდანიშვილის გამოცემა ლექსიკონისა რიგით მესამეა. მას საფუძვლად უდევს „სიტყვის კონის“ ის ხელნაწერი, რომელიც საბას ძმის, ზოსიმე ბერის მიერ არის გადაწერილი 1725 წელს (ამჟამად ხელნაწერი დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში — H—1429).

სწორად მოიქცა ს. იორდანიშვილი, როდესაც ძირითად წყაროდ ეს ხელნაწერი აიღო, და აი, რატომ: ანგარიშგასაწვევი იყო ის ფაქტი, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა აზრი ამ ხელნაწერის ავტოგრაფობის შესახებ. 1940 წ. ალ. ბარამიძემ ენიმკის მოამბის V—VI-ში დაბეჭდა წერილი „სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ლექსიკონი“, სადაც იგი წერდა, რომ ხელნაწერის პალეოგრაფიულმა შესწავლამ ნათლად წარმოაჩინა, რომ ამის გადაწერილი ორი პირი ყოფილა: სულხან-საბა ორბელიანი და მისი ძმა ზოსიმე. ამასთან დაკავშირებით ალ. ბარამიძეს მოჰყავს ზოსიმეს სიტყვები: „ამა წიგნის წერა ქვიშხეთს, ქართლს დავიწყეთ და ძვილ მოსკოვს ვავათავე...“. როგორც ანდერძის ამ ნაწყვეტიდან ჩანს, ხელნაწერზე ორს დაუწყია მუშაობა და დამთავრებით კი ერთს დაუმთავრებია. ამგვარად, ცხადია, რომ ეს ხელნაწერი არის პირველი, რომელიც საბას ევროპიდან დაბრუნების შემდეგ მისი უშუალო ხელმძღვანელობით არის შესრულებული, ზოსიმე ბერის მიერ. აღნიშნული ხელნაწერი 1918 წელს მუზეუმისათვის შეუწირავთ და ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ საბას ლექსიკონის წინა გამოცემელებს (რ. ერისთავი, ი. ყიფშიძე და ა. შანიძე) ეს ხელნაწერი ვერ გამოუყენებიათ.

ხელნაწერები, რომლებითაც რ. ერისთავს უსარგებლია, გადაწერილი ყოფილა სანკტ-პეტერბურგში 1758 წელს მელქისედეგ კავკასიძის მიერ, ხოლო იონებ ყიფშიძეს თავისი გამოცემისათვის აუღია თბილისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერი N 1035, რომელიც აგრეთვე საბას ძმის ზოსიმეს მიერ არის მოსკოვში გადაწერილი 1729 წელს და წარმოადგენს ს. იორდანიშვილის მიერ გამოყენებული ხელნაწერის (H—1429) პირს მცირე ცვლილებით.

აღნიშნული ხელნაწერი ამჟამად დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში. იგი 1930 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის გაუქმების შემდეგ გადაეცა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას; ხსენებული მუზეუმისათვის ეს ხელნაწერი შეუწირავს ნინო წულუკიძე.

„სიტყვის კონას“ დართული აქვს სომხურ-თურქულ-იტალიური ნაწილები. ეს ნაწილები არც პირველს და არც მეორე გამოცემელებს არ შეუტანია თავის გამოცემაში.

¹⁴ გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი, გვ. 35.

¹⁵ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.



აქვეა მოთავსებული საბას ანდერძი, ზოსიმეს ანდერძი და ბოლოში ერთვის სულხან-საბა ორბელიანის მიერ გამოყენებული ლიტერატურის სია (შედგენილი რედაქტორის მიერ).

ამავე წელს გამოსცა ს. იორდანიშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართი და დანართი“. როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემისათვის ტექსტის მოსამზადებლად 1935—1937 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ მთავრობის მიერ შექმნილი სპეციალური „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია, რომელშიც მონაწილეობდნენ: კ. კეკელიძე (I თავმჯდომარე), ა. შახიძე (II თავმჯდომარე), იუსტ. აბულაძე, ალ. ბარამიძე, ვუკ. ბერიძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი (მდივანი), სარგის კაკაბაძე და კ. ჭინაძე. ორი წლის გულმოდგინე და დაძაბული მუშაობის შედეგად დადგინდა პოემის კრიტიკული ტექსტი, აგრეთვე მასალები ჩანართის და დანართის სახით, რომელთა ცალკე წიგნად გამოცემა სათანადო შენიშვნებით დაეგეგმა ს. იორდანიშვილს.

„ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოღწეული ყველა მნიშვნელოვანი ხელნაწერიდან 20-ზე მეტი ხელნაწერის შერჩევის შემდეგ (შერჩევის დროს კომისია ხელმძღვანელობდა წინასწარ შემუშავებული პრინციპებით). კომისიამ გარკვეული სტროფები მიიჩნია ჩანართ-დანართებად. აი, სწორედ ეს მასალა გამოსცა ს. იორდანიშვილმა. მან ტექსტს წაუმძღვარა წინასიტყვა. აქვეა მოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები სამუხეუმო ფონდისა და ნომრის ჩვენებით და ჩანართ-დანართის საჩვენებელი, სადაც სამი ხელნაწერის — BCII-ს გარდა ყველა ხელნაწერზეა მოცემული სათანადო ცნობები.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის ოქმების მიხედვით¹⁶ ს. იორდანიშვილი ვეელოინება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის უბადლო მცოდნედ. მეტად მნიშვნელოვანია ის შესწორებები, რომლებიც მას შეაქვს პოემის ტექსტში. ს. იორდანიშვილი ამ შესწორებებს საფუძვლიანად ასაბუთებს. ამ მსჯელობებში ნათლად ჩანს არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“, არამედ მთელი ქართული ლიტერატურის საფუძვლიანი და ღრმა ცოდნა, მისი უტყუარი ტექსტოლოგიური ალღო. ამიტომ იყო, რომ მის მიერ წარმოდგენილი რიგი შესწორებანი ერთხმად მიიღო კომისიამ.

1950 წელს ს. იორდანიშვილმა გამოსცა რაფიელ დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“¹⁷.

ქართველი აზნაურის რაფიელ დანიბეგაშვილის ეს თხზულება ქართულ ენაზე შეიქმნა და შემდეგ ითარგმნა ავტორის მიერ რუსულად. იგი რუსულად გამოქვეყნდა 1815 წ. მოსკოვში. „მოგზაურობის“ ქართული ტექსტი ჭერჭერობით აღმოჩენილი არ არის. აქ წარმოდგენილი ტექსტის ქართული თარგმანი შესრულებულია ს. იორდანიშვილის მიერ.

ნაშრომი რომ უფრო გასაგები ყოფილიყო მკითხველისათვის, მას დართული აქვს საინტერესო ისტორიული საბუთები საქართველოსა და ინდოეთის ურთიერთობაზე, მათ შორის გიორგი XIII-ის წყალობის სიგელი რ. დანიბეგაშვილის ინდოეთში გაგზავნის შესახებ, რ. დანიბეგაშვილის თამასუქი სამოცი რუბიის ნასესხობაზე, იმდროინდელ ევროპელ მოგზაურთა წიგნებიდან ამოღებული ილუსტრაციები, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შესრულებული

¹⁶ სოლ. ყუფანიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, თბ., 1973.

¹⁷ რაფ. დანიბეგაშვილი, მოგზაურობა ინდოეთში, თარგმანი, წინასიტყვაობა და დამატებანი შენიშვნებითურთ დაურთო ს. იორდანიშვილმა, თბ., 1950.

ბული სამი რუკა და თვით რ. დანიბეგაშვილის მოგზაურობის მარშრუტი (თბილისიდან ომსკამდე). ტექსტს დართული აქვს მდიდარი და საყურადღებო ისტორიულ-გეოგრაფიული კომენტარები.

ასეთია მოკლედ ს. იორდანიშვილის მოღვაწეობა როგორც ტექსტოლოგისა და რედაქტორ-გამომცემლისა. მისი პუბლიკაციები მეცნიერული გამოცემის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს. ს. იორდანიშვილი სწორად ირჩევს ძირითადი ტექსტის წყაროს, გამოცემებს ურთავს შინაარსიან გამოკვლევებს, საინტერესო შენიშვნებს, სრულ და ამომწურავ კომენტარებს. გულისყურით და საქმის ცოდნით შესრულებულ ლექსიკონებსა და მრავალგანყოფილებიან საძიებლებს.

ს. იორდანიშვილი უფრო ხშირად ისეთ ნაწარმოებებზე მუშაობდა, რომლებიც ბიბლიოგრაფიულ იმეათობად ქცეულა და მკითხველისათვის ძნელად მისაწვდომი გამხდარა. ხშირ შემთხვევაში იგი გვევლინება ამა თუ იმ ბეგლის აღმომჩენად და მის პირველ გამომცემლად.

შნიშვნელოვანია ს. იორდანიშვილის ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაში.

საერთოდ სოლომონ იორდანიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურული ძეგლების მეცნიერულად დამუშავებისა და გამოცემის საქმეში. სწორედ ასეთი საქმიანობით მან საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართველ ტექსტოლოგთა შორის.

II. Ш. КИПШИДЗЕ

С. Г. ИОРДАНИШВИЛИ — РЕДАКТОР И ИЗДАТЕЛЬ

Резюме

В статье рассмотрена плодотворная работа С. Г. Иорданишвили как текстолога и редактора-издателя. Правильно подбирая источники основного текста и снабжая их глубоко содержательными исследованиями, всесторонними и исчерпывающими комментариями, со знанием составленными словарями и подробными указателями, публикации С. Г. Иорданишвили представляют собой замечательные образцы научных изданий.

Большая заслуга принадлежит С. Г. Иорданишвили в деле установления критического текста поэмы «Витязь в тигровой шкуре». Он был секретарем Комиссии по установлению текста поэмы Руставели.

С. Г. Иорданишвили занял почетное место среди грузинских советских текстологов своим большим вкладом в дело разработки и издания грузинских литературных памятников.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ნიწელი თარგამაძე

თოთხმეტმარცვლიანი ტაქვის ორგვარი რიტმი
 მუხამგაზის ტიპის ლექსებში

(ქართული მუსთაზადური ტაქვი)

1.1. სპარსულ ლექსთმცოდნეობაში მუსთაზადის სალექსო ფორმას უკავშირებენ პოეტურ ფიგურას „თაზადღს“. XV საუკუნის არანელი მკვლევრის ვახიდ თაბრიზის პოეტკურ ტრაქტატში პოეტური ფიგურა „თაზადღი“ განმარტებულია როგორც ანტონიმია — ორი ერთმანეთისადმი საპირისპირო სემანტიკური ერთეულის შეპირისპირება¹.

მოგვიანებით პოეტური ფიგურის „თაზადღის“ მნიშვნელობა, რომელიც ორი ერთმანეთის საპირისპირო ერთეულის ერთობლიობაში მდგომარეობს, გადიზარდა მუსთაზადური ტაქვის ორი ასიმეტრიული ნაწილის ერთობლიობაში. (მუსთაზადურ ტაქვში მთავარი ცეზურით გამოიყოფა ორი ნაწილი, აქედან I ნაწილი განსხვავდება II ნაწილისაგან მეტრითა და რიტმით)². აქ პოეტური ფიგურის მნიშვნელობა სემანტიკური სფეროდან პროსოდიულ სფეროში გადადის (ორი ერთმანეთის საპირისპირო სემანტიკური ერთეულის ერთობლიობა — ორი ერთმანეთის საპირისპირო პროსოდიული ერთეულის ერთობლიობა)³.

მუსთაზადი, ისევე, როგორც რეფრენი და რედიფი, ლექსის ხელოვნების ტექნიკური სახეა. იმ განსხვავებით, რომ რეფრენი და რედიფი სიტყვასიტყვით მეორდება ლექსის მომდევნო რიტმულ მონაკვეთებში, ხოლო მუსთაზადი მეორდება როგორც მოვლენა ტაქვის ორ ასიმეტრიულ ნაწილად დაყოფისა (ძირითადად და მისამღერად).

¹ Ваҳид Табризӣ, Джам'-и мухтасар, Трактат по поэтике, критический текст, перевод и примечания А. Е. Бертельса, М., 1959, გვ. 57. «Здесь (фигуру) таддд (образуют слова) нам (доброе имя, слава) и нанг (позор), куфр (неверие) и ддн (вера), джисм (тело) и джән (душа), руз (день) и шаб (ночь), из которых каждые два слова противоположны друг другу (по смыслу), и каждые два слова, противоположные одно другому (по смыслу), называют таддд». გვ. 117 (примеч. 142). Ватват дает такое определение: «...эта фигура состоит в том, что дабир или поэт в прозе или в стихах ставит слова, которые противоположны одно другому (по смыслу), как жар и холод, свет и тьма, грубый и нежный, черный и белый. И эту (фигуру) Халдд ибн Ахмад назвал мутбика». (ср. Тарджуман, с. 27 и 31, где эти термины даны в формах, مضاف و منقوب ср. Му'джам, с. 317). Термин «таддд» можно перезаодить «антитеза».

² Е. Э. Бертельс, Навоӣ и Джам, М., 1965, გვ. 88. «Сравнительно редкую форму представляет... мустазад (наращенная поэма). Стихотворение такого рода строится следующим образом: к обычной газели, имеющей свою рифму, в конце каждого полуступишия (после рифмы) присоединяются одна или две строки того же размера, имеющие новую рифму, подчиняющуюся общим законом газельной рифмы. Это добавление как бы своего рода „припев“».

³ ისევე როგორც პოეტურ ფიგურაში „მეაჟმა“ — კრებულის, თავშეყრა. ვეხედება ფრწველთა სახელების მეაჟმა და ლექსის ზომების ან სალექსო ფორმების მეაჟმა. იხ. დ. კობიძე, ქართული და სპარსული პოეტკის ისტორიიდან, წიგნი: «ქართულ-სპარსული ლიტრატურული ურთიერთობანი», II, თბილისი, 1969, გვ. 261.



1.2. მუსთაზადურ წყვილებად დაყოფილი ტაებები გვხვდება დაზღვევით, მუსამბათში და რობაიებში. თანდათანობით მუსთაზადი სალექსო ფორმის უფლებას იღებს. სპარსულ პოეზიაში არის სალექსო ფორმები: მუსთაზადი-ლაზელი, მუსთაზადი-მუსამბათი და მუსთაზადი-რობაი⁴.

მუსთაზად-ლექსებში გვაქვს ორი კომპოზიციური სახე. პირველი კომპოზიციური სახე იმ სალექსო ფორმის კომპოზიციური სახეა, რომელიც მუსთაზადურ ტაებს იყენებს; მეორე კომპოზიციური სახეა ლექსში მუსთაზადური ტაების განლაგების კომპოზიციური სახე⁵.

2.1. ქართულში გვაქვს მუსთაზადური ტაებით დაწერილი მუხამბაზები. დავით რექტორის „ანთოლოგიაში“ (ხელნაწერი S II—1512) ორ ლექსს (№№ 103 და 104) მიწერილი აქვს ამ სალექსო ფორმის სრული სახელწოდება — „მუსთაზადი-მუხამბაზი“.

ქართული ლექსწყობის თეორიაში მუსთაზადური ტაები აღწერილი აქვს თეიმურაზ ბაგრატიონს ქართული მუსთაზადის სალექსო ფორმის განსაზღვრისას⁶. „ოთხმეტმარცვლიანი ლექსები სიმღერის ხმაზედ სათქმელნი. ეს ხმა სპარსულის სიმღერის ხმაზედ ითქმის, რომელსაცა ეწოდების მუსთაზადი. მუსთაზადის თვითოეული ტაები სამად განიყოფება. დასაწყისილამ პირველს მძიმედის ხუთი მარცვალი ექმნება ტაებს. პირველის მძიმედამ მეორეს მძიმედის ოთხი მარცვალი ექმნება და მეორეს მძიმედამ ბოლომდის (რომელ არს დასასრული ტაებისა) ხუთი მარცვალი ექმნება. ტაების პირველის შესამედისა და მეორის შესამედის ბოლოები რიფმით ერთმანერთის თანახმა უნდა იყოს და ბოლოს ტაების დასასრულის რიფმა სხვა იქმნება. თვითოეულის ლექსის ტაებთა ბოლოს რიფმები ერთმანეთის თანახმად იქმნებიან და ერთს მუსთაზადში ყოვლის ლექსის ბოლოს ტაებების რიფმები ერთმანერთის თანახმა უნდა იყოს დასასრულისა.“

ბესარიონ გაბაშვილისაგან მიწერილი საქართველოში თავის სწორთა და ამხანაგთა თანა, ოდეს სოფლის ვითარებისაგანა უცხოობა და მწირობა შეემთხვა.

მუსთაზადი.

- ა. 1. ერემლთა ისარნი, მოსისხარნი, ჩეჰდა არენით,
2. ილმენით გულნი, ჭირნახულნი, შეგვიწყნარენით!

⁴ زين العابدين موتمن ، شعور فارسی 1960, გვ. 118.

⁵ ლირიკული ლექსის კომპოზიციურ სახეს ქმნის ლექსის განმეორებადი კომპონენტის განლაგება ლექსის მთელ ენობრივ მასალაზე სინტაქსურ განმეორებათა შემდეგი ხერხებით: ანაფორით, ეპიფორით, შეპირაპირებით, წრითა და სპირალით. იხ. В. Жирмунский, Теория стиха, Л., 1975, თავი: «Композиция лирических стихотворений», გვ. 433—536.

მუსთაზად-ლექსში მუსთაზადი (როგორც მოვლენა) შეიძლება გვექონდეს არა მარტო ლექსის ყოველ ტაებში, არამედ განლაგებული იყოს სინტაქსურ განმეორებათა რომელიმე ხერხით (ზოგჯერ ტაებში).

სპარსულ მუსთაზადებში მუსთაზადური ტაების განლაგების სხვადასხვა კომპოზიციური სახე განხილული აქვს: نورادين مقصودی ، مستزاد و تكامل مستزاد. مجلة دانشكده 1976, № 1, გვ. 283—304 და № 2, გვ. 485—518. ادبيات و علوم انسانی دانشگاه فردوسی. مشهد.

შეიქმნა დასახ. შრომა, გვ. 118—128 დ. კობიძე, დასახ. შრომა, გვ. 263—267.

⁶ თეიმურაზ ბაგრატიონი. გვარნი ანუ საზოგი ქართულია ენისა სტიხთა, პეტერბურგი, 1832; წიგნში: ქართული პოეტის ქრესტომათია (XVIII—XIX სს.), ვიე მიქაძის რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1954, გვ. 77—78.

3. უცხონი თემით, სოფლის ცემით, გავივარნით.
 4. უჭნობნი ვარდნი, ამა დარდით, დავიბძარენით—
 5. A არ ითქმის ენით, არცა სმენით, ეს იკმარენით!
- ბ. 1. როს გვაგონდებით, შეველონდებით, ლომნო ყრმა-ძმანო,
 2. თანზრდილნო სწორნო, ვანაშორნო, საყვარლად კმანო!
 3. ვა კიდევანთა, ესდენ კმათა, გლოვისა ხმანო,
 4. ატადის კალო, სავალალო, სადა ხართ თქმანო!
 5. დაგვბერნა ქარმან, დაუწყნარმან, ზღვად ვიღარენით!
 A. არ ითქმის ენით, არცა სმენით, ეს იკმარენით!... და სხვა.

მუსთაზადი-მუხამბაზის სტროფის სქემა:

V მც. ცეზ. — IX მთ. ცეზ. — XIV

	5-მ არ ც.	4-მ არ ც.	5-მ არ ც.
1. _____	b _____	b _____	a
2. _____	c _____	c _____	a
3. _____	d _____	d _____	a
4. _____	e _____	e _____	a
5. _____	f _____	f _____	a

თეიმურაზ ბაგრატიონის შემდეგ ქართული ლექსთწყობის მკვლევარნი მუსთაზადის სალექსო ფორმის განხილვისას ყურადღებას იმ სალექსო ფორმაზე (მუხამბაზზე) ამახვილებდნენ, რომელიც მუსთაზადურ ტაეპს იყენებს. ამის გამო ქართულ ლექსმცოდნეობაში ფეხი მოიციდა მუსთაზადისა და მუხამბაზის სალექსო ფორმების გაიგივების მცდარმა შეხედულებამ⁷.

მუსთაზადს მუხამბაზისაგან ასხვავებს სპეციფიკური რიტმის მქონე მუსთაზადური ტაეპი, რომელიც აგებულია თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ აღწერილი წესით.

ჩვენ შევეცადეთ ქართული მუსთაზადური ტაეპის სტრუქტურის გაანალიზებას აკად. გ. წერეთლის პოეტიკურ ნაშრომში⁸ ჩამოყალიბებული ქართული ლექსის ძირითად პროსოდიულ ერთეულთა ურთიერთმიმართებებისა და ურთიერთშეფარდებების საფუძველზე.

2.2. 14-მარცვლიანი ქართული მუსთაზადური ტაეპი მთავარი ცეზურით IX მარცვლის შემდეგ ორ ასიმეტრიულ პროსოდიულ ნაწილად იყოფა. I ნაწილში 9 მარცვალია, II-ში — 5. ტაეპის I, 9-მარცვლიანი ნაწილი თავის მხრივ მცირე ცეზურით V მარცვლის შემდეგ ორ სეგმენტად იყოფა: I სეგმენტი 5-მარცვლიანია, ხოლო II სეგმენტი — 4-მარცვლიანი. ტაეპის II ნაწილში ერთი 5-მარცვლიანი სეგმენტი. ამრიგად, მთელი ტაეპი იყოფა სამ სეგმენტად, რომელთაგან ორი 5-მარცვლიანია და ერთი — 4-მარცვლიანი.

ტაეპში სეგმენტები განლაგებულია მკაცრად დაკანონებული წესით: 5-მარცვლიანი სეგმენტი — მცირე ცეზურა (V მარცვლის შემდეგ) — 4-მარცვლიანი სეგმენტი — მთავარი ცეზურა (IX მარცვლის შემდეგ) — 5-მარცვლიანი სეგმენტი. სეგმენტების საზღვარი ყოველთვის ემთხვევა სიტყვის საზღვარს, ე. ი. სეგმენტებს შორის არსებული პაუზალური მიჯნის გადალახვა სიტყვას არ შეუძლია.

⁷ დ. კ. ბ. ძე, დასახ. შრომა, გვ. 267; ა. ქილაია, ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბილისი, 1971 და სხვები.

⁸ მტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, გიორგი წერეთლის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1973.



ამრიგად, 4-მარცვლიანი და 5-მარცვლიანი სეგმენტები მუსთაზადური ტაეპისათვის მუდმივი სტრუქტურული პროსოდიული სიდიდეებია.

2.3. ქართული მუსთაზადური ტაეპის, ისევე როგორც სპარსული მუსთაზადური ტაეპისა, საფუძველია ორი ასიმეტრიული პროსოდიული ერთეულის ერთობლიობა.

14-მარცვლიანი ქართული მუსთაზადური ტაეპი მთავარი ცეზურით IX მარცვლის შემდეგ ორ ასიმეტრიულ პროსოდიულ ნაწილად იყოფა:

2.3.1. მეტრიულად. ტაეპის I ნაწილში 9 მარცვალია, II-ში — 5. $9 > 5$ -ზე (მარცვალი).

2.3.2. რიტმულად. ტაეპის I ნაწილში ორი სეგმენტი, II-ში — ერთი. $2 > 1$ -ზე (სეგმენტი).

ტაეპი წარმოადგენს ორი ასიმეტრიული პროსოდიული ნაწილის ერთობლიობას მეტრული და რიტმული თვალსაზრისით.

ქართული მუსთაზადური ტაეპის მეტრი და რიტმი წინასწარ განსაზღვრული და მკაცრად დაკანონებული სიდიდეებია და არც ერთ შემთხვევაში არ იცვლება. აქედან ტაეპისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება რიტმს, რომელსაც ქმნის მცირე და მთავარი ცეზურა V და IX მარცვლის შემდეგ. მკაცრად კანონიზებული საეციფიკური რიტმი ამ ტაეპისა არის სწორედ ის ფაქტორი, რომელიც ქმნის მუსთაზადის სალექსო ფორმას.

ამრიგად, მუსთაზადური ტაეპის მეტრი და რიტმი მუსთაზადის სალექსო ფორმისათვის ინვარიანტული პროსოდიული სიდიდეა.

2.3.3. ქართული მუსთაზადური ტაეპის ორი ასიმეტრიული ნაწილი ხშირად (და არა ყოველთვის) ერთმანეთს უპირისპირდება რითმული გაფორმებით.

ტაეპის I ნაწილის სეგმენტები ერთმანეთთან შერითმულია წინაცეზურული, შინაგანი რითმით, რომელიც განსხვავდება ტაეპის II ნაწილის სეგმენტის ბოლო რითმისაგან:

1. თავისი ხასიათით (წინაცეზურული, შინაგანი — ბოლო),
2. ბგერითი შემადგენლობით ($-b| -b| -a$),
3. რაოდენობით ($b=2, a=1$),
4. მომდევნო ტაეპებში ერთი ბგერითი შემადგენლობის განმეორადობით:

შინაგანი რითმა ყოველ მომდევნო ტაეპში სხვადასხვა ბგერითი შემადგენლობისა (იხ. მუსთაზადი-ლექსის სტროფის სქემა, გვ. 104). ეს რითმა საკუთრივ მუსთაზადური ტაეპის რითმაა. ბოლო რითმა ერთი ბგერითი შემადგენლობით მეორდება ლექსში სპირალური კომპოზიციური წყობის თავისებური სახით — ლაზელური რითმული სპირალით⁹, — და იგი მუსთაზადის სალექსო ფორმაში ძირეული სალექსო ფორმის — მუხამბაზის რითმული განლაგების კომპოზიციური სახეა.

ტაეპი წარმოადგენს ორი სხვადასხვაგვარი რითმული გაფორმების პროსოდიული ნაწილების ერთობლიობას.

მუსთაზადური ტაეპის შინაგანი (წინაცეზურული) რითმა ბგერითი ხაზგასმა ტაეპის რიტმული დაყოფისა და ამდენად მას მუსთაზადური ტაეპისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ქართული ლიტერატურის აღორძინების ხანის პოეტების მუსთაზადებში გვხვდება ისეთი მუსთაზადური ტაეპებიც, რომლებსაც შინაგანი რითმა არა აქვს.

⁹ ლაზელურ რითმულ სპირალს ჩვენ ეუწოდებთ მუხამბაზის ძირითადი რითმის კომპოზიციურ განლაგებას.

მაწუხანოსა, უხანოსა ვგვმობ არ ქებითა,
მიმოკაფითა, სისწრაფითა დამყო ხვეებითა.
ესწყევ მის მიმდოსა, თუ არ მწყრომსა, ეს ვარ მცნებითა.

ხელმარჯვეობა კაცისა

ბ. რაზმთა დღომისა და ომისა, ხრამალთა სობისა
ჩემთა მებრძოლთა, პირად მსროლთა სიკვდილ სწრობისა.
დავსცი ზარები, შიმშწარები, ჩემთა ცნობისა,
მრავალ ნათელი უქმენ ბნელი დღე დაცხრობისა,
ვექმენ ლაშქართა, მემუქართა, სისხლთაღებითა.
ესწყევ მის მიმდოსა....

სიკვდილისაგან ვერ მოჩჩომა და ცუდის კაცისაგან გათავება

დ. სახელკარგობა, მხნედვარგობა, თუმც ბედმან მავნა
მაშინც სიკვდილმან, ვითა ძილმან სამსალით მავნა.
ხედვით ცუდთაგან, უბადლოვან საღ ვამებარგნა.
სიკვდილის ნიშნი, მომკვლელთ იშნი ვით მომესაგნა.
სოფლის სურვილი ვაღბურვილი მექმნა სმენითა.
ესწყევ მის მიმდოსა.

სიკვდილის ვგობა

ე. დავსწყევ სოფელსა, მუხთალს ძნელსა, იყავით შორად!
გულნი ვაისრა, უწყლოდ ვასრა მტვერ მიწა მსწორად.
ესე სოფელი, ცეცხლი სრული არ გეტყვი ჭორად,
ვინცა ვმირია, საგმირია ლახვრითა ორად.
მირიდეთ სახე სოფლის მახეს შორად ვებითა!
ესწყევ მის მიმდოსა, თუ არ მწყრომსა ეს ვარ მცნებითა.

ამ მუსთაფაზადში ლექსის ძირითადი კომპოზიციური წყობა — ლაზელური რითმული სპირალი — ვართულებულია თემატური კომპოზიციით.

2.3.4. მუსთაზადლური ტაების მთლიანად დეკანონიზებულ ვარიანტში განსაკუთრებით საყურადღებოა ტაების ორი ასიმეტრიული ნაწილის თემატურა დაპირისპირება, რომელიც ავრთვევ ასახვავა ტაების ორ ასიმეტრიულ პროსოდულ ნაწილად დაყოფისა. მაგალითი: ხელნაწერი S II—1512, № 75, 67v—68v — „ბესარიონ გაბაშვილისგანვე თქმული მუსტაზადი“.

პირველ შაქრისა გემო იყავ || ახლა ხარ მწარი:
სამართლიანი გზა დაადე || დამიხშევ კარი!
ვინც რომ ამ ჭირში დამიწახავს || დამიტირებასა.
მე ტკბილის გულით შემოგყურებ || შენ მემალები—
გინდა რომ მოეკაცე შეუყრელად || არ გებრალები!

ან ხელნაწერი S II—1512, № 148, 127rv — „მუსტაზადი“.

მე გული სრულად შემოგწირე, || შენ ხმა არ ვამეც
შენ ჩემი ჭირი ვიხარია || მე ესტარ დღე-ღამეც.
...და სხვა.

როგორც ვნახეთ, ქართული მუსთაზადლური ტაების ორი ასიმეტრიული ნაწილი ერთმანეთს უპირისპირდება: 1. მეტრით (9 > 5 მარცვალი) და 2. რიტმით (2 > 1 სეგმენტი) — ყოველთვის; 3. რითმით — ხშირად და 4. თემით — იშვიათად. აქედან, ქართული მუსთაზადლური ტაებისათვის არსებითია ცეზურებით შექმნილი რიტმი, რომელიც ხშირად ხაზგასმულია რითმით და იშვიათად თემით.

ამრიგად, ქართული მუსთაზადური ტაეპი წარმოადგენს ორი ასიმეტრიული პროსოდიული ნაწილის ერთობლიობას მეტრული, რიტმული, რითმული და თემატური თვალსაზრისით.

როგორც ვხედავთ, სპარსული პოეტური ფიგურის „თაზადის“ მნიშვნელობა — ორი ერთმანეთის საპირისპირო ერთეულის ერთობლიობა, რომელიც შემდეგ სპარსული მუსთაზადური ტაეპის ორ ასიმეტრიულ პროსოდიულ ერთეულად დაყოფაში აისახა, ქართულშიც იმავე მნიშვნელობით გადმოვიდა.

3.1. სპარსულ პოეზიაში უკვე XI საუკუნეში ვხვდებით მუსთაზადური ტაეპის იმ სახეს, რომლის ანალოგიურია ქართული მუსთაზადური ტაეპი.

მას'ულ საადი სალმანი (XI ს.) მუსთაზადი¹⁰.

ვი, ქამქარ სოლთან | ენსაფე თო ბე ქეიჰან | გეშეე აიან,
 მას'ყულ შაპირარი | ხორშიდე ნამდარი | ანდარ ჯეჰან,
 ვი, ოუჯე ჩარხ ჯაიათ | გითი ზ რუი ო რაიათ | ჩუნ ბუსთან,
 ჩუნ თოდე ასმან გუნ | გარდუნ ბე ხორდანე ხუნ | ჰამდას თან... და სხვ.

ლექსის რითმული სქემა:

1. — a — a — a
2. — b — b — a
3. — c — c — a
4. — d — d — a

... და ა. შ

შეადარეთ ზემოთ მოყვანილ მუსთაზადი-მუხამბაზის სტროფის რითმულ სქემას.

3.2. ყოველივე ამის საფუძველზე შეგვიძლია გამოვთქვათ აზრი, რომ ქართული ლიტერატურის აღორძინების ხანაში გვაქვს სრულიად ჩამოყალიბებული და დამოუკიდებელი სალექსო ფორმა — მუსთაზადი-მუხამბაზი, რომელიც წარმოადგენს ქართული მუსთაზადური ტაეპით დაწერილ მუხამბაზებს, ამ პერიოდის ზელნაწერებში ეს სალექსო ფორმა გვხვდება შემდეგი სახელწოდებებით: მუსთაზადი-მუხამბაზი, მუსთაზადი, მუსთაფაზადი და მუხამბაზი. ერთი ლექსისათვის ეს სახელწოდებები სხვადასხვა ზელნაწერში ერთმანეთს ენაცვლება. მუსთაზადი-მუხამბაზებია: ბესიკის — „ცრემლთა ისხარნი“, „ტანო-ტატანო“, „მე შენი მგონე“; ალ. ჰავჭავაძის — „ისმინეთ მსმენო“, „ვარდო კოკობო“, „უწყალო სენმა“ და სხვ.

3.3. მუსთაზადი-მუხამბაზის სალექსო ფორმა განსხვავდება მუხამბაზის სალექსო ფორმისაგან 14-მარცვლიან ქართული მუსთაზადური ტაეპით, რომელშიც მკაცრად კანონიზებულია სპეციფიკური რიტმი. მუხამბაზები იწერებოდა 10-, 11- და 14-მარცვლიანი ტაეპით. ამასთან მუხამბაზის 14-მარცვლიან ტაეპში მთავარი ცეზურა ყოველთვის მოდის VII მარცვლის შემდეგ და მთელი ტაეპი ორ სიმეტრიულ პროსოდიულ ნაწილად იყოფა (7||7), მაშინ როცა მუსთაზად-მუხამბაზებში მთავარი ცეზურა ყოველთვის გვაქვს IX მარცვლის შემდეგ და მთელი ტაეპი ორ ასიმეტრიულ პროსოდიულ ნაწილად იყოფა (9||5).

14-მარცვლიანი ტაეპით დაწერილი მუხამბაზის ნიმუში. ზელნაწერი S II—1512, № 251, 205v—206v — „თავადის ალექსანდრე ჰავჭავაძისაგან თქმული მუხამბაზი“

¹⁰ იხ. زين العابدين مومن. დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

უწყალოვ სიყვარულო || რად მკოდე ესთა მნელად
რასთვისა მყავ მღერალი || საუკუნოდ მკენესელად
რად მაჩვენე შეენება || გულის დასატყვეველად
სახე სხეთა სხეთა || შობილი დამჩავგრელად
ვიცი მისი იხმარე || მშვილდი ჩემად საწყველად
უწყალოვ სიყვარულო....
რასთვისა მყავ

.... და სხვა.

შეადარეთ ზემოთ მოყვანილ მუსთაზადი-მუხამბაზის ნიმუშებს.

ამრიგად, ქართული ლიტერატურის აღორძინების პერიოდის მუხამბაზის ტიპის ლექსებში გვხვდება 14-მარცვლიანი ტაების ორგვარი დისტრიბუცია: ა) სიმეტრიული — მუხამბაზებში (7||7) და ბ) ასიმეტრიული — მუსთაზად-მუხამბაზებში (9||5).

როგორც ვხედავთ, აქ გვაქვს ერთი ზომის ტაების (14-მარცვლიანის) ორგვარი რიტმული დაყოფის კანონიზება განსხვავებული განსაზღვრული სალექსო ფორმებისათვის.

მსგავსი მოვლენა ცნობილია ინდოევროპულ ენათა ლექსთწყობაში. „როგორც რ. იაკობსონმა გამოარკვია, საერთო სლავურს ახასიათებდა ლექსის ორი სახეობა, ორგვარი დიქოტომიით: გრძელი ლექსი (ათმარცვლიანი)~მოკლე ლექსი (რვა მარცვლიანი). ორივე ამ სახეობაში გვექონდა სიმეტრიული დაყოფა ელემენტებისათვის და ასიმეტრიული—ეპიკური ნაწარმოებებისათვის... (იხ. R. Jakobson, *Studies in Comparative Slavic Metrics*, Oxford Slavonic Papers, 3, 1952, გვ. 34, 36, 55; მისივე: *Selected Writings*, IV, *Slavic Epic Studies*, Mouton and co., The Hague-Paris, გვ. 414—463...)“.

გ. წერეთელი, მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, თბ., 1973, გვ. 99, შენიშვნა 35.

Н. А. ТАРГАМАЗЕ

ДВОЯКИЙ РИТМ 14-СЛОЖНИКА В СТИХАХ ТИПА МУХАМБАЗИ (грузинская муस्ताзадическая строка)

Резюме

1. В работе грузинская стихотворная форма муस्ताзди-мухамбазы сопоставлена с персидскими стихотворными формами муस्ताзада. На основе труда¹ акад. Г. В. Церетели проанализирован специфический ритм грузинской муस्ताзадической строки. Выявлены инвариантные просодические основы и тенденции варьирования стихотворной формы муस्ताзди-мухамбазы.

2. В стихах типа мухамбазы для разных стихотворных форм отмечено канонизирование двоякого ритма 14-сложника: а) симметричного — для мухамбазы и б) асимметричного — для муस्ताзди-мухамбазы.

¹ Г. Церетели, *Метри ритმი, в книге: «Метри რიფა в поэме Руставели «Витязь в барсовой шкуре», под редакцией Г. В. Церетели, Тб., 1973 (на груз. яз.)*.

ლიანა ახობაძე

 ეფრემ ასურის თხზულებათა ქართული თარგმანების
 შრომითი რედაქციის შესავალი

ეფრემ ასური (IV ს.) სირიული საეკლესიო ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელია. მისი თხზულებები ადრევე ითარგმნა ქრისტიანული სამყაროს ყველა ენაზე, მათ შორის ქართულ ენაზეც. ეფრემის თხზულებათა ქართული თარგმანები სხვადასხვა დროს არის შესრულებული. უკვე VII ს-ში, თუ უფრო ადრე არა, უნდა არსებულებოდა თარგმანების ერთი ჯგუფი, ეს არის ის ჯგუფი რომელიც შედის Sin. 97 კრებულში და მრავალთავების ერთ ნაწილში (A—19, A—95, A—1109, Sin. 32—57—33, Ath. N 11). მეორე ჯგუფი ითარგმნა მოგვიანებით, IX ს-ში. ეს თხზულებები წარმოდგენილია კრებულგებში, რომელთაც პირობითად „მამათა სწავლანი“ ეწოდება (S—1139, H—1662, A—1142, Sin. 36) და მრავალთავეში A—144, შემდეგ, X ს-ის დასასრულსა და XI ს-ის დასაწყისში. ექვთიმე ათონელმა ითარგმნა ეფრემ ასურის 5 თხზულება². ბოლოს, XI ს-ში, ეფრემ მცირემ ითარგმნა ეფრემ ასურის ორმოცდაათამდე თხზულება, რომელიც გაერთიანებულია „ასკეტიკონში“³. აქ წარმოდგენილია ადრეულ პერიოდში ნათარგმნი რამდენიმე თხზულებისა და ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნი ყველა თხზულების ახალი თარგმანები.

მრავალთავეში წარმოდგენილი თხზულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ მრავალთავეში მასალობრივ ურთიერთკავშირში იმყოფებიან. ამ თხზულებათა შეჯერება Sin. 97-სა და „მამათა სწავლათა“ ტიპის კრებულების მასალასთან (მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ეფრემ ასურის თხზულებები) საშუალებას იძლევა ვაჩვენოთ, რომ მრავალთავეში ძირითადად ემყარებიან დასახელებულ კრებულებს ან მათ პროტოტიპებს.

Sin. 97 კრებული უნიკალურია იმ მხრივ, რომ შეიცავს მხოლოდ ეფრემ ასურის თხზულებებს. თითოეულ თხზულებას აქვს რიგითი ნომერი, საკითხავები დალაგებულია თემატურად: იწყება მონაზონთათვის განკუთვნილი საკითხავებით, რომელთაც პრაქტიკული დანიშნულება აქვთ; შემდეგ მოსდევს სინანულისა და მარხვის საკითხავები მკვეთრად გამოხატული დიდაქტიკური ხასიათით, ბოლოს გვაქვს ეგზეგეტიკური შინაარსის თხზულებები. თითოეულ მათგანს გამაერთიანებელ ხაზად მიჰყვება ის პოეტური რიტმი, რომელიც ეფრემ ასურის თხზულებებს ახასიათებს დედანში. ეს ნიშანი ძალიან განასხვავებს Sin. 97 კრებულში წარმოდგენილ თარგმანებს ეფრემის თხზულებათა ყველა სხვა ქართული თარგმანისაგან.

„მამათა სწავლათა“ ტიპის კრებულები აერთიანებენ რამდენიმე ავტორის

¹ ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, მამათა სწავლანი, თბილისი, 1955, გვ. V.

² სწავლანი, მიწერილი იოვანეს მიმართ, A—1104, 155—232, სწავლანი ნეოფიტეს მიმართ A—1104, 233—275, ნეტარებაჲ მოღვაწეთაჲ, A—1104, 275—298; ლოცვაჲ A—1104, 299—300; მხილებაჲ თავისა თვისაჲ, A—1104, 301—340.

³ კ. კ ე ქ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი, 1975, გვ. 50—52.

თხზულებას, რომელთაგან თექვსმეტი ეფრემ ასურს ეკუთვნის. ამ თხზულებათათვის ძირითადია სინანულის თემა, ზოგიერთ მათგანში განხილულია მონაზვნური ცხოვრების პრაქტიკული და თეორიული საკითხები.

ძველ კრებულებში წარმოდგენილ თარგმანთა ახალ, ეფრემ მცირისეულ, თარგმანებთან შეპირისპირების საფუძველზე გამოიყოფა ეფრემ ასურის თხზულებათა ორი რედაქცია: ვრცელი და მოკლე. ადრეულ პერიოდში თარგმნილი მასალა ვრცელი რედაქციისაა, ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი კი — მოკლე.

განსახილველ თხზულებათა ძირითადი ნაწილი თავმოყრილია Sin. 97 კრებულში. ის, რაც Sin. 97-ში პირველ ხუთ სტატიად არის წარმოდგენილი („მონაზონათუს“ 1—18, „სინანულისათუს ბ“ 18—51, „სინანულისათუს გ“ 51—62, „სინანულისათუს დ“ 62—64, „სინანულისათუს ე“ 64—69), ეფრემ მცირესთან ერთი თხზულების სახით გვაქვს, სათაურით „სიტყუაჲ მოლუაწებით მქონებელი ფრიადისა ნუგეშინისცემისა და ლმობიერებისაჲ ცხოვრებად მნებელთათუს და „ლოცვაჲ“⁴. ძველი და ახალი თარგმანები განსხვავდებიან რედაქციულად. ბერძნულ ენაზე არსებული თხზულება „Αρχὴ ἀσκητικῆς“⁵ დედანს წარმოადგენს ეფრემ მცირისეული თარგმანისას და შესაბამისად სხვაობს ძველი თარგმანისაგან.

ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი თხზულება Sin. 97 კრებულში წარმოდგენილი სტატების შესაბამის ნაწილებს ასეთი რიგით წარმოგვიდგენს: —Sin. 97₁—Sin97₂—sin97₃—sin97₄—sin97₅.

თხზულების დაყოფა ცალკეულ სტატიებად თვით ბერძნულში ივარაუდება. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა სტატიის მიმართება ეფრემ მცირის თარგმანის შესაბამის ნაწილებთან და ბერძნულ ტექსტთან ერთმანეთისაგან ძალიან სხვაობს. გარდა ამისა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ზოგიერთ სტატიას ბერძნულში მოეპოვება პარალელი.

Sin. 97 კრებულის პირველი სტატია „პირველი სწავლაჲ წმიდისა ეფრემისი მონაზონთა მიმართ“ ვრცელი რედაქციისაა. მისი უშუალო დედანი ბერძნულში არ ჩანს. ზემოთ დასახელებული ბერძნული თხზულების შესაბამისი დასაწყისი ნაწილი რედაქციულად მოკლეა, ის დედანია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი თხზულების პირველი ნაწილისა. ქვემოთ ვაჩვენებთ ამ თხზულებათა რედაქციულ მსგავსება-განსხვავებებს.

არის ისეთი ადგილები, რომლებიც რედაქციულად არავითარ სხვაობებს არ აჩვენებენ:

„აწ არავინ არს, რომელმანცა ღმრთისათუს დაუტევა სიმდიდრჲ, არცალათუ ვინ, რომელიცა ცხოვრებისათუს საუკუნოჲსა დაემორჩილა ვინმე. არავინ არს ყუღრო და მდაბალ. არავინ არს მშუდ და დაშნ და არცალავინ არს, რომელიცა იგინებოდა და დაითმენდა“ (Sin 97, 2v—3r).

„არა არს, რომელიცა ღმრთისათუს განწმორა საკმართაგან, არცა დამორჩილებული ცხოვრებისათუს საუკუნოჲსა, არავინ მშუდ და მდაბალ, არცა მყუღრო და თავსდებულ გინებისა და განყენებულ მაგინებლობისაგან“ (A—673, 189v).

⁴ A—673, 189—205.

⁵ Assemani, Sancti Ephraem Syri Opera Omnia, Romae, 1743, G. I, 40—70.

„Ὁὐ γάρ ἐστιν ὁ διὰ Θεὸν ἀναχωρῶν τῶν χρημάτων, οὐδὲ ἀποπαστόμενος διὰ τὴν ζήτην τὴν αἰώνιον, οὐδὲ ἰσχυρὸς καὶ ταπεινός, οὐδὲ ἥσυχος καὶ ἄσυχος ἀπερχόμενος ἢ λιποβόρως ἵππομενος“ (G. I, 41 A—B).

ხოჯჯერ ახალი თარგმანი ოდნავ არის შემოკლებული:

„ვერცა ადგილდ თუსა უკუშოვილის ჭირისა მის დიდისაგან, რომელი — იგი მოიწია მის ზედა (Sin. 97, 10v).

„... ვერცალა თუსადვე ადგილ მიქცევისაგან“ (A—673, 191r).

„Μήτε εἰς τὸν τόπον ἀπὸ τῶν ἰσοστροφῶν δὲνασθαι“ (G. I, 44 F).

„გარეშე ესე ხატი ასწავებს, სადა არს გონება ჩუენი და უჩუენებს, სადა არს გული ჩუენი“ (Sin. 97, 13r).

„გარეგანი სახე მოასწავებს, თუ სადა არს გული და გონება ჩუენი“ (A—673, 191v).

„Τὸ γὰρ σχῆμα τὸ ἐξῴμιεν διδάσχει πῶς ἦμῶν ἐστιν ἡ καρδία καὶ ὁ νοῦς“ (G. I, 46 B).

მაგრამ ძირითადად მნიშვნელოვანი რედაქციული განსხვავებებია, რაც პირველ რიგში მოცულობის სხვადასხვაობაში გამოიხატება:

„ნუეინ სეთებინ, ვითარმედ გარეშეთა ამით ხატითა მონაზონებნსაათა არს რამე, უკუეთუ ვინმე ჰგონებდეს მათაგანი, ვითარმედ უტყუოდი გარეშეთა ამით ხატითა მონაზონებისათა. ეგვეითარსა მას წარუკუეთიეს სასობეამ, ვითარ—იგი იქცევის ხატითა მონაზონებისათა, გამოჩნდების შინაგანი იგი ტყუელი“ (Sin. 97, 14r).

„ვინამცა ნუეინ მოიკიცხვის გარეგანითა კრძალულებითა, რამეთუ ქცევა მისი აჩუშნებს ტყუელსა კრძალულებისა მისისასა“ (A—673, 192r⁶).

არა მხოლოდ მოცულობრივი განსხვავებებია ძველსა და ახალ თარგმანებს შორის, ეს თარგმანები ხშირად განსხვავებულ ფაქტობრივ მასალას წარმოადგენენ:

„სრულთა მათ და ბრძენთა მამათა მზად უპყრიან სანთელნი და მოელიან სიხარულით, ოდეს მოჰბეროს ქარმან მათ ზედა“ (Sin. 97, 11v).

„ვინამცა სრულნი და ბრძენნი ვაჟარნი მზა არიან და აქუს კელთა სავაქრომ მათი და ელიან მობერებასა ქარისასა“ (A—673, 191r).

„Οἱ οὖν τέλειοι καὶ σοφοὶ ἔμποροι ἔτοιμοι ἔχοντες τὴν ἔμπορίαν μετὰ χεῖρας, ἐκδέχονται πνεύματα ἀπὸ τοῦ ἄνεμου“ (G. I, 45 D).

ამგვარად, Sin. 97 კრებულის პირველი თხზულება „მონაზონთა მიმართ“ ვრცელი რედაქციისაა; ახალი, ეფრემ მცირისეული, თარგმანი, მოკლეა. ბერძნული ტექსტი მხარს უჭერს ამ უკანასკნელს. ვრცელი რედაქცია თხზულების ბერძნულში არ ჩანს.

მეორე თხზულება, რომელიც შინაარსობრივად პირველის ვაგრძელებას წარმოადგენს, არის ჰომილია „სინანულისათვის“.

ეს თხზულება ბერძნული ტექსტის შესაბამის ნაწილთან და ეფრემ მცირისეულ თარგმანთან მიმართებით რედაქციულად ძალიან სხვაობს, უფრო მეტად, ვიდრე Sin 97-ის პირველი სტატია შესაბამის ტექსტებთან. ძველი თარგმანის მოცულობა ბევრად უფრო დიდია. ძველ თარგმანში არის ვრცელი დაბოლოება, რომელიც არ ახლავს არც ბერძნულ თხზულებას და არც ეფრემ მცირისეულ თარგმანს.

⁶ Assemani, G. I, 46 D. ბერძნული ტექსტის ჩვენება ყველგან ვერ ზერხდება ტექნიკური მიზეზების გამო.

მაგრამ მიუხედავად დიდი სხვაობებისა, მაინც გვაქვს რედაქციულად ერთ-ნაირი მონაკვეთები, მაგ.:

„მან მოგვმადლა ჩუენ ცნობაჲ მისა მიმართ და მოგვუცა ჩუენ თვისი იგი სიყუარული, რაათა განიცადონ სულნელებაჲ მისი. ვეძიებდეთ მას დაუკლებელად, ნეტარ არს მის კაცისა, რომელმან ჴამა სიყუარულისაგან მისისა და ჰსურის მისა მიმართ და განჰმზადა თავი თვისი, რაათა აღავსოს სიყუარულითა მისითა“ (Sin. 97, 19v—20r).

„მან მომმადლა ჩუენ მეცნიერებაჲ მისსა მიმართ და გემოსმხილველ გუყვანა ჩუენ თვისსა სიტკობებისა, რაათა მოუკლებელად ვეძიებდით მას. ნეტარ არს რომელმან გემოა იხილა სიყუარულისა მისისაგან და განემზადა მარადის აღვსებად მისგან“ (A—673, 193v⁷).

გვაქვს შედარებით მცირე სხვაობები, რაც იმაში გამოიხატება, რომ ახალი თარგმანი ოდნავ მოკლეა, მაგ.:

„ვაჰარნი ვართ სულიერნი, საყუარელნო, და მივემსგავსნეთ ერისა კაცთა მათ ვაჰართა. აწ გულისხმა-ვყთ, რასა-იგი გეტყვ ძმანო, ჴორციელი ვაჰარი დღითი-დღედ განიზრახავნ აღნადგინებსა და ზღვასა“ (Sin. 97, 3v).

„ვაჰარ ვართ სულიერნი, ძმანო და მსგავს ვაჰართა ამის საწუთოსათა დღითი-დღედ გამოიპყრობს ვაჰარი შესაძინელსაცა და ზღვევასაცა“ (A—673, 197v⁸).

არის ფაქტობრივი სხვაობანი, მაგ.:

„განყარენ კელნი და განხეთქე შეურაცხი იგი თმაჲ, რაათა არა გეცინოდინან, ვითარცა ძლიერსა მას სამსონს, რომელმან-იგი ღაწვთა მით ვირისაითა მცირედსა ჟამსა ათასეული მოსრა და შვდკეცი იგი ჴაბანი, ვითარცა თმაჲ ერთი, განხეთქა და თავი თვისი გამოათავისუფლა კრულებისაგან“ (Sin. 97, 48r).

„განძარ თავი თვისი. მოიმუჭმთე უნდოა იგი თმაჲ, რაათა არა საცინელ იქმნე, ვითარცა ძლიერი იგი, რომელმან ღაწვთა წამსა შინა თუალისსა ათასეულნი მოსრნა, თავი თვისი განათავისუფლა“ (A—673, 202v).

„Κλη̄σας σαῡτον, ἀπο̄κλιπ̄ον τ̄ην ἐν̄τελ̄η̄ τρῑχ̄α, ἵνα μ̄η̄ γ̄ελασ̄θῃς, κᾱθ̄άπερ ἐ̄χεῑνος ἢ ἰσ̄χυρ̄ος, ἔς̄ το̄ς̄ ἡ̄ς̄ διᾱγ̄όν̄ος ἐν̄ ἰᾱπῃ̄ θ̄ρη̄μᾱλμοῡ χ̄ῑλ̄ῑσ̄ος̄ ἀνε̄λε̄η̄, κᾱὶ ἔ̄αῡτον̄ ἔ̄λε̄σε̄ ἑ̄ρ̄σ̄ας (G. I, 62 C).

ძირითადად ძველი თარგმანი რედაქციულად ძალიან ვრცელია ახალ თარგმანთან და შესაბამის ბერძნულ ტექსტთან მიმართებით, როგორც, მაგ.: „კაცი-საჲ არს, რაათა ჴნადოდის მადლსა მას და მადლისაჲ არს, რაათა მოვიდეს შემწედ მისა, რამეთუ თენიერ მადლისა ვერ შემძლებელ არს გონებაჲ განათლებად და ხილვად მრავალფერთა მათ სახეთა საუკუნეთა და თუ ვინმე არა განიწმიდოს გული, არცა მოვიდეს მადლი კაცისა ზედა, და თუ ვინმე განახლდა მადლისა მისგან და განაგნა სათნოებანი კეთილნი და თავისა თვისსად შეირაცხოს განგებაჲ სათნოებისაჲ, ეგევითარი იგი აცთუნებს თავსა თვისსა და არა უწყის თვისი იგი უძლურებაჲ; ესევითარი იგი ეშურობს თავსა თვისსა და წარდევნა მადლი იგი მისგან.

უკუეთუ ვინმე განავოს სათნოებაჲ ღმრთისა მიმართ და გულისხმა-ყოს შეწევნაჲ იგი მადლისაჲ და ცნას, რამეთუ ძალითა მისითა განძლიერდა, ეგევითარმან მან განავო სათნოებაჲ ღმრთისა მიმართ, აღიდგნ ღმერთი და თქუნ:

⁷ Assemani, G. I, 49 A.

⁸ Assemani, G. I, 54 E.



დიდებამ კაცთმოყუარებასა შენსა, უფალო, რამეთუ მე, არაღირსი ესე, ღირს-
მყავ მადლსა შენსა და, ვითარცა გინდა, განაგე სათნოებამ შენი ჩემ თანა, უფა-
ლო. ესევეთარმან მან ცნა უძლურებამ თავისა თვისისა და იწრაფა, რაათა
იყოს ტაძარ წმიდა, და მზა-ყო თავი თვისი მადლისა მიმართ და იქმნა მადლი იგი
მისა მღვდელ და შესაწირავ, შემწირველ და მსხუერპლ შეწირულ, ჭამად სული-
ერების, რომელნი ჭამენ მისგან, და მეუფე და სასუფეველ, აღმშენებულ და
მაშშნებულ, ქალაქ და ზღუდე შეუძრველ. იქცევდ თავსა თვისსა ყოვლისაგან
ბოროტისა, ვიდრემდის წარიყვანონ ამიერ სოფლით საუკუნესა მას განსასუფ-
ნებელსა“ (Sin. 97, 42v—43r).

„ვინაჲცა კაცისა არს მოწოდებამ მისი, რაათა მოვიდეს და განანათლოს
გონებამ მისი და განიწმიდოს რაჲ კაცმან თავი, მოიგებს მას მის შორის მკვდ-
რად და შემწედ თვისსა, რაათა მის მიერ წარჰმართოს ყოველი სათნოებამ და
განათლებულმან მის მიერ შეუძლოს ცნობად თითოფერებამ და ქმნულკეთი-
ლობამ ყოფადისა საუკუნოჲსა. რამეთუ ექმნების მას ზღუდე დამცველ და
სცავს მას ამის საწუთოჲსაგან“ (A—673, 20r⁹).

სასვებით ნათელია, რომ ძველი ქართული თარგმანი თხზულებისა „სინა-
ნულისათჳს“ ეფრემ მცირისეულ თარგმანთან მიმართებით ძალიან სხვაობს —
ვრცელია, იძლევა მნიშვნელოვან ფაქტობრივ განსხვავებებს და ბერძნული
აქაც, ისევე, როგორც Sin. 97-ის პირველი სტატიის შემთხვევაში, მოკლე რე-
დაქციას უჭერს მხარს. ბერძნულში ვრცელი რედაქციის ტექსტი არ ჩანს.

Sin. 97 კრებულში მესამე სტატად წარმოდგენილი თხზულება „სინანული-
სათჳს“ ასევე დიდ განსხვავებას გვიჩვენებს ეფრემ მცირისეულ თარგმანსა და
ზემოთ დასახელებულ ბერძნულ ტექსტთან მიმართებით. მაგრამ ბერძნულში
არის თხზულება „*Τὸν χυτὸν ναυσιμαίη ἤγισυ κἀτῆχῆσαι παρὲς ὑποἄχου*“, ვა-
ნოცემული ასეზანის მიერ, რომელიმე გაერთიანებულად არის წარმოდგენილი Sin.
97⁹ და Sin 97¹⁰. დასახელებული ბერძნული თხზულება ვრცელი რედაქციისა,
ის ძველი ქართული თარგმანის შესატყვისს წარმოადგენს:

„ვითარცა თესლი კეთილი და რჩეული ქუეყანასა კეთილსა და მოქმნულ-
სა, ეგრეცა კეთილი გულისსიტყუანი სულსა მონაზონისასა. ვითარცა საფუძ-
ველი კეთილი და დამტკიცებული და აღმშენებული, ეგრეცა სულგრძელებამ
გულსა მონაზონისასა. ვითარცა სანთელი ბრწყინვალე რაჲ ნათობნ ადგილსა
ბნელსა, ეგრეცა მონაზონი მღვდარე გულითა და გონებითა ჟამსა გალობისა მი-
სისასა. ვითარცა ტვრთი მარილისაჲ კაცსა უძლურსა, ეგრეცა ძილი მონაზონსა
ჟამსა ფსალმუნებისა მისისასა, ვითარცა შეიპყრობს ორბსა მახე, ეგრეცა ზრუნ-
ვამ ამის სოფლისაჲ სულსა მონაზონისასა“ (Sin. 97, 55r-v).

„ვითარცა თესლი კეთილი და ნაყოფიერი ქუეყანასა პოხილსა, ეგრეთვე
კეთილი გულისსიტყუაჲ სულსა მონაზონისასა. და ვითარ ძლიერი შესაჯრავი
ნაშენებსა, ეგრეთვე სულგრძელებამ გულსა მონაზონისასა ჟამსა ფსალმუნე-
ბისა მისისასა და ვითარცა ტვრთი მარილისაჲ კაცსა უძლურსა, ეგრეთვე ძილ
მონაზონისა ზრუნვამ სოფლისაჲ“ (A—673, 204r).

„*Ὡσπερ σπόρος ἀγαθὸς καὶ ἐλεεινὸς ἐν γῆ ἀγαθῇ καὶ φειομένη, οὕτως
ἀγαθοὶ λογιῶμαι ἐν ψυχῇ μοναχῶν, ὧς λαμπρὰ φαδρὰ ἐν τῷ σιτοεινῷ λαμ-
πουσα, οὕτω μοναχοὶ νήψων τῷ νοῖ καὶ τῇ καρδίᾳ ἐν καιρῷ τῆς ψαλμῶν*“

⁹ Assemani, G. I, 60 B.

¹⁰ Assemani, G. II, 370—377.

აუთონ. *“Ὡς θείως καλῆ και ἰσχυρὰ ἐν οἰκοδομῇ, οὕτω μακροθυμῖα μοναχῶν, ὡσπερ γόμος ἀλατος ἀνδρῖ ἀποθνεῖ, οὕτως ὑπνος μοναχῶν ἐν καρῖφ ψαλμαθίνια αὐτῶν, ὡς θεσμοί, και ἀλυσια ἀετωσ ἢ τῶν κόσμου μέρματατῖ μοναχῶ”* (G. II, 372 D).

“Ὡσπερ σῆρος καλὸς και ἐσθλῆς ἐν τῇ γῆ πῖνοι, οὕτως ἀγαθὸι λογισμοί ἐν ψυχῇ μοναχῶν, και ὡσπερ θείως ὄχρα ἐν ὀικοδομῇ, οὕτω μακροθυμῖα ἐν καρῖα μοναχῶν ἐν καρῖφ ψαλμαθίνια αὐτῶν. Και ὡσπερ γόμος ἀλατος ἀνδρῖ ἀποθνεῖ, οὕτως ὑπνος μοναχῶν ὡς κῆμου (G. I, 66 F).

ამგვარად, ბერძნულშიც არსებობს ამ თხზულების ორი რედაქცია: მოკლე—G. I, 66 A₃—69 D და ვრცელი—G. II, 370—375 E. აქედან პირველი შეესაბამება ეფრემ მცირისეულ თარგმანს, მეორე კი—ძველ ქართულ თარგმანს, წარმოდგენილს Sin. 97 კვებულში.

Sin. 97₄-ის ბერძნული დედანი წარმოდგენს მეორე ნაწილს ზემოთ დასახელებული ბერძნული თხზულებისას (G. II, 375 E—377). ეს აჩვენებს ვრცელი რედაქცია; მოკლე რედაქციისა G I, 69 D—70 C₄, რომელიც ეფრემ მცირისეულ თარგმანს შეესატყვისება.

თარგმანებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებების მიუხედავად, მაინც გვაქვს რედაქციულად იდენტური პასაჟები:

„გვედრები, შენ, ქრისტე, მაცხოვარო სოფლისაო, მოიხილე ჩემდა და შემიწყალე მე და მივსენ მე მრავალთაგან უშჯულოებათა ჩემთა, რამეთუ ურჩ ვექმენ ყოველთა მათ კეთილთა, რომელ ჰქმენ ჩემ თანა, რამეთუ მე, უცები და უგუნური, მყავ ჭურ საესე მეცნიერების და სიბრძნის. განმრავლდა ჩემ ზედა მადლი შენი და აღავსო შიშშილი ჩემი და წყურილისა ჩემისაგან განმისუენა მე და განანათლა დაბნელებული გონება ჩემი“ (Sin. 97,62r).

„გვედრები შენ, მაცხოვარო სოფლისაო ქრისტე, მოიხილე ჩემ ზედა და შემიწყალე მე და მივსენ სიმრავლისაგან უსჯულოებათა ჩემთადას, რომელმან შეურაცხ-ვყავ ყოველნი კეთილნი შენნი, რომელნი ჰყვენ ჩემ თანა სიჭაბუკით ჩემითგან. რამეთუ მე, უსწავლელი და უგულისკმოა, აღსავსე-მყავ ცნობითა და სიბრძნითა. განმრავლდა ჩემ ზედა მადლი შენი და აღავსო სიყმილი ჩემი და წყურილი ჩემი განავრილა, დაბნელებული გონება ჩემი განანათლა“ (A—673, 205r¹¹).

გვაქვს მცირე სხვაობანი, როგორც, მაგ.:

„შეკრიბნა შეცთომილნი გულისსიტყუანი ჩემნი და აღავსნა წიალნი ჩემნი ყოვლითა სიმდიდრითა და კეთილითა“ (Sin. 97, 62r).

„შემოკრიბნი საცთურისაგან გულისსიტყუანი ჩემნი“ (A—673, 205r).

„Ἐπισυναξῆεν ἀπὸ πλάτης τοῦς διανοητισμοῦς μου, ἐπληρώσέ τε τοῦς κῆπους μου“ (G. II, 375 E).

„Ἐπεσυναξεν ἀπὸ πλάτης τοῦς λογισμοῦς μου“ (G. I, 69²D).

მაგრამ ჩვეულებრივია, როცა ძველი თარგმანი ეფრემ მცირისეულ თარგმანთან მიმართებით რედაქციულად გაცილებით უფრო ვრცელია. ასეთივე მიმართებაა ბერძნულში არსებულ რედაქციებს შორისაც:

„აწ ნუ განპრისხნები ჩემ ზედა, კაცთმოყუარეო, ნუუკუე ვერ დაუთმო სიმძაფრეთა მათ ღელვისა შენისათა. ამისთვის გვედრები შენ კადნიერად, რამეთუ უფროას ზომისა ჩემ ზედა განმრავლდა, რამეთუ ენა ჩემი მოუძღურ-

¹¹ Assemani, G. II, 375 E.

და და ვერ მისწულა გამოუთქმელსა და გონებადაც ჩემი განჰკრთა, რამეთუ ვერ იტკრთნა სიმრავლენი იგი ღელვათა მისთანა“ (Sin. 97, 62v).

„ნუ განმიირისხდები მე, ზ ყოვლად სახიერო, რამეთუ ვერ-ტკრთვითა მო-რევთა მისთათა ვიკადრე კადნიერება“ (A—673, 205r).

„Μή τσίσης ὀργισθή; μοι: φιλόνηρωπε, μή ὑπομένων γὰρ τῆς βρῦταως ἀν-
 τῶν τὰ κίματα, διὰ τούτο παρῆκαλθ' ἑρροσσεύμενος; ἐπειδὴ ὑπὲρ μέτρον ἐπ'
 ἐμὲ ἐπληθύσῃ (G. II, 375F—376A).

„Μή μοι: ὀργισθή; ἢ πικρὰ γίνῃ, μή φέρων γὰρ ἀντῆς; τὰ ρεῦματα ἐτόλ-
 μησα πρὸς περὶ σῶμα“ (G. I, 69 E).

„შენ მე შემიყვანე შენითა სახიერებითა და დავემლო მე შორის ხეთა მათ მისთა და ვიხილო ადგილი იგი, სადა-იგი ადამ დავემლოა დიდებითა და მზიარულებითა, სადა-იგი არქუ მას: ადამ, სადა ხარ?“ (Sin. 97, 64r).

„შემიყვანე მე შენ, რაათა ვიხილო, თუ სადა დაიმალა ადამ“ (A—673, 205v).

„Ἴκασι με εἰσάγαγε διὰ τὴν σὴν ἀγαθήτητα κρυβήσομαι ἀγαμέσων τῶν θέν-
 ὄρων ἀντῶν, καὶ ἴδω τὸν Ἄδᾶμ ἐν τήνῃ, ἢ ἐκρίβη μετὰ θένῃς, καὶ εὐφροσύν-
 νη; ἔνωθ' τὲ ἐβρῆθ' ἀντῶ: Ἄδᾶμ, πᾶν εἶ“ (G. II, 376 E).

„Εἰσάγαγε με ἔκασι, καὶ ἴδω πᾶν ἐκρίβη ὁ Ἄδᾶμ“ (G. I, 70 A).

ეს მაგალითები ნათლად მიუთითებენ რედაქციულ სხვადასხვაობაზე. Sin. 97₃ და Sin. 97₄-ის ბერძნული წყაროს არსებობა გვაჯარაუდებინებს. რომ სხვა ქართული თხზულებებისათვისაც უნდა არსებულებული შესაბამისი ვრცელი ბერძნული რედაქცია.

Sin. 97₃ რომელსაც სათაურად აქვს „სინანულისათვის“, შეესაბამება ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი თხზულების შუა ნაწილს. ეს ნაწილი ეფრემთანაც ერთ-გვარად გამოყოფილია და ეწოდება „ლოცვა“¹. ბერძნულში შესაბამისად ორი ვარიანტი გვაქვს, ერთია G. I, 63 F₄—66 A₃ (რომელიც ნაწილია თხზულების „Λόγιος ἀσκητικῆς“, G. I, 40—70) და მეორე—G. I, 199—201, რომელიც დამოუკიდებელი თხზულებაა, სათაურით „Ἐξομολόγησις ἡγίου πρὸς εὐχῆς ἰσῆ“. არც ერთი ამ თხზულებათაგან არ შეესაბამება ეფრემ მცირის ეულ თარგმანს; მასთან მიმართებით ორივე ბერძნული ტექსტი ვრცელია. მაგრამ ამ უკანასკნელთ შორის განსხვავება მაინც არის: G. I, 199—201 ვრცელი რედაქციისა და წარმოადგენს Sin. 97₃-ის ღედანს. G. I, 63 F₄—66 A₃, მართალია, უფრო მოკლეა, ვიდრე G. I, 199—201, მაგრამ მაინც ვრცელია ეფრემ მცირისეული თარგმანის შესაბამის ნაწილთან შედარებით, რომლის შესატყვისი ბერძნულში არ ჩანს.

ვაჩვენებთ სხვაობებს:

„ვევედრები შენსა მაგას სახიერებასა, კურნენ წყლულებანი სულთა ჩემ-
 თანი და განანათლენ თულანი გონებისა ჩემისანი, რაათა განვიცადნე კეთილნი
 შენნი ჩემდა მომართ“ (Sin. 97, 65r).

„ვევედრები შენსა სახიერებასა, განკურნენ წყლულებანი სულისა ჩემი-
 სანი, რაათა განვიცადო განგებულებანი შენი“ (A—673, 203r).

„Ἰκετέω τὴν σὴν ἀγαθήτητα, ἵασαι τὰ τραύματα τῆς ψυχῆς μου, καὶ
 φῶτισον τὸς ὀφθαλμούς τῆς διανοίας μου, ἵνα κατανοήσω τὴν σὴν οἰκονομίαν
 τὴν ἐν ἐμοὶ ὑενομένη“ (G. I, 63 F).

„Ιχετεσα την σην αγαθησσην, Ιασαι τα τρανματα της ψυχης μου, και φωτισον τους οφθαλμους της διανοιας μου, Ινα κατανοησα την οικονομιαν σου την γνομενην εις ξεμα διαπαντος“ (G. I, 199 B).

ამგვარად, Sin. 97 კრებულის პირველი ხუთი თხზულება („მონაზონთა მიმართ“, „სინანულისათჳს ბ“, „სინანულისათჳს გ“, „სინანულისათჳს დ“ „სინანულისათჳს ე“) ვრცელი რედაქციისაა. ამთგან პირველი ორი თხზულების ბერძნული წყარო არ ჩანს. Sin. 97₃ და Sin 97₄-ის ბერძნული შესატყვისია „Τις αυτην νουθεσια ηγειν κατηχησας προς μοναχους“¹², რომელიც ამ ორ თხზულებას გაერთიანებული სახით წარმოადგენს. ცალკე თხზულებად არის Sin 97₅-ის ბერძნული დედანი— „Εξομολογησας ηγειν προσεσχη προς Θεου“¹³. ორივე თხზულება ვრცელი რედაქციისაა. ფერემ მცირის მიერ თარგმნილი თხზულების ბერძნული შესატყვისია „Αγος ασχημας“¹⁴.

ეს თხზულება მოკლე რედაქციისაა შუა ნაწილის გამოკლებით, რომელიც ვრცელია და უფრო ახლოს დგას Sin. 97₅-თან, ვიდრე ფერემ მცირისეული თხზულების შესაბამის ნაწილთან, რომელსაც ეწოდება „ლოცვა“.

ყოველივე ეს იმას ამტკიცებს, რომ ცალკეული თხზულებების ერთ თხზულებად გაერთიანება მეორეულია, ისევე, როგორც მეორეული უნდა იყოს მოკლე რედაქცია.

ძველმა ქართულმა თარგმანმა, რომელიც Sin. 97 კრებულშია წარმოდგენილი, შემოგვინახა თავდაპირველი ვრცელი რედაქციის სრული სურათი, ეფერემ მცირისეულმა თარგმანმა კი — მოკლე რედაქციისა.

ჩვენ განვიხილავთ ფერემ ასურის კიდევ ორი თხზულების ფერემ მცირისეულ თარგმანს შეპირისპირებით ადრეულ თარგმანებთან, რომლებიც წარმოდგენილია კრებულში Sin. 97 და მრავალთავებში: A—19, A—95, A—1109. ეს თხზულებებია: „მამათათჳს მძოვართა“ და „მამათათჳს შესუნებულთა“.

პირველი თხზულების, „მამათათჳს მძოვართა“, შესაბამისი ბერძნული ტექსტი გამოქვეყნებულია ასემანის მიერ, G. I, 175—180. ბერძნული თხზულება ზუსტი შესატყვისია ფერემ მცირისეული თარგმანისა; ძველი თარგმანი კი განსხვავებულია.

თუ ცალკეული პასაჟების მიხედვით ვიმსჯელებთ, ძველი თარგმანი ვრცელი რედაქციისა ჩანს, მაგ.: „ავაზაკმან თუ იხილნის იგინი, მეყსეულად მოიქცის ავაზაკობრივისაგან სახისა. ლომმან თუ იხილნის იგინი, მუნჭუესვე მომლოვრდის, რამეთუ ჯუარი ქრისტჳსი შეუმოსიეს“ (A—95, 336).

„ავაზაკმან თუ იხილნეს იგინი, მყის თაყუანისცემად დავარდების, რამეთუ მარადის გარე შეუმოსიეს მათ ჯუარი“ (A—62, 116r).

„Αητης αυτης αν εμε, εμης πι:του προσαυει, επειδη σταςρον δει εισαι ξεμα:σμενο:“ (G. I, 177 F).

„გალობასა, რომელ მათაა გარე და ქუბათა შინა იტყვან ქებით, მსხუერპლად სათნოდ შესწირვენ ღმრთისა. ხოლო ლოცვანი მათნი, ვითარცა ყოვლად შესაწირავნი, შერაცხილ არიან წინაშე შემოქმედისა უფლისა ყოველთადას“ (A—95, 337).

¹² Assemani, G. II, 370—377.

¹³ იქვე G. I, 199—201.

¹⁴ იქვე, G. I, 40—70.



„დიდებასა, რომელ გლობენ მათა შინა და ქუებათა, მსხუერალად კეთილმოთუალულად შეიწირვის ღმრთისა“ (A—62, 116r).

„Δὶξᾶν ἤγπαρ ἄθῆσαι δρῆσι καὶ σπῆλαίσις, μῆσις εὐπρῶσθετος πρῶσφ-
ρεται τῷ Θεῷ“ (G. I, 178 D).

უმრავლეს შემთხვევაში განსხვავებები ფაქტობრივი ხასიათისაა, მაგ.:

„მოვედით და ვიხილოთ ლოდი იგი იაკობისი, ვითარ-იგი არს მათა მისაყრდნობელ თავისა“ (A—95, 336).

„მოვედით და ვიხილნეთ ქვანი მათნი, რომელთა მარადის დაისხმენ ზესთა კერძო თავისა მათისა“ (A—162, 116r).

„Δεῖτε, ἕξαθῶμῶθ τῶς λιῦσις τῶς ἕξιςθ ἄπαρ τῆς ἑσῆς ἄς ἵπθ κ-
ფაჩῆς ἄθᾶν“ (G. I, 177 E).

არის მონაკვეთები, იმდენად განსხვავებულნი, რომ თუ არა თხზულების მთლიანი აღნაგობა და ცალკეული სრულიად იდენტური პასაჟები, სხვადასხვა ნაწარმოების შთაბეჭდილებასაც კი ტოვებენ, მაგ.: „არა მიეახლიან აღგილთა, სადა აყენებელ კაცი, არცაღა მიეახლიან, სადა სოფელი შჷნ არს. ელიას შეა-ურვეს ქალაქთა შინა დამკვდრებულთა, ხოლო მასვე განუსუენეს მათა და უღაბნოთა. მოსჷ ეგვბტეს შინა მცირედლა და ჭირსამცა ვიდრემე შევარდა, ხოლო უღაბნოდ რაჲ მიიწია, მუნ მანანაჲ ჰამა. დავით ქალაქთა შინა იდეგნებოდა საულისგან, ხოლო უღაბნოდ რაჲ მიივლტოდა, მუნ განერა. იოვანე მკალსა ჰამდა უღაბნოსა გარე და ეგრევე სახედ თაფლსა, ვითარცა წერილი იტყუს. ხოლო რაჲამს უღაბნოთ ქალაქთა მოვიდა, თვნიერ რომლისავე ბრალისა თავი მოეკუეთა. ეგრევე მსგავსად სოლომონცა უფსკრული იყო სიბრძნითა, ხოლო კაცთა თანა ყოფითა დედათაგან იძლია და წარწყმიდა ყოველივე სიბრძნე თსი.“

და რაღა ვამს მრავალი თქუმად, რამეთუ თავადი უფალი ჩუენი, რომელ-მან მშუღობაჲ ყო ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, ქალაქთა შინა ყოფითა ებრა-ელთა ნაშობთაგან ჯუარსა დამოეკიდა, ვითარცა ერთი ძკრისმოქმედთაგანი.

ესე უკუე უწყოდეს პატიოსანთა მამათა და ივლტოდეს სოფლისაგან, რაჲ-თა უღაბნოს განერნენ. არა შორს არიან ჩუენგან წმიდანი იგი მამანი, რამეთუ სულითა მარადის ჩუენ თანა არიან. ნუშცა განვიშორებთ მათ, ვითარცა უცხო-თა ჩუენგან, რამეთუ მარადის ილოცვენ ცოდვათა ჩუენთათს ერთისა მათგან-ისა გლობასა ერთსა შინა მათაგანსა ესოდენ იდიდებინ უფალი, ვითარცა სიმრავლისაგან იდიდისა. და კუალად ორნი რაჲ გლობედ მუნთა მათ შინა ლეღეთა, ვითარცა სიმრავლისაგან ათასეულისა და ბევრეულისა, სამნი რაჲ ერთად შეკრბიან, სამებაჲ გამოისახის; მეოთხელა თუ შეერთის, მცველსა მას მიემსგავსის სამთა ყრმათასა, რომელ იყო საჯუმილსა მას შინა; უკუეთუ მე-ხუთჲ და მეექუსჲ შეერთიან, გინა მუშუღჲ, სახჲ გამოიწერიან ათორმეტთაჲ მათ მოწაფეთაჲ მოძლურითურთ მათით და უფლით. არა აქუს გამოჩინებული საყოფელი ქუეყანასა ზედა, რამეთუ საყოფელნი მათნი ედემს შინა არიან“ (A—95, 337—338).

„ვიქმნეთ უკუე მსგავს მათა ზედა დამკვდრებულთა მათ. მსგავს და თანაყოყუს მოქალაქობისა მათისა, რამეთუ აზმნეს რეცა მკვეცობაჲ მკვეცთა თანა და მსგავსად მფრინველთა ფრინვიდეს მათა ზედა. ირმებრ ძოვდეს ნა-დირთა თანა ველისათა. ხოლო ტაბლაჲ მათი მარადის განმზადებულ არს, რა-მეთუ მარადის მდგლოთა და მწუანვილთა ძოვდეს. არამედ შეცთომილნი იგი მათა ზედა სანთლებრ ბრწყინვიდეს და ყოველთა განანათლებენ ნათლითა მა-

თითა, რომელნი ფრიადითა სურვილითა მიეაზლებოდინან მათ. ზღუდევანმაგრებულ არიან მამანი უდაბნოსა შინა, ვინაჲცა მშვიდობით იყოფებიან ადგილთა მკვდრობისა მათისათა. სადაცა მიიწიოს ერთიცა მათგანი, მიერთგან ყოველი მშვიდობაჲ არნ ვარემოთა მისთაჲ. ბორცუჭბსა ზედა ადგან, ვითარცა ტრედნი და ვითარცა არწიენი მათა ზედა მაღალთა.

ვერ იშუებენ ესრეთ მთავარნი ტაძრებითა და ცხედრებითა, ვითარ იგინი იხარებენ ქუაბებითა და მღვმებითა და მეფესა ნუჟუჟე და შეიარწებენ პალატი, ხოლო მათდა ვრცელ არიან ნაბრალნი ქუეყანისანი: ფლასით მოსილნი იგი მამანი უფროჲს პორფირით მოსილთაჲსა იხარებენ. დაიკვნა პორფირი და სათნოყოფილ არს ძაძაჲ მოთმინებითა წმიდათა მამათაჲთა, რამეთუ მოიძულეს ამპარტავენებაჲ. დიდად აღიტაცენს სიმრავლითა სიმდაბლისაჲთა. მობრძავეს ყოველი დიდებაჲ ამოჲსა ამის საწუთოჲსაჲ და აჰა იდიდებიან ყოველთა კაცთაგან ფრიადისა მის სიმშვიდისა და სიმდაბლისათჲს.

არა მოუვიეს მეფეთა ესევეითარი განსუენებაჲ, რომელი მოუვიეს მამათა უდაბნოს შინა, რამეთუ მოელიან შუებასა სამოთხისასა. რაჲჲს აღიხილენ შეცთომილთა მათა ზედა, ვითარცა შუებათა შინა შეჰრაცხენ თავთა თჳსთა ქუეყანასა ზედა, ხოლო რაჲჲს დაიძინონ, მოსწრაფებით აღდგებიან, ვითარცა საყვარნი, ესრეთ უვალობენ ქრისტესა ღმერთსა, სასურველსა მათსა. ხოლო დასნი ანგელოზთანი მარადის მათ თანა არიან, რომელნი ყოველადე სცვენ მათ და შეჰზღუდვენ. რამეთუ მაღლი მეუფისაჲ მარადის მათ თანა არს და არა უტევებს მათ წარპარვად მტერისაგან.

რაჲჲს მუტლნი მოიდრიენენ, თიჯა-ჰყოფენ იატაკსა წინაშე მათსა და ორნატთა მისთა მოპრწყვენ ცრემლითა მათითა. რაჲჲს დაჰბეჭდონ გალობათა მათთა, მაშინ აღდგების მეუფე თანამსახურყოფად მონათა თჳსთა. რაჲჲს ცისკარი იქმნეს, მყის აღიღებენ ფრთეთა და მოიფრინებენ ყოველსა სოფელსა, რომელთადა არლა ცხად არს ედემს მყოფი იგი მკვდრობაჲ წმიდათა მამათაჲ (A—162, 116r—116v).

ბერძნული ტექსტის შესაბამისი ნაწილი (G. I, 178E—179E) მისდევს ეფრემ მცირისეულ თარგმანს. უეჭველია, რომ აქ ორ, საკმაოდ დაშორებულ რედაქციასთან გვაქვს საქმე.

რამდენადაც ძველი თარგმანი მეტსა და განსხვავებულ კონკრეტულ მასალას შეიცავს (მაგ., საკუთარ სახელთა ხმარების შემთხვევაში), უფრო ვრცელია, ახალი კი ზოგადია და მოკლე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვრცელი რედაქცია არის ამოსავალი მოკლე რედაქციისათვის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველ კრებულებში (Sin. 97, A—19, A—95, A—1109) წარმოდგენილ ამ თხზულებას, შესაძლოა პრაქტიკული დანიშნულების გამო, მექანიკურად შემოკლებული სახე აქვს; მაგ., არ არის ვრცელი მსჯელობა მონაზონთა ცხოვრების წესზე, რაც ბერძნულ თხზულებაშიც¹⁵ არის და ეფრემ მცირისეულ თარგმანშიც¹⁶.

საკმაოდ დიდი მონაკვეთი თხზულებისა მთლიანად ამოღებულია და დატოვებულია ერთადერთი ფრაზა უცვლელად: „აწ უკუე მომიპყრნით სასმენელნი, რაჲთა მიგიზორა ცხოვრებაჲ მამათა, უდაბნოს მყოფთაჲ. შევიკრიბნეთ გონებანი ჩუენნი, სახენი გამოვიწერნეთ კეთილნი და განსაკრვებელნი მათისა მის ცხოვრებისანი“ (A—95, 335).

¹⁵ A ssemani, G. I, 177.

¹⁶ A—162, 115 r.



მაშასადამე, ძველმა თარგმანმა, რომელიც Sin. 97 კრებულსა და მრავალ-თავებშია წარმოდგენილი, შემოგვინახეს ვრცელი რედაქცია, რომლის შესა-ტყვისი ბერძნულში არ ჩანს.

ცოტა სხვაგვარი ვითარება გვაქვს იმავე თემაზე დაწერილ ეფრემ ასურის მეორე თხზულებასთან „მამათათს შესუენებულთა“. ორივე თარგმანი, ძვე-ლიც და ახალიც, ე. ი. ეფრემ მცირისეული, ერთი რედაქციისაა. მართალია, ძველი თარგმანი ოდნავ უფრო ვრცელია, მაგრამ ეს ვარიანტულ სხვაობებს არ სცილდება. ამ მცირე სხვაობების შემთხვევაშიც ერთად დგანან ეფრემ მცირი-სეული თარგმანი და ბერძნული, მაგ.:

„კაცად-კაცადსა მიეგოს საქმეთა მათთაებრ მართალი საშველი და ჩუენ უდებ-ვართ და ფრად შეურაცხ-გყოფიეს“ (A—1109, 37v).

„თითოეულსა მიეგოს მსგავსად საქმეთა თვისთა“ (A—162, 114r).

„Εκαστος ἀπολαμβάνει κατὰ τῆς πράξεως αὐτοῦ“ (G. I, 174 D).

ან კიდევ:

„ვერ ვცან კრძალულად და არა გულისხმა-ყავ სამართლად, ვითარ-იგი მიიპარნეს ჟამნი ჩემნი განცხრომელისანი“ (A—1109, 37v).

„არა უწყი, ვითარ წარიპარნეს წელიწადნი ჩემნი განცხრომასა შინა“ (A—162, 114v).

„Ἦγνήθῃα παντελῶς πῶς ἐκλάπη ὁ χροῖνος ἐμῶν ὡς ματερώσῃ“ (G. I, 174 F).

ჩვეულებრივ ასეთი მცირე სხვაობებიც იშვიათია. ძირითადად ეს ორი თარგმანი ასეთი შესაბამისობით უნდა წარმოვიდგინოთ:

„მოვედით და ისმინეთ, გოდებს სული ჩემი და ელმის თირკუმელთა ჩემ-თა. სადა არიან ცრემლნი, ანუ სადა არს ტირილი, რაითამცა დავიბანენ ჯორცნი ჩემნი ცრემლითა და სულთქუმითა“ (A—1109, 36v).

„მოვედით და ისმინეთ, რამეთუ ტკივნეულ არს სული ჩემი და ელმის თირკუმელთა ჩემთა, სადა არიან ცრემლნი ანუ სადა არს ლმობიერება, რა-ითამცა განვბანე გუამი ჩემი ნაკადულითა ცრემლითადათა და სულთქუმითა“ (A—62, 344r¹⁷).

ეფრემ მცირისეული თარგმანებიდან კიდევ ერთი თხზულებაა წარმოდგე-ნილი უძველეს კრებულებში, სახელდობრ, „მამათა სწავლათა“ ტიპის კრებუ-ლებში. ეს არის თხზულება „სიცილისათს და უჯეროდ განცხრომისა“¹⁸. ეფ-რემის თარგმანის სათაურია „ვითარმედ არა ჯერ არს სიცილი და ვანცხრომამ, არამედ ტირილი და გლოვამ თავთა თვისთა“¹⁹.

ორი სხვადასხვა თარგმანის შეპირისპირებამ გვიჩვენა, რომ ძველი თარგ-მანი რედაქციულად განსხვავდება ახალი თარგმანისაგან. მაგრამ მაინც არის ისეთი მონაკვეთები, რომლებიც რედაქციულ სხვაობას არ გვიჩვენებენ, მაგ.:

„ვინ მოსცეს თავსა ჩემსა წყალი და თუალთა ჩემთა წყარომ ცრემლითამ და ვტიროდი დღე და ღამე, რაითა დავეგო ღმერთსა, რამეთუ განვარისხე მე“²⁰.

„ვინ მოსცეს თავსა ჩემსა წყალი და თუალთა ჩემთა წყარომ ცრემლითამ, რაითამცა დავჯედ და ვტიროდი ღამე და დღე მოწყალე-ყოფად ღმრთისა, რო-მელი განვარისხე“ (A—673, 25v²¹).

¹⁷ Assemani, G. I, 172 A.

¹⁸ ი. აბულაძე, მამათა სწავლანი, თბილისი, 1955, გვ. 228—232.

¹⁹ A—673, 24r—27r.

²⁰ ი. აბულაძე, მამათა სწავლანი, თბილისი, 1955, გვ. 229.

²¹ Assemani, G. I, 255 F.

„დაამტკიცე, უფალო, გული ჩემი შიშსა შენსა და დაამტკიცე ფერკნი ჩემნი კლდესა ზედა სინანულისასა“²².

„დაამტკიცე გული ჩემი, უფალო, შიშსა ზედა შენსა და დაადგინე ფერკნი ჩემნი კლდესა ზედა სინანულისასა“ (A—673, 26v²³).

მიუხედავად ცალკეული მონაკვეთების ასეთი მსგავსებისა, ძველი თარგმანი უფრო ვრცელია, შეიცავს განსხვავებულ ფაქტობრივ მასალას:

„განცხრომამან განრყუნის ნაყოფი მონაზონისაჲ, ვითარცაღა განრყუნის ხორშაკმან ნაყოფი ქუეყანისაჲ. და კულაღ სიცილმან წარწყმიდის ნეტარებაჲ, რომელი აღთქმულ არს მგლოვარეთა გულითა. სიცილი უქმარ არს და უსარგებლო და უფროასლა დამრღუეველ შენებულსა“²⁴.

„კადნიერებაჲ ქარ შემწუველ არს, განსახრწნელ ნაყოფთა მონაზონისათა. ხოლო სიცილისათჳს აწ ისმინე: სიცილი სანატრელსა გლოვასა გარე განკვდის და შეგნებათა დაარღუევს“ (A—673, 24v).

„Ἡ παρρησία ἀνέμω καυσῶντι: ἄμοιζα, διὰ φθίσεως τὸν καρπὸν ἐν μοναχῶν. Περὶ δὲ ἐν γέλωτος ὕνυ ἄχουε. Ὁ γέλωδς τὸν μακαρισμὸν ἐν πένθεις ἕξω βιάλλει: καὶ τὰ ὀκισθημύθηνα κατὰ λῆει“ (G. I, 254 E).

„უფალო, რომელმან აღუხილენ თელნი ბრძმას მას სილოამს, აღმიხილენ მეცა თელნი გონებისა ჩემისანი დაბნელებულნი“²⁵.

„უფალო, რომელმან განახუნ თელნი ბრძმათანი, ალახუნ დაბნელებულნი თელნი სულისა ჩემისანი“ (A—673, 26v).

„Κύριε, ὁ ἀνοίξας ὀφθαλμοὺς τυφλοῦ, ἀνοίξον τοὺς ἐσκοτισμένους ὀφθαλμοὺς τῆς καρδίας μου“ (G. I, 257 E).

ბერძნული თხზულება: „Ὁ: ἐν Δεῖ γέλω καὶ μετὰ ῥίψεσθαι, ἀλλὰ μάλλον κλαίειν καὶ πένθειν ἔχουσας“²⁶ არ წარმოადგენს წყაროს არც ერთი ქართული თარგმანისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ეფრემ მცირისეული თარგმანი მაინც უფრო ახლოს დგას ბერძნულთან, ვიდრე ძველი თარგმანი.

საბოლოოდ უნდა შევეხოთ ერთ თხზულებას, რომელიც ადრეულ თარგმანებშივე ორი რედაქციით არის წარმოდგენილი. ეს არის Sin. 97 კრებულში დაცული ჰომილია „ფერისცვალებისათჳს იესუ ქრისტეს უფლისა ჩუენისა მთასა ზედა თაბორისა“²⁷. შესაბამისი ბერძნული თხზულება გამოცემულია ასემანის მიერ²⁸. ქართული თარგმანი ძირითადად ზუსტად მიჰყვება ბერძნულ ტექსტს. თხზულება ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი შეიცავს სახარების ფორმულების გადმოცემასა და განმარტებებს, მეორე ნაწილი კი წარმოადგენს დაპირისპირებას სულიერისას ხორციელთან²⁹.

თხზულების პირველი ნაწილის შესატყვისია კლარჯულ მრავალთავში (A—144) წარმოდგენილი ჰომილია „მთისათჳს თაბორისა და ფერისცვალებისათჳს უფლისა და ორთა ბუნებათათჳს“, რომელიც თეოდორე აბუქურას მიეწერება³⁰.

²² ი. აბულაძე, მამათა სწავლანი, თბილისი, 1955, გვ. 231.

²³ Assemani, G. I, 257 D.

²⁴ ი. აბულაძე, მამათა სწავლანი, თბილისი, 1955, გვ. 228.

²⁵ იქვე, 1955, გვ. 231.

²⁶ Assemani, G. I, 254—258.

²⁷ Sin. 97, 98r—111r.

²⁸ Assemani, G. II, 41—49.

²⁹ Michel van Esbroeck, Les plus anciens homéliaires géorgiens, Louvain-la-neuve, 1975, გვ. 274.

³⁰ A—144, 190r—192v.

რა დამოკიდებულებაა Sin. 97 კრებულის თხზულება კლარჯულ მრავალთავეში დაცულ თეოდორე აბუკურას სახელით ცნობილ თხზულებასთან?

ეფრემ ასურის თხზულება, რომელიც Sin. 97 კრებულშია წარმოდგენილი, გარდა იმისა, რომ ის ორივე ნაწილს აერთიანებს, თეოდორე აბუკურას თხზულებასთან მიმართებით ვრცელი რედაქციისა ჩანს:

„ეინ არს ძჲ და ვისი ძჲ არს იგი, რამეთუ ოდეს იგი ჰკითხვიდა მათ: რაჲ თქუნ ჩემთვის კაცთა, ძისა კაცისათჳს. ზოლო მათ ჰრქუეს: რომელთამე ელია, რომელთამე იერემია, ვინა ერთი წინასწარმეტყუელთაგანი“ (Sin. 97, 99r).

„ვინაჲ არს და ვისი ძე არს იგი, ვითარცა უწინარეს ჰკითხა მოციქულთა: რა თქუნ კაცთა ძისათჳს კაცისა. და მათ ჰრქუეს: რომელთამე იერემია ანუ სხუაჲ ვინმე წინასწარმეტყუელთაგანი“ (A—144, 190v).

მრავალთავეში წარმოდგენილი ტექსტი ოდნავ შემოკლებულია და რედაქცია შეიძლება ეუწოდოთ მხოლოდ იმის გამო, რომ ამას სისტემური ხასიათი აქვს.

თხზულებაში ბევრია დოგმატური ფორმულები სახარებიდან და ამდენად მოსალოდნელია ფრაზათა დამთხვევა Sin. 97 ხელნაწერში წარმოდგენილ ეფრემ ასურის ჰომილიასა და კლარჯულ მრავალთავეში დაცულ თეოდორე აბუკურას სახელით ცნობილ ჰომილიას შორის, მაგრამ თხზულების აგება, ფორმულების დალაგება, განმარტებათა მსგავსება იმას ადასტურებს, რომ თეოდორე აბუკურას თხზულება ეფრემ ასურის თხზულების გადაკეთებას წარმოადგენს³¹.

„არიან ვინმე აჲა მდგომარეთაგანი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ ძჲ კაცისაჲ, მომავალი დიდებითა თჳსითა. და შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანნა სიმონ-პეტრე, იაკობ და იოვანე, ძმჲა მისი და აღიყვანნა იგინი მთასა ფრიად მაღალსა თაბორსა და ფერი იცვალა წინაშე მათსა და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზჲ და სამოსელი მისი იქმნა, ვითარცა თოვლი“ (Sin. 97, 98v). შესაბამისი მონაკვეთი თხზულებისა კლარჯულ მრავალთავეში ასე იკითხება:

„არიან ვინმე აჲა მდგომარენი, რომელთა არა იციან გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდის იხილონ ძჲ კაცისაჲ, მომავალი დიდებითა. და შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანა უფალმან სიმონ-პეტრე, იაკობ და იოვანე ძმჲა მისი და აღიყვანა მთასა ფრიად მაღალსა და იცვალა ფერი. მათ წინაშე გამობრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე და სამოსელი მისი სუეტაკ, ვითარცა თოვლი“ (A—144, 190v).

ვრცელი პასაჟების ასეთი მსგავსება, რაც ერთეული შემთხვევებით არ ამოიწურება, იმაზე მიუთითებს, რომ ეს არის ერთი თხზულება, წარმოდგენილი ორი, არცთუ ძალიან განსხვავებული, რედაქციით.

კლარჯულ მრავალთავეში წარმოდგენილია ორი თხზულება ფერისცვალების თემაზე, რომლებიც ეფრემის თხზულების ცალკეული ნაწილების პარალელურ ტექსტებს წარმოადგენენ. ესენია: I. „ფერისცვალება უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, თქმული იოვანჲ მთავარეპისკოპოსისაჲ კონსტანტინეპოვლისაჲ დღისა მისთვის, რომელსა იცვალა ხატი მაცხოვარმან მთასა წმიდასა თაბორსა“³², რომელიც ეფრემ ასურის თხზულების პირველი ნაწილის პარალე-

³¹ Michel van Esbroeck, *Les plus anciens homéliaires géorgiens*, Louvain-la-neuve, 1975, გვ. 274.

³² A—144, 175v—181 r.

ლია, და II. „საკითხავი, თქუმული იოვანე ეპისკოპოსისაჲ, რაჟამს ფერი სცე-
ლა უფალმან ზუენმან იესუ ქრისტემან მთასა წმიდასა თაბორსა“³³, რომელიც
ეფრემის თხზულების მეორე ნაწილის პარალელურ ტექსტს წარმოადგენს.

ამ თხზულებათა შეპირისპირება ზემოთ დასახელებულ ბერძნულ თხზუ-
ლებასა და Sin. 97 კრებულში წარმოდგენილ ჰომილიასთან აჩვენებს, რომ ესე-
ნი სხვადასხვა თხზულებებია, დაწერილი ერთსა და იმავე თემაზე. იგივე არ
შეიძლება ითქვას თეოდორე აბუკურას სახელით ცნობილი თხზულების შესა-
ხებ. ეს უკანასკნელი უეჭველად ეფრემ ასურის თხზულების გადამუშავებას
წარმოადგენს.

სხვადასხვა თარგმანის შეპირისპირებამ გამოავლინა ეფრემ ასურის თხზუ-
ლებათა ძველ ქართულ თარგმანებში ორი რედაქცია: ვრცელი და მოკლე. მოკ-
ლე რედაქციისათვის მშობლივი უნდა იყოს ვრცელი რედაქცია, რომელიც ძი-
რითადად აღრინდელ კრებულებშია დაცული.

სწორედ ძველმა თარგმანებმა შემოგვინახეს აგრეთვე ის პირვანდელი რი-
ტმული სახე, რომელიც ახასიათებს ეფრემის თხზულებებს სირიულში. ცნობი-
ლია, რომ ეფრემი ძირითადად ლექსის ფორმით წერდა: თხზულებათა ხასიათის
მიხედვით განისაზღვრებოდა მისი ფორმაც. გამოყოფენ რამდენიმე ჯგუფს,
რომელთაგან უმთავრესია Memre და Madrasche³⁴.

ის პოეტური ფორმები, რომლებიც ეფრემმა დახვეწა და სრულყო, ნიმუ-
ში გახდა მომდევნო პერიოდის მწერლებისათვის. სირიულიდან შესრულებუ-
ლი ბერძნული თარგმანები აგრეთვე წარმოადგენენ რიტმულად მოწესრიგე-
ბულ თხზულებებს. რადგანაც ეფრემ ასურის თხზულებათა ქართული თარგმა-
ნები ძირითადად ბერძნულიდან მომდინარეობენ, მოსალოდნელი იყო, რომ
გარკვეული გამოძახილი ქართულშიც ეპოვა ეფრემისეულ პოეტურ ფორმებს.

როდესაც ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ ქართულ მრავალთავებსა და
Sin. 97 კრებულში წარმოდგენილი მასალა, დავრწმუნდით იმაში, რომ უძვე-
ლეს თარგმანებს ძირითადად შენარჩუნებული აქვთ დედნისეული რიტმი. სა-
ილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს აღრინდელი და შემდეგ ეფრემ
მცირისეული თარგმანებიდან.

ძველი თარგმანი:

„წარვიდეთ და ვიხილნეთ გუამნი მათნი,
ვითარ-იგი თმითა თუსითა შეუმკობიან;
მივიდეთ და ვიხილნეთ ძაძანი მათნი,
ვითარ ლოცვითა მარადის განწმდებიან;
მივიდეთ და ვიხილნეთ პირნი,

ვითარ-იგი მწუხარებითა და სულითა განშუენდებიან“ (Sin. 97, 176v).

ეფრემ მცირისეული თარგმანი: „წარვიდეთ და ვიხილნეთ კორცნი მათნი,
ვითარ თმითა თუსითა მოუბლარდნიან თავნი თუსნი; წარვიდეთ და ვიხილნეთ
ძაძანი მათნი, რომლითა მოსილნი მხიარულებით აღიდებენ ღმერთსა; წარვი-
დეთ და ვიხილნეთ პირნი მათნი, ვითარ მწუმუნვარებითა სულთა განიბრწყინ-
ვებენ“ (A—162, 115v)³⁵.

³³ A—144, 181 r—184 v.

³⁴ O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen literatur, IV, 1962, 33-344—346.

³⁵ Assemani, G. I, 177 D—E.

ნათელია, რომ ძველი თარგმანი რიტმულად უფრო მოწესრიგებულია, გამოიყოფა ტაეპები, არის რითმა.

ძველი თარგმანი:

„რაჟამს მკეცთა ველურთა
 ძაძანი მათნი იხილნიან,
 მწრაფლ განეშორნიან,
 რამეთუ საკვრველი დიდი იხილიან.

რაჟამს იხილნის იგინი ეშმაკმან,
 მუნქუესვე ზარი განჰკდის,
 მეყსეულად ლაღად-ყვის და
 უჩინო იქმნის,
 რამეთუ შემუსრნეს
 ბევრეულნი საბრტენი მისნი“ (Sin. 97, 117r).

ეფრემ მცირისეული თარგმანი: „რაჟამს მკეცთა ველურთა იხილნენ ძაძანი მათნი, მყის განკვრდებიან და განეყენებიან... რაჟამს იხილნეს იგინი სატანა, მყის ძრწის და საღმობიერად კმობით მიჰრიდებს მათ, რამეთუ ვინაფთვან დამუსრნა ბევრეულნი მახეთა უკუანა მათსა დადგმიოთა“ (A—162, 116r)³⁶.

ძველი თარგმანი:

„მკვდრ არიან ქუაბთა შინა,
 ვითარცა სამეფუფოთა შინა,
 ეგრეთვე მსგავსად ჯურელთა შინა,
 ვითარცა ტაძართა შინა“ (Sin. 97, 178).

ეფრემ მცირისეული თარგმანი: „მკვდრობენ ქუაბთა და ნაპრალთა შინა, ვითარცა რაჲ პალატთა“ (A—162, 116r)³⁷.

ძველი თარგმანის ყოველი ფრაზა მოქნილია და დახვეწილი, სშირად არის გამოყენებული რითმა და სიტყვათა განმეორება, როგორც პოეტური მეტყველების ერთ-ერთი ხერხი, რაც გამოხატულებას პოულობს ნაწარმოების საოცარ დინამიკურობაში.

ამრიგად, ეფრემ ასურის თხზულებათა უძველესი ქართული თარგმანების ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე დადასტურდა ზოგიერთი თხზულების ორი რედაქცია: ვრცელი და მოკლე. ვრცელი არის ამოსავალი მოკლე რედაქციისათვის. ვრცელი რედაქციის ძირითადი ნაწილი თავმოყრილია უძველეს კრებულებში: მრავალთავებში, Sin. 97 ხელნაწერსა და იმ ტიპის კრებულებში, რომელთაც „მამათა სწავლანი“ ეწოდება.

ქართულში ორივე რედაქცია სრულად არის დაცული, მაშინ, როდესაც ბერძნულში, საიდანაც მომდინარეობენ ქართული თარგმანები, მხოლოდ ნაწილობრივ არის წარმოდგენილი.

³⁶ Assemani, G. I, 177 F—178 A.

³⁷ Assemani, G. I, 178 C.

Л. Т. АХОБАДЗЕ

О ВЗАИМООТНОШЕНИЯХ ГРУЗИНСКИХ ПЕРЕВОДОВ ПРОИЗВЕДЕНИЙ ЕФРЕМА СИРИНА

Резюме

Самые ранние грузинские переводы произведений Ефрема Сирина представлены в сборнике Sjn. 97 (X в.) и в многоглавах (IX—X вв.). Вторая группа переводов, которая выполнена, как предполагают, в IX в., представлена в сборниках, условно называемых «Поучениями святых отцов» (X—XI вв.). Позднее, в конце X и в начале XI веков Евфимий Атонели и Ефрем Мцире перевели с греческого большое количество сочинений Ефрема Сирина. Некоторые из произведений, переведенных Ефремом Мцире, имеются и в ранних переводах.

В результате сопоставления различных переводов выявились две редакции некоторых произведений: пространная и краткая. Сочинения, представленные в ранних сборниках, в основном пространной редакции, переводы же Ефрема Мцире — краткой редакции.

Ранние переводы имеют и некоторые другие отличия, напр., пять независимых друг от друга статей сборника Sjn. 97 представлены у Ефрема Мцире как одно произведение.

Мы считаем первичной пространную редакцию, сохранившуюся в ранних сборниках. Именно эти переводы сохранили поэтическую форму, свойственную произведениям Ефрема Сирина как в сирийском, так и в греческом, с которого выполнены в основном грузинские переводы.

Грузинские переводы сочинений Ефрема Сирина, представленные в двух редакциях (как, напр., о монахах, о покойни и др.), не лишены значения для изучения греческого текста этих произведений, поскольку на греческом языке эти редакции сохранились не полностью.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

ზამარ გიზინიშვილი

მასალები ქართული ენის ეტიმოლოგიური
ლექსიკონისათვის

1. კ უ ბ ა ს ტ ი

კ უ ბ ა ს ტ ი ქართული ენის ლექსიკონებში სხვადასხვაგვარადაა განმარტებული. ს. ს. ორბელიანი „საქმე მოციქულთაზე“ დამყარებით მას „ლუჩაქად“ თარგმნის [1]. ივ. იმნაიშვილას ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში კ უ ბ ა ს ტ ი განმარტებულია, როგორც „თავზე შემოსაკრავი“ [2]. ილ. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში იგი ახსნილი არაა, მოცემულია (ბრჭყალეებში ჩასმული) მხოლოდ ის მნიშვნელობა, რომელსაც ადიშის ოთხთავი გვიჩვენებს ჭრუჭ-პარხლის რედაქციაში დადასტურებული კ უ ბ ა ს ტ ი-სათვის. ესაა „სამოსელი“ [3]. სამაგიეროდ განსამარტავი ერთეული ილუსტრირებულია სხვადასხვა ძეგლიდან ამოკრებილი მასალით, რაც საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ კ უ ბ ა ს ტ ი-ს მნიშვნელობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ილ. აბულაძის მიერ სათანადო ფილოლოგიური აპარატით გამოქვეყნებულ „მუშანიკის მარტილობაში“, ლექსიკონში უცვლელადაა გადატანილი საბას განმარტება „ლუჩაქი“ [4]. ნიკო ჩუბინაშვილი კ უ ბ ა ს ტ ს განმარტავს ასე: „მაკინაკი, ქალთა თავსაბურავი ლუჩაქი“, «приза», «покрывало» ([5], გვ. 254). „მუშანიკის მარტილობის“ ვ. დონდუასეულ რუსულ თარგმანში კ უ ბ ა ს ტ ი თარგმნილი არაა, გადატანილია პირდაპირ ქართული დედნის უღერადობის შესაბამისად. მაგრამ ამ თარგმანის ახლანდელ გამოცემაზე დართულ შენიშვნებში ზ. ალექსიძე ი. ჯავახიშვილზე დამყარებით იძლევა ასეთ განმარტებას: „женская одежда из легкой ткани“ ([6], გვ. 48). აქ წარმოდგენილ განმარტებათა უმრავლესობაში კუბასტი წარმოდგენილია როგორც ქალის კოსტიუმის კუთვნილება და ამასთანავე, უმეტესად, როგორც თავსაკრავი ან თავსაბურავი. მოცემულ განმარტებებში მაინც არის საერთო, რაც შესაძლებლობას იძლევა დაიძებნოს ყველა მათგანის გამაერთიანებელი მნიშვნელობა ზოგი დაზუსტებით.

ამისთვის ჯერ საჭიროა გავაანალიზოთ ცალკეული შემთხვევები კ უ ბ ა ს ტ ი-ს გამოვლენისა ამა თუ იმ კონტექსტში.

ოთხთავში კუბასტი ერთხელაა დადასტურებული, მაგრამ სწორედ ეს ერთი შემთხვევა იძლევა გასაღებს ხსენებული სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის გამოვლინებისათვის.

მათე 23,5DE: „ყოველთა საქმეთა მათთა იქმედ საჩუენებელად კაცთა: ფართო-ყვიან კ უ ბ ა ს ტ ნ ი მათნი და გრძელ-ყვიან ფესუები სამოსლისა მათისაჲ“ (მდრ. C: ს ა მ ო ს ე ლ ნ ი ნაცვლად კ უ ბ ა ს ტ ი-სა).

ამ ადგილის მიხედვით შეუძლებელია კუბასტი მივაკუთვნოთ ქალის სამოსელს, რამდენადაც საუბარია მწიგნობრებზე და ფარისევლებზე, რომელთა მოქმედებას ჰკიცხავს ქრისტე. თუ ვავითვალისწინებთ ბერძნული, სომხური და რუსული სახარებების ჩვენებებს, კ უ ბ ა ს ტ ი-ს მნიშვნელობა იქნება „საცო“, „თილისმა“, „ამულტი“, „ავგაროზი“. ბერძნული *φαιλακτῆριον* სწორედ ამ მნიშვნელობით

საა. სომხურში შესაბამის ადგილას წარმოდგენილი *ყრայანას* არის ტყავის ნაჭერი, რომელსაც იკრავენ შუბლზე ან ხელზე და რომელზედაც საღვთო წერილის ცალკეული მუხლები ტექსტი სწერია. რუსული ბიბლიის 1908 წლის გამოცემაში სათანადო ადგილას «хранилища» იკითხება, რომელსაც სქოლიოში ასეთი განმარტება აქვს: «повязки на лбу и на руках со словами из закона» (17 I, 747).

კუ ბ ა ს ტ ი-ს ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი განმარტებისთვის ოთხთავის ტექსტში, ბერძნული, სომხური და რუსული ოთხთავების აკიოზვისების გარდა, მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენს ხანმეტი სახარების ჩვენება: «და ყოველსა საქმესა მათსა ხიქმედ საჩუენებულად კაცთა: განივრცნიან ს ა ც ო ნ ი მათნი...» (A—89, 24v).

ამავე ადგილას ტბეთის ოთხთავშიც ს ა ც ო ნ ი იკითხება. ამრიგად, კუ ბ ა ს ტ ი-ს განმარტებისას არც ქალის სამოსელით უნდა შემოვიფარგლოთ და არც მხოლოდ თავსაკრავით.

ამ ფონზე საინტერესოა კუბასტი-ს მნიშვნელობა „შუშანიკის მარტკლობაში“, რომელშიაც იგი ორჯერაა ნახმარი. პირველად იგი გვხვდება იმ ეპიზოდის გადმოცემისას, როცა ვარსკენმა პურობის დროს უწყალოდ სცემა შუშანიკს და მისაშველებლად მისულ ჯოჯიკსაც:

„მამინ შეულად აღდგა ჯოჯიკ, ძმად მისი, და იბრძოდეს, ვიდრემდის გუემა იგიცა და კუ ბ ა ს ტ ი ც ა თავსა მისსა მოხეთქა, და ჰირით ვითარცა კრევი მგელსა, გამოულო ცელა მისთა“¹ (გ. ძ., I, 17,12).

ისმის კითხვა: ვის მოჰკლიჯა ვარსკენმა კუბასტი თავიდან: შუშანიკს თუ ჯოჯიკს? რამდენადაც კუ ბ ა ს ტ ი ისეთი საცო² ანუ ავგაროზია, რომელიც უცილობლად ქალის კუთვნილება არაა, ხოლო ტექსტში „კუბასტიც“ თავსა მისსა მოხეთქა“ უშუალოდ მოსდევს ფრაზას „ვიდრემდის გუემა იგიცა“ (ე. ი. ჯოჯიკი), ბუნებრივია ჩავთვალოთ, რომ კუბასტი ჯოჯიკისა იყო. შუშანიკის მარტკლობის ამ ადგილის მიხედვითაც კუ ბ ა ს ტ ი იმავე მნიშვნელობისა ჩანს, როგორისაც სახარებმაში.

„შუშანიკის მარტკლობაში“ კუბასტი კიდევ ერთგანაა ნახმარი: ეს ის ადგილია, როცა შუშანიკი ეკლესიიდან სასახლემდე თრევით მიჰყავთ, ხოლო ძირს ძეძვია დაფენილი, რის შედეგადაც „კუ ბ ა ს ტ ნ ი შუშანიკისნი და კორცნი წულილ-წულილად დაებძარნეს ძეძუსა მას“ (გ. ძ., I, 20,1). ამ შემ-

¹ მართალია, სიტყვა კუ ბ ა ს ტ ი არ არის წარმოდგენილი ისეთ მნიშვნელოვან ნუსხეებში, როგორიცაა A—95, A—130 და A—176. მაგრამ ამ ხელნაწერებში გადამწერის შეცდომით გამოწვეულ სიტყვის კლებასთან უნდა გვეჭონდეს საქმე, რადგან ტექსტი მის გარეშე გაუგებარი ხდება „ვიდრემდის გუემა იგიცა და თავსა მისსა მოხეთქა“. რა მოხეთქა თავსა მისსა? ცხადია, თავსა მისსა მოხეთქა“ არ შეიძლება ვაგივოთ როგორც „თავში ჩართვმა“. ამ მნიშვნელობით სწორედ წინა წინადადებაში ნახმარია „უხეთქნა“ (და აღილო ასტამი და უხეთქნა თავსა). ე. ი. „უხეთქნა მას თავსა“ არის „ჩაართვა მას თავში“, ხოლო „თავსა მისსა მოხეთქა“ — „მას თავიდან მოკლიჯა“.

² საინტერესოა „შუშანიკის მარტკლობაში“-ში თვით ს ა ც ო ნ-ს ხმარება, რომლითაც ზემოთ ჩვენ განმარტეთ სიტყვა კუ ბ ა ს ტ ი:

„და თხოვასა ერთსა ითხოვედს მისგან ყოველნი იგი ეპისკოპოსნი და აზნაურნი ერთბამად, რამათ ბორკილი იგი ფერჯთად ბრძანოს ს ა ც ო ლ და ნაკურთხევედ ყოველთათს...“ (გ. ძ., I ტ. 27, 27).

კონტექსტიდან კარგად ჩანს ს ა ც ო ნ-ს მნიშვნელობა, რომელიც აქ აშკარად „ავგაროზის“, „თილისმის“ აზრითაა ნახმარი.



თხვევაში კუბასტის მნიშვნელობა შეიძლება იყოს „სამოსელი“ (ეტიმოლოგიურად საფარველი, საცო სხეულისა).

კუბასტი დამოწმებულია „საქმე მოციქულთაში“. საფიქრებელია, მას აქ ჰქონდეს „კუართის“ ანუ „პერანგის“ მნიშვნელობა:

„და გარე-მოადგა მას ქურთივები იგი ყოველი, ტიროდეს და უჩუენებდეს კუბასტებსა და სამოსლებსა ყოველსა...“ (საქმე 9,39C).

ბერძნული: $\chi\alpha\tau\alpha\upsilon\chi$ „კუართები“, „პერანგები“

სომხური: Հորմ „სამოსელი“, „კაბა“.

ესაიას წინასწარმეტყველებაში კუბასტი გვხვდება „სამოსლის კალთის“, „წვივითსაფარველის“ მნიშვნელობით:

„ალიკრიბე კუბასტი შენი, გამოაჩინენ წვენი შენნი“ (ეს. 47,2(0)).

ბერძნული: $\pi\alpha\iota\delta\epsilon$ „საფარველი“, „საბურავი“

სომხური: քոյ „საფარველი“, „ზეწარი“.

რუსული: ПОЛОЯ „კალთა“.

განხილულ შემთხვევებში კუბასტს ჰქონდა მნიშვნელობა „თილის-მისა“ ან კიდევ „სამოსლისა“ თუ „საფარველისა“ ზოგადად. მათ აერთიანებს ზოგადი მნიშვნელობა „საცო“, „საფარველი“, რაც ერთ შემთხვევაში შეიძლება გაგებულ იქნეს „თილისმად“, „ამულეტად“ (რომელიც მას იფარავს ბოროტი ძალისაგან), მეორე შემთხვევაში კი „სხეულის ნაწილების საფარველად“ (რომელიც მის სხეულს ბუნების მოვლენებისაგან იფარავს). აქ შემოდის თავ-საბურავიც, წვივისაფარიც ანუ კაბის კალთაც და სამოსელიც საზოგადოდ.

კუბასტი ოდნავ სახეცვლილი ფორმით (კუბასტი) დამოწმებულია „ამირანდარეჯანიანშიც“:

„დედოფალმანცა მის დიაცისა ძღვნობილი კუბასტი ჩაიცვა და ორივე ერთგან დასხდეს“ (ამირ. 121,21).

კუბასტის წარმომავლობა საბოლოოდ გარკვეული არ არის. მ. ანდრონიკაშვილის აზრით, იგი უკავშირდება ავესტურ *akabastam ფორმას (ak a „საკინძი“, bast a—ნამყოს მიმღეობა ზმნისაგან band „შეკვრა“), რაც ნიშნავს „საკინძით შეკრულს ან შესაკრავს“ ([8], გვ. 335—336). საინტერესოა, რომ მ. ანდრონიკაშვილს თავისი ნაშრომის 195-ე და 221-ე გვერდებზე მოაქვს საშუალო სპარსული ფორმა kubast „სამოსლის სახე“ [8], მაგრამ არ ჩანს, ეს ფორმა რეალურად ფიქსირებულია თუ სავარაუდო.

საინტერესოდ გვეჩვენება ქართულ კუბასტთან მიმართებით ბერძნული $\chi\alpha\pi\alpha\sigma\sigma\iota\varsigma$ || $\chi\alpha\pi\alpha\sigma\sigma\iota\varsigma$ („ტუნიკის სახეობა“, „ერთგვარი პერანგი“); მაგრამ ამ დაკავშირებასთან ერთად ასახსნელი იქნება ფუძის ბოლოს ქართულში ხტ-ს არსებობა ნაცვლად ბერძნულში წარმოდგენილი ორმაგი ხ-სი. შესაძლოა, ქართულში გადმოტანილი იყოს ირიბ ბრუნვათა ფუძე $\chi\alpha\pi\alpha\sigma\sigma\iota\varsigma$ -ში-ი (ნათ. ბრ.). რომლის ბოლოკიდური მქლერი დ ასეთ შემთხვევაში ყრუვდება (შდრ. $\chi\epsilon\rho\alpha\mu\iota\varsigma$ —ნათ. ბრ. $\chi\epsilon\rho\alpha\mu\iota\varsigma$ —ქართ. კრამიტო). მაგრამ ეს მხოლოდ ფრთხილი ჰიპოთეზაა, დაბეჯითებით რისამე მტკიცება ძნელია.

2. ზოპავი

ფსალმუნთა თარგმანების იმ ტექსტში, რომელიც შატბერდის კრებულშია შესული, ერთ ადგილას მოცემულია ციტატი ესაიას წინასწარმეტყველებიდან და მისი კომენტარი:

„ამისთვის კელითა ესაია წინადასწარმეტყუელისაათა იტყუს ამას: „განიბანენით, განიწმინდენით“ და შემდგომად ამისა იტყუს: „და თუ იყენენ ცოდვანი თქუენნი ვითარცა მეწამულნი, ბოროტად, ბაყლის ფერად, ვითარცა თოვლნი განვასპეტაკენ, და თუ იყენენ ვითარცა ძოწით ლებულნი, ვითარცა მატყლი განვასპეტაკო (ასეა)!, ამისთვის, რამეთუ, მსგავსად შჭულისა, რომელნი იყენენ დიდ-დიდნი ცოდვანი, თანამდებ არა იყო მათა სასოვების სისხლასა სასხურებელითა ზოპავითა, არამედ — პატყი სიკუდილისა“ (შატბ. კრ. 412,16).

ტექსტის ამ ფრაგმენტიდან მხოლოდ იმ აზრის გამოტანა შეიძლება, რომ ზოპავი სისხლით განწმინდასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. იგულისხმება, როგორც მომდევნო ნაწყვეტიდან ჩანს, სხურება ქრისტეს სისხლისა:

„... ევედრების წინადასწარმეტყუელი, ნუ მსგავსად შჭულისა დამწვი მეო და წინადასებრ მომაკუდინებ, არამედ მადლითა ახლისა შჭულისაათა მასხურე მე და განწმინდე მე სისხლითა მხოლოდშობილისა ძისა შენისაათა...“ (შატბ. კრ. 412,16).

კონკრეტულად რა არის ზოპავი და რა ადგილი უკავია ამ რიტუალში. ეს არ ჩანს. ეს სიტყვა არ ჩანს არც ძველი და არც თანამედროვე ქართული ენის ლექსიკონებში. ამას უნდა დაეუფაოთ, რომ ჩვენთვის იგი არაა ცნობილი სხვა რომელიმე ძველი ქართული ძეგლიდან, გარდა ზემოთ დასახელებულისა. იმას გამო, რომ ფსალმუნთა თარგმანების შატბერდის კრებულში შესული ტექსტი სომხურიდან არის თარგმნილი (ამაზე პირდაპირი მითითება თვით ზელნაფერს დაუცავს დაჩის წერილის სახით, რომლის ადრესატია სტეფანე მტბევეარი და რომელშიაც ნათქვამია, რომ დაჩიმ ბერძნული ენის არცოდნის გამო, სათარგმნელად სომხური ტექსტი აიღო [9], გვ. 365), საჭიროდ მივიჩნით შეგვემოწმებინა სომხური განმარტებითი და ეტიმოლოგიური ლექსიკონები, აგრეთვე ზოგი გამოკვლევა, სადაც განხილულია სხვა ენებიდან შეთვისებული ლექსიკა ძველ სომხურში.

სიტყვა ზოპავი-ს მსგავსი ფორმა *q o p a v i* წარმოდგენილია ა. ხუდაბაშიანის სომხურ-რუსულ ლექსიკონში [10] და განმარტებულია, როგორც «Иссоп» (трава). პრ. აჰარიანის სომხური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ზოპავი განმარტებულია, როგორც „ქონდრის მსგავსი რამ ბალახი“ ([11], 105) და იქვე ლათინური ეკვივალენტაც აქვს მიწერილი *Hyssopus*, რაც ძველ ქართულში ვსლუპიუსს სხით დასტურდება. რადგან ზოპავი ს განმარტება პრ. აჰარიანთან მოცემულია, ხოლო, ამას გარდა, ეს სიტყვა მაინებულა ვსლუპიუსის სინონიმად, რომელიც ქართულ ძეგლებში გვხვდება, შეიძლება იმის ვარკვევა, თუ რა შესაბამება ქართულ წერილობით ძეგლებში წარმოდგენილ ვსლუპუსს შესაბამის სომხურ თარგმნილ თხზულებებში. განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა:

„... და ღრუბელი აღაცეს ძმრითა მით უსლუპუსა თანა და დაადგეს ლერწამი და მოართუეს პირსა მისსა“ (ი. 19, 29 DE). უსლუპუსა-ს შესატყვისად აღიშურ ხელნაწერში ნავდლითა გვაქვს, ხოლო სომხურ ტექსტში — *q o p a v i* (მიც. ბრ.).

„რამეთუ ითქუნეს ყოველნი იგი მცნებანი მსგავსად შჭულისა მოსმს მიერ ყოველისა მიმართ ერისა, ვითარმედ მოიღოს სისხლი იგი ზუარაკთა და ვაცთა წყალსა თანა მატყლითა მეწამულითა და უსლუპითა... და ყოველსა ერსა აპკურის“ (ებრ. 9, 19 AB). CD რედაქციაშიც უსლუპითა გვაქვს. სომხური ტექსტი იმავე სიტყვის *q o p a v i*-ს (მოქ. ბრ.) ფორმას გვიჩვენებს.

„მასხური მე უ ს უ პ ი თ ა და განწმინდნე მე, განმბანო მე და უფროს თოვლისა განვსებტაქნე“ (ფს. 50,9 4). ო რედაქციაში უ ს უ პ ი თ ა-ს მაგიერ გვაქვს ს ა ა კ ე რ ე ბ ე ლ ი თ ა. სომხურ ტექსტში ამჯერად ზოპავი არ დასტურდება.

„და მოიღეთ კონაჲ უ ს უ პ ი და დააწეთ სისხლსა მას და სცხეთ წინაშე კარსა და ზღურბლსა და ორკერძოვე წყირთლთა სისხლისა მისგან რომელი-გი არს კარისაჲ...“ (გამ. 12, 22-0). სომხურში სათანადო ადგილს *მ კ ა თ ი კ ყ ი ა ყ ა ქ ი* („კონა უსუპისა“) გვაქვს.

ბოლო კონტექსტი ყველაზე კარგად გვიჩვენებს ზ ო პ ა ვ ი ს ეკვივალენტის — უ ს უ პ ი ს მნიშვნელობას. ესაა ბალახეული მცენარე, რომელიც განკუთვნილია იმისთვის, რომ მისი კონით, რომელსაც სისხლში ამოაწებენ, იქნეს ცხებული ან პკუთებული ადამიანი ან მისი სახლის კარი, ზღურბლი და წირთხლი განწმედის მიზნით.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით „უსუპი არს ბალახი სუნნელი და ფრიალ გამრეცხელი სარცხელთა. უსუპით ასხურებდენ ერსა განსაწმედელად. უსუპი ქონდარიოჲ“ ([1], 346).

ოლია აბულაძის მიერ უ ს უ პ ი განმარტებულია როგორც „სახსურებელი“ [3]. მაგრამ უ ს უ პ ი ჩვენ მხოლოდ იმდენად გვანტერგებს, რამდენადც ის არის ქართულ და ბერძნულ ტექსტებში წარმოდგენილი, ხოლო მის სომხურ ეკვივალენტს *ყ ი ა ყ ა ქ ი* წარმოადგენს, რომლის მნიშვნელობის დასადგენად მოვიშველიეთ უ ს უ პ ი.

სომხური *ყ ი ა ყ ა ქ ი*, პ. ჰიუბშმანის აზრით, ნასესხებია სირიულიდან, სადაც ის *z ო p ā* სახით არის წარმოდგენილი ([12], 303). სომხური ფორმის აუსლაუტი სწორედ სირიულიდან ნასესხობას მოწმობს, რადგანაც, როგორც სხვა ადგილას ავტორი საგანგებოდ შენიშნავს, სირიულიდან სომხურში შესული სიტყვების ერთი (უმცირესი) ნაწილი სიტყვის ბოლოს *aj-*ს გვიჩვენებს, რომელიც სირიული *status emphaticus*-ის დაბოლოების (წარმოშობით ნაწერის) *-s*-ს შესატყვის ა. ამგვარ სიტყვათა სია პ. ჰიუბშმანს სქოლიოში აქვს მოყვანილი ([12], 287). პრ. აჭარიასაც სომხ. *ყ ი ა ყ ა ქ ი* სირიულიდან ნასესხებად მიაჩნია, სირიული *z ო p ā* კი—ძირეულ სემიტურ სიტყვად, რომლის შესატყვისები დადასტურებულია სხვა სემიტურ ენებშიცებრაული *z ო b*, არამეული *z ო p ā*, არაბული *z ო fa*, ეთიოპური *az ab* და ასურული *z ო pu* ფორმების სახით ([11], 105—106).

ფსალმუნთა თარგმანების შატბერდის კრებულში წარმოდგენილი ტექსტი, როგორც ეს მთარგმნელის—დაჩის—მიერ ანტონი მრუველისადმი მიწერილ ეპისტოლეშია აღნიშნული, თარგმნილია სომხურიდან. ეს გარემოება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ზ ო პ ა ვ ი ქართულში სომხურიდან არის შემოსული და ამასთანავე ლიტერატურული და არა ზეპირი გზით. ამ სიტყვის სესხება უშუალოდ სემიტური ენობრივი სამყაროდან ნაკლებ მოსალოდნელია. სომხურ წარმომავლობაზე ქართულ ტექსტში ფიქსირებული ზ ო პ ა ვ ი-სა შეიძლება მიგვანიშნებდეს აგრეთვე ვ თანხმოვანი ფუძის ბოლოს. არაა გამორიცხული, რომ ეს ვ იყოს სომხური მოქმედებითი ბრუნვის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც გადმოპყოლია ამ სიტყვას ქართულში. ის ფაქტი, რომ *ყ ი ა ყ ა ქ ი* სიტყვის მოქმედებითი ბრუნვა ძველ სალიტერატურო სომხურ ენაში სხვაგვარად იწარმოება (*ყ ი ა ყ ა ქ ი*), ამას ხელს არ შეუშლიდა, თუ დავეშვებდით, რომ სომხურ

ტექსტში **ჟიყყა!** მიჩნეული იქნა ნათ.-მიც. ბრუნვის ფორმად (ე. ი. **ს** თემის ნიშნით ბრუნებად სახელად) და შესაბამისი მოქმედებით გაკეთდა **ს** კლასის სახელთა მიხედვით, ე. ი. სომხურ ლედანში ნაცვლად მოსალოდნელი **ჟიყყაქი** ფორმისა წარმოდგენილი იყო ***ჟიყყაჲ**. როგორც ჩანს, მთარგმნელმა არ იცოდა ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა და იგი სომხური ფონემური ფორმით ვადმოიტანა ქართულ თარგმანში, მაგრამ მოქმედებით ბრუნვის ნიშანი მაინც დაუტოო, ისე, რომ სომხური მოქმედებითის ფორმანტი არ ჩამოუტვლია.

3. **დამწყა, უმწყი, სამწყული**

სამივე დასახელებული ფორმა ემყარება ზმნურ ძირს **მწყ**. პირველი მასდარია, მეორე — უარყოფითობის გამომხატველი უპრეფიქსიანი მიმღეობა, მესამე — ხა-ულ ცირკუმფიქსით ნაწარმოები, აწ გასუბსტანტივებული, მყოფადის მიმღეობა. ეს ფორმები მე-10 საუკუნის ქართული ხელნაწერებიდან გვაქვს დამოწმებული:

1. „**კმა** დანით ისმეს სიმაღისა ჰუნეთა მისთა და კმისაგან კველისა და **დამწყისა** საკედართაჲსა შეიძრას ყოველი ქუეყანაჲ“ (შატბ. კრ. 218,17). ეს ადგილი შატბერდის კრებულში წარმოადგენს ციტატს იერემიას წინასწარმეტყველებიდან. იგი არ ემთხვევა ოშკურ-იერუსალიმურ ხელნაწერთა იერემიას ტექსტის სათანადო ადგილს, რომელიც ასე იკითხება:

„დანით გუესმეს (გუესმა 0) ჩუნენ კმა სიმრავლისა ჰუნეთა მისთაჲ. კმისაგან კველისა აღმკედრებასა (აღმკედრებულთა 0) ჰუნეთა მისთასა შეიძრას (შეიძრა 0) ყოველი ქუეყანაჲ...“ (იერ. 8,16 0J).

როგორც ვხედავთ, **დამწყისა** ფორმის ნაცვლად აქ გვაქვს **აღმკედრებასა**, რაც არ უპირისპირდება **დამწყის** ძირითად მნიშვნელობას „გახედნა“, „გაწვრთნა“.

2. „ცენი **უმწყი** გამოკდის ფიქლად, და შვილი აღტევებულად პოხილი გამოკდის უსწავლელად“ (ზირ. 30,8—0).

ბერძნულ ტექსტი შესაბამის ადგილას გვაწვდის იკითხვის **ἄμαστος** „დაუმორჩილებელი“, „მოუთვინიერებელი“, რაც კარგად ეხამება ქართული **უმწყი**-ის მნიშვნელობას.

3. „... ორნი დიაკეულნი პირმზონი და **უმწყნი**... დაიყენნით...“ (1 მფ. 6,7—0).

ბერძნულ და სომხურ ტექსტს არ მოეპოვება ქართული **უმწყნი** ფორმის შესატყვისი, ხოლო რუსული აღწერითად გადმოგვცემს მის მნიშვნელობას: „...двух первородивших коров, на которых не было ярма...“

4. „კიც **უმწყი** რბის... და დასცემს ზედამჯღომელსა მას“ (H—2251, 288v).

5. „შენდა კმა არიან ორნი იგი კარნი **სამწყული** თურო“ (პოვნა სტეფ. 666,3).

სამწყული-ის მნიშვნელობაა „დეკეული“, „მოზფერი“. იგი შესატყვისება როგორც ბერძნულ **μαστος**-ს (მოზფერი“, „კურატი“), ისე ბერძნულსავე **μαλαξ**-ს („დეკეული), აგრეთვე სომხურ **բռնդ**-ს („კურო“, „კურატი“) და **հիքն**-ს („დეკეული“), რუსულ **телец**-სა და **телка**-ს. ამრიგად, **სამწყული**-ის სქესი განსაზღვრული არაა. იგი თანაბრად შეიძლება იყოს კურატიცა და დეკეულიც. მისი ამოსავალი მნიშვნელობა, ჩვენი აზრით, უნდა იყოს „გასაწვრთნელი“, „გასახედნი“.

6. „ვითარცა სამწყულო მტრიობარი შესტრიობდა ისრაშლი, აწ აძონეს იგინი უფალმან ფართოსა ადგილსა, ვითარცა კრავნი“ (ოსე 4,16—0J).

ოსეს წინასწარმეტყველების ამ ადგილის ჩვენთვის საინტერესო ნაწილი უფრო გვიანდელ ხელნაწერებში (A—1108, A—51, ბაქარის გამოცემა) წარმოდგენილია ასე: „ვითარცა დიაკეული მტრიობალი მტრიობალ-იქმნა ისრაშლი...“

აქ სამწყულო, როგორც ვხედავთ, დეკეულითაა შეცვლილი.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ჩვენთვის დამწყა-ს, უმწყა-სა და სამწყულო-ს ეტიმოლოგიური კავშირი უქვევლია. ამ მხრივ, ვფიქრობთ, ჩვენს აზრს განამტკიცებს ერთი ადგილი იერემიას წინასწარმეტყველებიდან, სადაც სამივე ხსენებული ლექსიკური ერთეული ერთ წინადადებაშია მოქცეული და ერთმანეთთან ნათესაობაზე მიგვანიშნებს:

„სმენით მესმა ეფრემის გოდება: განმსწავლე მე და განვისწავლო, ვითარცა სამწყულო უმწყა ვერ დავიმწყე (დავიმწყე 0), მომაქციე მე და მოვიქცე, რამეთუ შენ უფალი ღმერთი ჩემი ხარ“ (იერ. 31,18—0J).

ბერძნულში „ვითარცა სამწყულო უმწყა ვერ დავიმწყე“ ასეთი სახით გვაქვს: *ἄσπερ μὲν ἔστιν ὁ θεὸς ὁμοιωθήσεται* (იერ. 38, 18). როგორც ვხედავთ, ბერძნულ ტექსტში ეს ადგილი 38-ე თავშია, განსხვავებით ქართულისაგან და ქართულთან შედარებით აკლავს უმწყა-ის კორელატი. სამწყულო-ს შეესატყვისება *μὲν ἔστιν ὁμοιωθήσεται*, „ზარაია“, „მოზვერი“, „კურატი“, ხოლო დავიმწყე-ს — *ὁμοιωθήσεται* „განვისწავლე“.

სომხურ ბიბლიაში განხილული ადგილი ქართულს მსგავსად 31-ე თავის მე-18 მუხლში შედის: „*ოչ ասայ իբրև գնջող արմող*“ „ვერ (არ) განვისწავლე (გავიწრთენი) როგორც კურატი უწერთნელი“. ქართულ და სომხურ ტექსტებს შორის შესატყვისობა სრულია: სამწყულო-ს თვის სომხურში გვაქვს *ընչող* „მოზვერი“, „კურო“, „კურატი“, უმწყა-სათვის — *արմող* „უწერთნელი“, დავიმწყე/დავიმწყა-სათვის — *ասայ* „გავიწრთენი“. რუსული ტექსტი საინტერესო იკითხვის იძლევა: *«Я наказан как телец неукротимый»*. უმწყა-ის შესატყვისად „დაუმორჩილებელი“ გვაქვს, რაც გაუწვრთნელი-ს მნიშვნელობის ერთ-ერთ მხარეზე, კერძოდ სიჯიუტეზე, მიგვაქცევინებს ყურადღებას; დავიმწყა-ს შეეფარდება „დავისაჯე“ რაც თითქოს სულ სხვაა, მაგრამ ცნობილია, რომ განსწავლა ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „დასჯა“, აკრთვე „ცემა“, „გვემა“ [3]. როგორც ჩანს, დასჯა საწვრთნელი პროცესის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი იყო. სამწყულო-ის ფარდად წარმოდგენილია „მოზვერი“, „კურატი“.

ამრიგად, დამწყა-ა, უმწყა-ი და სამწყულო-ი ერთი ძირის დერევატებს წარმოადგენენ. ნაკლები გავრცელებისაა სხვა მოდელელებთან შედარებით სა-ულ ცირკუმფიქსი, მაგრამ ამგვარი წარმოება ფიქსირებულია უდავო მაგალითებით, როგორცაა: სასწაული, სართული, სარწყული, საფარდული, საქადული, საწყაული და სხვა. ძირი მწყ- შემდგომ დაწვევებას აღარ ექვემდებარება: მ სეგმენტი ძირის ორგანული ელემენტია.

მწყ- ძალზე არქაული ზმნური ძირია ძველ ქართულში, ის საერთო-ქართველური *მწყ- ოდენობის გავრცელებას წარმოადგენს. ამგვარი დასკვ-

ენის საფუძველს ქმნის მისი შესატყვისი ძირების წარმოჩენა სვანურსა და ჰანურში. სვანური შესატყვისი ქართული მწყ-ა სიტყვისა არის ლი-ნ-ჰ-ჰ-ი „გახედნა“, „დამორჩილება“. შესაბამისად, ქართული უ-მ წყ-ი ფორმის ფარდია სვანური უ-ნ-ჰ-ჰ-ა „გაუხედნავი“ (*უ-მ წყ-ა). ხმოვანსა და თან-ხმოვან შორის მოქცეული მ სვანურში კანონზომიერად იცვლება ნ-დ ([13], 129): სვან. ხ-ჰ-ა-ნ-ჰ-ჰ-ე-მ „ვაჩქევ“ — *ხ-ჰ-ა-მ-ჰ-ჰ-ე-მ, შდრ. ქართ. ვ-ა-მ-ჰ-ჰ-ბ-ჰ-ე-მ-ჰ-ჰ-ე-მ; ლ-უ-ნ-თ „ზამთარი“ — *ლ-უ-მ-თ, შდრ. ქართ. ზ-ა-მ-თ-ა-რ-ი; მ-ე-კ-ჰ-ჰ-დ-ე „მოკლე“ — ნასახელარი ზმნა ა-ნ-კ-ჰ-ჰ-დ-ე „ამოკლებს“ — ა-მ-კ-ჰ-ჰ-დ-ე ([13], 129). სვანურში ლი-ნ-ჰ-ჰ-ი-ს-ა და უ-ნ-ჰ-ჰ-ა-ს გარდა დადასტურებულია ამ ზმნის პირიელი ფორმებიც: ა-ნ-ჰ-ჰ-ი „ხედნის“ ([14], 17), ა-ნ-ჰ-ჰ-ი-და „ხედნიდა“ ([14], 98).

უ. ცინდელიანმა სვანური ლი ნ-ჰ-ჰ-ი („გახედნა“ ქართულ მწყ-ს-ა-სთან (NB!) და მეგრ.-ჰან. ჰყეშ-მ/ჰყიშ- და მჰჰეშ-მ/ჰჰეშ- ძირებთან (NB!) დააკავშირა. მან შესაძლოდ მიიჩნია აქვე ეჩვენებინა ძველი ქართული უ მ წყ ი, მისი აზრით, მ წყ ე მ ს ვ ა ს თ ა ნ კავშირის მქონე, ეტიმოლოგიურად „დაუ-მწყემსავი“. ეს აზრი გამოთქმული იყო კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის XI სამეცნიერო სესიონზე. მოვიყვანთ მოხსენების მე-2 თეზისს: „ზოგიერთი ფუძე; რომელთა შესატყვისობანი სამეცნიერო ლიტერატურაში ქართულ-ზანურ დონეზეა რეკონსტრუირებული, სათანადო სვანური შესატყვისის გამოვლენის შემდეგ, საერთო-ქართველურ დონეზე უნდა აღდგეს“ [15]. ამის შემდეგ მოდის საილუსტრაციო მასალა 5 პუნქტად. სრულად დავიმოწმებთ ჩვენთვის საინტერესო პუნქტს: „*მ წყ ს — *მწყსა“: ქართ. მ წყ ს ი ს; მეგრ. ჰყეშ-მ, ჰყიშ-მ; ჰან. მჰჰეშ-მ, მჰჰეშ-მ; სვან. ლი-ნ-ჰ-ჰ-ი „გახედნა“, „დამორჩილება“ (შდრ. ქართ. უ-მ წყ-ი „გაუხედნავი“, ეტიმოლოგიურად „დაუ-მწყემსავი“)“ [15]. როგორც ავტორის სიტყვებიდან ჩანს, მისი მიზანი იყო ზოგი ქართული და ზანური ფუძეების სვანური შესატყვისი გამოველინა, რათა სათანადო ფორმა აღედგინა საერთო-ქართველურ დონეზე. სხვა მაგალითებთან ერთად, ასეთად, მისი აზრით, ქართული მ წყ ე ს-მ წყ ს-მ, მეგრ. ჰყეშ-მ/ჰყიშ- და ჰან. მჰჰეშ-მ/მჰჰეშ- ფუძეები, რომელთაც მან მოუძებნა სვანური შესატყვისი ლი ნ-ჰ-ჰ-ი-ს („გახედნა“) სახით. ხოლო რადგან სვან. ლი-ნ-ჰ-ჰ-ი-ს მნიშვნელობა განსხვავებული იყო ქართ. მ წყ ე ს- და ზან. ჰყეშ-მ, მჰჰეშ-ფუძეთა მნიშვნელობათაგან, ლი ნ-ჰ-ჰ-ი-ს შესაძარებლად მოიყვანა ძველი ქართული უ-მ წყ-ი „გაუხედნავი“, რომლის ამოსავალ მნიშვნელობად „დაუ-მწყემსავი“ ივარაუდა. ერთი მხრივ, იგულისხმება სემანტიკური გადასვლა „მწყემსავი“ — „ხედნა“, მეორე მხრივ, კი გაუდიფერენცირებელი მ წყ ე ს- და მ წყ- ფუძეები ქართულში. ასევე გაუდიფერენცირებლად სვანური ლი-ნ-ჰ-ჰ-ი დაკავშირებული, ერთი მხრივ, ქართულ მ წყ ე ს-სა და ზანურ ჰყეშ-მ/ჰყიშ-მ/მჰჰეშ- ფუძებთან, მეორე მხრივ კი — ქართულ უ-მ წყ-ი-სთან.

თუ ამგვარ ინტერპრეტაციას შვილებდით, უნდა დაგვეშვა, რომ ქართული მ წყ ე ს- ფუძე მ წყ- ძირის დერევატია, ნაწარმოები -ეს სუფიქსით, რომლის ჩამოშორება იქნებოდა მიზეზი სემანტიკური გადასვლისა „მწყემსავი“ — „ხედნა“, „წვრთნა“. შესაბამისად, იგივე ფუნქცია უნდა დაჰქისრებოდა -ეშ (< *-აშ) სუფიქსს ზანურ დიალექტებში (მაგრამ აქ გარემოებას ართულებს ის ფაქტიც, რომ მეგრულში -ეშ სემანტის გვერდით სხენებულ ფუძეში -იშ მიმდევრობაც ვაჰქვს, რომელიც ქართულთან მიმართებით კანონზომიერი არაა).

სასურველი იქნებოდა, სვანურში -ეს სეგმენტის შემცველი *ჰყეშ ფუძის მიკვლევაც.

გ. მაჭავარიანის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ მეგრ. ჰყეშ ი და ჰან. *მჰყეშ ი მიღებულია *მ-წყ-ე-შ-ი ფორმისაგან თვით ზანურშივე, წ-ს ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით შ-სთან ([16], 53). თუ ეს ასეა, აღნიშნული ზანური *მწყეშ-ფუძის დაკავშირება სვანურ ლ-ინჰყე-ი-სთან შეუძლებელი ვახდება იმის გამო, რომ ზანური ამოსავლად ამ ფუძეში ქართულურ წინასიბილანტურ (*წ) ფონემას გვაგულვებინებს, სვანური კი—შუასიბილანტურ წ-ს. მაგრამ ეს თვალსაზრისი კიდევაც რომ არ ვავიზიროთ, სვანური ნჰყ-ფუძის დაკავშირება ზანურ ჰეშეშ-, მჰეშეშ-და ქართულ მწყეს-, მწყეს-ფუძეებთან მაინც ვაჭირდება. უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ქართულსა და ზანურს სვანურთან შედარებით განსხვავებული მოცულობის ფუძეები აქვთ, ისინი შეიცავენ ეს ბოლოკიდურ სეგმენტს, რომელიც სვანურს არ გააჩნია. თვით ქართულშიაც კი მწყეს-ფუძე ვერ ჩაითვლება მწყ-ძირიდან ნაწარმოებად, რადგან მწყ-ძირის მნიშვნელობიდან („წვრთნა“, „ხედნა“) ვერ გამოიყვანება „მწყემსვა“ მნიშვნელობა და ასევე პირიქით: ვერც „მწყემსვა“-საგან გამოიყვანება „წვრთნა“, „ხედნა“. არც არის „მწყეა“-სა და მწყესს-ს შორის ისეთი სხვაობა, რომელიც მათ მნიშვნელობებს კონტრასტულურ ვარიანტებად წარმოგვიდგენდა. მათი გამოყენება განსხვავებულია. მწყეა ექცევა ერთ სემანტიკურ ჯგუფში ისეთ სიტყვებთან, როგორცაა: წვრთნა, გახედნა, სწავლება, მოთვინიერება, მიჩვევა, ხოლო მწყესსა—სულ სხვა ჯგუფში, ზმნებთან: ჰმევეა, კევება, ძოვება, დაცვა, ყურება, დარაჯობა. ეს ორი რიგი ერთმანეთს არ კვეთს. არა გვაქვს ისეთი გამონათქვამი, სადაც ამ ორი რიგის დაპირისპირების ნეიტრალიზაცია ხდებოდეს. ტაბლოგური თვალსაზრისით საინტერესოა პარალელიზმი ინდოევროპულ და დალესტურ ენებთან. ინდოევროპულ ენებში ერთმანეთთან დაკავშირებულია შემდეგი მნიშვნელობანი: მწყემსვა, ჰმევეა, კევება, დაცვა, დაფარვა (ძვ. სომხ. hoviv „მწყემსი“; ლათ. pascere „მწყემსა“, „კვება“, pabulum „საკვები“, pastor „მწყემსი“; გუთ. fodjan „ჰმევა“, „კვება“; ძვ. სლავ. pasti „მწყემსვა“; ხეთ. pāhs „დაცვა“, „დაფარვა“; ტოქ. A—pās: კუჩან. pāsc „დაცვა“ [17], 787). მეორე მხრივ, ინდოევროპულ ენებში ერთმანეთს უკავშირდება წვრთნა, სწავლება, ვარჯიში, მიჩვევა, დამორჩილება, მოთვინიერება (ძვ. ინდ. śkas „მიჩვევა“, ucitā—„მიჩვეული“; ძვ. სომხ. usanil „სწავლა“, „ვარჯიში“, usucanel „სწავლება“, „წვრთნა“; გუთ. biühs „მიჩვეული“; ლატ. jaukinti „მიჩვევა“, „დამორჩილება“; ძვ. სლავ. učiti „სწავლება“, „წვრთნა“, vyknoti „შეჩვევა“ [17], 347).

საინტერესოა, რომ დალესტნის ენებში „მწყემსვა“ ეტიმოლოგიურად უკავშირდება აგრეთვე „ჰმევეა-კევება“-ს და არა „წვრთნას“ ან „გახედნა“-ს. ზმნებიდან, რომელთაც „ჰამის“ მნიშვნელობა აქვთ, იწარმოება კალზატური ფორმები, რომელთაც აქვთ როგორც „ჰმევის“, ისე „მწყემსვის“ მნიშვნელობა: ხუნძ. ჰეანაზე „ჰამა“ — ჰეანაზე ბიზე „ჰმევა“, „მწყემსვა“, ლავ. ჰეანან „ჰამა“ — ჰეანაქვი ბან „ჰმევა“, „მწყემსვა“, არჩ. ჰუმმუს „ჰამა“ — ჰუმმუსას „ჰმევა“, „მწყემსვა“, ხვარშ. ჰუქა „ჰამა“ — ჰუქახა „ჰმევა“,



„მწყემსა“. ამასთანავე, ამ ფორმებისათვის ამოსავალი „ქმევის“, „კვემის“ მნიშვნელობა ([18], 133).

ვფიქრობთ, ყოველივე რაც ითქვა, საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ „მწყემსვისა“ და „ხედნა-წვრთნის“ სემანტიკური კავშირი ნაკლებ მოსალოდნელია ისტორიულად ქართველურ დიალექტებში. ამას ემატება ისიც, რომ დამაჯერებლად არ ხერხდება არც ქართულ მწყეც-ს- და ზანურ მჰყეშ-, მჰყეშ- ფუძეებში -ეშ ელემენტის გამოყოფა. ზანური ძირის გახმოვანება (ე ნაცვლად მოსალოდნელი ა-სი) გვაფიქრებინებს, რომ ჰან. დო-მჰყეშ-უ „უღარაჯა“ და მეგრ. დო-ჰყეშ-უ ნასახელარი ზმნებია, ნაწარმოები სახელისაგან მჰყეშ-ი/ჰყეშ-ი „მწყემსი“ ([19], 413), რადგან ე ხმოვანი ა-საგან მომდინარეობს (*მჰყეშ-ი), ხოლო ა-ე გადაბგერება მხოლოდ ი-ს ასიმილაციური გავლენით უნდა იყოს მომხდარი; ეს ი კი მხოლოდ სახელობითი ბრუნვის ნიშანი შეიძლება ყოფილიყო. ამრიგად, პირველადს ზმნურ ფუძეში ე ხმოვნის არსებობა გამოირიცხულია. თუ ზანური ზმნები ნასახელარია, მათი ფუძე ვერ დაუკავშირდება პირველად ზმნურ ნჰყ- ძირს სვანურისას, მით უფრო, სემანტიკური სხვადასხვაობისა და მათი ერთმანეთზე დაუყვანლობის პირობებში.

ყოველივე ეს იმის მანიშნებელია, რომ სვანური ლი-ნჰყ-ი „ხედნა“, ერთი მხრივ, ხოლო მეგრ. ჰყეშ-უ-ა, ჰან. დო-მჰყეშ-უ და ქართული მწყეც-ს-ა, მეორე მხრივ, ისტორიულად სხვადასხვა წარმომავლობის ზმნებია. ასევე არ შეიძლება ქართულ მწყეც-ს-სთან და ზემოხსენებულ შესატყვის ზანურ ზმნებთან ქართული უმწყეც ფორმის დაკავშირება. ეს უკანასკნელი მომდინარეობს ზმნისაგან დამწყეც-ს („გახედნა“, „წვრთნა“), რომელთანაც ეტიმოლოგიურად დაკავშირებული ჩანს სამწყეც-ული „კურატი“, „კურო“, „დეკელი“ (ამოსავალი მნიშვნელობა — „გასაწვრთნელი“). ამავე ქართულ მწყეც-ს-ს (და არა მწყეც-ს!) ძირთან უეჭველ კავშირშია სვანური ლი-ნჰყ-ი („ხედნა“) და უ-ნჰყ-ა („გახედნავი“). ქართული მწყეც-ს-ს შესატყვისი, სვანური ნჰყ-ს გარდა, ვლინდება ჰანურშიც მჰყ-ს სახით, რაც ჩვენს დებულებას კიდევ უფრო ამტკიცებს. ეს ძირი გვაქვს ზმნაში დო-მჰყეშ-უ „გაწვრთნა“, „მოთვი-ნიერება“ (ბო-მჰყეშ-ა „მწყვრთნი“, ბო-მჰყეშ-ი „გაწვრთვნი“, ჰყეშ-ი „გაწვრთნილი“, მაგ. ჰყეშ-ი სიძთერი „გაწვრთნილი ქორი“ [20], 225). მნიშვნელობის მხრივაც და ფონემური გამოხატულების თვალსაზრისითაც ჰანური მჰყ-ს (←*მჰყ-ს) ზუსტი შესატყვისია ქართული მწყეც-ს-ს და სვანური ნჰყ-ს (←*მჰყ-ს) ძირებისა. ამასთანავე, მ აქ პრეფიქსული ელემენტი არაა, იგი ძირის ორგანული ნაწილი ჩანს და დადასტურებულია სამავე ქართველურ ენაში. ამრიგად, შესატყვისობა — ქართ. მწყეც- (დამწყეც-ს, უ-მწყეც-ს, დამწყეც-ული): ჰან. მჰყ- (დო-მჰყ-უ); სვან. ნჰყ- (ლი-ნჰყ-ი, უ-ნჰყ-ა) აღგვადგენინებს საერთოქართველურ სახეს ამ ძირისას *მწყეც-ს სახით, რომელიც უპირისპირდება ისტორიულად *მწყეც-ს-ს ძირს (შდრ. [15]).

დასასრულ, უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ სვანური ლი-ნჰყ-ი ზმნაში წარმოდგენილი ადრეული სვანური /ჰყ/ ფონემა, რომელიც თანხმოვანთა ჰარმონიული ჰყ-ჰგუფის წევრია, არ განიცდის დეზაფრიკატიზაციას და არ გვევლინება შ-ს სახით, როგორც ეს წესისამებრ ხდება ხოლმე ([21], 13). ვფიქრობთ, შ-ს თავდაპირველი სახით შენარჩუნებას განაპირობებს მისი უშუალოდ წინამავალი ნ სონანტი (მიღებული შ-საგან). სონანტურ თანხმოვნებთან უშუალო მეზობლობაში, როგორც ცნობილია, წინარესვანური შიშინა აფრიკატები სპი-



რანტიზაციას არ განიცდიან ([21], 10), მაგრამ არაფერი იყო ცნობილი მის შესახებ. შემთხვევებზე, სადაც შიშინა აფრიკატი ერთდროულად ჰარმონიული კომპლექსის წევრია (და, მასადაამე, აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს სპირანტიზაციას) და სინანტის უშუალოდ მომდევნოც. როგორც ჩანს, აფრიკატის უცვლელად შენარჩუნება ასეთ შემთხვევებშიც ხდება.

4. ფ ე რ ო

ფ ე რ ო ძველ ქართულში ერთ-ერთი ფერის აღმნიშვნელი ტერმინია. იგი გვხვდება ძველი ალექსის შემცველ შემდგომ ხელნაწერებში: A—179, H—1207, A—51. თუმცა ეს ხელნაწერები XVII—XVIII საუკუნეებისაა. ისინი საკმაოდ არქაულნი ჩანან ტექსტის ისტორიის თვალსაზრისით. ფ ე რ ო დასტურდება შესაქმის წიგნში რამდენსამე ადგილას. მაგალითები:

„... განყავ მუნით ყოველი ცხოვარი ფ ე რ ო ა კრავთა შორის და ყოველი მოთეთრე და სხურებული თხათა შორის...“ (შეს. 30,32, A—179).

ოშკური, A—51, K—28 და H—1207 ხელნაწერების ტექსტი ზემოთ მოყვანილისაგან რედაქციულად განსხვავდება:

„... გამოარჩიე მიერ ყოველი ცხოვარი თ ე თ რ ი ტარიგთაგან და ყოველი სპეტაკი და ჰრელი (თეთრი O) თხათაგან...“

როგორც ვხედავთ, პირველი ტექსტის ფ ე რ ო-ს მეორეში ენაცვლება თ ე თ რ ი. აქვე ჰ რ ე ლ ი-ს მაგიერ ოშკური ნუსხა კვლავ თ ე თ რ ს გვიჩვენებს. ბერძნული ფ ე რ ო-ს შესატყვისად გვაწვდის ფ ა : ო ო ო ო („ნაცრისფერი“, „მოშავი“, „მუქი“). სომხურში სათანადო ადგილას ორი სიტყვაა: *խ ա - ლ ა ხ ა ს ა რ ი* („ჰრელი“, „ფერადლაქებიანი“) და *გ ი რ ე* (ნაცრისფერი“, „მუქი“). მეორე არის შესატყვისი ქართული ფ ე რ ო-სი.

იმავე თავის 33-ე მუხლში ხელნაწერთა ხსენებულ ორ ჯგუფს შორის კვლავ გვაქვს იმავე ტიპის შესაბამისობა:

A—179 „... ყოველი, რომელიცა არა იყოს სხურებულ და მოთეთრე თხათა შორის და ფ ე რ ო კრავთა შორის, მოპარულ იყოს ჩემგან“.

H—1207, K—28: „... ყოველი, რომელი იყოს თ ე თ რ კრავთა შორის და სპეტაკ და ჰრელ თხათა შორის, წოდებულ იყავნ ჩემდა“.

საინტერესოა, რომ A—51 ხელნაწერი გვაწვდის ფ ე რ ო-ს მეორე ჯგუფის ხელნაწერთა ტექსტის თ ე თ რ-ის მაგივრადაც და ჰ რ ე ლ-ის მაგივრადაც.

ბერძნ.. ფ ა : ო ო „ნაცრისფერი“, „მუქი“; სომხ. *გ ი რ ე ა ხ ა ს ა* („ნაცრისფერ-ამლავი“).

ანალოგიური დაპირისპირება გვაქვს მესამე ადგილასაც:

შეს. 30, 35 A—179, A—51: ფ ე რ ო—H—1207, K—28: თ ე თ რ ი.

ბერძნული ერთგულია თავისი იკითხვისა ფ ა : ო ო.

რომელ გაგებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა: ფ ე რ ო-ს ნაცრისფერობას, თუ მის სითეთრეს, რომელსაც ხელნაწერთა ერთ-ერთი ჯგუფი გვიჩვენებს? ცხადია, ორ სხვადასხვა რედაქციაში დადასტურებული სხვადასხვა სიტყვა ყოველთვის ვერ ჩაითვლება ერთმანეთის სინონიმებულ. ამიტომ რედაქციული სხვაობა ზოგჯერ ანტონიმურ დაპირისპირებასაც კი გვიჩვენებს. ჩვენთვის საინტერესო მაგალითებში გამოვლენილი წყვილი ფ ე რ ო — თ ე თ რ ი შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ ფ ე რ ო-სა და თ ე თ რ-ს შორის არის რაღაც სიახლოვე, ს. ს. ორბელიანის განმარტებიდან ჩანს, რომ იგი არის „თეთრ-



სა და შავს საშუალი“ [1]. ამგვარსავე გაგებას უახლოვდება ბერძნული „ნაც-რისფერი“, „მუქი“ და მაგალითთა ერთ ნაწილში სომხურიც („ნაცრისფერი“, „მუქი“, „ნაცრისფერ-ამლაცი“).

სხვა ქართველურ ენათაგან ფ ე რ ო გვაქვს ჰანურში და ნიშნავს უ ფ ე-რ ო ს, გ ა ხ უ ნ ე ბ უ ლ ს. ჰანურში დაცული მნიშვნელობა მეტად საინტერესოა იმ მხრივ, რომ იგი წარმოგვიდგენს თეთრსა და შავს შორის არსებული გრადაციის ერთ-ერთ საფეხურს, ისევე როგორც ნაცრისფერი. ფორმის მხრივ ჰანური ფ ე რ ო ქართული ფ ე რ ო-ს შესატყვისი, ცხადია, არაა, აქ ადგილი უნდა ჰქონდეს სესხებას ქართულიდან ჰანურში. ქართული ფ ე რ ო-ს შესატყვისი სევანურშიც იპოვება. ესაა ფ ვ რ უ ლ „ნაცრისფერი“ («*ფ ე რ უ ლ — *ფ ე რ ო). ამოსავალი ფორმა სევანურისთვისაც *ფ ე რ ო არის, რომელიც თანაბრად შეიძლება ჩაითვალოს როგორც საერთო ფონდიდან მომდინარედ, ისე — ნასესხობადაც.

ამგვარი შემთხვევები, როცა ქართველურ ენებში საერთოქართველურიდან მომდინარე მასალა ძნელი გასამიჯნავია ურთიერთნასესხებისაგან, საკმაო რაოდენობით დასტურდება (შდრ. ქართ. ფ უ რ ი — სევან. ფ უ რ — *ფ უ რ ი; ქართ. ა ყ ი რ ო — სევან. ა ყ ვ რ უ ლ — ა ყ ი რ უ ლ — ა ყ ი რ ო და სხვა).

ციტირებული ლიტერატურა

1. ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928.
2. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი, 1948-49.
3. ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.
4. იაკობ ც უ რ ტ ა ვ ე ლ ი, მატკლობა მუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ, ტფილისი, 1938.
5. ნ ი კ ო ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. დლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, ტ. I, თბილისი, 1971; ტ. II, თბილისი, 1973.
6. Яков Цуртавели, Мученичество Шушаник, перевод В. Д. Дондуа, введение и примечания З. Алексидзе, Тбилиси, 1978.
7. Библия или книга священного ветхого и нового завета в русском переводе, СПб., 1908.
8. მ ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი, 1966.
9. შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გ ი ვ ი ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა და ელ. გ ი თ ნ ა შ ვ ი ლ მ ა, თბილისი, 1979.
10. Բաղასան 'ի ნայკასან լեզուէ 'ի իւսայ բարբառ. Աշխատասիրութեամբ Ա. Տ. Ն. Խ. գ ա ղ ս ა ն ე, 'ի մისիմ. 1838.
11. Հ. ր. Ա ն ա ղ յ ა ն, Հայերեն արմատական բաղასան, Երևան, 1973
12. H. H ü b s c h m a n n, Armenische Grammatik, I Theil, Armenische Etymologie, II und III Abt., Leipzig, 1897.
13. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965.
14. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, შრომები, I, თბილისი, 1967.
15. უ. ც ი ნ დ ე ლ ი ა ნ ი, ზოგი საერთოქართველური ფუძის ეტიმოლოგიისათვის, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის კ. ეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის XI სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და თეზისები, 1969, გვ. 9
16. გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965
17. J. Pokorny, Indogermanisches etymologisches Wörterbuch, I. Band, Bern und München, 1959.



18. С. М. Хайдаков, Сравнительно-сопоставительный словарь дагестанских языков, Москва, 1973.
19. არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938.
20. Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, СПб., 1910.
21. თ. გამყრელიძე, ლეზგიკატიზაცია სვანურში, „გადაწერის წესები“ ლექსონიულ ფონოლოგიაში, თბილისი, 1968.

ბ. კ. გიგინეიშვილი

МАТЕРИАЛЫ ДЛЯ ЭТИМОЛОГИЧЕСКОГО СЛОВАРЯ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Резюме

В работе проанализированы четыре лексические единицы древнегрузинского литературного языка: *ḡubasṭi* «хранилище», «талisman», *zoravi* «иссоп», *mçqa* «приучать», «обезжать», *rego* «темносерый», уточнены их значения привлечением разных контекстов из древнегрузинских памятников, а также сличением с греческим, армянским и русским переводами тех же произведений.

Два из названных слов (*ḡubasṭi* и *zoravi*) являются заимствованиями, два остальных же—наследием общекартвельского лексического фонда. Происхождение слова *ḡubasṭi* точно не установлено, *zoravi* же, должно быть, заимствовано из армянского литературным путем. Для древнегрузинского слова *mçqa* «приучать», «обезжать» и его дериватов (*u-mçq'i* «необезженный», «неукротимый», *sa-mçq-ul-i* «телец» «телка» (этим. «надлежащий приучению») выявлены закономерные корреспонденты из других картвельских языков: чанское *o-mçk-u* «приучать» и сванское *li-pçq-i* «обезжать», «приучать» (последнее из которых ранее сопоставлялось с грузинским *mçqsa* «пасти», занским *çqes-/çqis/mçes-* и одновременно с грузинским же *u-mçq-i* «неприученный»). Выявлено также сванское соответствие грузинскому *rego* «темносерый». Таким является сван. *paḡw*.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის
ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ

კორნელი ღანელია

 უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული
 წერილობითი ძეგლების ენაში

 4. ბერძნულ ადგილობით ზმნისწინთა გადმოცემისათვის
 ძველ ქართულში

ქართული ენა მდიდარია ზმნისწინებით, განსაკუთრებით ძველი ქართული; სადაც მიმართულებითი (აღ, შე, მი, მო, გან, წარ...) ზმნისწინების გვერდით გამოიყენება ზმნიზედური წარმოშობის ადგილობითი ზმნისწინებიც (თანა, გარე, ზე/ზედა, ქუე, წინა...)¹, რომლებიც ახალ ქართულში არ ფუნქციონებენ. საკითხავია, იყო თუ არა ადგილობითი ზმნისწინები ძველი ქართულისათვის ორგანული და, თუ იყო, რატომ დაიკარგა ისინი ახალ ქართულში? თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველ ქართულში ზმნისწინებს არსებითად მოძრაობის, მოქმედების მიმართულების აღნიშვნა შეეძლოთ და არა სრული ასპექტისა, უნდა გვეფიქრა, რომ მოსალოდნელი იყო, ენას შემდეგშიც შეერჩენოდა მიმართულებითი ზმნისწინების გვერდით ადგილობითებიც, რადგან ეს უკანასკნელნიც ზმნით გამოხატულ მოქმედებას სივრცეში განსაზღვრულობის შინაარსს სძენენ და დღესაც ხომ ზმნისწინებს ხელი არ აუღიათ თავიანთ პირველად ფუნქციასზე. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ამ ფაქტის ასახსნელად გასათვალისწინებელია როგორც ენის განვითარების შინაგანი კანონები (მაგ., ახალმა ქართულმა რომ პირველადი უკუ/უკმო, წიაღ/წიაღმო ზმნისწინები დაიკარგა, ამის პირდაპირი მიზეზი უცნობია), ასევე განსაზღვრული ისტორიული გარემო, კერძოდ: ძველი ქართული წერილობითი ძეგლების უდიდესი ნაწილი ბერძნული წყაროდან არის გადმოღებული. ძველსა და საშუალო ბერძნულს კი აქვს ზმნისწინების მძლავრი სისტემა; მოქმედების მიმართულებისა და ადგილის ზუსტად გამოსახატავად წინადადებაში თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს ზმნიზედური წარმოშობის თანდებულები (წინდებულები) და ზმნისწინები, ხშირად კი ერთდროულად გამოიყენება ორივე საშუალება (ზმნიზედა და ზმნისწინი, ან: წინდებულები და ზმნისწინი). ბიბლიურ წიგნთა ქართული რედაქციების ტექსტზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ბერძნული წყაროს გავლენა ამ სფეროში უეჭველია.

თუ როგორ გადმოდიოდა საერთოდ ძველ ქართულში ბერძნული ზმნისწინები, ეს რთული საკითხია და მონოგრაფიულად შესწავლის ღირსი. მას ორმხრივი ინტერესი ახლავს: ლინგვისტური და ფილოლოგიური.

¹ ეს ერთეულები ჩვეულებრივ არ გამოიყოფა ზმნისწინებად სპეციალურ ლიტერატურაში: ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი, 1948/49; მ. კაბაშვილი, ლექსიკონი, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946; ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973; მაგრამ თანამედვერულად გამოყოფილი ი. ვეშაპიძის მონოგრაფიაში „ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში“, თბილისი, 1967, გვ. 263—304.



ა) ლინგვისტური თვალსაზრისით: დასადგენია, ბერძნულ-რომელ ენობრივ ერთეულს რა ეფარდება ქართულში; რატომაა, რომ ბერძნულის ერთი ზმნისწინი ქართულში რამდენიმე ერთეულით გადმოდის, ან ბერძნულის რამდენიმე ზმნისწინს ქართულში ერთი და იგივე ოდენობა გამოხატავს; გრამატიკული შინაარსის გამოხატვისას როლის მიიღწევა მიახლოებითი თუ ზუსტი ეკვივალენტი უნდა იქონიებოდეს; ზმნისწინთა გადმოღებვისას რა არის დაძლეული (საჭიროებისამებრ გადმოღებული) და რა არის დაუძლეველი (ქართული ტექსტისთვის საჭირო, მაგრამ გადმოუღებელი, ან ქართულისთვის ზედმეტი, მაგრამ გადმოღებული).

ბ) ფილოლოგიური თვალსაზრისით: უცნობი წარმომავლობის ქართული თარგმნითი ტექსტის გენეზისის ან თვით ერთი თარგმნითი ტექსტის რედაქციულ სხვაობათა რაობის შესასწავლად გარკვეული მნიშვნელობა ეძლევა იმის დადგენას, თუ პირველწყაროდ სავარაუდებელი უცხოენოვანი ტექსტების (ბერძნულის, ებრაულის, სირიულის, სომხურის) რა ენობრივი ერთეულის (ზმნიზედის, წინდებულის თუ ზმნისწინის) გადმომცემად არის მისაჩნევი ქართული ზმნისწინი. საქმეს ის ართულებს, რომ ზმნისწინთა სისტემის უბანში ტიპოლოგიურად რამდენადმე მსგავსი არიან ბერძნული და ქართული. რამდენადმე, ვამბობთ, რადგან ეს მსგავსება ვლინდება გეზის გამოხატვაში და არა ორიენტაციისა: ბერძნულს არა აქვს ე. წ. სააქეთო და საიქეთო ზმნისწინთა ქვესისტემები, მაგრამ ძლიერად აქვს განვითარებული ადგილობრივი ზმნისწინების სისტემა. ეს უკანასკნელი კი ქართულისთვის არაორგანულია, უჩვეულია: ძველ ქართულში სუსტად მოქმედებს, საშუალოში—ინერციით აქა-იქ ვლინდება, ახალში—სულ აღკვეთილია. ასევე ერთგვარ ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენენ უზმნისწინობით სირიული, ებრაული და სომხური. ასე რომ, ქართულსა და ბერძნულს ზმნით გამოხატული მოქმედების დახასიათება მიმართულებისა თუ ადგილმდებარეობის მიხედვით სამი საშუალებით შეუძლიათ: ზმნიზედით, თანდებულოთ (ბერძნულში წინდებულია, ქართულში—უკუდებული) და ზმნისწინით, ხოლო სომხურსა, სირიულსა და ებრაულს კი—მხოლოდ ზმნიზედითა და წინდებულოთ, რომელსაც შეიძლება დამატოს შეზღუდულად მოქმედი ლექსიკური საშუალება: ზმნურ ფუძეთა გარკვეული ნაწილი გამოხატავს მოქმედებას იქეთა მიმართულებით, ნაწილი კი — აქეთა მიმართულებით. მაგალითად, სომხურში იქეთა მიმართულების შინაარსისაა ფუძეები: *հնալ, չիզալ, կբխալ* (სამივე ფუძე წასვლას აღნიშნავს, ოღონდ სხვადასხვა მწკრივში გამოიყენება), *ասնել* (წაღება, წაყვანა), *հանել* (გაგდება, წართმევა, წაყვანა), ხოლო აქეთა მიმართულების შინაარსისაა ფუძეები: *գալ, կկալ* (ორივე ფუძე მოსვლას აღნიშნავს, ოღონდ სხვადასხვა მწკრივში გამოიყენება, თუმცა ეტიმოლოგიურად ერთი ძირისადა მიიჩნევა: აწმყოს *գալ* ფუძის *գ*-ს ხედავენ წყვეტლის *կկալ* ფუძის *կ*-ში: *գ—կ. +ს* აუგმენტი.) *քնքել, աბել* (მოტანა, მოყვანა). ასევე სირიულშიც 'ezal იქითა მიმართულების წასვლას გამოხატავს, 'ta კი აქეთა მიმართულების მოსვლას.

ცნობილია, რომ კარგ თარგმანშიც კი შეიძლება გამოკრთოდეს ორიგინალის ენის გავლენა. და ეს თანდებულთა და ზმნისწინთა გადმოცემის დროსაც ცნაურდება. მაგ., ძველ ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „თანა-დავეფლენით მას ნათლის-ღებითა მით სიკუდი-



ლსა მისსა“ (პრომ. 6,4.). აქ ლაპარაკია ნათლისღების სიმბოლურ მნიშვნელობაზე: მონათვლით (ე. ი. ემბაზში ჩაძირვით) ჩვენ დამარბულ ვიქენით მასთან (ე. ი. ქრისტესთან) ერთად სიყვდილად. ქართული თარგმანის სავარაუდო პირველწყაროებშია: *სυετλφημεν εν αυτη δε τα παρσηματα εις τον θνατον; ქარღყვარ დნჟ ზმჩ მქროთქსამჩნ...* *ʒetkɛbaren ʼameh*. ჩანს თუ არა ქართულ თარგმანში რომელიმე ზემოდასახელებული წყაროს ენობრივი გავლენა? ჩანს. ქართული თარგმანის ბერძნულ წყაროზე დამოკიდებულებას ამჟღავნებს არა მარტო ის, რომ *სუე* ზმნისწინი თანა ზმნისწინითვეა გადმოღებული, არამედ ზმნურ სინტაგმაში შემაჯავლი სახელის ბრუნვის ფორმაც: *აუტრ* „მას“ (ორივე მიცემითში დგას).¹ სომხურსა და სირიულ წყაროებში სულ სხვაგვარი ვითარებაა: ბერძნული *სუე* ზ მ ნ ი ს წ ი ნ ი ს ფარდად ნახმარია თანაობის თანდებული (*დნჟ ზმჩ*, *ʼameh-* „მას თან“). ქართული თარგმანი სირიულ ან სომხურ წყაროზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, წინადადება ასეთ სახეს მიიღებდა: „დავეფლენით მის თანა ნათლისღებითა მით...“ ასეთი წყობა უფრო ბუნებრივი ქართული იქნებოდა, ვიდრე: თანადავეფლენით მის. მაგრამ ამ უკანასკნელ წყობას ქართულ მთარგმნელს ბერძნული წყარო კარნახობს და უნებურად ლალატობს ის ქართულის ბუნებას. ოღონდ ყოველთვის ასე როდი ხდება: ბერძნულის ადგილობითი *სუე* ზ მ ნ ი ს წ ი ნ ი გადმოღებულია თანა თანდებულით, რაც ესადაგება ქართულის ბუნებას. მაგ., ბერძნულშია: *εμπερ συαπαχουμεν εν α! συνηαθημεν* (პრომ. 8,17). ბერძნული ორივე ზმნა ს („თანა“) ზ მ ნ ი ს წ ი ნ ი ა ნ ი ა (I ზმნის *სუე* ასიმულაციითაა მიღებული, ბავისმიერი *π-*ს გავლენით *ν→μ*). მაგრამ ქართულ თარგმანში თანდებული ან ი კონსტრუქციითაა გადმოცემული: „უჟუეთუ მის თანა ვივნოთ, მის თანა ცა ვიდიდნეთ“. კალკი იქნებოდა: უჟუეთუ თანა-ე-ვი-ვ-ნ-ო-თ [მისა], თანა-ე-ვი-დი-დ-ნ-ე-თ-ც-ა.

როგორც აღვნიშნეთ, ბერძნულის მსგავსად ქართულიც ზმნით გადმოცემული მოქმედების მიმართულებასა და ადგილის გამოსახატავად თანაბრად, მაგრამ შერჩევით იყენებს როგორც ზმნისწინებს, ასევე თანდებულებსაც და ზმნიზედებსაც. ამიტომ საკითხავია: რადგან სამივე საშუალება ორივე ენის სისტემაში ორგანულია, შეიძლება კი ვილაპარაკოთ, რომ ქართულ თარგმანში შეიმჩნევა ბერძნული წყაროს გავლენა ზმნისწინების ხმარებისას? შეიძლება. ზმნისწინებს ხომ საერთო შინაარსიც აქვთ (ზოგადად უჩვენებენ მიმართულებას) და ცალ-ცალკე—კონკრეტულიც (უჩვენებენ მიმართულების კონკრეტულ სახეობას (წინ, უკან, გვერდზე, ზევით...); თანაც ენის სისტემაში მკაცრად განსაზღვრულია, რომელი ზმნისწინი რომელ ზმნურ ფუძეებთან გამოიყენება, ან რომელი ზმნური ფუძეები რომელ ზმნისწინებს იგუებენ. თუ ძველ ქართულ თარგმანში რომელიმე ზმნისწინი ნახმარი იქნება ქართულის სტრუქტურული სისტემისათვის შეუფერებლად, რაც დაჩინდება ასეთად ხმარებული ზმნისწინის ზედმეტობასა და მით ფრაზის გაბუნდოვნებაში, მაშინ საგულგებელია ბერძნული წყაროს გავლენა. მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს.

1. დევნილ პირველქრისტიანთა რწმენის გაუტეხლობას პავლე მოციქული ქრისტესადმი სიყვარულით და ქრისტესმიერი ძალით ხსნის და ამბობს: „ამას ყოველსა ზედ-ავსძლოთ (ზედა-ვსძლევთ *СД*) ჩუენ მის მიერ, რომელმან ცა-იგი შემოიყარა ჩუენ“ (პრომ. 8,37). ე. ი. ყოველივე ამას (ჭირსა და უბედურებას) ჩვენ გადავიტანთ, დავძლევთ ქრისტეს წყალობით, რომელმაც შეგვიყვა-



რა ჩვენო. ქართულ თარგმანში შეუფერებლად, ზედმეტად არის ნახმარებული ზმნისწინი, უმისოდ ძლევა ზმნა უფრო გასაგებს ხდის წინადადების აზრს. მაგრამ თუ გვაქვს ზედა, მხოლოდ იმიტომ, რომ ბერძნული ნაჲ ზმნისწინი არ დარჩეს ვადმოუღებელი: *ნაჲვიადჲს* „ზედა-ესძლოთ“. ამ შემთხვევაში ბერძნული ზმნისწინის ვადმოღება ქართულმა ვერ მოიხდინა, მაგრამ რუსულმა მოირგო (*преодолевам*).

2. პავლე მოციქული ვერ ხედავს იუდეველთა უპირატესობას წარმართებთან შედარებით და კითხულობს: „აწ უკუე რად? წინა-მ-ე-ვ-ჰ-მ-ა-ტ-თ-ა? არა სამე...“ (პრომ. 3,9). აქ უპირატესობის შინაარსით ნახმარია უჩვეულო ფორმა: წინა-მ-ე-ვ-ჰ-მ-ა-ტ-თ-ა (მე და კითხვითი ნაწილაკებია), რომელიც კალკია ბერძნული *παραχρησθη* ზმნისა (*παρα*—წინა). ბუნებრივი ქართულით უნდა გვქონოდა: უმეტეს ვართ, ან: წარვემატებთ/წარმატებულ ვართ. შდრ. „რად-მე უკუე უმეტეს არს ჰურიაჲს მის?“ (პრომ. 3, 1.); წარემატებთ სარწმუნოებითა (II კორ. 8,7); „წარვემატებოდე ჰურიაობასა შინა უფროჲს მრავალთა“ (გალ. 1, 14).

3. პავლე ამბობს, რომ ეპაფროდიტე ქრისტეს საქმისათვის ძლივს გადაურჩა სიკვდილს: „საქმისათჳს ქრისტესისა სიკუდილმდე მიიწია წინადაპყრობად სულითა...“ (ფილიპ. 2, 30). *ნაჲ ჰმჲვიან ვრისთჳს ἰσχυροῦσθαι*: *παραχρησθη* ზმნისა (*παρα*—წინა). ბუნებრივი ქართულით უნდა გვქონოდა: უცხოვნოვან წყაროებში ლაპარაკია რისკიან ცდაზე, თავგანწირვაზე, რისი ამოკითხვა ქართულ ფრაზაში შეუძლებელია (შდრ. *παραχρησθη* რომელიც განიმარტება, როგორც *рисковать, подвергаться опасности*. სომხ. *գոհ գործել*, რომელიც განიმარტება, როგორც: *стараться, придумывать, примышлять, употребить все средства, домогаться*).

წინა-დაპყრობა იშვიათი ხმარების სიტყვაა; ის ნახმარია პროკლე კონსტანტინეპოლელის „ღმრთის-შობლისათჳს“ საკითხავში: „დაამის მიერ ცოდვასა მას ყოველთა გელითა გელი დაგუწერა და მონა ვეპყრნით ჩუენ ეშმაკსა. გელით-წერილი იგი წინა-და-გ-ვ-ჰ-მ-ა-ტ-თ-ა ჩუენ, რამეთუ ქარტისა წილ იმსახურებდა მრავალ-ვენებულთა ამთ ჳორცთაგან“ (სინ. მრ. 42, 18³). სამწუხაროდ, ი. იმნაივილის განმარტების გარეშე მოპყავს ეს სიტყვა⁴. აქ ნათქვამია: ადამის მიერ ჩადენილი ცოდვა ყველას ჩაგვეწერა დანაშაულად და ეშმაკს დავემონეთ. ეშმაკს ნაწერი („წელით-წერილი“) [ადამის ცოდვის მუწყებელი] ჩვენ წინ ეჭირახოლმე და იმსახურებდა (იმონებდა) ჳორცთაგან ვატანჯულებს. ე. ი. წინა-და-პ-ყ-რო-ბ-ა არ უნდა ნიშნავდეს: წინ დაქვრას, წინ დაკავებას. მაგრამ ამ სიტყვის მნიშვნელობა უფრო ნათელია გელათური ბიბლიის ტექსტში: „წინა-და-ი-პ-ყ-რ-ნ-ა ვალადმან განსავალნი იორდანისანი“ (მსაჯ. 12, 5). აქ „წინა-და-ი-პ-ყ-რ-ნ-ა“ ზედმეტი სიზუსტით ვადმოსცემს ბერძნულ *παραχρησθη*-ს. *παρα*-ს ვადმომცემი წინა ზედმეტია (რუსულ თარგმანს მორგებული აქვს: *перехватили*). მაგრამ არც ერთი ზემოაღნიშნულა მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს წინა-

² И. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, II, М., 1958. А. Худобашев, Армяно-русский словарь, I, М., 1838.

³ სინური მრავალთაჲ 264 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1959.

⁴ ი. იმნაივილი, სინური მრავალთაჲ (ვაშლიკლევა და ლექსიკონი), თბილისი, 1975, გვ. 264.



და პყრობას პავლეს ეპისტოლეში (ფილიპ. 2, 30). აქ ის ნონსენსი უხდა იყოს. სპეციფიკური შინაარსის *παρὰ φύσιν* არასწორადაა გააზრებული: *παρὰ* ზმნისწინი, რომელიც არსებითად თანაობას გამოხატავს, გადმოღებულია წინათი, ხოლო ძირეული ნაწილი გაგებულია, როგორც *πίστις* „დაქერა, შეპყრობა“.

4. პირველადი, მიმართულებითი ზმნისწინიც შეიძლება უმართებულად იყოს ნახმარი ბერძნული წყაროს გავლენით: „პირი ჩემი აღღებულ არს თქვენდა“, (II კორ. 6, 11). *ἐξ ἑαυτοῦ* *ἀνεγέρθη* *πρὸς* *ὑμᾶς*. მოსალოდნელი იყო: განღებულ არს. მაგრამ ბერძნულ *ἀνα*-ს ზედმეტი სისუსტით გადმოსცემს საზღვაო გეზის აღ ზმნისწინი.

ძველი ქართულის ზმნისწინებსა თუ ზმნისწინის მონაწილეობით შექმნილ რთულ ზმნურ ფუძეებზე არსებობს სპეციალური ლიტერატურა⁵, რომლებშიც გარკვეულია ზმნისწინთა შედგენილობა, გენეზისი (მათი ზმნიზედური წარმოშობა) და ფუნქციები. ჩვენ შევეხებით მხოლოდ ე. წ. აღღებობით ზმნისწინებს და მათი მონაწილეობით შექმნილ ზოგიერთ ზმნურ ფორმას, რომ დადგინოთ ძველ ქართულში ასეთი ზმნისწინების არსებობისა და ახალ ქართულში მათი გადავარდნის მიზეზი, გამოვავლინოთ და გავმიჯნოთ ხელოვნური ფორმები ბუნებრივისაგან.

აღგილობით ზმნისწინებად ძველ ქართულში გამოყენებულია: თანა (ყველაზე ჭარბად), წინა (წინაწარ, წინააღწარ), ზე (ზედა), ქუე, გარე (გარეშე), შინა (იშვიათად). ესენი აშკარად ზმნიზედური წარმოშობისა არიან და დამოუკიდებლად იხმარებიან ზმნიზედისა თუ თანდებულის მნიშვნელობით. რადგან ზმნიზედის აღგილი წინადადებაში მტკიცედ განსაზღვრული არ არის (ის ზმნის წინაც შეიძლება იღვეს და შემდეგაც), ზოგჯერ ძნელი გასარჩევია, ზმნიზედაა გამოყენებული თუ ზმნისწინი. თუ თარგმანთან გვაქვს საქმე, საეარაუდო უცხოენოვანი პირველწყაროების გათვალისწინება რამდენადმე ეხმარება კაცს, ერთმანეთისაგან გაირჩეს ზმნიზედა (ცალკე დაწერილობით) და ზმნისწინი (ზმნასთან დეფისით შეერთებით)⁶.

აღგილობითი ზმნისწინების ხმარებას, მათს სპეციფიკას ვრცლად და საფუძვლიანად განიხილავს ირ. ვეშაბიძე თავის მონოგრაფიაში და პევერი კერძობობითი საეთხის საყურადღებო ახსნასაც იძლევა. მაგრამ ქართული თარგმანის უცხოენოვანი წყაროების (უპირველესად ბერძნულის) ჩვენება, რასაც ავტორი არ მიმართავს, შესაძლებლობას იძლევა აღგილობითი ზმნისწინების ხმარების ფაქტს ზოგჯერ სხვაგვარი ინტერპრეტაცია მიეცეს.

⁵ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1973, გვ. 239—261. ა. ჩიქობავა, წარ პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში: ენიკის მოამბე, I, 1937, გვ. 40—45; ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იკე, V, 1953, გვ. 72—94. მისივე, წინდებულისა და თანდებულის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში: იკე, VIII, 1956, გვ. 39—46; ჭ. თეგუზაძე, რთული ზმნები ძველ ქართულში: პუშკინის სახ. თბ. პედინსტიტუტის შრ., ტ. 13, 1959, გვ. 398—408; ირ. ვეშაბიძე, ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში, თბილისი, 1967.

⁶ ამ მხრივ მეტად ჭრელი სურათია ძველი ქართული ტექსტებისა და სიმფონია-ლექსიკონების გამოცემებში. აღგილობითი ზმნისწინების ზმნასთან დეფისით შეერთებით დაწერილობა თანმიმდევრულად გატარებულია მხოლოდ ირ. ვეშაბიძის შემოღ�საზღვრულ შრომაში. ჩვენც ასეთ დაწერილობას ვიცავთ.



ირ. ვეშაბიძეს სწორად აქვს შენიშნული ის სხვაობანი, რომლებიც ბოზს მიმართულებითი და ადგილობითი ზმნისწინების გამოყენების სფეროში, კერძოდ:

1. ქართულ ზმნას ერთდროულად არ შეიძლება მოუდიოდეს მიმართულ ბიზს აღმნიშვნელი ორი სხვადასხვა ზმნისწინი (მო-დართული ზმნისწინებიც ერთიან ზმნისწინებად ვაიგება), მაგრამ ადგილობითი კი შეიძლება დაერთოს უზმნისწინო ზმნასაც (გარე-იქცა, ას. ცხ. 52,34C) და ზმნისწინიანსაც (ზედ-ამომიქდეს, იობ. 23,6). რიგი მტკიცეა: ჯერ ადგილობითი, შემდეგ — მიმართულებითი⁷. ამ სწორად დანახულ ფაქტზე შეიძლება კიდევ დამატებით ითქვას: მიმართულებითი ზმნისწინი იმიტომ არის ზმნურ ფუძესთან უახლოესი და უშუალოდ მიერთებული, რომ ის პირველადია, ხოლო ადგილობითი ზმნისწინები მეორეულია და მოგვიანებით არის დართული ზმნისწინიან ფუძეზე.

2. მიმართულებითი ზმნისწინები განარჩევენ სააქეთო და საიქითო ორიენტაციას, ადგილობითები კი ამის უნარს მოკლებული არიან.

3. სტატიკური ზმნები ჩვეულებრივ უზმნისწინოა, რადგან მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინი თავისთავად გულისხმობს მოძრაობა-დინამიკას და ის შეუგუებელია სტატიკურობასთან. მაგრამ ადგილობითი ზმნისწინი თავისი არადინამიკური შინაარსის გამო (ის ჩვეულებრივ აღნიშნავს მოქმედების მდგომარეობას სივრცეში) ეგუება სტატიკურ ზმნებს (ზე-ე-პყრა, საქმ. 10,11).

4. მიმართულებით ზმნისწინებს ადრევე (განსაკუთრებით საშუალსა და ახალ ქართულში) განუვითარდათ სრული ასპექტის გამოხატვის უნარი, ადგილობითებს კი — არა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ამ უკანასკნელთა ამორიცხვას ზმნისწინთა რიგიდან⁸. შეიძლება დავამატოთ, რომ ადგილობითი ზმნისწინები ძველ ქართულში გამოიყენებოდა ან ჰარბი გამოხატვის პრინციპით — სივრცობრივ დეფინიციაში ექსპრესიულობის მისაღწევად, ან მეტწილად ბერძნულ წყაროში არსებული ვითარების ზედმიწევნით გადმოსაცემად. ამიტომ ასეთ მეორეულ ზმნისწინებს არ შეიძლებოდა გასჩენოდათ სხვა გრამატიკული (ასპექტის გამოხატვის) ფუნქცია. ფაქტია, რომ, როგორც კი შეწყდა ბერძნული წყაროს გავლენა სამწერლო ქართულზე, ადგილობითმა ზმნისწინებმაც თანდათან არსებობა შეწყვიტეს.

5. მიმართულებითი ზმნისწინი მხოლოდ წინიდან შეიძლება შეუერთდეს ზმნას, ადგილობითი კი ზმნის თავშიც შეიძლება შეგვხვდეს (ზე-აღიხილენ) და ბოლოშიც (აღიხილენზე). ავტორი გრძნობს ამ დებულების საეჭოვრობას და დასძენს: „ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი წინადადების ცალკე წევრად და, მასადასამე, ზმნიზედად უფრო გამოდის, ვიდრე ზმნისწინად. მაგრამ თავარი ისაა, რომ ასეთი წყობაც შესაძლებელია“⁹. არა. ზმნისწინის ბოლოში გადატანა ნამდვილად არ შეიძლება. ასეთი „ზმნისწინი“ მხოლოდ ზმნიზედა შეიძლება იყოს, როგორც ეს ავტორის მიერ მოყვანილი მაგალითებიდანვე ჩანს. მაგ., „ივლტოდა და განვარდა გარე“ (დაბ. 39, 15). აქ გარე მხოლოდ ზმნიზედა შეიძლება იყოს, რასაც ზედმეტად ხაზს უსვამს ის გარემოება, რომ ბერძნულ წყაროში მას ჰქვია („გარე“) ზმნიზედა ეფარდება: ἔξωθεν ἔξω (სხვათა შორის ბერძნულ ზმნასაც ზმნისწინადაც ზმნიზედური წარმოშობის ἔξω-ξω

⁷ ირ. ვეშაბიძე, ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში. გვ. 271.

⁸ იქვე, გვ. 273.

⁹ იქვე, გვ. 274.

„გან“ მოუღის). მაგრამ შეიძლება ქართულ თარგმანში ხმარებულ ადგილობრივ ზმნის წინასათანადო ფარდი არც მოეპოვებოდეს ბერძნულ წყაროში და პლეონასტურად ავრცობდეს იმ შინაარსს, რასაც თავისთავად მიმართულ ბოლო ზმნისწინები გამოხატავენ (ერთი და იმავე დანიშნულების ზმნისწინები და ზმნიზედა-თანდებულები ქართულსა და ბერძნულში ჩვეულებრივ ერთდროულად გვერდიგვერდ ფუნქციობენ): „განახუნა კარნი სახლისანი მის და გამოვიდა გარე“ (მსაჯ. 19, 27). *ἤνοιξε τὰς θύρας τῆς οἰκίας, καὶ ἐξῆλθε*. ცხადია, გამოსვლა, გასვლა შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ გარეთ და არა შიგნით, მაგრამ პირველადი მიმართულებითი გამომავალი ზმნისწინით გამოხატულ შინაარსს ვარკვეულ ექსპრესიულობას ჰმატებს გარე ზმნიზედა.

ამიტომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მოქმედების ადგილისა და მიმართულების მრჩობლა გამოხატვა ყოველთვის ბერძნული წყაროთი იყოს გამოწვეული. არა. ძველ ქართულსაც ახასიათებდა მორფოლოგიური პლეონაზმი: მიმართულებითი ზმნისწინების გვერდით იმავდროულად იყენებდა ადგილობრივ ზმნისწინებსა და ზმნიზედებს. საერთოდ, ქართული ენა ექსპრესიულობას არ გაუტრბის. ამიტომაც, რომ ზოგჯერ მყარი თვისების მქონე საგნის სახელებსაც კი გაუჩენს დამატებით ატრიბუციას. მაგ., ცა და ყანა („მიწა“) ანტონიმებია, ადამიანის თვალსაწიერის უშორესი და უახლოესი პუნქტები, რომელთაც ლოგიკური თვალსაზრისით სივრცობრივი დეტერმინაცია არ სჭირდებათ, მაგრამ ქართულმა მათგან მაინც აწარმოა ექსპრესიული ფორმები: ზეცა და ქუეყანა, რომლებშიც დღეს აღარც იგრძნობა ზეცა და ქუე ზმნიზედების ოდინდელი ატრიბუციული შინაარსი. ანალოგიისათვის შდრ. *ὀραῖος* „ცური“ და *ἐπισφαῖος* „ზეციური“; *γαια/γαιή* (= γῆ) „მიწა“ და *πᾶργαιος* „ქვესკნელი“, „ქვეშეთი“. (შდრ. აუცილებელი ატრიბუციის მქონე ფუძეები: ზესკნელი, ქუესკნელი, გარესკნელი...).

ამასთანავე უეჭველია ისიც, რომ ადგილობრივი ზმნისწინები ქართულისთვის მეორეულია და არაორგანული. ამიტომაც, რომ ბერძნულ ადგილობრივ ზმნისწინებს ქართული ხშირად თანდებულებსა და ზმნიზედებს უფარდებს. ასე რომ ძველ ქართულში ადგილის ზმნიზედების ადგილობრივითი ზმნისწინების ფუნქციით მოჭარბებულ ხმარებასა და აქტივისაციის გარკვეული წილი უძველეს ბერძნულ ენას, რომლიდანაც ადრიდანვე (IV—V საუკუნეებიდან) უზარმაზარი ლიტერატურა ითარგმნებოდა ქართულად. ამას ცხადყოფს ადგილობრივ ზმნისწინთა ცალ-ცალკე განხილვა.

I. თანა. ძველ ქართულში თანა ოთხი მნიშვნელობით გამოიყენება: ზმნიზედისა (იშვითად), თანდებულისა (ხშირად), დერივაციულ ელემენტად (მაგ., მისთანანი, თანა-მეიანჯე) და ზმნისწინად. უკანასკნელი მნიშვნელობით თანა-ს ხმარება მოხშირებულია ნათარგმნ ძეგლებში და მეტწილად ბერძნული წყაროს *სუყ* და ზოგჯერ *პაყ* ზმნისწინების გადმოსაცემდა ნახმარი. ბერძნულში *სუყ* და *პაყ* წინდებულადც იხმარება და ზმნისწინადაც. *სუყ* ზმნისწინი არსებითად თანყოფნას, თანაობას გამოხატავს და ამასვე გადმოსცემს ის მიც. ბრუნვაში დასმულ სახელთან წინდებულად გამოყენებისას. ხოლო *პაყ* ზმნისწინი გარდაქვევითობასთან ერთად, რაც ქართულში უფრო გარდათი გადმო-



დის, თანაობას, მომიჯნაობასაც გამოხატავს, წინდებულია რებისას კი სახელს სამ ბრუნვაში (ნათ., მიც., ბრალდ.) მართავს¹⁰. ბიბლიურ წიგნთა ძველ ქართულ რედაქციებზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ თითქმის არ არის თანა ზმნისწინიან ფორმათა ხმარების არც ერთი შემთხვევა. რამელსაც ბერძნულ წყაროში სუ (παρα) არ შეეფარდებოდეს. ეს კი ნიშნავს, რომ ზმნიზედად თანდებულად არსებულ თანა-ს ზმნისწინის როლი დაკისრებულია აქვეს ბერძნული სუ (παρα)-ს გადმოსაცემად. დავასახელებთ რამდენიმე შემთხვევას:

1. ბერძნ. სუ (παρα) გადმოღის თანა ზმნისწინით ზმნის პირიულ და უპირო ფორმებში: „თანა-ადიხუენით ძულნი ჩემნი“ (დაბ. 50,25) *συναγοίσατε τὰ ὅματα μου*; „თანა-ნუგეშინის-ცემა“ (პრომ. 1, 12). *συμπαράκληθηναί*; თანა-დავეფლენით (პრომ. 6,4). *συνετέφημεν*; „ყოველი დაბადებული თანა-კუენის და თანა-ელმის მოაქამდე“ (პრომ. 8,22). *πάσα ἡ κτίσις συντενάξει καὶ συναῖνει*. „სულცი იგი თანა-შეეწევის უძლურებასა ჩუენსა“ (პრომ. 8,26). *τὸ πνεῦμα συνατιλαμβάνεται...*; „თანა-მოწამებითა (პრომ. 9,1) *συμμαρτυροῦναι*; თანა-მზრახვალ (პრომ. 11,34). *σύμβουλος*; „ნუ თანა-ხატე ქმნებით სოფელსა“ (პრომ. 12,2). *μὴ συχρηματίεσθε...*; თანა-შემწენი ვართ (II კორ. 6,9...) *συνεργοῦτε*; (იხ. პრომ. 16, 3—9; II კორ. 1,11; ფილპ. 2,25; 4,3; ფილემ. 1,24); თანა-დაუღვრეთ მას (პრომ. 16,2). *παραστήτε αὐτῆ*; ნუ თანა-აღვრევი თ შეძათო (I კორ. 5,9). *μὴ συναγαίγυσαι*; თანა-ალშენებულ ხარ (ეფეს. 2,22) *συναϊδομείσθε*; „თანა-ალმად გინა და თანა-დამსხნა [ჩუენ]“ (ეფეს. 2,6). *συνήγειρεν καὶ συνεκάτισεν*, არა თანა-შეეზავა (ებრ. 4,4). *μὴ συκχερασμένοι*; „ლოტ თანა-მოსრულ იყო აბრაჰამისა თანა“ (დაბ. 13,5) *ὡς τῷ συμπορευομένῳ μετὰ Ἀβραμ ἦν*. აბრაჰამ თანა-ჯდა (დაბ. 15,11) *συνεκάτισεν...*; „თანა-მივავლინო ანგელოზი ჩემი“ (გამ. 33,2). *συναποστελῶ τὸν ἀγγέλῳ μου...*

ასეთი ფორმების დასახელება და თითოეულ მათგანს ღელივხურობასა თუ ბუნებრივობაზე საუბარი შორს წაგვიყვანდა; ვიტყვი თმხოლოდ, რომ თანა-ს ხმარება ზმნის პირიულ ფორმებთან არაბუნებრივია, რადგან თანა აქ საგანგებოდ არის ზმნისწინის როლში ჩაყენებული ბერძ. სუ-ის (παρα-ს) გადმოსაცემად.

2. თანა იხმარება სუ-ის გადმოსაცემად სახელურ და ვასუბსტანტივებულ ფუძეებთან და აქ უფრო ასატანი ჩანს ქართულისათვის, რადგან ამ შემთხვევაში თანა-ს თანდებლური მნიშვნელობა უფრო იგრძნობა, ვიდრე ზმნისწინური. ამიტომ ასეთი თანა-თი წარმოქმნილი ფუძეების დიდი წილი ქართულმა შეიპოვინა: თანა-მოგზაურთა, (ლ. 2,44) *Σ ἐν τῇ συνοδίῃ*; თანა-ზიარ ძირისა (პრომ. 11,17) *συκοινωνῶς...* შტრ. ეგვიფ ფუძე გადმოსცემს: *μέτοχοι*; (ებრ. 3,14) და *κοινωνῶν-ს* (ფილემ. 1,17); თანა-ნერგ (პრომ. 6,5) თანა-მკვდრ (პრომ. 8,17) *συκληρονομῶς*; თანა-მსგავსად ხატისა (პრომ. 8,29) *συμμόρφους τῆς εἰκόνης*; თანა-ტყუე (პრომ. 16,7; კოლ. 4,10; ფილემ. 1,23) *συναυμάλωτος*; „რადგან იყენენ წარმარ-

¹⁰ С. Н. Соболевский, Древнегреческий язык, М., 1948. გვ. 273—283.

თანითა ნამკვდრ და თანავორც და თანამყოფალოქუმისა მის¹¹ (ეფეს. 3,6). εἶναι τὰ ἕστη σὺγκληροσῖμα καὶ σῶματα καὶ συμμέτοχα [სხვათა შორის ბერძნ. სუ ასიმილაციით სამიჯვერ სახეცვლილია: სუ, სუ, სუც]; თანავუნდად ჩუენდა (II კორ. 8, 19). συνέκημος ἦμων, თანამოქალაქე ხართ (ეფეს. 2,19). ἐστὲ συμπολιταί; თანამოსავრისა ჩემისაჲ (ფილიპ. 2,25) σὺστρατιῶτην...; თანამოლოუაწუე (ფილიპ. 4,3). *სუჩქლაჲან მი;* თანამონა (კოლ. 1,7; 4,7). *სუნბოსიჯ.*

3. ბერძნ. სუ ზმნისწინი ქართულში თანა თანდებულად გადმოღის, რაც ბუნებრივი ჩანს ქართულისათვის. ამ შემთხვევაში დაძლეული პირველწყაროს გავლენა: „უტუეთუ მის თანა ვივნოთ, მის თანაცა ველიდნეთ (პრომ. 8,17) *ეპერ სუპაძოიენ წაჲ და სუნბოძაშუმენ;* „უხარინ ქეშმარიტებასა თანა“ (I კორ. 13,6) *სუჯაქრე ნე თქ მქუმიჯ;* „ჩემ თანა გიხაროდენ“ (ფილიპ. 2,18). *სუჯაქრე მი;* „ქრისტეს თანა ჭუარს-ცუმულ ვარ“ (გალ. 2,19). *Χριστὸν συνεστάρωμαι;* „მე არა აღვიდე თქუენ თანა“ (გამ. 33,3). *μη συναγαθῶ μετὰ σιν* (კალკი იქნებოდა: მე არა თანა აღვიდე თქუენ თანა.).

4. ბერძნ. სუ ზოგჯერ საერთოდ არ არის გადმოღებული და ამით ქართულ ფორმას არა აკლდება რა: იგივე სული ეწამებოს... (პრომ. 8,16). *ἀντὸ τὸ πνεῦμα συμμετρεῖ...*; „არა დასაშჯელად შეჰკრბეთ“ (I კორ. 11,34). *μη εἰς κρίμα συνέρχησθε;* „ჰყრობილთაცა მათ სწყალობდით“ (ებრ. 10, 34) *τοῖς δεσμοῖς συνεπαμψύσθε.*

აღსანიშნავია, რომ როცა სუ გადმოღებულია ძველ რედაქციებში, მოგვიანოებში (გიორგისა, ეფრემისა) ზოგჯერ მიმატებულია თანა ბერძნული წყაროსადმი ზედმეტი ერთგულებით: ნუ აღერევიოთ (თანა-აღერევიოთ *CD*) (I კორ. 5,11). *μη συναγαμύνησθε;* შეწევნიოთა (თანა-შეწევნიოთა *CD*) (II კორ. 1,11). *συναπορεύσασθε;* ნუ ეზიარებდით (ნუ თანა-ეზიარებდით *CD*) *μη συκοινοῦσθε;* შემწესა (თანა-შემწესა *CD*) *τῶν συνερῶντων.*

5. ბერძნ. *παρε* (συν) ზმნისწინიანი ფუძეების ქართული შესატყვისობისათვის. რამდენიმე ზმნასთან თანა-ს არა აქვს პირველადი (თანაობის, ერთადობის) მნიშვნელობა და ამიტომ რთულ ფუძეებად მიიჩნევა ასეთი ზმნები¹²: თან-დება, თან-აწარჯდომა, თანა-წარვალ, თანა-აწარვიდ. სვლის მნიშვნელობის ბოლო სამ ფუძესთან თითქოს თანა საპირისპირო შინაარსისაა და აღნიშნავს არა ვინმესთან ან რამესთან ერთად სვლას, არამედ გვერდის ავლას, აცილებას¹³. ამ ფაქტს ასე ხსნიან: მოცემულ ზმნებში საგანთან სიახლოვის შიშაარსი, რაც მოქმედების საწყის მომენტს ახასიათებს, თანა ზმნისწინითაა გადმოცემული, ხოლო დაშორების შინაარსი -წარ ზმნისწინით. ე. ი. თანა-აწარჯდა ნიშნავს: წავიდა იმისგან, რასთანაც ახლოს იყო¹³. ასეთ ახსნას გონებაბაძვილობა არ აკლია, მაგრამ საქმის ვითარება, ვფიქრობთ, სხვაგვარად უნდა წარმოვიდგინოთ. ამ ფუძეებთან თანა-ს არ უნდა ჰქონდეს გაცლის, გვერ-

¹¹ ქ. თევზაძე, რთული ზმნები ძველ ქართულში, გვ. 404.
¹² ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, 222—223.
¹³ ირ. ვეშაპიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 296.



დის ავლის მნიშვნელობა და ზედმეტად უნდა იყოს დართული ბერძნული *παρὰ* და სუბ ზმნისწინთა გადმოსაცემად. ამას ამტკიცებს შემდეგი:

ა) სვლის, მოძრაობის გამომხატველ ზმნებთანაც ერთანა გვერდის ავლას კი არ გამოხატავს, როგორც ჩვეულებრივ ფიქრობენ, არამედ თანაობას: „თანა-უვიდოდა მას ვერი მრავალი“ (მრ. 10,1C) *συμπαρεσόντα*: „თანა-უვიდოდა მას მოწაფენი მისნი“ (ლ. 7,11) *συνεπαρεσόντο* *αὐτῷ*...; „თანა-წარჰვიდოდა ვალილეს“ (მრ. 9,30C) (წარვიდოდა ΔΕ) *παρεπαρεσόντα* *δὲ τῷ Γαλιλαίᾳ* (აქ ლაპარაკია ვალილეს გავლით სვლაზე და არა ვალილეს გვერდით ავლაზე).

ბ). ანგარიშგასაწევა ერთი ფაქტი. ქრისტეს თანმზღები დამშეული ბრბოს მიერ პურის თათვაების მუსრვის ამბავი ორ მახარობელს (მათეს, მარკოსს) აქვს აღწერილი. ერთგვანსა ანუ გადმოცემული; ვითარ-იგი თანა-წარჰვიდოდა ყანობისა შაბათსა შინა, მოწაფეთა მისთა იწყეს გზასა სლვად და მუსრვად თავსა ჭუვილისასა...“ (მრ. 2,23). *παρεπαρεσόντα* *δὲ τῶν σπαρίμων*...; მეორეგან კი ვითხულობთ: „მას ყამსა შინა წარვიდოდა იესუ დღესა შაბათსა ყანობისა მათსა. ხოლო მოწაფეთა მისთა შეემშა, და იწყეს მუსრვად თავსა ჭუვილისასა“ (მ. 12,1) *ἐν ἑαίῳ τῷ καιρῷ ἐπαρεσῆθη Ἰησοῦς*... *δὲ τῶν σπαρίμων*. ორივე ადგილს ბერძნულში სვლის, გავლის მნიშვნელობის *παρεσῶ* ზმნა არის ნახმარი, ოღონდ I შემთხვევაში *παρὰ* ზმნისწინი ახლავს, II-ში კი — არა. შესაბამისად ქართულშიც I შემთხვევაში თანა ზმნისწინი ახლავს სვლას („თანა-წარჰვიდოდა“), მეორეგან — არა („წარვიდოდა“). ორივე ადგილს ლაპარაკია, რომ იესუ პურის ყანაზე გავლით (ბ. *τῶν σπαρίμων*) მიდიოდაო (შდრ. რუს. თარგმანი: Случилось Ему в субботу проходить засеянными полями: В то время проходил Иисус в субботу засеянными полями).

გ) მიაჩნათ, რომ თანა-წარვალ, თანა-წარვიდ, თანა-წარვდომა ფუძეებში გავლის ნაცვლად გვერდის აქცევის ნიუანსი თანა-ს შეჰქონდეს. რის საფუძველზე? ალბათ, კონტექსტისა. ბერძნულ პირველწყაროში ამ ფუძეთა ისეთი ფარდები, როგორცაა *παρεπαρεσῶμαι*, *παρέρχομαι*/*παρεθεῖν* ჩავლის, გვერდის აქცევის მნიშვნელობისა და ამ ფუძეებში მართლაც *παρὰ*-ს შეაქვს ეს ნიუანსი. ამიტომ ბუნებრივია, რომ *παρὰ*-ს ფარდ ქართულ თანა-საც ეგვე- მნიშვნელობა მიეწერება. თითქოს ლოგიკურია პარალელის გავლება, მაგრამ არა. გაუთვალისწინებელი რჩება ის, რომ ბერძნულში ზმნას ერთი *παρὰ* ზმნისწინი აქვს, ხოლო ქართულში მის ფარდ ფუძეს — ორი (თანა+წარ), რომელთაგან წარ წარმოადგენს ბუნებრივ შესატყვისს, ხოლო თანა — ზედმეტად ნახმარს (ასეთი მორფოლოგიური პლენაზმი უცხო როდია ბიბლიის ქართულ თარგმანებში. შდრ. ბერძნ. *ἕως*-ის გადმოღება ვიდრე+მდე თანადებულობით: *ἕως τῶν ἑσπερῶν* ვიდრე უკვადმდე მ. 22,26¹⁴). ამიტომ ვფიქრობთ: თანა-ს არ შეიძლება ჰქონდეს და არცა აქვს თანაობის საპირისპირო მნიშვნელობა. მას მცდარად მიეწერება იმ მნიშვნელობის

¹⁴ ვრცლად იხ. კ. დანელია, უცხო ენათა გავლების კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში, II, ვიდრე უდებრიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში: სპა „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, 1978, № 1, გვ. 91—104.

(გვერდით ჩავლის) გადმოცემა, რასაც უდიდოდ *παρα*-ს ფარდად ხმარებული წარ ახერხებს. მაგ., უნდა თანა-წარსვლად მათგან (მრ. 6, 48), *ψυλεν παρελθειεν αυτους*. ბუნებრივი თარგმანი იქნებოდა: „უნდა წარსვლად მათგან“, ე. ი. უნდოდა მათ გასცლოდა. თანა-წარმტედიან სასუმელი ესე ჩემგან“ (მ. 26, 39). *παρελθτω αν εμειν εδ ποιηριον τειντο*. აქაც, თანა რომ არ ყოფილიყო, აშორებდის, აცილებდის შინაარსის გადმოსაცემად წარ ზმნისწინი და გან თანდებული სრულებით საკმარისი იყო: „წარმტედიან სასუმელი ესე ჩემგან“, ე. ი. ამშორდეს, ამცილდეს ეს სასუმელი. გიორგი მერჩულე წერს, რომ ბოროტი სულისგან შეწუხებულ მეუღაბნოე მიქელს კრიგოლ ხანძთელი ასე დაეხმარა: გააკეთა ორი ხის ჭვარი, დაასო სამყოფლის აქეთ-იქით და მიქელი დაარიგა: შეგიძლია ამ ორ ჭვარს შორის მშვიდად იყო. „ხოლო უკეთუ წარჰვლო, კულად განიცადო უძკრესად პირველისა“ (პაგ. ძეგ., 1, 281, 18). მაშასადამე, აქ თანა-წარმტედიანი არ იკითხება, არამედ წარმტედიანი და ნათქვამია: თუ გვერდს აუვლი, გასცდები ამ ჭვრებს, პირველზე უარესი მოგივათ.

ქართულ ორიგინალურ ძეგლებში მრჩობლი თანა-წარმტედიანის ფორმების ხმარება ბიბლიურ თარგმანთა გავლენით უნდა აიხსნას. მაგალითების მოყვანას საჭიროდ არ ვთვლით. მხოლოდ ერთ საინტერესო შემთხვევას დავასახელებთ. გიორგი ხუცეს-მონაზვნის თხზულებაში (გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში) ნათქვამია, რომ საბერძნეთში მოხვედრილი 12 წლის გიორგი ბეჭითად შეუღვა სწავლასო და „მოწრაფეთა და გულს-მოდგიენთა სიმახკლთა გონებისაათა აღმატა. და ორკერძოვე სრულ ქმნულთა ერთკერძო თანა-წარმტედიან, ვიდრე-ღა დიდად განკვრდეს ყრმანი იგი ბერძენთანი...“ (118, 15) (აგ. ძეგ. II, 1967). თანა-წარმტედიან აქ ნიშნავს: გასცთა, გაასწრო, ჩამოიტოვა სხვებო. საინტერესოა ისიც, რომ ოთხ მოგვიანო ხელნაწერში (EGIK) თანა მოშორებულისა და წარმტედიანი იკითხება. აქედან კარგად ჩანს, თუ როგორ ზედმეტად და არაბუნებრივად აღიქმებოდა თანა ზმნისწინი დასახელებულ ფუძეებთან საშუალ ქართულში. სრულიად ბუნებრივია, რომ ახალ ქართულში ასეთმა ფორმებმა არსებობა შეწყვიტა.

II. გარე. ეს ზმნისწინი მეტწილად ნახმარია *απο, εκ* (ἐξ), *περι*: ზმნისწინების გადმოსაცემად, იშვიათად კი *παρα* და *ανα*-საც გადმოსაცემს; მნიშვნელობით უახლოვდება გან-ს და ჩვეულებრივ სხვა მიმართულებით ზმნისწინებს ემატება წინიდან, აკონკრეტებს და აძლიერებს გან, მი, მო, შე, წარ ზმნისწინთა მნიშვნელობას¹⁵.

1. ბერძნ. *περι*: ზმნისწინი გადმოცემულია მრჩობლად: გარე+ მიმართულებითი ზმნისწინი. ბერძნულში *περι* სამი მნიშვნელობით გამოიყენება: ზმნიზედისა, თანდებულისა და ზმნისწინისა. გარე-საც სამივე მნიშვნელობა აქვს, ოღონდ ზმნისწინად ნაკლებად გამოიყენება და მაშინაც—კვბიან გამოხატვის პრინციპით (სხვა ზმნისწინთა გვერდით):

„ზლუდშ გარე-მოს დეა მას“ (მ. 21, 33). *φραγμεν αυτην περιε-ψηται*; „გარე-მოს დეის საზღვარი ვალოთგან ზლუდ მიმართ“ (ილუ ნ. 15, 10) *περιελεσθηται θρηση απς Βαβλ...*; „სარტყელი, რომელსა გარე-შეირტყამს“ (ფსალ. 108, 19). *ღ* (შეირტყამს *τ*) *ζωνη περι-*

¹⁵ ირ. ვეშაპიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 287.



ζώνυται; „გარე-მომადგიენ მე სიკაბუქისა ჩემისა ცოდვნი“ (იბი. 13, 26). περιέμφυκας ὄξ μοι νεότητος ἀμαρτίας.

2. ბერძნ. ἐκ (ἐξ) ზმნისწინი, ξῆω („გარეთ“) ზმნიზედა და περίწინდებული ვადმოიცემა მრჩობლად გარე-მომადგიენითი ზმნისწინი: „რომელთა მიხილიან მე, გარე-განვივლტიედ ჩემგან“ (ფსალ. 30, 12) οἱ ψαροὶντες με ξῆω. ἔφυγον „ბრძანა მცირედ გარე-განყვანება“ (განყვანება Ἦ) (საქ. 5,34) Ἦ ἐκέλευσεν ξῆω βραχὺν τὸν ἀνθρώπουσ ποιῆσαι; „გარე-მომადგიენ შენ, ვითარცა დავით და გარე-მომადგიენ შენ ლაშქარი და გარე-მომადგიენო შენ გოდლები“ (ეს. 29,3) κυκλῶσας Δαυὶδ ἐπὶ σέ, καὶ βάλω περὶ σέ χάραια καὶ φήσας σέ παργουε.

ზოგჯერ ფრაზაში პლეონასტურად გარე-მომადგიენობითი ზმნისწინის გარე ზმნიზედაც ახლავს, ასე ვთქვათ, სამამაგადაა ვადმოიცემული მოქმედების მიმართულება გარეთ: გარე-განვივლის გარე (-A) და მასვე იტყვენ (ფსალ. 40,7). ἐξῆπαροῦσθε ξῆω, καὶ ἐλάλει.

ზემოდასახელებულ მაგალითებში გარე ზმნისწინის გარეშეც შეიძლება ფრაზა გამართულიყო მხოლოდ მიმართულებითი ზმნისწინებით, მაგრამ გარე აზუსტებს და აძლიერებს სხვა ზმნისწინთა შინაარსს, კერძოდ, ხაზს უსვამს იმას, რომ მოქმედება-მოძრაობა ვარკვეული ობიექტის გარშემოა მიმართული. ხოლო თუ ასეთ ნიუანსს კონტექსტი არ ითხოვს, მაშინ გარე-სგარეშეც მხოლოდ მიმართულებითი ზმნისწინი ვადმოსცემს ბერძნ. ἐκ (ἐξ)-ს: „განავადეს გარე სავენაჯისა მისგან“ (მ. 21,39). ἐξέββαλον ξῆω τὰ ἀπαλεινωε; „განადეს იგი გარე (ი. 9,35). ἐξέβαλον αὐτὸν ξῆω.

3. ბერძ. ἀπο(იშვითად ἀνα) ზმნისწინი ვადმოიცემა მრჩობლად: გარე-მომადგიენობითი ზმნისწინი: „ნუ გარე-მომოქცევ პირსა შენსა მისგან“ (მ. 5,42) μὴ ἀποστραφῆς...; „გარე-წარვეაქციო საღმობაჲ შენგან“ (გამ. 23, 25) ἀποστρέψω μαλακαῖαι ἀφ' ἑμῶν; „გარე-მომოქცევს მისგან“ (III მეფ. 22, 33) ἀνέστρεψαν ἀπ' αὐτοῦ.

4. ბერძნ. παρα ზმნისწინი ვადმოიცემა მრჩობლად: გარე-წარგვერდის ავლის, აცილების შინაარსის წარ ზმნისწინიან ფორმებთან გარე-სწინ ღართვა რამდენადმე უფრო შესაფერია, ვიდრე თანა-სი, მაგრამ საერთოდ ერთიცა და მეორეც ზედმეტია: „რაჲთამცა გარე-წარჰქდა (თანა-წარჰქდა DE) მას ჟამი იგი“ (მრ. 14, 35) Ἦ ἦνα παραέλιθη ἀπ' αὐτοῦ ἡ ἄρα. „გარე-წარჰქდა მათ და არა მოწყვდნა იგინი...“ (იერ. 41, 8) παραλίθη, καὶ οὐκ ἀνείλεν αὐτοῦε.

III. წინა/წინაშე (წინაწარ/წინადასწარ). ამ ზმნიზედებს ზმნისწინის ფუნქციით აშკარად ვერ იგუებენ ზმნები. ზმნიზედურ-თანდებლური წარმოშობის ბერძნ. პრო ზმნისწინის ზუსტი ბუნებრივი ფარდობითობა გარეთულსა რმოვოვება, (რის ვამოცის ჩვეულებრივ ადგილის (წინა/წინაშე) ან ღართის (წინაწარ, წინადასწარ) ზმნიზედებით ვადმოიცემა, მაგრამ თუ ასეთი ზმნიზედა ზმნისწინა დგას, შესაძლებლობა ჩნდება მისი ზმნისწინად ვაგებობისა: იესუ. „წინა-აუძლოდა მათ“ (მრ. 10,32). παραῖχων αὐτοῦε ὁ Ἰησοῦε. „ერთი იგი მოწაფე წინა-რბიოდა უადრეს პეტრესა“ (ი. 20,4) ὁ ἀλλοε μαθητῆε παραῖραμεν. აშკარაა, წინა პრო-ს ვადმოსაცემალა ნახმარი.

1. ბერძნ. *პა ზოგჯერ მრჩობლად გადმოიცემა: წინააღწარა: „წინააღწარა გიძღუე თქვენ ვალილუად“* (მ. 26, 32 C) *პრაქსა სმაჯ...*; „რაათა წინააღწარა უძღუენ მას...“ (მრ. 6,45) *პრაქსე:ν...*; „წინააღწარა უძღუენ ვად მისა“ (მ. 14, 22) *პრაქსე:ν ანუ:ν...*

იმეათად დაძლეულია თარგმნის სიძნელე და *პაო* ვადმოღებულა მხოლოდ წარ ზმნისწინით: „აიძულა მოწაფეთა თვსთა...“ *წინააღწარა ვად ბეთსაიდალ“* (მარ. 6,45...) *პრაქსე:ν...*

2. წინააღწარა (წინააღწარა ვინ) ხმარების ყველა შემთხვევას ოთხთავში *პაო* ზმნისწინიანი ფორმა (*პრაქსა*) შეესაბამება, ამიტომ ვასაგებია წინააღწარა ხმარება. მაგრამ თუ ასეთი პირობა (*პაო* ზმნისწინიანი ფორმა) არ არის, არც წინააღწარა ნახმარი: სული... *გიძღუენ* თქვენ ჭეშმარიტებასა ყოველსა (ი. 16, 13). *ტხე:ν...* *ბნე:ν...* *სმაჯ: „უძღუენ მშველთა საშველსა“* (ფსალ. 24,9). *ბნე:ν...* *პრაქსე:ν ანუ:ν...*

3. ბერძნ. *პაო* ზმნისწინის ფარდი წინააღწარა ალმნიშენელ ზმნებთან წმინდ წინააღწარა რამდენადმე მაინც ასატანია. მაგრამ სხვა მოქმედების ალმნიშენელ ზმნებთან შეუგუებელია და წინააღწარა/წინააღწარა ზმნი ზედით ვადმოღის. ეს უკანასკნელი ერთეულები *პაო* ზმნისწინს ვადმოსცემენ, მაგრამ ზმნისწინად არაეის მიაჩნია: „რაათა არა წინააღწარა იწურთიღეთ“ (ლ. 21, 14). *მე პრაქსე:ν...*; „წინააღწარა ბირებულ იყო ღელისაგან...“ (მ. 14,8) *პრაქსე:ν...*; „წინააღწარა უძღუენ“ (პრომ. 9,29) *პრაქსე:ν...*; წინააღწარა გეტყვენ (ვალ. 5,21), *პრაქსე:ν...*; „წინააღწარა იცნენა და წინააღწარა განაჩინენა“ (პრომ. 8, 29), *პრაქსე:ν...*; „წინააღწარა იწყეთ“ (II კორ. 8, 10). *პრაქსე:ν...*; „წინააღწარა განვიზრახეთ“ (II კორ. 8,21) *პრაქსე:ν...*; „წუ წინააღწარა ვზრახეთ“ (მრ. 13, 11) *მე პრაქსე:ν...*; „რაათა წინააღწარა მივიღეს თქვენდა და წინააღწარა განვაკრძალენ თქვენ პირველ ალთუმულისა მისთვს...“ (II კორ. 9,5) *წა პრაქსე:ν...*; *წა პრაქსე:ν...*; „წინააღწარა ვიჩინენით“ (ეფეს. 1,11). *პრაქსე:ν...*; „წინააღწარა განვიზრახეთ“ (ეფეს. 2,10). *პრაქსე:ν...*; „წინააღწარა ვივინეთ“ (I თეს. 2,2) *პრაქსე:ν...*

ერთადერთი ფუძე, რომელთანაც წინააღწარა ზმნისწინად ვაიგება, არის წინააღწარა გეტყუენო. მართალია, ის აგებულებით ბერძნ. *პრაქსე:ν* ტაპასა, მაგრამ ქართულში ძალიან ადრე (ბიბლიის თარგმნამდე) უნდა არსებულყო, რადგან ორგანულ, მარტაეფუძიან სიტყვად აღიქმება და არა კომპოზიტად (ზმნი. წინააღწარა+მიმღ. გეტყუენო). ეს იქიდან ჩანს, რომ პირველი ფორმები მარტაეფუძიანის მსგავსად ეწარმოება: გვწინააღწარა გეტყუენებდ ჩვენ (მ. 26, 68); ვწინააღწარა გეტყუენებდით (მ. 7,22) (და არა: წინააღწარა-გეტყუენებდით).

4. წინააღწარა ზმნისწინიანი არამოძრაობის ალმნიშენელი ფუძეები ძველ ქართულში ბერძნულ სტრუქტურისად მოჩანან. ამ შემთხვევაში წინააღწარა ვადმოსცემს ბერძნ. ზმნისწინებს: *პაო, ანუ, პაო, პრაქსე:ν*; ვასახელებთ ზოგიერთ მათგანს:

წინააღწარა ვადმოსცემს: „ნებასა მისსა ვინ წინააღწარა ვადმოსცემს“ (პრომ. 9,19...) *წა ანუ:ν...*; „არა წინააღწარა ვადმოსცემს ბოროტისა“ (მდრ. წუ უძღუენ ბოროტსა C) (მ. 5,39) *მე ანუ:ν...*; *წა პრაქსე:ν...*; ვერ უძღუენ



წინააღდგომად... წინააღმდგომთა თქუნესა“ (ლ. 21, 15).
ὁ δὲ ἀναστῆναι... οἱ ἀντικείμενοι.

წინა-განწყობა: „წინა-განეწყობვიან შჯელსა მას...“
(პრომ. 7,23) ἀντιστρατεύμενον τῷ νόμῳ; „განვიდა წინა-განწყობად
ისრაელისა...“ (რიცხ. 21,23) Ἐξήγησε παρατάξασθαι τῷ Ἰσραήλ...

წინა რომ აუცილებელი არაა, ეს კარგად ჩანს იქედან, რომ უიმიოდაც
განწყობა „ბრძოლას“ ნიშნავს: ჰუნებთა და ეტლებითა განეწყვნენ
(იერ. 6,23...) παρατάσσεται. „ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ,
რომელიცა წყობით ჰელმწიფეთა დაიმორჩილებდ“ (ხანტო. 264, 40; აგ.
ძეგ. 1).

წინა-განმზადება („წინმდებარე“, „ახლანდელი“): „შევედ-
რებით შეკრძალვად წინა-განმზადებულსა მას სასოებდასა“ (ებრ. 6,
18...) τῆς προκειμένης ἐλπιδος. „რჩევით წინა-განმზადება იგი
ღმრთისა ევოს“ (პრომ. 9,11...) πρόθεσις τοῦ θεοῦ μέντη.

წინამითხრობა: „წინამითხრობა (წინასწარ უთხრა Ἦ) უთ-
ხროსა გზად მისი“ (ეზ. 33,9). προπαγγείλω...

წინამოსაჯული („მომჩივანი“, „მოწინააღმდეგე“). ეს ფუძე შესა-
ტყვისია ბერძნ. ἀντιδικος-ისა (მ. 5,25; ლ. 18,3). წინას- არააუცილებ-
ლობას მიანიშნებს იმავე მნიშვნელობის მოსაჯული (მ. 5,25 C; ლ. 12,58)
და მკდომის (იერ. 51, 36) არსებობა (შდრ. ვალ. 5,17).

წინაშემდგომელი („მსახური“). ეს ფუძე შესატყვისია ბერძნ.
παρατεχικός-ისა (ლ. 19, 24; საქ. 23, 2).

წინა-დაცუეთა. ბიბლიურ თარგმანებში (ლ. 1,59; 2,21; ი. 7,22-23;
საქ. 7,8; დაბ. 17, 13...) ეს ფუძე გადმოსცემს ბერძნ. περιτέμνω ზმნას
ან სახელს περιτομή-ს. ძველ ბერძნულში τέμνω ზმნა და τομή სახელი
περι- ზმნისწინის გარეშე გამოხატავდა დასაკურთხეობას, კასტრაც-
ციას, ხოლო შემდგომ περι- ზმნისწინიანმა ამ ფუძეებმა სპეციალური ტერმი-
ნის—იუდეველთა (და სხვა ხალხთა) შორის გავრცელებული ერთ-ერთი რე-
ლიგიური წესის მნიშვნელობა მიიღეს. ქართულში ბერძნ. περι-ის ფარდი
წინას-ს გარეშეც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო იმ შინაარსის გადმოცემა,
რაც საერთოდ მერმე წინა-დაცუეთას დაეკისრა. შდრ. „დასცვთოს
ჯორცი დაუცუეთელობისა მისისა“ (ლევ. 12,3) Ἐ περιτεμεῖ τῆν
σάρκα ἀκριβοσύνης αὐτοῦ.

IV. ზე, ზედ/ზემო. ამ ფუძეებს ქართულში ჩვეულებრივ ზმნიზედის
ან თანდებულის ფუნქცია აკისრიათ და ზმნისწინის როლის შესრულე-
ბა უქირთ. იშვიათად ხმარებული ზე ზმნისწინი ძველ ქართულში „ვერტიკა-
ლური ან შვეული ვითარების გამოხატველი იყო და შეესატყვისებოდა აღ
ზმნისწინს“¹⁶, ხოლო ზედა მიუთითებს იმაზე, რომ მოქმედება ხდება ზედა-
პირზე, რომელიც ზევითაც შეიძლება იყოს და ქვევითაც¹⁷.

1. ზე (ზედა/ზემო) მეტწილად იხმარება ზმნიზედური ჰა: ან ანა
(პერი) ზმნისწინების გადმოსაცემად და რამდენადმე შესავლელთა უზ-
მნისწინო ფუძეებთან: „ზე-ზის იგი ვირსა...“ (მ. 21, 5). ἐπιβεβηκῶς
ἐπὶ θεῶν (ზედმიწვენიითი კალკი იქნებოდა: ზე-ზის იგი ვირსა ზედა). „ზე-

¹⁶ ირ. ვეშაპიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 278.
¹⁷ იქვე, გვ. 282.



ს ხ დ ე ს ჰ ე ნ ბ ა “ (ფსალ. 75,7) ἐπιβηχότες τοὺς ἴππους; „სამარე ზ ე -
 ლ ე ბ უ ლ არს...“ (პრომ. 3,13) τάφος ἀνεφύμενος...; “ლოდი ფქვილისაჲ
 ზ ე დ ა-ე დ ვ ა ქ ე ლ ს ა “ (ლ. 17,2) λίθος μολυβδός περικειται περί τὸν τράχηλον
 αὐτοῦ. „ლოდი ზ ე დ ა-ე დ ვ ა მას“ (ი. 11,38). λίθος ἐπέκειτο ἐπ αὐτῷ.

2. ზ ე (ზ ე დ ა/ზ ე მ ო) ნახმარია სხვა (ა ლ. წ ა რ, მ ი, მ ო...) ზმნისწინი-
 ან ფუძეებთან, სადაც მისი მეთორეულობა და ზედმეტობა უფრო საგარძნობია:
 „ზ ე დ ა-მ ი ა დ გ ა და პ რ ო ჟ ა“ (ლ. 10,40.). ἐπιστάσα μὲ εἶπεν. „უძლიერესი
 მისი ზ ე დ ა-მ ი უ ჯ დ ე ს“ (ლ. 11,22) ἰσχυρότερος αὐτοῦ ἐπέλιθῶν. „ამაოდ
 ზ ე დ ა-და მ ე ს ზ მ ი ო თ“ (იობ. 27, 12) καὶ ἂν κενεὶς ἐπιβάλλετε. „კადნიერად
 ზ ე დ ა-მ ო მ ი ვ ა ლ თ მ ე“ (იობ. 21, 27) τὸ μῦθον ἐπιχεισθή μοι. „ზ ე-ა ლ დ-
 გ ა (ზ ე-წ ა რ მ ო ჯ დ ა DE) ძეგლარი იგი“ (ლ. 7, 15) ἀνεκαμίσησεν ὁ νεχρὸς.
 „ვერ ეძლია ზ ე-ლ ხ ი ლ ვ ა დ ყოვლითურთ“ (ლ. 13, 11) μὴ θυναμένην
 ἀναχρησθῆαι εἰς τὸ παντὲς.

როგორც დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, ზ ე (ზ ე დ ა) შეუფუძვლებლი
 და არაბუნებრივია მ ი, მ ო, და ზმნისწინებთან, ხოლო წ ა რ და ა ლ ზმნისწი-
 ნები თავად გადმოსცემენ ბუნებრივად ბერძენ. ანა ზმნისწინს და მათ გვერ-
 დით ზ ე (ზ ე დ ა) მხოლოდ ზ ე დ მ ი წ ე ვ ნ ი ო თ ი შ ე ს ა ბ ა მ ი ს ო ბ ი ს
 მისალწევად შეიძლება იყოს დამატებით ნახმარი. ხოლო თუ აქ, ისე როგორც
 ამ ჩვეულების სხვა მაგალითებშიც, ანა-ს ან ჰე-ს მარხოზლ გადმოღებდას-
 თან არა გვაქვს საქმე, მაშინ შეიძლება, რომ ზ ე (ზ ე დ ა) ქართული ენის ბუნე-
 ბ ი ს ა მ ე ბ რ . ე ქ ს პ რ ე ს ი უ ლ ო ბ ი ს მისალწევად იყოს ნახმარი. ამ უკან-
 ასკენელ ვარაუდს ორი გარემოება უჭერს მხარს:

ა) ზ ე (ზ ე დ ა) ზმნისწინად მაშინაც არის გამოყენებული, როცა მას ბერძ-
 ნულ წყაროში ფარდად ჰქონდა ან ანა არ მოეპოვება: „რომელი ზ ე-ა ქ უ-
 ნ დ ა ოთხთა“ (მრ. 2,3...) αἰρόμενον ὑπὸ τέσσερα. ბერძნულში ნახმარ
 აქვს („ზევით ვწევ“) ზმნის მიმღობას უკეთ გადმოსცემს გოთარგისეული
 იკითხვისი: „ზე-კ ი დ ე ბ უ ლ ი (-ხელში დაქერილი, აწეული). რომელს ლა-
 გკნი წყლითა ზ ე-ე დ ვ ა ს (ლ. 22, 10...) κεράμιον ἕδατος βιαστάσων.

ბ) ორიგინალურ ძეგლებშიც ზ ე (ზ ე დ ა) გამოყენებულია ე ქ ს პ რ ე ს ი-
 უ ლ ო ბ ი ს მისალწევად: „კურაპალატი ზ ე-ა ლ დ გ ა და წინა მოეგება ნეტარსა
 მამასა გრიგოლს“ (262,4) (აგ. ძეგ. I); ზ ე-წ ა მ ო ჯ დ ა და მიბრძანა“ (ამბრ.
 34,1); ამბრი ზ ე-ა დ ვ ა (174,6); „ზ ე-წ ა მ ო ჯ დ ა ფერ-მიხდილი (ვეფხ. 500,
 1); „ზ ე დ ა-ჯ დ ა შავსა ტაიჭსა“ (204, 2).

V. ქ უ ე . ე ს ზმნიზედა ზ მ ნ ი ს წ ი ნ ი ს ფუნქციით იშვიათად გამოიყე-
 ნება; შინაარსით ზ ე-ს უპირისპირდება და და ზმნისწინს შეეფარდება¹⁸. თარ-
 გმანებში გადმოსცემს ზმნიზედურ-თანდებულური წარმოშობის ბერძენ. κατὰ
 ზ მ ნ ი ს წ ი ნ ს ა და ს ა მ ო თ ა ნ დ ე ბ უ ლ ს და გამოხატავს მოქმედების
 მიმართულებას ძირს, დაბლა; „რვა წლითგან ქ უ ე-მ დ ე ბ ა რ ე ცხედარსა
 ზ ე ლ ა“ (საქმ. 9,33). κατὰξέμεινον ἐπὶ κρηβάτσου. „არცა აღანთიან სანთელი
 და ქ უ ე-მ დ ე გ ი ა ნ ი გი ჯვმირსა“, (მ. 5, 15 C) (შლრ. დადგინ ქ უ ე შ ე
 გ ვ მ ი რ ს ა DE)... τμήτων αὐτῶν ὑπο τὸν μόνον (იხ. მრ. 4,21).

ზოგჯერ ქ უ ე ნახმარია ბერძნული ფარდის ლექსიკური მნიშვნელობის
 დასახულებლად და მას შესატყვისი არა აქვს ზმნისწინის ან თანდებულის
 სახით: „დავრომილი იყო წინაშე ბჭეთა მისთა და ქ უ ე-მ უ რ ე ბ ო ლ ა“ (ლ.
 16, 20) ἐμπάλητο πρὸς τὸν πύλωνα αὐτοῦ ἐλκῆμα μένος.

¹⁸ ირ. 'ვე შ ა ა ნ ი ძ ე . დასახ. ნაშრომი, გვ. 285.



ქუე-ს ზმნისწინის მნიშვნელობით ხმარება შეინიშნება ორგანიზაციის ლურ ძეგლებშიც. „ათანდილ ქვე-ზის ტირილად“ (ვეფხ. 244,2); „შეფე ქვე-ჯ და შეკაზნული (474,3); „ქვე-წვა ვით კლდისა ნაპარალსა...“ (522,1); „უშიშრად ქვე-დგა“ (1042,3). ცხადია, სტატიკური ზმნების შინაარსს ეს ქვე ზმნისწინი გარკვეულ ინტენსივობასა და ექსპრესიულობას სძენს.

დასკვნები: ადგილობითი ზმნისწინები ქართულისთვის ორგანული არ არის, მეორეულია. ძველ ქართულში იყო ცდა, რომ ადგილის ზმნი ზე-დები: თანა, გარე (გარე შე), ზე (ზე დ/ა/ზე მ), წინა, ქუე აღ-ჭურვილიყვენ ზმნისწინის ფუნქციით, რასაც შემდეგი გარემოება განაპირობებდა: ზმნიზედური ბერძნული ადგილობითი ზმნისწინების ზედმიწევნით ზუსტად გადმოსაღებად საკმარისი არ აღმოჩნდა ქართულში მოქმედი მიმართულებითი ზმნისწინები და საჭირო გახდა, ამ უკანასკნელთა გვერდით ადგილის ზმნიზედებს დაკისრებოდათ ზმნისწინის ფუნქცია მოქმედების სივრცეში ზუსტი დეფინიციის გამოსახატავად. თანაც, ძველი სამწერლო ქართულისთვის პრინციპულად უცხო არ იყო ე. წ. მოთფოლოგიური პლეონაზმი, გრამატიკული შინაარსის ჭარბად გამოხატვა ექსპრესიულობის მისაღწევად. ამიტომ რამდენადმე შესაგუებელი აღმოჩნდა მიმართულებითი ზმნისწინების გვერდით ადგილობითების ერთდროული ხმარება. ბიბლიურ და ჰაგიოგრაფიულ წიგნთა ძველი ქართული თარგმანების გავლენით ორიგინალურ ქართულ ძეგლებშიც გამოიყენებოდა ადგილობითი ზმნისწინები, ოღონდ ნაკლები სიხშირით, საერთო ლიტერატურის ძეგლებში, სადაც ბიბლიურ თარგმანთა გავლენა შესუსტებულია, ადგილობითი ზმნისწინების გამოყენება უფრო შემცირებულია, ახალ ქართულში კი — სულ ამოკვეთილია. ჭარბი გამოხატვის პრინციპი ახლაც მოქმედა, მაგრამ ამ უბანში სხვაგვარი გამოხატულებისა: მიმართულებითი ზმნისწინებით გადმოცემულ შინაარსს აძლიერებენ ადგილის ზმნიზედები (დავარდა ძირს, გავიდა გარეთ).

К. Д. ДАНЕЛИА

СЛЕДЫ ИНОЯЗЫЧНОГО ВЛИЯНИЯ В ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ ПИСЬМЕННЫХ ПАМЯТНИКАХ

4. Передача греческих приставок в древнегрузинском

В работе изучается вопрос о передаче греческих приставок местности в древнегрузинских переводах библейских книг, с учетом показаний оригинальных сочинений. Особое внимание уделяется изучению таких приставок, как თანა t'ana, გარე gare, წინა c'ina, ზე/ზედა ze/zeda, ქუე k'ue, употребление которых в древнегрузинском в основном обусловлено необходимостью точной передачи соответствующих греческих приставок: συ παρη, μετα, ἐκ, παρ, προ, ἀν, κατ, и т. д.

В области употребления приставок местности выявлены искусственные формы, которые перестали существовать в новогрузинском языке.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა
წარმომადგენი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. შანიძემ

ცინანა ხშილაშვილი

აზერბაიჯანული ენის ხშულთა მუდარობის
ხარისხის შესახებ

ჩვენი მიზანია დავადგინოთ ენათა სხვადასხვა სისტემის თანხმობანთა მკვლევრობის ხარისხი, რაც ეყრდნობა ექსპერიმენტული კვლევის მონაცემებს. კვლევის საბოლოო შედეგი საშუალებას მოგვცემს ერთმანეთს შევედაროთ რამდენიმე ენის თანხმობანთა მკვლევრობა და მოვახდინოთ ამ ენათა შემდგომი ტიპოლოგიური ანალიზი.

ამჯერად მსკელობის ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ აზერბაიჯანული სალიტერატურო ენის მკვლერ-ხშული ფონემები.

საერთო ფონემური სისტემის კვლევა აზერბაიჯანული ენისა ჩატარებულა სხვადასხვა მკვლევრის მიერ სხვადასხვა დროს. აღსანიშნავია ა. ახუნდოვის ვრცელი ნაშრომი ამ სფეროში „აზერბაიჯანული ენის ფონემური სისტემა“¹.

ჩვენ მიერ ჩატარებული ოსცილოგრაფული ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ შეძლებისდაგვარად შეგვეცხო მონაცემები აზერბაიჯანული სალიტერატურო ენის მკვლერ თანხმობანთა შესახებ მკვლევრობის ხარისხის თვალსაზრისით.

ოსცილოგრაფული გამოკვლევა აზერბაიჯანულ ენის ხუთი მკვლერ-ხშული თანხმობენისა [b, d, g, g', ǰ] შესრულდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ზოგადი ფონეტიკისა და აღმოსავლურ ენათა ტიპოლოგიის ლაბორატორიაში 1978 წელს.

მასალის ჩასაწერად გამოვიყენეთ „ტემბრის“ ტიპის მაგნიტოფონი და შლეიფური ოსცილოგრაფი H—102. კინოფირის მოძრაობის სიჩქარე ოსცილოგრაფზე ჩაწერის დროს შეადგენდა 250 მმ/სეკ. 35 მმ-იან კინოფირზე ლარინგოფონის გამოყენებით ფიქსირებულ იქნა: სახმო სიმების მოქმედება ბგერის არტიკულაციის დროს, ასევე ინტენსივობის მრუდი, ხოლო დროის აღმნიშვნელად გამოვიყენეთ ოსცილოგრაფის სტანდარტული აღმნიშვნელი.

ექსპერიმენტში მონაწილეობდა სამი დიქტორი: პუშკინის საბ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტი ტ. ყულიევი, სტუდენტები ხ. პუსეინოვი და მ. ქარაკოვა. აზერბაიჯანული წარმოადგენს სამივე დიქტორისათვის მშობლიურ ენას.

ექსპერიმენტისათვის შევარჩიეთ უმთავრესად სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ერთმარცვლიანი და ორმარცვლიანი სიტყვები. მკვლერ თანხმობენებს ვიკვლევდით სხვადასხვა პოზიციურ მდგომარეობაში — როგორც სიტყვის თავკიდურ, ასევე ინტერვოკალურ პოზიციაში და სიტყვის ბოლოს — აუსლაუტში ამჯერად სიტყვების შერჩევა ისე მოვახდინეთ, რომ მკვლერ-ხშული ყოფილიყო [a] ხმოვნის გარემოცვაში², ვინაიდან აღნიშნული მდგომარეობა აზერბაიჯანული ენის თანხმობანთათვის უფრო ბუნებრივია და ხშირი.

ექსპერიმენტის შედეგად მიღებული ოსცილოგრამების ანალიზის დროს ვისარგებლეთ პაკონჩელი-კალციას ცნობილი მეთოდით, რომლის არსი გადმო-

ცემული აქვს აკად. გ. ახვლედიანს „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში“³, იგივე მეთოდი გამოყენებული აქვს თ. აბზიანიძეს ნაშრომში „ქართული ენის მკვლერ-სშულ თანხმოვანთა მკვლერობის ხარისხი“⁴.

ჩვენს ლაბორატორიაში მიღებულმა ოსცილოგრაფულმა მასალამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვედგინა: პირველ რიგში საკვლევ ბგერათა საერთო გრძლივობა, რა თქმა უნდა შეფარდებითი⁵ (ვინაიდან აბსოლუტური გრძლივობის დადგენა თითქმის შეუძლებელი ხდება, რადგან ერთი და იგივე მონაკვეთი შეიძლება გვაძლევდეს ინფორმაციას ორი მომდევნო ბგერის შესახებ), აგრეთვე მკვლერობის გრძლივობა და ამ მონაკვეთების საფუძველზე მოგვეხდინა გამოთვლა ჩვენთვის საინტერესო ბგერის მკვლერობის ხარისხისა ცნობილი ფორმულით $[x:L = a:10]$ ⁶. განვიხილოთ ოსცილოგრამებზე [b, d, g, g', g''] ხშულები ანლაუტში ხმოვნის წინ, დიქტონების ტ. ყულევის და ს. ჰუსეინოვას წარმოთქმით.


სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ანლაუტში მკვლერ-ხშულ თანხმოვანთა გამოყოფა მომდევნო ხმოვნისაგან ოსცილოგრამაზე ძნელად დასადგენია, ვინაიდან სურათი ყელის მრუდზე ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ხშვისა და სკდომის ფაზები ერთმანეთს ემთხვევა, მომდევნო ხმოვანზე გადასვლა კი შეიძლება აღინიშნოს მიკროფონულ მრუდზე პერიოდული რხევების გაზრდით⁷.

განვიხილოთ ოსცილოგრამები ერთმარცვლიანი სიტყვებისა: bal—თაფლი, dan—განთიადი, gab—ჭურჭელი, g'ap—ლაპარაკი g'an—სული.


[b, d, g, g', g''] ხშულთა ოსცილოგრაფულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სიტყვის აბსოლუტურ საწყის პოზიციაში ისინი თითქმის მთლიანად ყრუვდებიან ანდა უმნიშვნელო მკვლერობას ინარჩუნებენ. [b] ლაბიალისთვის ხშვის ფაზის გრძლივობის გამოთვლა საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა, ვინაიდან ამ მომენტში ყელის მრუდზე პერიოდული რხევები თითქმის არ შეინიშნება, მხოლოდ სკდომის მომენტში მიკროფონულ მრუდზე აღინიშნება შედარებით მაღალი სიხშირის მაჩვენებლები. ინტენსივობა სახმო დიაპაზონზე მომდევნო [a] ხმოვანზე გადასვლასთან ერთად თანდათან იზრდება, მაგრამ მასთან შედარებით გაცილებით დაბალია. ბგერის საერთო გრძლივობა ჩვენი გაანგარიშებით სიტყვაში [bal] (ოსც. 1, დიქტ. პ. ზ.) 16 მსკ. უდრის. მკვლერობის გრძლივობა—20 მსკ. მკვლერობის ხარისხი $\pi \approx 1,2$. მკვლერობის ადგილი $t=8,8 \rightarrow 10$. ძირითადი ტონის სიმაღლე [b] ბგერისათვის ამ პოზიციაში—120 ჰც, მომდევნო ხმოვნისა—180 ჰც. თითქმის ანალოგიური სურათია ოსცილოგრამაზე. ტ. ყ-ს წარმოთქმით აქ $\pi \approx 1,3$.

მცირე მკვლერობით ხასიათდება ანლაუტში წინაენისმიერი [d] სიტყვაში [dan]. ხშვის ხასიათით ლაბიალი [b] და დენტალი [d] ერთმანეთისაგან თითქმის არ განირჩევა. სხვაობა მხოლოდ სკდომის ხასიათშია, ისიც მცირე. IdI-სთან მეტა ჩქამიერი შემადგენლები. მკლ. ხარისხი $\pi \approx 1,03$ ⁸.



უკანაენისმიერი [g] სიტყვის დასაწყისში ერთმარცვლიანი სიტყვებში იხმარება უმთავრესად უკანა რიგის ხმოვნების წინ. სიტყვაში [gab] ოსც. 2. ხშვის ფაზა მთლიანად ყრუა; სკდომის მომენტში ყელის მრუდი გვიჩვენებს პერიოდულობას, მაგრამ ეს ფაზა მეტად ხანმოკლეა და შედგენს 10—15 მსკ-ს. ბგერის საერთო გრძლივობა 150 მსკ-ია. მკვლერობა იწყება 135 მსკ.-ის შემდეგ. აქ $\pi \approx 0,2$. მკვლერობის ადგილი; 9,8→10.



სურ. 1. დეტ. პ. ზ., 1. (b)al, 2. (g)ab, 3. (g)an



სურ. 3. დეტ. პ. ზ. 1. ba(b). 2. a(g)



სურ. 2. დეტ. პ. ზ., 1. a(b)a, 2. a(g)a

აფრიკატიზებული ხშულის გ' მცლერობა სიტყვაში [g'ap] რამდენადმე აღმეტება წინა ბგერისას და შეადგენს 1,3. მსკ., შეფარდება მცლერობა-სიყრუისა 8,7→10.

ფონემი |ჭ| პოსტველარული მცლერი აფრიკატი გვხვდება შეუზღუდავად თითქმის ყოველგვარ პოზიციაში. [ǧan] სიტყვის ოსცილოგრამაზე (ოსც. 3) ბგერის დასაწყისიდანვე ყელის მრულზე აღინიშნება პერიოდული რხევები. დაყოვნების სტადიაში ეს პერიოდულობა ოდნავ რედუცირებულია, რაც მიუთითებს ხშვის ფაზის ნაწილობრივ მცლერობაზე. სკდომის მომენტში მიკროფონულ მრულზეც აღინიშნება მაღალი სიხშირის რხევები. ხშვა გრძელდება 105 მსკ. აქედან ყრუ ფაზა 50 მსკ-ია, სკდომა 65 მსკ. ამგვარად, ბგერის საერთო გრძლივობა 3. ზ-ს წარმოთქმით 165 მსკ-ია, მცლერობა მოიცავს 120 მსკ-ს, $\pi \approx 7$ მღე, ძირითადი ტონის სიმაღლე საარტიკულაციო ხშვის მომენტში გ'-სთვის 155 ჰც, მომღვენო ხმოვნისათვის 240 ჰც. რამდენადმე დაბალია ძირითადი ტონის სიმაღლე ბგერისა ტ. კ.-ს წარმოთქმაში და ტოლია 110 ჰც. (იხ. ცხრილი).

ამგვარად, ანლაუტში |a| ხმოვნის წინ [b, d, g, g', ǧ] მცლერ-ხშულები მცლერობას მხოლოდ ნაწილობრივ ინარჩუნებენ; ზოგჯერ კი მთლიანად კარგავენ და თავიანთი არტიკულაციით შესაბამის ყრუ ლაბრუპტივებს ემსგავსებიან. ქართული ენის მცლერ-ხშულებთან შედარებისას იმავე პოზიციაში თითქმის ანალოგიურ სურათს ვხედავთ. განსხვავება იმაშია, რომ ჩვენი ექსპერიმენტის მონაცემებით აზერბაიჯანული ენის მცლერ-ხშულები ანლაუტში უფრო მეტად იხრებიან შესაბამისი ყრუ ვარიანტებისაკენ.

ინტერვოკალური პოზიცია მცლერი თანხმოვნებისთვის ძლიერ პოზიციადა ითვლება და აქ მოსალოდნელი იყო მათი მაქსიმალური მცლერობა.

ლიტ.	სიტყვა	ბგერის საერთო გრძლივობა	მცლერობის გრძლივობა	მცლერობის ხარისხი
ქ. ზ.	ba	160	20	1,2
ტ. კ.		165	20	1,3
ქ. ზ.	dan	120	15	1,02
ტ. კ.		135	18	1,03
ქ. ზ.	gab	150	10	0,1
ტ. კ.		140	15	0,2
ქ. ზ.	g'ap	165	22	1,03
ტ. კ.		170	25	1
ქ. ზ.	ǧan	165	120	7
ტ. კ.		185	110	5,9

|b| ლაბიალი განვიხილეთ სიტყვაში [aba—ქველმანი] (ოსც. 4). საარტიკულაციო ხშვის მთელი პერიოდის მანძილზე ყელის მრულზე აღინიშნება პერიოდული რხევები და მიკროფონულ მრულზე პერიოდული რხევები ერწყმიან მაღალსიხშირიან რხევებს. საარტიკულაციო ხშვა 115 მსკ გრძელდება. სკდომის ფაზაში, რომელიც მოიცავს 15 მსკ.-ს, სახმო სიმების რხევების ინტენსივობა რამდენადმე ეცემა და ისევ იზრდება მომღვენო ხმოვნის დასაწყისიდანვე. მცლერ-ხშული |b| ინტერვოკალურ პოზიციაში სრულფასოვანი მცლერია. აქ $\pi \approx 10$.

თითქმის ანალოგიური სურათია [ada—კუნძული] სიტყვის ოსცილოგრამაზე. ამ პოზიციაში |d| მაქსიმალურად მცლერია. ორივე დიქტორის წარმოთქმაში

სახმო სიმების პერიოდული რხევების ამპლიტუდა წინა და მომდევნო ხმოვანთან შედარებით უფრო მაღალიცაა. საარტიკულაციო ხშვის მთელ მანძილზე, რომელიც 140 მსკ-ს მოიცავს, მქლერობა არ წყდება. სკდომა 18—20 მსკ-ია. π აქ 10-ის ტოლია.

უკანაენისმიერ |გ| სიტყვაში [aga-] ჩვენი ოსცილოგრაფების მონაცემებით არ გვიჩვენებს სრულფასოვან მქლერობას. ხშვის მთელ პერიოდში, რომელიც გრძელდება 85 მსკ, ყელის მრუდზე აღინიშნება პერიოდული რხევები, რომელიც ხშვის შემდგომ პერიოდში 25 მსკ-ის განმავლობაში წყდება და კვლავ განახლება სკდომის მომენტში. სკდომა 30 მსკ. გრძელდება. ამ დროს ინტენსივობაც ნულამდე ეცემა და მომდევნო ხმოვანზე გადასვლისას კვლავ იზრდება. ძირითადი ტონის სიმაღლე ხშვის პერიოდში გ-სთვის 115 ჰც-ია, ხმოვნისათვის, რომელიც მას მოსდევს 160 ჰც, მქლერობის ხარისხი ≈ 6 -მდე, მელ. ადგილი 4—10.

ამრიგად იმ აზრს, რომ აზერბაიჯანულში სრული მქლერობის გ თანხმოვანი იშვიათად გვხვდება, ჩვენი ექსპერიმენტაც დასტურებს.

მსგავსი სურათი შეინიშნება აფრიკატიზებულ ხშულისთვის /გ'/ სიტყვაში [ag'a].

მქლერი აფრიკატი |გ'| სიტყვაში [ag'a] ოსც. 5 არ. ხასიათდება სრულფასოვანი მქლერობით. ხშვის ფაზას ნახევარი ყელის მრუდზე აღინიშნება პერიოდული რხევებით, რომელიც 50 მსკ-ის შემდეგ წყდება და აღარ ჩანს სკდომის განხორციელებამდე. ყრუ ფაზა 40 მსკ-ს ითვლის. ბგერის საერთო გრძლივობა 200 მსკ უდრის. სკდომის მომენტი მოიცავს 110 მსკ. მქლერობის გრძლივობა 160-მსკ. მქლერობის ხარისხი ამ პოზიციაში ≈ 8 უდრის, მქლერობის ადგილი ოსცილოგრაფზე 2—10. ტ. კ.-ს წარმოთქმით |გ'| მქლერობის ხარისხი რამდენადმე ნაკლებია.

ამრიგად, განხილული მაგალითებიდან ინტერვოკალურ პოზიციაში მაქსიმალურ მქლერობას გვიჩვენებენ ბილაბიალური |ბ| და დენტალი |დ|, ხოლო [გ, გ' გ] მქლერ-ხშულები ჩვენ მიერ განალიზებული ოსცილოგრაფების საფუძველზე სრულფასოვანი მქლერობით არ ხასიათდება.

ქართული ენის შესაბამის მქლერ-ხშულებთან შედარებისას ინტერვოკალურ პოზიციაში განსხვავებულია ქართული ენის მქლერი |გ|, რომელიც ინტერვოკალურ პოზიციაში ყოველთვის აბსოლუტურად მქლერია, მაგ. ბაგა.

აუსლაუტი ზოგიერთი ენის მქლერი თანხმოვნებისთვის არ წარმოადგენს სუსტ პოზიციას. ასეა, მაგ., ფრანგულ და ინგლისურ ენებში. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ამ ენებში ბოლო პოზიციას როგორც მქლერებისთვის, ასევე ყრუ თანხმოვნებისთვის აქვს მხოლოდ სიტყვათგანმამსხვავებელი მნიშვნელობა¹¹.

აზერბაიჯანული ენის მქლერ-ხშულათათვის აუსლაუტი სუსტ პოზიციადა ითვლება. ამ პოზიციაში ისინი ან სრულიად ყრუვდებიან ან ყრუ-ფშვინვიერებად იქცევიან. ასე ხდება ერთმარცვლიან სიტყვებში bab—ტოლი, სწორი, dad—ვემო, rang'—ფერი.

განსხვავებულ აკუსტიკურ თვისებებს ამჟღავნებს აუსლაუტში |გ'| აფრიკატი, რომელიც განვიხილეთ ერთმარცვლიან სიტყვაში [ag']—მშიერი (ოსც. 7). ხშვისა და სკდომის მთელი პერიოდის მანძილზე ოსცილოგრაფზე არ წყდება პერიოდული რხევები. ამ პოზიციაში გ აფრიკატი სრულფასოვანი მქლერია.

რაც შეეხება უკანაენისმიერ გ-ს, ორმარცვლიან სიტყვაში [alag]—თარო ხდება მისი სპირანტოზაცია, ემსგავსება რბილსასისმიერ ნაპრალოვან |Y|-ს.

ანალოგიური თვისებებით ხასიათდებიან ქართული ენის ხშულები აუსლაუტში. ამ პოზიციაში ისინი მთლიანად კარგავენ მკვლევრობას და ყრუ-ფშვინვიერებად იქცევიან.

ამგვარად, ჩატარებული ექსპერიმენტული ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1. ანლაუტში |ა| ხმოვნის წინ აზერბაიჯანული სალიტერატურო ენის მკვლერ-ხშული თანხმოვნები [b, d, g, g', ǰ] ერთმარცვლიან სიტყვებში თითქმის მთლიანად ყრუვდებიან ანდა უმნიშვნელო მკვლევრობას ინარჩუნებენ. იგივე პოზიციაში ქართული ენის მკვლერ-ხშულებთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ მკვლევრობის უმცირესი ხარისხით აზერბაიჯანული ენის მკვლერ-ხშულები კიდევ უფრო მეტად იხრებიან შესაბამისი ყრუ ვარიანტებისაკენ.

2. ინტერვოკალურ პოზიციაში ლაბიალი |ბ| და დენტალი |დ| სრულდასოვანი მკვლევრობით ხასიათდებიან. ამ პოზიციაში [g, g', ǰ] ბგერები ნახევრად მკვლერები არიან. ქართული ენის მკვლერ-ხშული თანხმოვნები კი იმავე პოზიციაში აბსოლუტური მკვლევრობით ხასიათდებიან. აქ გამოჩნდის მხოლოდ ǰ აფრიკატი, რომელიც არც ამ პოზიციაში გვიჩვენებს მაქსიმალურ მკვლევრობას.

3. აუსლაუტში როგორც აზერბაიჯანული, ასევე ქართული ენის მკვლერ-ხშულები ან მთლიანად ყრუვდებიან, ან ყრუ-ფშვინვიერებას ენსჯაღებებიან. გამოჩნდის მხოლოდ აზერბაიჯანულის ǰ აფრიკატი, რომელიც ჩვენ მიერ განხილულ ერთმარცვლიან სიტყვებში აუსლაუტშიც ინარჩუნებს სრულდასოვან მკვლევრობას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ა. ა ხ უ ნ დ ო ვ ი, აზერბაიჯანული ენის ფონემური სისტემა, ბაკო, 1965. (აზერბ. ენაზე).

2. სომხური სალიტერატურო ენის თანხმოვანთა ძირითადი უმრავლესობა ექსპერიმენტულად განიხილეს. ა. ხ ა ჩ ა ტ უ რ ი ა ნ შ ა და . ვ. ა ი რ ა ბ ე ტ ი ა ნ შ ა : Экспериментальное исследование согласных фонем литературного армянского языка, Ереван, 1971, გვ. 30.

3. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1938, გვ. 68.

4. თ. ა ბ ზ ი ა ნ ი ძ ე, ქართული ენის მკვლერ-ხშულ თანხმოვანთა მკვლევრობის ხარისხი, Фонетический сборник ТГУ, თბილისი, 1959.

5. Л. В. Бондарко, Звуковой строй современного русского языка, Москва, 1971, გვ. 46.

6. პაკონჩელი-კალციას ცნობილ ფორმულაში [n:l. π:10] L აღნიშნავს ზგერის საერთო გრძლივობას, π—მკვლევრობის გრძლივობას, π—მკვლევრობის ხარისხს, 10—აბსოლუტურ მკვლევრობას.

7. საყურადღებოა ლ. ბონდარკოს აზრი მკვლერ-ხშულთა შესახებ ანალოგიურ პოზიციაში «Смычные звонкие согласные имеют рисунок, состоящий из двух частей: во время звонкой смычки регистрируется основной тон, а в конце звучания, в момент взрыва—и высокие составляющие». Л. В. Бондарко, Звуковой строй совр. русского языка, გვ. 42—43.

8. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სპარსულში |დ| თანხმოვანი აბსოლუტურ მკვლევრობას ინარჩუნებს სიტყვის თავიდან პოზიციაში. შ. გაღრინაშვილი და ჯ. გულნაშვილი მიუთითებენ, რომ «Осциллограмма слова [d̥d̥] — дым свидетельствует о том, что смычно-взрывной |д| в абсолютном начале слова является полноценным звонким. Звонким является как момент взрыва, так и момент смычки на всем протяжении». Ш. Гаприндашвили, Дж. Гиунашвили, Фонетика персидского языка, Тбилиси, 1964, გვ. 122.

9. ა. ახუნდოვი მიუთითებს, რომ «სრული მკვლევრობის გ თანხმოვანი აზერბაიჯანულში არც

ინლაუტში და არც ინტერვოკალურ პოზიციაში არ გვეხვდება". ა. ახუნდოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

10. ლ. ჯ. გამსახურდიამ ექსპერიმენტულად შეისწავლა ქართული ენის მკლერ-ხმულები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქართული ენის (b, d, g) ხმულები სიტყვის ბოლოს მთლიანად ყრუდებიან და ვადაღიან შესაბამის ყრუ-ფშევიერებში. (ლ. ჯ. გამსახურდია, ქართული და ინგლისური ენების ფონემათა შედარებითი ანალიზი, ТГУ. 1953, გვ. 109. ამასვე აღასტურებს თ. აბუიანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

11. გ. პ. ტორსუევი აღნიშნავს, რომ „ინგლისურში ბოლო პოზიციის როგორც მკლერ-ბისათვის, ასევე ყრუ თანხმოვნებისთვის აქვს მხოლოდ სიტყვათვანმასხვავებელი მნიშვნელობა". П. Торсуев, Фонетика английского языка, Москва, 1950.

Ц. П. ХМИАДАШВИЛИ

О СТЕПЕНИ ЗВОНКОСТИ СМЫЧНЫХ В АЗЕРБАЙДЖАНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В результате экспериментального сопоставительного анализа азербайджанских и грузинских звонко-смычных согласных, проведенного методами осциллографии, были выявлены следующие различия в степени звонкости в анлауте, в интервокальной позиции и в ауслауте.

1. В анлауте перед гласным [a] азербайджанские звонко-смычные [b, d, g, g', ǰ] в односложных словах полностью оглушаются или показывают незначительную звонкость. В этой позиции они по сравнению с грузинскими звонко-смычными более склоняются к соответствующим глухим вариантам.

2. В интервокальной позиции билабиальный [b] и дентальный [d] азербайджанского языка, как и грузинские (b, d), характеризуются полной звонкостью. В этой позиции смычные [g, g', ǰ] по данным наших осциллограмм не показывают полную звонкость. Звонко-смычные грузинского языка за исключением звонкой аффрикаты [ǰ] характеризуются абсолютной звонкостью.

3. В ауслауте как азербайджанские, так и грузинские звонкие смычные или полностью оглушаются или же уподобляются глухим придыхательным. Исключение составляет аффриката [ǰ] азерб. языка, которая в рассмотренных нами односложных словах показывает полную звонкость.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ზოგადი ფონეტიკის და აღმოსავლურ ენათა ტიპოლოგიის ლაბორატორია

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ცნობები და შენიშვნები

იოსებ მებრძოლია

ლიახვიც ხმოვის წარწერები და სხვა სიმკვლეები

XVI

ხეწე-კროჟა-წიარა-ჯალდა

ხეწე. სოფელი ხეწე მდებარეობს უკვე აღწერილ გუფთა-ჯავის ზემოთ, რაიონის ცენტრ ჯავიდან 2—3 კმ-ის დაშორებით. ხეწე ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია ლიახვი ხეწის ხევის შესართავთან და ცნობილია ე. წ. „სასუნებელი აბანოთი“ (ოსური სმუდან-აბანო). ვახუშტი წერს: „ხეწის პირისპირ, ლიახუს გაღმა კიდურს არს მიწა სასუნებელი, და უდის სუნი ფრიად ძნელი, არამედ ჰკურნებს ქარსა, სევდასა და ინთილას სუნებითა, გარნა მსუნებელი შებნდების სუნითა“¹. ეს „აბანო“ ნ. ლიხაჩოვს აქვს აღწერილი.

ს. ხეწის ხიდის მახლობლად (დაახლ. 100 მ-ზე), კროჟისაკენ მიმავალ გზაზე (გორაკის ფენზე), სამი ორმოა, მათში ნაცრისფერი ტალახია და ორმოდან ამოდის გოგირდმჟავას სუნი (გაზიანი გრიფონი), რომელსაც ხალხი ნიშადურის სუნს უწოდებს. ამ გაზის სუნი ხან მეტად მწვეავეა, ხან — ნაკლებად. აქ მოდიან, დაეშვებიან მუხლზე, ჩაყოფენ ორმოში თავს, შეისუნთქავენ. გაზი სცემს ადამიანს ცხვირში, ააცრემლებს კიდევ; და ამბობენ, ეს აბანო ძალიან უხდება თავის ტკივილს, სასუნთქი ორგანოების ბრონქიალურ დაავადებებს, თვალის სნეულებას, რევმატიზმსა და საერთოდ ძვლის ტკივილსო. ავადყოფები აქ შორიდანაც მოდიან, ზოგიერთი ბნელ ხვრელში ხელს ან ფეხს ყოფს და არ ეშინია გველისაც კი. ამბობენ: ქვეწარმავლები ამ აბანოს სუნს ვერ უძლებენ და ახლოსაც არ ეკარებიანო. ჩვენი იქ ყოფნისას ამ ხვრელში ლეკვს შეაყოფინეს თავი. ამოყვანისას იგი ფეხზეც ვეღარ დადგა, შემდეგ კი ბარბაცით გაიქცა.

ხეწეში, დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირზე ამოდის მინერალური წყალი — ხეწე ს უ ა რ, რომელიც განსხვავდება ჯ ა უ ს უ ა რ ი დ ა ნ. ხეწესუარსაც სამკურნალო წყლად თვლიან და მასაც კარგ მომავალს უსაზვენ.

1865 წ. ხეწეში 47 კომლი სახლობდა. იგი მაშინ ჯავის სამამასახლოსში შედიოდა. ახლა ხეწის ცალკე სასოფლო საბჭოა, რომელშიც შედის სოფლები: ქვემო და ზემო ხეწე, ბორგნისი, ელბაქითა, კიმასი (ჭიმასი), კროჟა, მზივი, მუგუთი, სახელეთი, სტირფაზი, წიფგინა, ჭვრივი და ჩეთარი.

ჯავიდან ხეწისაკენ გზაზე მდ. დიდ ლიახვზე ხილია. მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ზიდიდან ოდნავ ზემოთ (კლდის ძირში), მცირე დავაკებაა. მას ს უ ხ თ ა (ოს, სეხთა) ჰქვია (ს ო ხ თ ა ს ხ ვ ა სოფელია ყველთვის სასოფლო საბჭოში). აქ ერთ კლდეს მ ა ი რ ა მ ე უ უ ა რ ს უწოდებენ. იგი ქალთა სალოცავად ითვლებოდა. წინათ მასთან შესაწირავი მიჰქონდათ (ხაჭაპურები, ლუდი, არაყი) და მიმსვლელთაგანი „მაირამს“ (მარიამს) შესთხოვდა: ვაჟი მომეცო.

¹ ვახუშტი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973, გვ. 372.

როცა ქალს ვაჟი შეეძინებოდა, ის ერთი ან ორი წლის ვაჟითურთ კვლავ მიდიოდა ძღვნით ამ კლდესთან და შესთხოვდა მაირამს — ეს გამიზარდეთ.

ხეწის დასავლეთით, წიწვოვანი და ფოთლოვანი მცენარეებით დაფარულ მაღალ გორაკს მაცხოვარს უწოდებენ. მის მწვერვალზე მაცხოვრის სახელობის ეკლესიის ნანგრევებია. ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელზე სენაკი ყოფილა მიდგმული, რომლიდანაც კარი ეკლესიაში შედიოდა. ნაგებობებს გალავანი ჰქონია შემოვლებული.

ნაგებობის სიგრძე — 13 მ, განი — 7,5 მ, სიმაღლე 8 მ-მდეა. კუთხეების, კარებისა და სარკმლების ქვები თლილია, კედლები ყორეა.

ეკლესიის სამხრეთი კარის მარჯვენა (გარედან) მხარის ქვაზე წრეში ჩასმული სწორმკლავებიანი ჭვარია გამოსახული. ქვას ცენტრში წერტილი აქვს.

მაცხოვრის ეკლესიის ნაგებობა კროყას ეკლესიაზე (იხ. ქვემოთ, XI ს.)

თუ ძველი არაა, გვიანდელი არ უნდა იყოს.

მაცხოვრობას სპეციალურად აღდგომას იხდიდნენ.

პ. დ. ხარებოვი (1954 წელს 75 წლისა) ამბობს: „ვისაც სად ვინ ნათესავი გვეყავდა, აღდგომას მაცხოვარზე მოდიოდა, ზოგჯერ თოვლიც იყო იმ დროს აქ, მაგრამ ნაძვის ტოტებს დავაფენდით მიწაზე, საკლავს კვლავდით, ლუდი, არაყი და სხვა მოგეჭონდა, მოვილხენდით, ბალდარანს (ახალკვირას) გორიჭვარს (სოფლის სასაფლაოსთან) განვაგრობდით ღვინს“.

მაცხოვრის ტყეში აუარებელი ხმელი შეშაა. ხეწის მოსახლეობას შორიდან მოაქვს შეშა და აქედან ფიჩხსაც კი არავინ არ გაიტანს.

სოფლიდან მაცხოვარს ასასვლელ გზაზე ერთი დიდი ქვა ძვეს, რომელსაც ოსები ვაიგი დურ-ს (დევის ქვას) უწოდებენ.

ერთი ლეგენდის თანახმად, როდესაც მაცხოვრის ეკლესიას აშენებდნენ, ერთი ქვა ვერც ერთ ადამიანს ვერ აუწევია. სურვებიათ კი მისი მშენებლობაში ჩატანება. ადამიანებს დაუჭერიათ დევი, აუღებინებიათ ქვა და უბრძანებიათ: მაცხოვრის მწვერვალზე აიტანეთ. წაუღია დევს, მაგრამ გზაში შეუსვენებია, ქვა ძირს დაუდვია და ზე დამჯდარაო. ქვის შუა ნაწილი ჩანგქილია და მას მარჯენივ და მარცხენივაც ლარისებრი კვალი ამჩნევია. პირველს დევის ნაჭდომსა და მეორეს ნამკლავებს უწოდებენ. შემდეგ დევი გაიქცა და ქვა აქვე დარჩაო.

ს. ხეწის ჩრდილოეთით მთაა, რომელზეც დიდი მუხა დგას. მუხის ადგილს ვაშილას უწოდებენ (ლიტ.—ვაცილა) და ზედა ხეწის (მულუთას, ოს. მუგუთი) სალოცავად ითვლებოდა; აქ აღდგომის შემდეგ კვირას (ახალკვირას) თითოეულ ოჯახს სამი ხაბიჩინი (ხაჭაპური) და ერთი ბოთლი არაყი მოჰქონდა.

ვაშილადან ჩრდილოეთით, უფრო მაღლა, ე. წ. რაღუვარი — საკლავი ადგილია, (სალოცავი). აქ დღეობაზე ქადაგი ვისაც რას ეტყოდა, მას ის უნდა მოეტანაო.

რამდენიმე საფლავი ს. ხეწის ჩრდილო-აღმოსავლეთ უბანშიც არის. იქვე კოშკიც მდგარა. კოშკის ნანგრევები ხეწის დასავლეთ ნაწილში, მუგუთხევის ნაპირზეც ჩანს. სხვათა შორის, ვახუშტი ხეწეს აღნიშნავს მუგუთის ხევის ლიახვში (დასავლეთიდან, მარჯვენა შენაკადის) შესართავის ქვევით. ახლა ეს ნაწილი სოფლის ერთ-ერთი უბანთაგანია. ვახუშტი წერს აგრეთვე, რომ მუგუთის ხევის ლიახვში შერთვის ზევით „ალაშენა ციხე მაჩაბელმა“.

შეუმუსრეს ურუმთა (თურქთა — ი. მ.), რომელი იყო მაღალ კლდესა ზედა“ (გვ. 372), მაგრამ აქ ციხის ნანგრევებს ვერ ვხედავთ. შეიძლება, მან ციხე უწოდა კოშკს, რომლის ნანგრევები აქ მართლაც არის.

ს. ხეწეში მუგუთის ხევის (მუგუთლონის) მდ. ლიხვში შესართავის „ნახევარკუნძულზე“ სოფლის სასაფლაოა. საფლავის ქვათა წარწერებიდან ერთ-ერთი უფრო ძველთაგანი (პატარა ქვა) გვაუწყებს:

„ჩუობ-სა წელსა (,) მაისის ბ დღესა გარდა(-)

(გვარი)

იცვალა მონა ღვთისა

ირინე სვიმონა თიბილაშვილის

ასული (.) არის ღ წლისა (.) ვინც ამას წა(-)

იკითხოს (,) შენდობას უბრძანოს (.)“

(1872 წ.).

„სიმონა რამანას ძე თიბილაშვილი

1902 წელსა (,) გიორგობის თვის² 5 დღესა“ აღსრულებულა.

1903 წ. დასაფლავებულ ერთ-ერთი თიბილაშვილის შესახებ წერია: „მოიხსენიე (,) უფალო (,)... წამკითხველს გვედრით (,) თითო პირი (შენდობა ბრძანოთ)!“

1904 წ. გარდაცვლილი ერთი ქალის ქვას აწერია: „მა გ და გიორგი თიბილაშვილის ძე უღლე, შობილდგან 84 წლისა“.

მეორე ქვაზე ვკითხულობთ: „ვასიკო მოშკას ძე თიბილაშვილი აღვისრულდი 1889 წ. აპრილს დღის 27“.

შემდეგ ქვაზე ირჩევა „ალექსი მიხას ძე თიბილაოვ. გარდაიცვალა(ა)/ 1890 წ. მარტობისთვის 4“(.)

სასაფლაოს პირველი უბანი თიბილაშვილებს უჭერია, მეორე კი — ცხოვრებაშვილებს (ახლა — ცხოვრებოვებს) და ა. შ.

საკურადღებოა ის ფაქტი, რომ, როგორც აქა-იქ სხვაგანაც, ამ ხეობაშიც გვხვდება ქართული ასოებით შესრულებული ოსური წარწერებიც. ერთ-ერთი მათგანის სამხრეთ მხარეზე ვკითხულობთ: „ხარებოვი ანადან ნაუდან აზამ/ ამა მინ შაჰარ ზაგ. რუსაგ/ ზაღათ“ — ხარებოვი ანადან ციური (უნაზესი) ადამიანი უნდა იყოს ნათელშიო (გაანათლოს).

ამავე ქვას (!) ზემოდან აწერია: „1912 წელსა, მარტის 19-სა დღესა გარდაიცვალა 88 წლისა გავუ ქვაზაძე“.

სხვა დიდ ქვაზე წარწერა ზემოდან აღარ იკითხება; სამხრეთ მხარეზე კარგად ჩანს: „ხარებოვი ანადან ნაუდან აზამ/ ამა მინ შაჰარ ზათ რუსაგ ზაღათ“ — ხარებოვი ანადან, ნაზი ადამიანი, გაანათლოსო (უთხარით, იცოცხლოს).

საკვირველია, რომ ორივე წარწერაში ერთსა და იმავე პირზეა (!) ლაპარაკი, ოღონდ წარწერათა ტექსტებში ასოებითი განსხვავებაა და პირველის ზემოდან სხვა პიროვნება (გავუ ქვაზაძე) იხსენიება, თანაც პირველი ქვა უფრო მხატვრულია, ვიდრე მეორე.

² თვის, როგორც ბევრჯერ სხვაგან, ისე აქაც ცალკე სიტყვად წერია.

³ რუსსაგ იყო მოსალოდნელი.

ერთ-ერთი შედარებით ძველი წარწერა ასე იკითხება:

(ზემოდან)

„გაუთიხველო სიკვდილო (,) წარიყვანა დაბა(-)

რებულსა (,) აღსრულებ შენსა ნებასა და

ღვთიზგან დ(ა)ვალეზულსა (,) ა(რ)ც კითხამს

(სამხრეთიდან)

მდიდარს (,) არც ღარიბშეწუხებულსა (,) ვარ ნი(-)

კოლოზ ყავდინას ძე ხარებაშვილი კვ წლ(-)

ისა (,) აღსრულდა გირგობის ივ-სა დღესა

ჩუპვ წელს (.)

(ჩრდილოეთიდან)

ვინც წაიკითხოს (,) შენდობა უბრძანოს“.

ე. ი. გარდაცვლილა 26 წლის 1886 წლის 16 ნოემბერს.

წარწერა ეთნოგრაფიულადაცაა საინტერესო: ოს. ყავდინ (ანუ კავდინ) ნიშნავს „ლევკს“. ბავშვი რომ „სიკვდილს არ წაელო“, არქმევდნენ „ტულ სახელსო“. გვხვდება სახელიც: ოს. ხავჭვეც — შავი ძაღლი, ხავლაკ — შავი კაცი და ა. შ. სხვა ქვაზე ყავდინ (ანუ კავდინ) უავდინად წერია:

„მომიხსენიე (,) უფალო (,) ლოდსა ამას ქვეშე

მდებარე რევაზ უავდინაძე ხარებაოვ. აღვ(-)

ისრულდი 1895 წ. კატატვის 5 დ. მხილველნო(,)

შენდობა მიბრძანეთ!“

ერთ-ერთი წარწერა, რომელიც გვაუწყებს მშრომელ ოსთა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, შეიცავს რიგ ენობრივ შეცდომებს. ტექსტი ასე იკითხება:

„1901 წ. მაისის 22 დ⁴. გარდაიცვალა მონა ზეთის

ვანო ქვაზას ძე ხარებოვი (,) შვილების გასაზღვლათ

გავედი ქალაქს და ჩემი საუბედუროთ აღარ დამაცალა

ღმერთმა, სიკვდილმა მისწრ. (,)⁵ დამრჩა ობლები

ასაზღვლი (,) წამკითხველნო (,) გთხოვთ შენდობა მიბრძანოთ“.

ერთ-ერთ ქვაზე ხარებაშვილი ხარებაეე-ად იხსენიება.

(ზემოდან)

„მომიხსენიე (,) უფალო (,) ლოდსა ამას ქვეშე

(სამხრეთიდან)

მდებარე როსება ლიჯას ძე ხარებაეე (.)

აღსრულდი 1895 წელსა (,) გიორგობისთვის 8 დღეს.

წამკითხველნო (,) შენდობა მიბრძანეთ“.

1888 წლის 4 აპრილს გარდაცვლილი ალექსი ივანეს ძე ფარასტაშვილი ჩივის „ვიყვ დასანიშნი... სიცოცხლემ არ მამცა პირი (,) თავზედ დამედგა გვირგვინი“ ისე „ახსრულდიო“.

ფარასტაშვილების (ახლა ფარასტაეეების) რამდენიმე კომლი ცხოვრობს ხეწეში, მათ წინაპართა საფლავების ქვებზე გვხვდება სათანადო წარწერებიც.

ერთ მაღალ ქვაზე წარწერა ზემოაღნიშნულ ტექსტს ავითარებს, ოღონდ აბოლოებს სიტყვებით: „ახსრულდი 1903 წ. ქრისტიშობის თვის 14-სა დ“.

⁴ დღესა.

⁵ მომისწრო.

„მიხეილ ბათრაჯას ძე ხარებაშვილი“. საკუთარი სახელის ბათრაჯას ლიტერატურული ფორმაა ბათრამ.

1898 წ. იანვრის 28 დ. გარდაცვლილა „თეიმურაზ ძე ხარებაევის“... სახელი ოსურად არის ულა; დარეჯანის მაგიერ წერია დარეუა.

ხეწეში სოფლის ჩრდილო-დასავლეთით გორაკზე, კოლმეურნეობის კანტონის ზემოთ არის მეორე სასაფლაო, ფერდობზე. აქ ერთ ღვინისფერ საფლავის ქვეს ზემოდან აწერია:

„ჩუოთ-ს წელსა (.) მარტის 3 დღესა, გარდაიცვალა
 მღვდელი ღვთისა თალი სოსეს ასული მი წლისა
 და ვინც წაიკითხოს (.) შენდობა უბრძანოს“.

(1879 წ. 20 მარტს 50 წლისა).

წარწერაში გვარი არ იხსენიება. თავი იგივე თავია, რაც საკუთარ სახელად გვხვდება. ხეწეში ხარებოვის გვარისანს უწოდებენ მეტსახელად თავით-ს (თაზიებს), ისევე როგორც ფარასტაეებს უწოდებენ მეტსახელად განათ-ს (განაებს). აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ამ ფარასტაეების ერთ-ერთ წინაპარს განა რქმევია, ხოლო ხარებოვებისას — თავი ანუ თავი.

თავი სოსეს ასული კი შეიძლება თიბილაშვილი იყოს, რადგან იქვე, ამავე ხელით დაწერილ მეორე ქვაზე სწორედ ეს გვარი იხსენიება.

თავის წარწერა პალეოგრაფიულადაა საინტერესო. იგი თ-ს ნუსხურიდან მხედრულზე გარდამავალ მოხაზულობას მოგვაგონებს. „მღვდელი“ წერია ნაცვლად „მხეველისა“ და კ-ს პატივი ახლავს. მი — 50 იწერებოდა ნ-თი, მაგრამ აქ ქართული წარმოთქმის მიხედვით — ომოც-და-ათი — მ-40+-ი-10 წერია.

თავის საფლავის ქვის ფერისა და კუბოსთავის (სახურავის) მსგავს ქვის ზედაპირზე, იმავე ხელით (და იმავე თარიღით) წერია:

„ჩუოთ-ს წელსა (.) მარტის 3 დღესა, გარდაიცვალა
 მონა ღვთისა სოხე ყავდინას ძე თიბილა (-)
 (ქვის ზედაპირის მეორე ნახევარზე)

შვილი ა წლისა (.)

ვინც წაიკითხოს (.) შენდობა

უბრძანოს“ (ე. ი. გარდაცვლილა 60 წლისა).

საკითხავია. ეს სოხე ზემოსხენებული სახელი სოხე ხომ არაა?!

ვინმე ხარებაშვილი ჩუაზ (1867) წელსაა გარდაცვლილი. „საფლავისა ამასა ქვეშე მდებარე სოლომონ გიბილის ძე ხარებაშვილი“ — ჩუაზ (1880 წ.) წელს გარდაცვლილა (გიბილი, შდრ. ოსური სახელი გეზი). „თეიმურაზ ფირის ძე ფარასტაშვილი“ — ჩუაზ (1872 წ.) წლის „ქრისტიანობისთვის კ (20) დღესა“ აღსრულებულა (ფირი, შდრ. ოსური სახელი ფრი), ხოლო „მონა ზვთისა მესტაწის ძე ხარებაშვილი უფალმა მიიღო ჩუაგ (1863 წ.) წელსა (.) მარტის 2-ს (ასეა. — ი. შ.) დღესა“.

ხეწის თავზე (ისევ ლიახვის მარჯვენა ნაპირზე), კიძასის (ჭიძასი) ლიახეში შესართავის პირდაპირ, გორაკზე პატარა ნიშისა და კოშკის ნანგრევებია. აქვე სასაფლაოა. ერთ-ერთ კარგად გათლილ საფლავის რუხ ქვაზე ლამაზი ხელით წერია:

(ზემოდან)

„სულ ამაო ყოფილა წუთი სოფლის ცხოვრება,
 მამიტაცა სიკვდილმა (.) აღარ მამცა დროება (.)“

(სამხრეთიდან)

. მომიხსენეთ

არჩილა გაბრიელის ძე გათიკოშვილი (-)

(ჩრდილოეთიდან)

ჩუპდ წელსა (,) მაისის ა დღესა (,) შობილგან ვიყავი
ოცი წლისა (,) დამარჩა ერთი ვაჟი“ (,) (1884 წ. 1 მაისი).

ერთ ქვას ზემოდან წერია:

„ამ წუთი სოფლისგან არ მეწა წილი (,)

ზეცას იქნება ჩემი ქორწილი (-)

(ჩრდილოეთიდან)

ფარტასი ბუსიძე (!) ასული გათიკო (-)

შვილი გარდაიცვალა 1896 წ.

ერთი ვინმე ჩუ (?) (18??) წელს

„გარდაიცვალა ფეთისაგან რელგურაძე...“

სხვა ქვაზე წერია:

„ჩუპდ წელსა (,) მარიობისთვის გ დღესა

გარდაიცვალა პავლე თოდიახ ძე გათიკაშვილი“. (1885 წ. 3 აგვისტო).
 ჯავის ზევით მთაზე ტაძარია 12 მოციქულისა და მეორე მაირამის ეკლესიაო“, — აღნიშნავს 1871 წელს ვ. პუფი (გამოაქვეყნა 1872 წელს).

ს. ხეწის ჩანათას უბანში არსებული კოშკის შესახებ ფოლკლორულად
 საინტერესო ცნობა ჩავიწერეთ.

ამ კოშკიდან ერთი ქვა გადმოვარდა. ოთხმა ეაყვაცმა ვერ დაღვა იგი თავის ადგილზე. მოვიდა 160 წლის მოხუცი ფრი ფარასტაშვილი თავის 9 შვილითურთ და მამამ მათ უთხრა: ქვა ადგილზე დააბრუნეთ, თორემ ეს ცუდი ამბის ნიშანიაო. ძმებმა ცადეს, მაგრამ ქვა ვერ დაძრეს. ფრიმ თქვაო, წახდა დრო, მე ერთმა დავემ ჯეელობაში მაგ ქვა იქ და თქვენ ცხრამ ვერ ასწითო!

იქვე მყოფთ ს. ცალაგონელებმა ფრის დასცინეს: ცხრა შვილი ერთ მამად არ ღირებულაო, და თვით მამა 3 თხად აღარ ღირს, მაგ ციხეს როგორ ააშენებდაო.

ფრის ბზის ჯოხი ეჭირა ხელშიო, დაერია დამცინველ ცალაგონელებს, სცემა მათ, ცხენები და ძროხები წაართვა და გარეკაო.

მოვიდნენ იმათი უხუცესები, ფრის პატიება სთხოვეს, მანაც აპატივა და ცხოველები დაუბრუნაო.

აქვე ჩვენთან ერთად იყვნენ ცხინვალის პედინსტიტუტის დოცენტები: აკაკი თოფურია და სერგი ვუნია, თბილისის თეატრალური ინსტიტუტის ლექტორი ნინო შვანგირაძე და სხვები. ისევ იმათი თანდასწრებით ხეწეშივე გვიამბეს თქმულება ეშმაკის შესახებ, რომელიც პუფის 1871 წელს გაუგონია. ამის მსგავსი თქმულება ა. შანიძესაც (ხევისურული ვარიანტები) აქვს გამოქვეყნებული.

გადმოცემით, მონადირეს ღამის გათევა მოსწევია ხეწის ტყეში. დილით ნაბიდან გამოიხედა. ხედავს, რომ მის მახლობლად ცეცხლი ანთია და მოშორებით თვალბდაჭყეტილი ეშმაკი დგას.

მონადირე გამოძვრა ნაბიდან და ხეს მოეფარა. ეშმაკი ნაბაღში შეებრა. მონადირემ მას თოფი ესროლა და მოკლა.

სხვა ვარიანტით, მონადირემ ეშმაკი შეიპყრო და იმსახურა.

დიგორის ს. მახჩისკის უბნის ახსინძის მცხოვრები სკინა სეკინაევი უყვებოდა ვ. პუფის: ოცი წლის წინათ მე ეშმაკი დავიჭირეო, და მოუთხორობს სწორედ ისეთ თქმულებას, როგორც ხეწეში გავიგონეთ.

კაცი თიბავდა ხეწეში. წვიმა წამოვიდა. კაცი კარაგეში შევიდა და დაეძინა. გაახილა თვალი თუ არა, ეშმაკს ხედავს. წამოხტა კაცი, ხელი ცელს სტაცა. ეშმაკს ხის ცელი აღმოაჩნდა. ახლა ადამიანი და ავი სული პირისპირ დგანან. ადამიანმა, თითქოს, ცელვა დაიწყო. მას ეშმაკმა მიჰბაძა, რასაც ეს კაცი შერება, იმასვე იმეორებს ეშმაკიც...

კაცმა თივის თოკი დაგრიხა და ფეხები შეიკრა. ასევე მოიქცა ეშმაკიც. პირველმა ცელით თოკი ვაჭრა, მეორემ ველარა და ის ადამიანმა შეიპყრო, სახლში წაიყვანა და იმსახურებდა. (ვ. პუფის ვარიანტით ამ ეშმაკს თავი უნდა დაეპარსა მამაკაცებისათვის შაბათობით. თქმულება ღიღიო და არ ასრულებს).

ხეწური თქმულებით, ეშმაკს თმა მოსჭრეს და დაუმალეს. შემდეგ მაინც მიაგნო, მოიტაცა, ოჯახი დასწყევლა და გაიქცა⁶.

ხეცსურულ თქმულებაში თმის მაგიერ ფრჩხილებშია ეშმაკის ძალა⁷.

ს. ხეწე არქეოლოგთაგან მეტად საინტერესოა. აქ ე. პჩელინის აღმოუჩენია აბ. წ. I საუკუნის საფლავები და საინტერესო სამარხეული ინვენტარი (დასახ. ნაშრომი, გვ. 99—110).

ბ. კუფტინი მეღერევისში, ყორნისში, რუსთავსა და ხეწეში (სტირფაზი) ნაპოვნ კოლექციებს გვიან ბრინჯაოს ხანისად თვლის⁸.

ხეწის სასოფლო საბჭოში შემავალ იმავე ს. სტირფაზში Стыр фаз — (დიდი ვაკე) არსებულ ბორცვ ცარციათ კაძახზე (ცარციათების კლდეზე) ნაპოვნ საგნებს არქეოლოგები აკუთვნებენ გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანას და იბერიულ-კავკასიური მოდგმის ტომების ნიეთებად მიიჩნევენ. სტირფაზის კერამიკისა და ბრინჯაოს ნაწარმოებს ბ. ტეხოვი პარალელებს უძებნის ნულის, ქვასათალის, მცხეთის, თრიალეთისა და სხვა სამარხოვანთა ინვენტარში.

სტირფაზის საფლავებში გვხვდება მსხვილ და წერილფეხა საქონელთა ძვლები, რაც მოწმობს, რომ ძვ. წ. XIII—IX საუკუნეებში აქ მესაქონლეობა იყო განვითარებული⁹.

კ რ ო ჟ ა. კროჯა, კროზა (ოსური კროზ) ხეწიდან 2.5 კმ დაშორებით მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირის ზეგანზე, კიშასის ხეობაში. (მეორე კროჯა ცხინვალის რაიონის ხეთაგურის სასოფლო საბჭოშია).

აქ ტყეში ხილეულთაგან გვხვდება: ბალი, ტყემალი, მჟაფლო, პანტა და სხვ. სოფელში ბევრი დიდი კაკლის ხე დგას. მათ თითო ყუნწზე ზოგჯერ 5—10 ცალი კაკალია და ის ყურძნის მტევანს მოგვეაგონებს. წიწვოვან და ფოთლო-

⁶ ვ. პუფის წერილი იხ.: Сборник свед. о Кавказе, т. II, тб., 1872, გვ. 753.

⁷ შტრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ხალხური პოეზია, I, ხეცსურული, თბ., 1931, № 547 და სათანადო შენიშვნები (გვ. 227 და 594) «წელიწდეული», I—II, თბ., 1923—1924, გვ. 155—157.

⁸ Б. А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года..., თბ., 1949, გვ. 25—30.

⁹ ბ. ტ ე ხ ო ვ ი, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნ. მუშაკთა VI სამეცნიერო კონფერენცია 1955 წ. 25—29 აპრილს საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიაში, თბ., 1955, გვ. 59—60.



ვან ტყეებს შორის, კროეის ლამაზ მდებარეობებზე ზაფხულში ისმის ბავშვთა ყრიაჟული. აქ ისინი ცხინვალიდან მოჰყავთ საზაფხულო პიონერთა ბანაკებში.

სოფელში 22 კომლი ცხოვრობს (1865 წ. 29 კომლი ყოფილა).

კროეის სიძველეთაგან სოფელშივე ვხვდებით 4 კოშკისა და 1 ციხის ნანგრევებს. ილია (ილიშ) კავდანის ძე თიბილოვი (1954 წ. 70 წლისა) ამბობს, რომ მას ციხის კედლები ახსოვს ახლანდელზე უფრო მაღლები.

ს. კროეის საფლავის ერთ ქვაზე წერია:

„ჩუოზ წელსა (.) მარიაშობისთვის ი დღესა...“

(აღვეს)რულე მ(ო)ნა ღვთისა...“

თიბილაშვილი ნინა...“

(1877 წ. 10 აგვისტო).

იქვე, სხვა ქვაზე ვკითხულობთ:

ჩუამ წელსა მარტის ი დღესა გარდაიც(-)

ვალა მონა ღვთისა საჩინო

ბარძიმაზე ხარებოვი ი წლისა (.) ვინ

ამას წაიკითხოს (.) შენდობას უბრძანოს“ (.)

(1868 წ. 10 მარტი)

ამ ქვაზე ისეთივე ჯვარია გამოსახული, როგორც ხეწის სასაფლაოზე ბავშვის — ირინე თიბილაშვილის — საფლავის ქვაზე.

მეზობელი ქვის წარწერიდან ვტყობილობთ, რომ „ესტატე თიბილაშვილი მ წლისანი“ (8) გარდაცვლილა ჩუოთ (1879) წელს, და ითხოვს:

„ვინცა წაუკითხოს (.) შენდობა უბრძანოს“.

სხვა ქვაზე წერია:

„ჩუპგ წელსა მაისის 8 დღესა გარდაიცვალა

მღევალი მღვთისა მაშო

ბარძიმა ქოქოშვილის ასული 16 წლისა

და ვინც წაიკითხოს (.) შენდობა უბრძანოს“.

(1883 წ.)

საფლავის მაღალ ქვას წინიდან აწერია:

„ვიყავ 18 წ. 50 p (!)

დედაშვილი (.) მამა (.)

ბაბაღე (.) გრიშ (.) მალხაზს

სარა“.

მეორე მხარე არ იკითხება, სამხრეთ მხარეზე კი ახატია ანგელოზი და 2 მტევანი ყურძენი.

მეორე ქვაზე ვკითხულობთ:

„ჩუია წელსა (.) ენკენისთვის ი დღესა

(სურათი)

გარდაიცვალა მონა ღვთისა

ესტატე ბიბოძე თიბილა(-)

შვილი ია წლისა და

ვინცა წაიკითხოს (.)

შენდობა უბრძანოს“.

(1861 წ. 10 სექტ., 11 წლის).



Стан прекрасен у нее,
 У красотки Тауче!
 Чернобровка Тауче,
 Ой, ри-ра-ри-ра, Тауче!
 О, красотка Тауче,
 Ой, ри-ра-ри-ра, Тауче!

3. Лучезарна Таучე,
 Ой, уарაიდა, Таучე!
 Светлолица Таучე,
 Ой, уарაიდა, Таучე!
 Как прекрасна Тауче,
 Ой, ри-ра-ри-ра, Таучე!
 Наша гордость Тауче
 Ой, ри-ра-ри-ра, Таучე!

კროხელი ღრიშ ლევანის ძე თიბილაშვილი (მოხუციები ასე აწარმოებენ თვიანთ გვარებს) გვარწმუნებს, რომ იგი 111 წლისა (1954 წ.). დაბადებულია და ცხოვრობს ამ სოფელში იმ 5 წლის გამოკლებით, რომელიც მას ძველათ სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო ბაქოში გაუტარებია. ის იგონებს, რომ მას მიაღებინეს ფიცი, რომლის სიტყვები ასე იწყებოდა: «Присяга есть клятва...» ღრიშ ბატონყმობასაც იგონებს.

აქ ორი-სამი ოჯახი ოსი ეცხოვრობდითო, — ამბობს ის. ჩვენში ჭეჭი თიბილაშვილი სხვებზე ლონიერი იყოო. «წვიდა ჭეჭი, მოკლა ირემი და მოიტანა. ჭეჭის ცოლმა გაიხედა და თავადი მაჩაბელი მოდის. ქმარს უთხრა: თავს ეუშველითო! ჭეჭემ ირემი დამალა, მაგრამ შემოვიდა მაჩაბელი და ირემი გამოატანინა. უთხრა: შენ ბალახი მოგეცი და არა ირემი, როგორ გაპბედე, რომ მოჰკალიო და წაართვა. ჭეჭი კოშკზე ავიდა (მეორე სართულზე ჰქონდა კოშკს კარიო). მაჩაბელს იქედან დაუძახა: მაჩაბელო, გამეცა, თუ არ გინდა ირემზე დაგაკლაო!...»

ღრიშის თქმით, ამ კოშკს ბაგის კოშკს უწოდებდნენ. ამ კოშკის ნანგრევები სოფელშივეა, ზემოხსენებული სასაფლაოდან დასავლეთით. კოშკის წინ ერთი დიდი ჩაღრმავებული ქვაა. ღრიში ამბობს, რომ ამ ქვაში თიფის წამალს ეტყავადითო.

კოშკის ნანგრევებს შორის მრავალი ლოდია (ერთ-ერთი მათგანი 2 მ 70 სმ სიგრძისაა). ერთ სიმაღლით მდგარ ბრტყელ ქვაზე სამხატვრო ტექნიკუმის მოწვეუდ გერსამ ჭიოყეს დაუხატავს ღოჭი, რქები, მელა და ს. კიშასის ის ოთხკუთხი კოშკი, რომელიც აქედან აარგად ჩანს (კროყას ჩრდილოეთით მდებარეობს, ხეცს გაღმა).

ღრიში გვიამბობს: ბაგის კოშკში ორმო ყოფილაო. მასში მდიდარი განძი ძეგსო. ერთ ღღეს დაიწყეს ამ ორმოს გათხრა, მაგრამ ვინც ბარი დაჰკრა, ყველას ხელი ასტკვიდაო და თხრას თავი მიახებესო.

იმავე ვადმოცემით, განაზე გველი წევს, ვინც მიწას გათხრის და იმ გველს პირველი შეხედავს, უამველად მოკვდებაო. ამიტომ გამოხრებლამ ეს გველი პირველად კატას უნდა დაეახოს, კატა მოკვდება და კაცი გადარჩებაო.

აქედრ ოსებს სწამთ ფუფის გველი. ეს არაა საშიშიო. შხამიან გველს კი ძვირფასი აღმასი აქვს ჩაყლაპული და ეკბინება, ძვირფასი თვალი არ წამართვანო. გველს რძე უყვარს და ძროხას გამოსწოვსო.

სოფლის სამხრეთითაც ყოფილა ძველად სასაფლაო. ადგილს მუსთე

უთარს კა
 ბზის ბუჩქ
 ამ მუ
 ვან-ფოთლ
 სხე) ხეებ
 იგი ღოდო
 აქედან ღ
 ღრიში
 ლელ ხეობ
 ამ ეკ
 დება. ერთ
 იენისის ბ
 ბული).
 როგო
 დე გადბ
 რადენენ კ
 ღრიში
 იყო მიხბარ
 სოფლ
 დაბადებულ
 შეიძლება,
 მხოლო
 ეა, რომ ზ
 ხმელი ფიჩ
 ეკლესი
 ნიდან) ქვა
 ჩუქურ
 ნეთ ნანგრ
 ერთ-ერ
 ში ჩასმულ
 ასოვბია ამ
 იმვე ქვაზე
 მასადა
 სიაკ მანონდ
 აღნიშნ
 რადგან იგი
 მთვეო
 ველთან შე
 ნებუღია. მ
 თადა და შ
 ერთ ქ
 ლურსმული
 უნდა იყოს.
 ერთ-ერ
 ირემია წარ
 მიმართულ
 ვახეთ ტრად

უფარს კალოს ჭვარს უწოდებენ. აქ ბებერი ცაცხვი, კაკლის ხე და ხნიერი ბზის ბუჩქებია.

ამ მუხთე ჭვარის სამხრეთ-აღმოსავლეთით ფერდობზე, რომელიც წიწვოვან-ფოთლოვანი (ნაძვი, ფიჭვი, ურთხელი, წიფელი, ქვემოთ — ძმერხლი და სხვ.) ხეებითაა დაბურული, ძველი ეკლესიის ნანგრევებია. დროის თქმით, იგი დოდოთის ქვითაა აგებული. ქვა კი მართლაც დოდოთისას ჰგავს, მაგრამ აქედან დოდოთი ძველი დროისათვის შორსაა (20—25 კმ-ზე ბნელად მისასვლელ ხეობაში).

ამ ეკლესიას მიქელ-გაბრიელი (ოსური „მექალ-გაბერ“ ან უფარ) ეწოდება. ერთ-ერთი ნაგებობა ეკლესიის სამხრეთითაც მდგარა. მისი დღეობა იენისის ბოლო შაბათ-კვირაზე მოდიოდაო (ეს აღდგომაზე იყო დამოკიდებული).

როგორც ზოგიერთი სხვა საკულტო ნაგებობა, ეს ეკლესიაც 1919 წლამდე გადახურული ყოფილა (თუმცა დანანგრევი იყო) და შიგ ზოგჯერ სწირავდნენ კიდევო.

დროში იგონებს, რომ ეკლესიის ნაგებობა მაღალი არ იყო, მაგრამ კარგად იყო მოხარატებულიო (მოჩუქურთმებული).

სოფლის მოწინავე ახალგაზრდა სერგო ალ. თიბილოვიც კი (1918 წ. დაბადებული) გვეუბნება: „მექალ-გაბერის ტყიდან არაფლის გამოტანა არ შეიძლება, მასში ყველაფერი ხატისაა“.

მხოლოდ დიდი სამამულო ომის დროს ყოფილა თითო-ოროლა შემთხვევა, რომ ზოგიერთ უკაცოდ დარჩენილ წვრილბავშვებთან ქალს ამ ტყიდან ხმელი ფიჩხი გამოუტანია.

ეკლესიის ნანგრევების ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ ნაწილში (შიგნიდან) ქვაზე თავისებური პრიმიტიული ჭვარის გამოსახულებაა.

ჩუქურთმიანი ქვა ნანგრევთა მახლობლად იდო, სხვები ჩვენ აღმოვაჩინეთ ნანგრევებში, ერთად დაეაწყეთ და მათი ფოტოსურათი გადავიღეთ.

ერთ-ერთ ქვაზე, რომელიც სამხრეთი კარის მახლობლად აღმოჩნდა, წრეში ჩასმული ჭვარია გამოსახული. ჭვარის ქვეშ შემდეგი ქართული ნუსხური ასოებია ამოკვეთილი: ჩვე — ეს წლებს უნდა აღნიშნავდეს, უდრის 1085-ს. იქვე ქვაზე ქრონიკონი — ტე (305+780=1085 წ.) ამოკვეთილათ.

მასასადამე, ამ ჭვართან ქვაზე ასოები 1085 წელსაა დაწერილი და ეკლესიაც მაშინდელი შეიძლება იყოს.

აღნიშნული ქვა წარწერიანი პირით შენობის შიგნით უნდა ყოფილიყო, რადგან იგი არ გახუნებულა.

მეორე წარწერიანი ქვა კი, რომელიც თავიდანვე უფრო მუქი ჩანს პირველთან შედარებით, შენობის გარედან ყოფილა, რადგან იგი ძლიერ გახუნებულია. მასზე ქართული ნუსხური ასოებით წერია ყსახრ, ისე რომ ყსა ერთადაა და შემდეგი სა-ს აზის თავზე, რ კი ცალკე დგას.

ერთ ქვაზე ამობურტული, ბოლოებში ჩაპრილი და გულში თითქოს დალურსმული ჭვარია გამოსახული, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, აგრეთვე XI ს უნდა იყოს.

ერთ-ერთ ქვაზე ნახაზებში მოცემული თავბოლოშექცევით მდგომი ორი ირემია წარმოდგენილი. ეს პირობითი ნიშანია მწყემსთათვის, თუ რომელი მიმართულებით არის გზა საძოვრებისაკენ. ეს ქვა კედლისაა, მაგრამ იგი ჩვენ ვნახეთ ტრაპეზის ქვაზე პირჩაღმა დადებული.



სხვა ორ ქვაზე ხაზებში ჩასმული ჯერებია გამოსახული, მკლავებზე განშტოებებით და ერთზეც შუახაზის შემდეგაც ხაზებია დასმული, ისეთივე, როგორც ზოგჯერ კროფს მახლობელ კოშკთა კედლებზეც გვხვდება.

აღნიშნულ ქვათაგან უფრო საყურადღებოა იმ ქვის ყუთში (კუბო) ჩაწვეთ, რომელიც ეკლესიის სამხრეთი კარიდან 6 მ მანძილზე იყო თავის მხრიდან ღია. ამ ქვის ყუთში შევძებრით და, მიუხედავად იმისა, რომ შიგ მყოფმა კოლოებმა შავი დღე დაგვაყენეს, სარკოვავი მაინც გავსინჯეთ. შიგ რამდენიმე ძვლის მეტი არაფერი აღმოჩნდა. ქვის ყუთის სიგრძე 2 მ-მდეა, განი 75 სმ-მდე. ქვის ყუთის გვერდები შიგნიდან გათლილია. სარქველი სამი ქვისაგან ყოფილა შედგენილი. თავისაკენ პირველი აუცილიათ. ეს ქვის ყუთი (სამარხი) ნიქოზის სარკოვავთან შედარებით პრიმიტიულია და უფრო ძველიც უნდა იყოს.

ეკლესიის ნანგრევების ქვებში წააწყდით და მოვკალით გველი. შემოსხენებული მოხუცი დრიში და სხვები გაცეხულნი დარჩნენ, — გზა შეშლია ამ წყეულს, თორემ ასეთ წმინდა ადგილზე ავი სული არ იცის და არც შეიძლება იყოსო. ასეთ ადგილს ანგელოზები და წმინდანები იცავენ და ავმა სულმა რომ დაიბუღოს, უვნებელი ხდება, ძალა წაერთმევა ხოლმეო.

აქ გეორგიენეს (ეს უკვე 1956 წლის 28 აგვისტოს) პირობის ორი ხელწერილი. პირველი 1908 წლის 12 მარტისთვის (აგვისტო) დაუწერიათ ქართულად. „რაზუნა თიბილაშვილი და მიშა ფარასტაშვილი“ შეთანხმებულან ერთ სადავო საკითხში“.

მეორე ხელწერილიდან ჩანს, რომ კროეაში 1912 წელს სახანავო მიწები ეკუთვნოდა თავად ციციშვილს, რომელიც მიწას ბევრით აძლევდა ადგილობრივ მცხოვრებლებს. მოგვყავს ტექსტი:

Условие

1912 года сентября 21 дня Мы (,) ниже сего подписавшиеся (,) с одной стороны кн. Давид Цицианов, а с другой житель сел. Крожа Джавского общества крестьянин Кавдин Караманов(ич) Тибилაშვილი заключили между собою сие условие следующим:

1. Я (,) кн. Цицианов, даю собственно принадлежащую мне пахотную землю (,) находящуюся в селении Кроже (,) под названием «Двар бин хум»,—в следующих границах, с Востока овраг, Западом Юга дороги и севера пахатная земля помещика Цицианова, которую распахиывает Габо Тибил[ич] Тибилაშვილი.(.) Выше упомянутую землю распахивал до сих пор крестьянин этот Габо Тибилაშვილი, а сегодня отказывается от распашки.

2. Выше названную землю я (,) помещик Цицианов (,) даю жителю сел. Крожа крестьянину Кавдину Караманову[ичу] Тибилაშვილი для распашки, за какуюю он (,) Тибилაშვილი (,) обязан платить помещику ежегодно 4-ю часть его урожая.(.)

3. С. есть наше условие,(.) в чем и подписываемся.

Кн. Давид Георгиевич Цицианов.

ბ. თარზანოვ პო ნეგრამოტნოსი ტოტი ტიბილოვა პო ლიჩნოი სიმონ ვალიშვილი(,) ყავდინი თიბილაშვილი პროსბა რასპისალა.

Самоличности подписавшихся на сие бумаге удостоверил помещик

Джавского старшины по селению Крожа(,) удостоверю подписью моею и приложением казенной печати.

Тома Тибялов
(печать).

წ ი ა რ ა. წიარა არა ჭავის, არამედ ცხინვალის რაიონს ეკუთვნის ვანათის მხარეს, მაგრამ ჭავიდან უფრო მისადგომი და ახლოსაა. ახლა იგი გერის სასოფლო საბჭოში შედის (გერი — იხ. ნაკვეთი V). 1865 წელს გერი ჭკრივის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა. წიარა მაშინ მასში აღნიშნული არაა; ეგებ, სხვა სახელი ერქვა! ამ საზოგადოებაში მაშინ 302 კომლი ირიცხება. ახლა ნაკლებია, რადგან ბევრი ოჯახი ბარში ჩასახლდა.

ჩვენ კროყიდან წიარაზე ავედით. კროყის სამხრეთ-აღმოსავლეთით სათიბებს ზევით, ტყეში, მთის თხემზე, საიდანაც შესანიშნავი ხედია ცხინვალისაკენ, გვხვდება ქვის ნაგებობის ნანგრევები, რომელსაც წიარას ჭვარს უწოდებენ. ეკლესიის სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლები უფრო კარგადაა შემონახული, ვიდრე ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლები. დასავლეთი კედელი სწორი ყოფილა. ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები მთავრდება საკურთხევლის მრგვალი კედლით ისე, რომ ნახევარწრისებრ მოხაზულობას წარმოგვიდგენს. ეკლესიის სამხრეთი კედლის მთელ სიგრძეზე ორგანყოფილებიანი მინაღვამი არსებულა. თვით საყდრის კუთხის, კარისა და სარკმელთა ქვები თლილია, სხვები — ყორექვისაა. გადახურული ყოფილა თხელი ფიქალებით. ნაგებობა შიგნიდან 5,5 მ, განი — 3 მ 30 სმ.

ამ ეკლესიის დღეობა იენისის ერთ-ერთ შაბათს იმართებოდა. მოდიოდნენ კროყის, ვანათის, გერის, ზალდინის და სხვა მახლობელი სოფლების მცხოვრებნი, მოჰქონდათ შესაწირავი. ნაგებობა ძველი ჩანს, აქ წარწერებს ვერ ვპოულობთ, ფოლკლორულადაც ის მეორდება, რაც ჭავა-ხევეში აღვნიშნეთ.

წინამდებარე ნაშრომის (I—XV ნაკვეთების) შემაჯამებელი აზრი ისაა, რომ დიდი ლიხვის მთელი ხეობა უფრო ძველ ფენებში ქართულია. შემდეგ თანდათან ჩნდება აქ ოსური მოსახლეობა. ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მონაცემების მიხედვითაც უდავოა, რომ აქაური და ჩრდილოელი ოსები ერთი ხალხია. მათი ეს ერთიანობა ყოფის (ეთნოგრაფიული), ენისა და ფოლკლორის მონაცემების მიხედვით კარგად არის დასაბუთებული ცნობილი ირანისტოსოლოგის — ვასილ აბაევის ნაშრომებში¹⁰.

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა სხვა წიგნებიც, მაგალითად: История Северо-Осетинской АССР (Москва, 1959);

3. В а н е е в, Исторические известия об аланах-осах, Сталинир, 1941; В. В а н е е в, Народное предание о происхождении осетин, Сталинир, 1956; В. Н. Г а м р е к е л и, Двали и Двалетия в I—XV вв. н. э., Тбилиси, 1961; Г. С. А х в л е д и а н и, Сборник избранных работ по осетинскому языку, Тбилиси, 1960; გ. დ. თ. ო. გ. ო. შ. ი. ლ. ი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე), სტალინირი, 1958. და სხვა არაერთი ავტორის ნაშრომები.

¹⁰ В. И. А б а е в, Осетинский язык и фольклор, Москва-Ленинград, 1949; В. И. А б а е в, Историко-этимологический словарь осетинского языка, I, Москва-Ленинград 1958.

ლიახვის ხეობის ოსების ცოცხალ სიძველეებს (ე. წ. Живая старина) უფრო მეტად, ვიდრე ჩრდილოელი ოსების ფოლკლორს, ატყვია ქართული ზეპირ-სიტყვიერების კვალი.

თითქმის ყოველ სოფელში გაიგონებთ თქმულებებს დარეჯანების (ნართების), და დარეჯანიანების (ქართული გზით), ამირანისა და სხვათა შესახებ, აგრეთვე, როგორც ადრევე აღვნიშნეთ, ისტორიული პირების — ვახტანგ გორგასალის, თამარ მეფის, ერეკლესა და სხვათა შესახებ. მეორე მხრივ, ქართველებთან ოსების უშუალო და, აგრეთვე, უფრო ძველად კავკასიონის გადღმობიდან მეზობლობის შედეგად ქართულ ფოლკლორშიც ჩანს ნართული ეპოსის სახელები და სახეები¹¹. ძველი კავშირების მაჩვენებელია, რომ „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგ გორგასალის დროიდან ოსი მთაერების გამოჩენილ გმირებს — მეომრებს ოს ბალათარებს უწოდებს.

პროფ. ვ. აბაევის მტყიცებით, სიტყვა ბალათარ (ბაყათარ) ოსეთში თურქულ-მონღოლური მოდგმის ხალხებიდანაა შესული და იქედანვეა რუსული სიტყვა „ბოვატირი“¹².

ჩვენ ვუშვებთ შესაძლებლობას, რომ ამავე ბალათარ სიტყვის სახე-ცვლილება (ღ-ყ, თ-ჩ) დასავლეთ საქართველოში ხმარებული სიტყვა ბაყაჩა — მსუქანი, ზორბა ბავშვი, დიდი ფრინველი (განსაკუთრებით — დიდ დედალზე იტყვიან—ბაყაჩა დედალიაო“). ბაყაჩა ვაყის სახელადაც გვხვდება საქართველოში. შორს რომ არ წავიდეთ, ამ სტრიქონების ავტორის ძმის — ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატის, კორნელი მეგრელიძის — ბავშვობის სახელი ბაყაჩა არის (მდრ. ბალათარ — ბაყაჩა). თუ ეს მონგოლების დროის სახელებიდან არ შემორჩენილა, მაშინ იგი ოსური ეპოსიდან არის ნასესხები.

ოსურ-ქართული კულტურული ურთიერთობის კიდევ უფრო კონკრეტული ფაქტი ისაა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რიგ ოსთა საფლავის ქვებზე ოსური სიტყვები ქართული ასოებით წერია. სამხრეთ ოსეთში ჩვეულებრივი იყო ამავე ასოებით მიმოწერა. იოანე იალღუზიძის (1775—1830) მიერ ოსურად თარგმნილი სახარების ქართული ნუსხური ასოებით გამოქვეყნებამდე¹³ ხელნაწერიდანაც იკითხებოდა ასეთივე სალოცავები. კ. კეკელიძემ და გიორგი ახვლედიანმა შეისწავლეს ივანე იალღუზიძის ცხოვრება-მოღვაწეობა, მისი თარგმანები ქართულიდან ოსურ ენაზე¹⁴. ცნობილია, რომ 1802 წელს შედგა წიგნი რუსულად, ქართულად და ოსურად პატარა ლიახვის ხეობის ს. ვანათში მცხოვრებ და ქსნის ხეობის ოსთათვის¹⁵. ამ წიგნშიც ოსური სიტყვები ქართული ასოებით წერია.

აკაკი შანიძემ დაახასიათა ქართულ-ოსური წიგნი, გამოცემული 1823 წელს, მიუთითა, რომ „ქართული ასოები იხმარა იმავე ი. იალღუზიძემ მის მიერ ოსურად ნათარგმნ საეკლესიო წიგნებში, რომლებიც დაიბეჭდა 1820—

¹¹ Ш. В. Дзидзигури, Грузинские варианты нартского эпоса, Тбилиси, 1971.

¹² В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, I, Москва-Ленинград, 1958, გვ. 246.

¹³ Г. С. Ахвледиани. Сборник избранных работ по осетинскому языку, Тб., 1960.

¹⁴ იქვე.

¹⁵ გ. ახვლედიანი. წერილი თბილისის უნივერსიტეტის მოამბეში, ტ. VI, თბილისი 1926.



ზალდაში რომ პირველად 1954 წელს ვიყავით, ი. იაღლუზიძის მამა-პაპე-ული სასახლის ნანგრევები და კოშკ-გალავნის კედლები ჯერ კიდევ არსებობდა. უბანს ადგილობრივები **გალვანს** (ქართ. გალავანი) უწოდებდნენ. აქ 1977 წლის ივლისსა და 1978 წლის ბოლოსაც ვიყავით. ხსენებულ სიძველეთა მხოლოდ საძირკვლებიღა შეიმჩნეოდა. იაღლუზიძის მოდგმის გაბარაითებად ითვლებიან: აბრამ, გერსამ, გიორგი, ელიოზ, იასონ, ილო, კოსტა, ჩვენი (ცხინვალელი ექიმის ვიქტორ ჯუსოითის, ოთარ ჯაფარიძისა და ჩემი) მასპინძელი, ყოფილი მასწავლებელი რომან (რამან) ექვთიმეს ძე გაბარაითი (გაბარაევი) და სხვები. ესენი გვიამბობენ, რომ მათი შორეული წინაპრები აქ მზივის მთიდან და ყელის ტბიდან (წითელი ჯვრის მთიდან) ჩამოსახლებულან. ჩვენ მზივში ახლაც გვყავს ნათესავიო. ზალდის უფრო ძველი უბნები სოფლის გარეთ — სამხრეთ-აღმოსავლეთითა და სამხრეთით (ამას ლოღაანთ უბანს ან პატარა ლალისას უწოდებენ) მდებარეობს. იქ შედარებით ძველი სასაფლაოები და ნანგრევებიც არის. საფლავის წარწერები ახლებია.

ახლანდელ ზალდაში ვუმბათიანი ეკლესია 1820 წელსა აგებული ი. იაღლუზიძის ინიციატივით. მეორე კი 1870 წელს აუშენებიათ, როგორც მასზე აწერია, თურქეთ-ბულგარეთის ომიდან დაბრუნებული „სიმონ გაბარაევი ბედივეიჩის“ თაოსნობით.

ამ მხარეში სახელგანთქმული **ლალისა ვასტირჯი — ლალისას ეკლესია** (წმინდა გიორგის), ანუ ლალისას ჯვარი, სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმართულ მთის მწვერვალზე დგას საოცრად გახარებულ ბზის ტყეში. სარწმუნოა, მას ლალისა იმიტომ ეწოდება, რომ ამ ეკლესიაში ლალის თვლებით შემკული ხატი ესვენა, ან ჯვარი იყო და საკუთარ სახელ ლარისა — ლალისასთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. მის აგებას გაბარაითები ი. იაღლუზიძეს მიაწერენ, მაგრამ ეს არაა სწორი. იგი მრავალსაუკუნოვანი ქმნილებაა, ეკლესია ნაცრისფერი (ს. ხეწის) გათლილი ქვებითაა აგებული (განი 5 მ, სიგრძე — 8,5 მ).

საკუთრებელის სარკმლის თავზე ნუსხური ასოებია ამოკვეთილი: „ქ გი შე“, რაც ნიშნავს — „**ქრისტე, გიორგი შეიწყალე!**“ იგივე გიორგი, ისევე ნუსხური ჩაჭრილი ასოებითვე საყდრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ბალავარზე დადგმული ქვის წარწერაშიც (35×75 სმ) იხსენიება. წარწერა რვა სტრიქონს შეიცავს (აქ სტრიქონებს ვერტიკალური ხაზებით გამოვყოფთ). იკითხება ასოები: „ქე შწყე/გირ-პ/ და იმ/სა და დ ვ ე ს/ საძირკველი/ ქრ. კ. სა — „ქრისტე, შეიწყალე გიორგი რ პ და იმ/სა და დ ვ ე ს საძირკველი ქრონიკონ. სა“. იმ = 18 + 780 = 798 ნაადრევია ამ წარწერისათვის. 18 + 1312 = 1330 კი გვიანია! საკითხი კვლავ საკვლევა.

რ პ ხსენებული გიორგის ზედწოდება უნდა იყოს, მაგრამ თუ იგი ციფრია, უდრის 180-ს და, მას რომ მოქცევის 780 მივუმატებთ, გამოდის, ეკლესია 960 წელს აუგიათ. თუ „ქრონიკონ“ სიტყვის შემდეგ **სა** წერტილით იმპტომაა გამოყოფილი, რომ ციფრის აღმნიშვნელია, უდრის 201-ს. თუ მას მოქცევის ისევ 780 მივუმატებთ, გამოდის ამ ეკლესიის საძირკველი 981 წელს ჩაუყრიათ, ამ თარიღებს მხარს უჭერს წარწერის პალეოგრაფიაც. მაშასადამე, ლალისას ჯვარი 120—100 წლით შეიძლება უსწრებდეს ზემოხსენებული წიარის 1085 წ. აგებულ საყდარს.

ლალისას ჯვრის სამხრეთ-დასავლეთ კუთხის ერთ ქვაზე (ნუსხური ასოებითვე) წერია: „ქე შე/ჯბლ/ვ ლ დ ა“ — „ქრისტე, შეიწყალე ჯ ბ ლ

ვლად“ (?). ეს ასოები ქვაზე პირშებრუნებით (ვერდულად) არის წარმოდგენილი, განსხვავდება ამავე ნაგებობის სხვა წარწერთა ასოებისაგან და საფიქრებელია, რომ ეს ქვა ამ კედელში უფრო ძველი ნაგებობიდან არის მოხვედრილი.

ამავე ეკლესიის დასავლეთ კარის თავზე ქრისტეს ჯვარცმაა გამოსახული. საყდრის სამხრეთ კედელშიც არის ქვები ჯვრის, მხეცისა და სხვა გამოსახულებებით და ზოგი მათგანი შეიძლება უფრო ძველი ნაგებობიდან იყოს გამოყენებული.

ეკლესიის აღმოსავლეთით დგას გათლილი ოთხკუთხედი კოლონა. მის ჩაქრილ ზედაპირში ჩასმულია დათვის თავის ქანდაკება პირით ეკლესიისაკენ, ე. ი. დასავლეთით. იქვე ადამიანის რამდენიმე თავის ქალაც ძვეს. ამბობენ, აქვე კალასა და რკინას „აღნობდნენო“. ნაღნობის ნარჩენები გვხვდებაო. გვეუბნებიან, აქვე დათვის თავის მეორე უფრო დიდი ქანდაკებაც იდგაო, ვილაცას ფერდის ტყეში გადაუგდია და ველარ ვპოულობთო.

აქვე მიწაში ღია ქვაკუბოც ჩანს (სიგრძე — 190 სმ, ვანი 75 სმ, ქვის სისქე — 10 სმ) ისეთივე, როგორც მცხეთასა და ნიქოზშიც (იხ. II) გვხვდება.

გვიამბობენ: აქ ლალისას ვასტირჯის (წმინდა გიორგი) დღესასწაული პარასკევს იწყებოდა და მეორე პარასკევს მთავრდებოდა. ღრობის დროს ფხიზელი მოხუცები იცავდნენ „დათვის თავს“ — ვინმე მთვრალი არ დაეჯახოს ან არ შეაბრუნოს, თორემ გაწვიმდება და დღეობაზე ხელი შეგვეშლებო. უამინდობის ან გვალვის დროს კი სპეციალურად ამოდიოდნენ სოფლიდან, ლოცვით მიდიოდნენ „დათვის თავთან“, იქვე მდებარე ადამიანის თავის ქალას შეაბრ-შემობრუნებდნენ; თუ „დათვის“ სახეს აღმოსავლეთით მიაკურობდნენ, წვიმას ელოდნენ, თუ იმავე თავს დასავლეთისაკენ „გაახედებდნენ“, გამოდარებას ელოდნენ²². ორივე შემთხვევაში „დათვის თავის“ დაძვრის შემდეგ საყდარში ლოცულობდნენო. იმასაც დასძენენ: ადამიანის თავის ძვლები მცველად უდგას ამ დათვის თავსო. დათვის თათის ან თავის გამოსახულება კი ძველად ტანსაცმელზე (მხარზე) ჰქონდა ზოგ ვეკაცს გმირობის ნიშნადო.

ცხადია, აქ „დათვი“ ამინდის ღვთაებად ყოფილა მიჩნეული. იგი ქართული ლაზარეს²³ ორეულია.

„დათვის თავთან“ ადამიანის თავის ქალას დაწყობა შეიძლება მით აიხსნას, რომ ოსებსა და ჩვენი მთის ზოგიერთ ხალხს გვალვის დროს წესად ჰქონდათ ძველი საფლავიდან ძვლების ამოყრა (განსაკუთრებით თავისა) და წყლით დასველება (იხ. ზემოთ — ედისი, V).

მოვიხსენიებთ ეთნოგრაფიულად და ფოლკლორულად საინტერესო ზოგ გადმოცემას. მოხუცი იოსებ გაბარაითის თქმით, მზე ან მთვარე რომ დაბნელდება, ვეშაპის ბრალია²⁴. იგი ჩაყლაპავს მნათობს და, მუცელი რომ აეწვეება (მთქმელის სიტყვებით — „მუცელს რომ დასწვავს), უკან ამოაგდებს და ქვეყანა განათლდებაო. წარმოდგენა ვეშაპის მებრ მნათობთა ჩაყლაპვის შესახებ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანსა“ და სხვა ძეგლებშიც არის ასახული.

²² შდრ. ჟურნ. „ფილიუგი“, 1965, № 10. შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960, გვ. 76—78; ი. მ ვ გ რ ე ლ ი ძ ე, ლაზარობა აჭარაში, ჟურნ. „ჭოროხი“, 1970; № 4, გვ. 90—92; იქვე, 1976, № 2, გვ. 65—79.

²³ Л. А. Чибиров, Народный земледельческий календарь осетин, Цхинвали, 1976, გვ. 69.

12. მ ა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, № 2

როგორც სხვა სოფლების, ისე ზალდელ მოხუცებს სჯერათ, რომ ნართული სოსლანი²⁴ სოზრიყო ქვამ დაბადა. ოსების წარმოდგენითვე არსებობს „ასხს არ დურ“ — ქვის მკამელი (მკენეტელი) გოლიათებიც. თუ ასეთი ცაში იქნება და პირიდან ქვა გადმოუვარდება, მაშინაც იძვრება მიწა და „ყიამათ ბონ“ — „განკითხვის დღე“ დადგებაო.

აქვე მოვისმინეთ თქმულება თხის მოშინაუტრების შესახებ. თხა პირველად მხოლოდ ეშმაკებს ჰყავდათ. ისინი მას თავიანთ უფროს ძიკურს (ისმის—ძინკური და ძინკვერიც) სწირავდნენ და თვითონაც იყენებდნენ. ოსები დაინტერესდნენ ამ ცხოველით (იოლი შესანახავია, მისი თმიდან თოკი და ქსოვილი კეთდება, ტყავი მოსასხამად და გულად ვარგა, რძესაც იძლევაო), მაგრამ ვერსად იშოვეს. დაბოლოს ხერხს მიმართეს, ძიკურს კაცი მიუღზავნეს. მან უთხრა: თხების მწყემსად დაუუღგები შენს ეშმაკებს, ოღონდ ნამწყესური ნატურით ამინაზლაურონო. ძიკურმა გადახედა ეშმაკებს და უთხრა: ხი, ხი, ხი, მწყემსს რომ ვეძებდით, მისი ფეხით მოვიდამ!

მოტყუვდა ეშმაკთა თავი და ეშმაკებიც — ოსი მწყემსად აიყვანეს. დათქმული დრო რომ გავიდა, ოსმა ნამწყესური მოითხოვა — ნამრავლ ყოველ ათ სულზე 1 სული. მისცეს მას კუთვნილი ნეზვები და ვაცებიც, ეს ცხოველი ოსეთში გავრცელდა და შემდეგ სხვა ხალხებმაც გაიჩინესო (შდრ. უტრნ. „ფიდილე“, ცხინვალი, 1965, № 10, გვ. 10).

თავის დროზე ვერ ჩაივიწყრეთ და ახლა გვაგონდება. მოხუცმა დავით ბეჯინათმა (ბეგიზოვი. იხ. ზემოთ — ს. ელისი) გვიამბო: თხა ეშმაკებს ჰყავდათ და ადამიანებმა ვერ ჩაიგდეს ხელში. ოსმა ეშმაკის მოტყუება დააპირა, ხოლო ეშმაკმა — ოსის. ოსი ეშმაკს მწყემსად დაუღდა, თხას გაიჩინო. ეშმაკმა დაიყენა: ნეზვ თხებს მიეცემ, ვაცი არ ეყოლება და ვერ გაამრავლებსო. ასეც მოხდა. ოსმა მიიღო ნამწყესური და წამოვიდა. წუხდა, აღარ იცოდა, როგორ გაემრავლებინა თხა. დრო რომ დადგა, ნეზვმა თხებმა თვითონ მონახეს ვაცი თხა და გამრავლდნენ. შემდეგ ეს ცხოველი ოსებისაგან სხვა ხალხებმაც გაიჩინესო²⁵.

ზალდაშიც ცოლ-ქმრობის სიმტკიცისა და მათთვის ვაყის გაჩენის მოწყალედ წმინდა მირამი (მარიამი) მიაჩნიათ. ამიტომ უეაყო ოჯახი მირამს (ხატს) შესთხოვეს: ვაჟი გავიჩინე და ყოველგვარი უბედურებისგანაც გვიხსენით, მხეტთაგან ადამიანისა და ცხოველთა მფარველად მოგვევლინეთ! (მარიამის კულტი)²⁶.

ზალდიდან ცხინვალში დაბრუნებისას ლალისას ჯვრის გადახურვისა და იქაური სიძველეების დაცვის საკითხი აღვძარით. ოლქის სიძველეთა დაცვის განყოფილებამ ეს ვერ შეძლო, მაგრამ აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე ლილი გასიევეამ ზალდელებს შიფერი შეაქენინა. სოფელმა ეკლესია საიმედოდ გადახურა. საქმეს შემოსენებული რომან გაბარაითი ხელმძღვანელობდა. იგი აქაურ სიძველეთა დაცვის რწმუნებულადაც დაინიშნა. 1978 წელს კვლავ მოგვმართეს ზალდელებმა: მასალა გამოგვიყონ, ფასი და შრომა ჩვენი იყოს, სხვა სიძველეებსაც შევაკეთებთ და გადავხურავთო.

²⁴ შდრ. „ნართები“, ცხინვალი, 1947, გვ. 37.

²⁵ შდრ. ლ. ჩიბიროვი, დასახ. წიგნი, გვ. 52.

²⁶ შდრ. ლ. ჩიბიროვი, დასახ. წიგნი, გვ. 10 და შემდეგი.

ამგვარი ინიციატივა გამოიჩინეს ცხინვალშიც, — მოხუცმა შალვა ცოტნიაშვილმა და მისმა მეგობრებმა, აჭაური ზღუდრის 17-ე საუკუნის წარწერებიანი ეკლესია (იხ. ზემოთ — ზღუდრი) თუთიით გადახურეს და კარი შეჭკიდეს. ეს მაგალითები მისაბამია და ასეთ უანგარო ადამიანთა და მათთვის ხელისშემწყობთა (როგორც ლ. გასითი — გასიევა აღმოჩნდა), მხარდაჭერა და წახალისებაც სასარგებლო იქნება.

И. В. МЕГРЕЛИДЗЕ

НАДПИСИ И ДРУГИЕ ДРЕВНОСТИ ЛИАХВСКОГО УЩЕЛЬЯ

XVI

ХВЦЕ—КРОЖА—ЦИАРА—ЗАЛДА

Резюме

В настоящей пятнадцатой части монографии под тем же названием описываются и изучаются памятники грузинской старины X—XIX веков, их тексты и осетинские надмогильные (XIX в.) надписи, которые встречаются в селах Лиахвского ущелья (часть исторической провинции Грузии — Шида-Картли) Хвце и Крожа Джавского района и Цира Цхинвальского района на территории нынешней Юго-Осетинской автономной области Грузинской ССР.

Одновременно с памятниками материнальной культуры здесь же изучаются грузинские и осетинские предания о тех же сооружениях архитектуры, мифологические и другие сказания и некоторые особенности быта местных жителей.

Первые четырнадцать частей настоящей монографии автора опубликованы также на грузинском языке с резюме на русском языке.

I. Надписи и другие древности Лиахвского ущелья (Гори—Эргнети), Труды Цхинвальского гос. пединститута, т. III, Тбилиси—Цхинвали, 1956, с. 229—256.

II. Древности Сталинири [Цхинвали] и Земо-Никози, названные «Труды», т. I, Цхинвали, 1952, с. 245—320 (в тексте 27 рисунков).

Отдельное издание — Цхинвали, 1952, с. 1—80.

III. Древности Кусирети и их надписи, XV научная сессия Цхинвальского гос. пединститута, Цхинвали, 1954, с. 38—42.

IV. Надписи и другие древности Лиахвского ущелья (Сабацмида-Кемерети), Труды Тбилисского гос. пединститута им. А. С. Пушкина, т. XI, Тбилиси, 1957, с. 81—93.

V. Надписи и другие древности Лиахвского ущелья (Гери—Ванели—Рока—Едиси—Эрмани), Труды Цхинвальского гос. пединститута, т. VII, Тбилиси—Цхинвали, 1959, с. 137—163.



VI. Надписи и другие древности Паца и Джджора, там же, где V, с. 164—180.

VII. Надписи и другие древности Лиахвского ущелья (Згудери), Труды Тбилисского гос. университета, т. 99, Тбилиси, 1962, с. 237—244.

VIII. Надписи и другие древности, Икорта, Вестник отделения общественных наук Академии наук Грузинской ССР, Тбилиси, 1963, т. 3, с. 170—185.

IX. Надписи и другие древности ущелья Малой Лиахви, там же, где VIII, 1963, т. 5, с. 202—218.

X. Надписи и другие древности Лиахвского ущелья (Гори—Шиндиси), «Мацне», 1966, № 3, с. 244—259.

XI. Надписи и другие древности Лиахвского ущелья (дополнительные сведения о Земо Никози и Цхинвальских древностях, Тамаршени, Курта), «Мацне», 1969, № 6, с. 119—132.

XII. Надписи и другие древности Лиахвского ущелья (Кусирети), «Грузинское источниковедение», III, — сборник, посвященный 75-летию со дня рождения проф. В. Д. Дондуа, Тб., 1971, с. 98—104.

XIII. Надписи и другие древности Лиахвского ущелья (Тигва—Корниси—Рустави—Кехви), «Мацне», 1971, № 4, с. 93—110.

XIV. Надписи и другие древности Лиахвского ущелья (Гупта—Джриа—Ниниа—Мсхлеби—Джава), «Мацне», 1976, № 2, с. 58—73.

XV. Выше Корниси, в Цорбиси (с рекомендационной заметкой акад. А. Г. Шанидзе. «Строительная надпись 880 года), газ. «Коммунисти» от 14 июля 1981 г., № 138 (на груз. яз.).

XVI. Предлежащая часть.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტის რუსთაველოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა



პ უ შ ლ ი კ ა ც ი ა

თელო სახეობა

ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია*

"ივერია". 1889

- № 1. მეთაური, იწყება: „დადგა ახალი წელიწადი და ნება გვიბოძეთ, ასე გიკვლიოთ“.
- № 6. მეთაური*¹, იწყება: „ჩვენ, რაც შევიქვლით, ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს უმთავრესნი საფუძველნი სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკისა...“ (ბოლოს ფანქრით აწერია ი).
- № 7. მეთაური,* იწყება: „უველაზედ უწინარეს საცნობელი ის არის, რომ საგლეხკაცო ბანკი“ (ბოლოს ფანქრით აწერია ი).
- № 8. მეთაური*, იწყება: „ერთი დიდდ საგრძნობელი წუნი საგლეხკაცო ბანკისა ის არის“ (აწერია ი).
- № 11. მეთაური*, იწყება: „დღევანდელი ევროპა მგავს იმ კაცსა, რომელიც გარედან მტერს უყვანებს თვალსა და შიგნიდან მოყვარესა“.
- № 13. ფელეტონი*: ამბავი ყბაღასაღები და წყალწისაღები. (პოლემიკა «Тиф. Листок»-ის მწერლებთან, აწერს „ივერიელი“ (მე ილიასად მიმაჩნია).
- № 14. მეთაური, იწყება: „ბულანტე ამოიჩრია პარიკმა“.
- № 16. მეთაური, **² იწყება: „რა არის სიმძიდრე ერისა?“ ასში და ათასში ერთის ოქროში ჭდობა (აწერია ი).
- № 17. მეთაური, იწყება: „გვრეთ წოდებულს „სამთა კავშირს“, შედგენილს გერმანელ პოლიტიკოსთ მიერ“.
- № 20. მეთაური, იწყება: „გაზეთებს ფლეს ჩრდილში აქვთ მიყენებული ყველა სხვა საქმეები“
- № 21. მეთაური*, იწყება: „არიან ზოგი რთი იმისთანა ქვეყნები, საცა“ (აწერია ი).
- № 22. მეთაური, იწყება: „განმეორება იქნება ათასჯერ თქმულისა, რომ ქვეყნის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებისა“...
- № 26. მეთაური,* იწყება: „დიდი ხანია სჩივიან ჩვენი მემამულენი და მიწათმომქმედნი“ (აწერია ი).
- № 27. მეთაური,* იწყება: „ერთი არასასიამოვნო თვისება დაეკვება აქაურ სომხის ლიტერატორებსა“ (აწერია ი).
- № 31. მეთაური,* იწყება: „ბ-ნ სვიმონ ვეზიროვის წერილი შესახებ ვაზის ავაღმყოფობისა“ (აწერია ი).
- № 32 მეთაური, იწყება: „ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ კომიტეტი საადგილმამულო გადასახადის გაწერისა...“.
- № 33. მეთაური,* იწყება: „ჩვენ არა ერთხელ გეთქვამს, რომ ევროპის ახლანდელი შინაგანი მდგომარეობა მეტად გამწვავებულია“...
- № 37. მეთაური, ** იწყება: „კიდევ ერთი ახალი პროცესი მკურნალთა შორის...“ (აწერია ი).
- № 38. მეთაური,* იწყება: „დიდი ხანია ლაპარაკი იყო, რომ აქაური სასულიერო წოდება აპირობს სიონთან დაარსოს მუხეი“ (აწერია ი).
- № 39. მეთაური, იწყება: „დასავლეთ ევროპის დიდს სახელმწიფოებს რომ კაცმა თვალი...“
- № 40. მეთაური, ** იწყება: „გლეხ-კაცთა ყოფა-ცხოვრება და ქონებითი შემძლეობა“ (აწერია ი)
- № 41. მეთაური, იწყება: „20 თებერვალს, ორშაბათს დღეს ქალაქის საბჭოში ბ-მა კოლუბინსკიმ შეიტანა...“
- № 42. მეთაური,** იწყება: „ჩვენ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ დღევანდელ ინგლისის შინაურ პოლიტიკას...“

* დასაბუთად მოამზადა ლევან ჭრელაშვილმა.

¹ ერთ ვარსკვლავს ეუსვამთ იმ წერილებს, რომლებიც შესულია ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის ავტორულში, რომელიც გამოსცა პ. ინგოროყვამ.

² ორ ვარსკვლავს ეუსვამთ იმ წერილებს, რომლებიც ილიას ნაწარმოებად აღრიცხული აქვთ ივერიის ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის* შემდგენლებს.

- № 43. მეთაური*, იწყება: „ერთა შორისი დაუნდობლობა, ომი და სისხლისღვრა...“
- № 45. მეთაური, იწყება: „ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ ყაზახის აშინოვის ამბავი“.
- № 50. მეთაური, იწყება: „ახლანდელს მთავარ მინისტრს საფრანგეთისას ტირპის აბრალებენ...“
- № 51. მეთაური, იწყება: „გუშინ უკანასკნელი კრება მოხდა კომიტეტისა, რომელიც მოწვეული იყო ბ-ნ გუბერნატორისაგან.“
- № 55. მეთაური, ** იწყება „ერთი მეტად ხელის შემშლელი მიზეზი და გარემოება ბათომის წარმატების“ (აწერია ი).
- № 56. მეთაური, ** იწყება: „ჩვენის ფიქრით საკუთრების საქმე ბათომში“ ...
- № 57. მეთაური, * იწყება: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა...“ (აწერია ი).
- № 61. მეთაური, * იწყება: „ამიერკავკასია მიწის პოზიერებითა და ჰაითა“ (აწერია ი).
- № 71, 77, 78, 83, 90, 106, 116, 117, 118, 130, 159—ფელეტონი* „ი ისტორია“.
- № 85. ფელეტონი: წერილები სხვადასხვა რაიონდარამ (წერილი პირველი). აწერია სფირილონ ჩიტორელიძე.
- № 88 № იგივე.
- № 105. ფელეტონი, * გზადავა და სხვათა შორის (პოლემიკა ჯაბადართან).
218. მეთაური, იწყება: „ეს მესამე წელიწადია თითქმის, რაც ევროპის პოლიტიკა ერთსა და იმავე მდგომარეობაშია“.
- № 221. მეთაური, იწყება: „დიდი ხანია, როგორც ვეროპასა, ისეც რუსეთში ლაპარაკია იმაზედ...“
- № 222. მეთაური, * იწყება: „ფილოქსერა, ეს ყველა ჭირზე უდიდესი ჭირი ვაზისა“.
- № 224. მეთაური, იწყება: „ერთი სისიამოვნო ამბავი კიდევ მოგიტანა მაშინდელმა დეპუტამ...“
- № 225. მეთაური, იწყება: „ინგლისის დღევანდელ პოლიტიკის გარემოებამ...“
- № 228. მეთაური, * იწყება: „დღეს ჩვენშიაც-კი ბევრი არ არის იმისთანა კაცი, რომ“ (აწერია ი).
- № 231. მეთაური, იწყება: „მამინ, როდესაც გერმანიის იმპერატორი მოგზაურობს“.
- № 232. მეთაური, იწყება: „მთელი ეურნალ-ვაზეთები ევროპისა დღეს“.
- № 233. მეთაური, * იწყება: „კრიტის კუნძულის აშლილობა“.
- № 234. მეთაური, ** იწყება: „რალაც დომხალი კეთდება დღევანდელ პოლიტიკისაგან“.
- № 236. მეთაური, * იწყება: „ძლივს მოვესწარით, რომ აქაურმა რუსულმა გაზეთმა“ «Новое обозрением» (აწერია ი).
- № 237. მეთაური*, იწყება, „შემდეგ იმისთანა საუცხოო „წყობილ-სიტყვაობისა“, რომელიც...“ (აწერია ი).
- № 238. მეთაური*, იწყება: „ჩვენა ვნახეთ, რომ «Новое обозрением» (აწერია ი).
- № 243. მეთაური, ** იწყება: „დეპუტებმა ერთი თითქმის მოულოდნელი ამბავი მოგიტანეს“.
- № 244. მეთაური, იწყება: „გერმანიის იმპერატორის ყოფნამ საბერძნეთსა და...“
- № 248. მეთაური, იწყება: „გაზეთებს თითქმის საფანელი შემოაკლდათ“.
- № 250. მეთაური, იწყება: „შესაძლოა ვანა კაცი, თავის თავზე სულ არაფერსა თაილობდეს“.
- № 252. მეთაური, * იწყება „24 ნოემბერს ტფილისის სასამართლომ თავის მსჯავარი“ (აწერია ი).
- № 259. მეთაური, იწყება: „აი, რა მოუწერია აღმოსავლეთის ენების...“
- № 265. მეთაური, იწყება: „ჯერ კიდევ თითქმის პირველ ხანებში, რაც...“
- № 269. მეთაური, * იწყება: „აზია, რომელიც ერთს დროს მამამთავარო იყო...“
- № 271. მეთაური*, იწყება: „სპარსეთის, ამბობს ერთი კორესპონდენტი რუსეთის გაზეთისა...“
- № 273. ფელეტონი, წიგნი ვადალმიდან. სფირილონ ჩიტორელიძის.
- № 275. მეთაური, იწყება: „ჩვენს გაზეთს არაერთხელ ჩამოუღვია საუბარი“.
- № 277. მეთაური, * იწყება: „ეს ოციოდე წელიწადზე მეტია, რაც“.
- № 278. მეთაური, იწყება: „ევროპაში, როგორც მოეხსენება მკითხველთ“.

1890

- № 1. * ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი (სახალწლო მოთხრობა—აწერია ***) .
- № 3. მეთაური, იწყება: „ახლამ წელიწადმა ერთი საყურადღებო ამბავი“.
- № 5. მეთაური, იწყება: „ბოლგარიაში ხელახლად ააყაყანა ევროპის დიპლომატია“.

* შემდეგ გადახაზულია და ფრჩხილებში ჩასმული: „ჩვენი სოფელი (სურათი) ვეა-ფშა-ველსი, № 45 (მე-3 გვ.)“.

- № 7. მეთაური, იწყება: „ამ ბოლოს ხანებში ძალიან გახშირდა...“
- № 10. მეთაური, იწყება: „ყოველი სახელმწიფო ევროპისა საყოველთაო საქმეში...“
- № 12. მეთაური, იწყება: „ჩვენ ამას წინად ვაუწყებ ჩვენს მკითხველს...“
- № 16. მეთაური,* იწყება: „დისაველეთ ევროპას, დიდ ატლანტიკის“.
- № 18. მეთაური*, იწყება: „ბატონყმობა გაუქმდა რუსეთში“.
- № 20. მეთაური*, იწყება: „ჩვენ ამას წინად საუბარი ჩამოვიკადეთ“.
- № 22. მეთაური, იწყება: „საკვირველი კაცი ბრძანდება ახლანდელი ახალგაზრდა იმპერატორი...“
- № 24. მეთაური*, იწყება: „ჩვენ ამის წინად გერმანიის იმპერატორის...“
- № 26. მეთაური, იწყება: „ღლეყოველ გვესმის თუ ვითხოვლობთ...“
- № 27. მეთაური, იწყება: „ღიღი ხანია, ისმოდა საზოგადოებაში...“
- № 29. მეთაური, იწყება: „ერთი უდიდესი საჭიროება სახელმწიფოსი...“
- № 37. მეთაური**, იწყება: „ღიღი რამ არის, ვინც იცის კარგად წაითხვა წასაკითხისა“.
- № 39. მეთაური, ** იწყება: „ერთი დიდი ნაკლი ჩვენის სოფლის მასწავლებლობისა“.
- № 41. მეთაური, იწყება: „მეშა ხალხის საქმემ, რომელიც გერმანიის იმპერატორმა...“
- № 43. მეთაური, იწყება: „შარშანდელმა წელიწადმა თითქმის სრულიად...“
- № 44. მეთაური, იწყება: „აქაურ ვაზეთის მკითხველებმა უკვე...“
- № 47. მეთაური**, იწყება: „ყველას შეტყობილი ექნება ის სამწუხარო ამბავი...“
- № 50. მეთაური**, იწყება: „ალიაქოთი, რომელიც ამ ბოლო ხანებში ასტყდა ქალაქში...“
- № 53. მეთაური**, იწყება: „ჩვენის სათავადაზნაურო ბანკის...“
- № 55. მეთაური**, იწყება: „მოწინააღმდეგენი იმ დიდიმეტრისა...“
- № 57. მეთაური**, იწყება: „ქ. ტფილისში, ახალციხესა, გორსა...“
- № 63. მეთაური**, იწყება: „ღღეს აქამოდ მთელს ქვეყანაზე...“
- № 64. მეთაური*, იწყება: „მოვიდა ვახაფხული, როცა გამოიტანა...“
- № 65. მეთაური, იწყება: „თანდათან ირყევა, რომ ბ. ბისპარკი...“
- № 67. მეთაური**, იწყება: „ღიღი ხანია, ჩვენს საზოგადოებაში...“
- № 69. მეთაური, იწყება: „ამ მოკლე ხანში ევროპაში ბევრი რამ მოსალოდნელია“.
- № 72. მეთაური, იწყება: „ღღეს აქამოდ არ გათავებულა...“
- № 74. მეთაური, იწყება: „განსამართლებს ახალმა წესებმა...“
- № 129.* * ამ ნომერში აღწერა: „როსის პატესაცემად წარმოდგენა და ვახშავი, ვახშავზე სიტყვა უთხრა აკაკიმ და ილიამ“.
- № 168. მეთაური,* იწყება: „ჩვენ მინამ ვიტყოდეთ რასმე...“
- № 170. მეთაური*, იწყება: „ჩვენ წინა მეთაური წერილიდან...“
- № 171. მეთაური*, „წინადაც მოვახსენეთ და ახლაც...“
- № 173. მეთაური,* იწყება: „სწორედ მოვახსენით...“ (იგივე ბანკის საქმის ვაგრაჟლება).
- № 178, 179. ფელეტონი. „წერილი მეგობართან“, სფირილონ ჩიტორელიძე.
- № 233. მეთაური*, იწყება: „ვაგონილა ამისთანა ამბები, რაც...“
- № 234. მეთაური*, იწყება: „ღღე ისე არ ვადის, რომ...“

1891

- № 24. მეთაური,* იწყება: „ვათავდა არჩევნები ქალაქის ხმოსანთა“.
- № 34. მეთაური, იწყება: „ჩვენ არა დროს არა გვეჭრებია, რომ ევრდწოდებულნი...“
- № 50. მეთაური*, იწყება: „ჩვენის ქალაქის თვითმმართველობისათვის ორი ძალიან...“
- № 53. მეთაური*, იწყება: „ღღე ქვეყნისა მარტო ნიჭიერი...“
- № 94. მეთაური, იწყება: „ყოველ წელიწადს რუსეთში და ჩვენს ქვეყანაშიაც“.
- № 102, 103, 104, 107, 108, 109, 111, 114. მეთაურები*. „ტფილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წევრთა წლიური კრება“.
- № 105. ** დაბეჭდილია მოკლე წერილი მადლობისა ილია ჭავჭავაძის იმთმობართ, ვინც მიულოცა ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ არჩევა (იხ. № 104. „ახალ ამბავში“, პირველი ამბავი).

* ამის შემდეგ ფრჩხილებში ჩაწერილია: „მე-16 № დაბეჭდულია ა. ცუკარელის „არუთინის თავგადასავალი“.

** ამის შემდეგ ფრჩხილებში ჩასმულია და გადახაზულია: („აქვე მე-20 № ვაგის „პატარა სცენა“... ამბავზე“).

* ამის შემდეგ ფრჩხილებშია ჩაწერილი: („ამ № ყაზბ“).



- № 117.* * ამ ნომერში დაბეჭდილია „წერილი რედაქციის მიმართ“. ივ. შანაბლისა სახელისა და ჩვენების გამო. იქვე პასუხია ილ. ჭავჭავაძისა.⁷
- № 240. მეთაური * . იწყება „სიმილი ჩვენს ქვეყანაში...“
- № 242. მეთაური, იწყება: „მას აქეთ, რაც საფრანგეთის...“
- № 245. მეთაური*, იწყება: „ბ-ნის იზმაილოვის ამრჩევი“.
- № 251. მეთაური, იწყება: „დაბრუნდა თუ არა თ. ბისმარკი“.
- № 273. მეთაური*, იწყება: „ამ უკანასკნელ ხანებში ამბავი მოვიდა.“
- № 274. მეთაური*, იწყება: „ჩვენ ამას წინადა ესთხოვდით“, რომ...“
- № 275. მეთაური, * იწყება: „წარსულ კვირა დღის მეთაურში“.

1892

- №. 5. მეთაური, * იწყება: „ომისთანა უმაგალითო და შემამრწუნებელი“.
- № 11. მეთაური*, იწყება: „ნათლისღების დღეს მომხდარმა“.
- № 13. მეთაური, * იწყება: „იმ ნათლისღების უბედურების“.
- № 16. მეთაური, იწყება: „ქუთაისის საზოგადო საქმეთა...“
- № 21. მეთაური* *, იწყება: „წლევანდელს ივერიამ და(...“
- № 25. მეთაური*, იწყება: „ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ...“
- № 39. მეთაური*, იწყება: „ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი“.
- № 68. მეთაური, იწყება: „ჩვენ კარგა ხანია მას აქედ“ (ქალაქის გუბერნატორის შერვაშიძის მიერ ამხანაგობის დაარსება).
- № 77. ფელეტონი*: ნიკოლოზ ბარათაშვილი (პატარა ეტიუდი ერთის წერილიდან ამოღებული). ქვეშ აწერია * * * და ფანქრით „ილია ჭავჭავაძე“
- № 98, 99, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110—ტფილისის სათავადაზნაურო-საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.
- № 117. * * დრამატულ საზოგადოების საგანგებო კრება.
- № 140. მეთაური, იწყება: „ეს ოცი დღეა, რაც ბაქოდან...“
- № 172 და 173 * *. ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის კრება.
- № 204. მეთაური, იწყება: „ზოღერა განელდა, მხოლოდ“.
- № 240. მეთაური, * იწყება: „ჩვენში ახლა მეტად გაძლიერდა“.
- № 241. მეთაური*, იწყება: „წარსულს ორშაბათს ჩვენს ქალაქს...“
- № 272 და 273* *, საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობისა.

1893

- № 1 . მეთაური, * იწყება: „შემოდგით ფეხი, გწყალობდეს ღმერთი“.
- № 4. მეთაური* იწყება: „ჩვენი ეკონომიური ძალღონე...“
- № 14. მეთაური* *, იწყება: „ბატონყმობის გაუქმებას, გლუბთა...“
- № 17. მეთაური, იწყება: „ამას წინედ მემკვიდრე ცესარევიჩი...“
- № 32. მეთაური, იწყება: „ამ უკანასკნელ ხანებში ღიღი...“
- № 33, 34, 39, 40, 42, და 43—ტფილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წევრთა სა-განგებო კრება (ამას უნდა მიემართოს № 41-ში დაბეჭდილი „რედაქციისაგან“).
- № 44. მეთაური, იწყება: „ამას წინად მოვიხსენიეთ, რომ...“

⁷ ამის შემდეგ გადახაზულია: „ამ წერილებს აწერია მანოელიძე“:

99. მეთაური იწყება: „კარგათ ვიცით, რომ სოფლის“—აწერია მანოელიძე(?)“

119. მეთაური, იწყება: „ავაზაკობა ორგვარია—მანოელიძე (?)“.

120. მეთაური, „მწვევე გარემოება რუსეთის შინაური“

127. მეთაური, „წინა წერილიდან ენახეთ“.

136. მეთაური. „ჩვენს ორს წერილში“.

202. 208. „ქართული თეატრი“.

* ამის შემდეგ ჩარჩოში ჩაწერილია: „ № 153 და 157. წერილი დადესტინიან ე. ნინოშვილისა“.

⁹ ამის შემდეგ ფრჩხილებში ჩაწერილია: „სოფრომ მგალობლიშვილის ფსევდონიმთაგანნი: 1) კიკია, „პროვინციელი“—იხ. ივერია 1892, № 72, „ხმა პროვინცილიან“.“

- №№ 81, 82, 83,* * წლიური კრება ტფილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულ ბანკის წევრთა.
 № 86.* ილია ჭავჭავაძის სიტყვა ნ. ბარათაშვილის დასაფლავებაზე დიდუბეში
 № 152. მეთაური* იწყება: „ბევრმა მავალითებმა წინადაც და ნამეტნავად...“
 № 164. მეთაური, იწყება: „მიწათმოქმედს, ზენა-თესვის, ვენახის...“
 № 216. ფელეტონი** „მოკითხული საზოგადო ფული (თ. ივ. მაჩაბლის და ბროსეს პრემიის გამო). აწერია „ილია ჭავჭავაძე“.
 № 226. ილიას საპასუხო ფელეტონი ივ. მაჩაბლისა.¹⁰
 № 234. ფელეტონი* *. „ილია ჭავჭავაძისა ივ. მაჩაბლის საპასუხოდ“.
 № 237. მეთაური*, იწყება: „ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ...“¹¹.
 № 252. მეთაური* *, იწყება: „ბატონი იზმაილოვი უკვე ამორჩეულ იქმნა ქალაქის...“
 № 262. მეთაური*, იწყება: „კვირას, 28 ნოემბერს, ჩვენს გაზეთში...“
 № 283. მეთაური*, იწყება: „ჩვენ მოგვივიდა მთავრობისაგან...“

1894

- № 11. მეთაური*, იწყება: „ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა...“
 №№ ** 99, 101, 102, 104, 108, 110. ტფილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულ ბანკის კრება.
 № 114 ** მეორე გვერდზე დაბეჭდილია მადლობა ილია ჭავჭავაძისა ამომრჩეველთა და მომლოცველთა მიმართ.
 № 161. ** პირველ გვერდზე დაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის სამადლობელო წერილი სახელწოდების (20 ივლისი) მომლოცველთა მიმართ.
 № 184. მეთაური*, იწყება: „გაპირებულმა მდგომარეობამ სოფლის...“
 № 186. მეთაური*, იწყება: „გაზეთები იუწყებიან, რომ სექტემბერში...“
 № 198. მეთაური*, იწყება: ბ-ნ მინისტრი სახელმწიფო ქონებისა...“
 № 200. მეთაური*, იწყება: „ჩვენს წინა წერილში“ (ივრია № 198).
 № 204. მეთაური, იწყება: „ჩვენმა მიწათმოქმედებამ რომ...“
 № 224. მეთაური*, იწყება: „ამიცვლება აწ ლეთის მიერ განსვენებული“.
 № 250. მეთაური*, იწყება: „ერთი უდიდესი საქმე სამსოფლიო“.
 № 265. მეთაური*, იწყება: „ფინანსთა სამინისტროში დღეს...“

1895

- № 4 * დაბეჭდილია საახალწლო ეკსპრომტი და შიგ ილია ჭავჭავაძეზეცაა.
 № 9. მეთაური*, იწყება: „ყველაზე უდიდესი ამბავი ამ ბოლოს ხანს...“
 № 97. ტფილისის გუბერნიის თავადაზნაუროთა არაჩვეულებრივი კრება.
 №№ 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105* და 106. თავადაზნაუროთა ბანკის კრება (106 №-ში ვრცელი სიტყვა ილია ჭავჭავაძისა).
 № 240. მეთაური*, იწყება: „გუშინდელმა კორემბონდენტკამ თელავიდან“.
 № 243. მეთაური*, იწყება: „ჩვენ მეთაურში ამ რამდენამე...“
 № 247. მეთაური, იწყება: „შუაგული, შუანასკვი ვერედ წოდებული“,
 № 248. მეთაური*, იწყება: „ჩვენს ამას წინად ორს მეთაურს...“
 № 249. მეთაური*, იწყება: „მეორე საგანი კახეთის მეურნეთა კავშირისა...“
 № 251. მეთაური*, იწყება: „საოცარი მდგომარეობაა დღევანდელ...“
 № 253. მეთაური*, იწყება: იქნება ომი თუ არა? სულ ყველანი დღეს...“
 № 254. მეთაური,* * იწყება: დიდი ხანია ვეროპის მეცნიერნი...“
 № 256. მეთაური,* * იწყება: „ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენს ქალაქში...“
 № 258. მეთაური*, იწყება: „ჩვენ ამას წინად მოკლედ აღვნიშნეთ...“
 № 262. მეთაური*, იწყება: „მართალია, ბევრი ლაპარაკი იმისთანა...“
 № 263. მეთაური, იწყება: „ყოველი მხრიდან სწორედ...“
 № 274. მეთაური*, იწყება: „ყველა იძახის, რომ სომეხთა...“
 № 276. მეთაური*, იწყება: „დიდი ხანია, ცნობილია, რომ...“

¹⁰ ჩასმულია ჩარჩოში.

¹¹ ამის შემდეგ ფრჩხილებში ჩაწერილია: „241. ფელეტონი. მაჩაბლის პასუხი ილ. ჭავჭავაძის წერილზე“ (იხ. № 234)“.

- № 2. მეთაური*, იწყება: „ცხოვრება ცალკე აღამიანისა...“
 №№ 20, 21, 22*, ჩვენი ახლანდელი სიბრძნე—სიცრუე (ფელეტონება).
 № 22. მეთაური**, იწყება: „მოსკოვსკი ველომოსტი“ (№ 20).
 № 27. მეთაური**, გაზეთი „კაეკასი“ არა სცხრება, არა...
 № 29. მეთაური**, იწყება: „გაზეთებმა მოგვიტანეს ამბავი“.
 № 63. სიტყვა თქმული ილია ქაქავაძის მიერ გაენათის მონასტერში გაბრეულ ეპისკოპოსის და-
 საფლავების დღეს (მეორე გვერდზე).
 №№ 87. 88. 89, 90, 91, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103—ტფილისის გუბერნიის
 თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.

- № 1. მეთაური, იწყება: „პოლიტიკური მიმოხილვა“.
 № 2. მეთაური, იწყება: „საკვირველს ბედზეა დაბადებული“
 № 3. მეთაური**, იწყება: „ამას წინაღობის სახელში...“
 № 4. მეთაური*, იწყება: „23-ს ამ იანვარს დანიშნულია...“
 № 5. მეთაური*, იწყება: „მეოთხე სავანი, რომელიც კომისიამ“.
 №№ 7, 8, 9,** ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა სავანებო კრების...“
 № 15. მეთაური**, იწყება: „გუშინწინ „ნოვოე ობოზრენიში“ დაბეჭდილი...“
 № 21. მეთაური**, იწყება: „ჩვენ შევიტყუეთ, რომ მთავრობას...“
 № 22. მეთაური**, იწყება: „ნუ თუ თვალწინ დაგვიდგა დასაწყისი...“
 № 27. მეთაური*, იწყება: „არაერთხელ გულვახვითქებით გვიჩივლია...“
 № 30. მეთაური**, იწყება: „ჩვენ, ქართველები, რალა...“
 № 32. მეთაური**, იწყება: „ღმერთო, გვიხსენ უარესისაგან“.
 № 38. მეთაური**, იწყება: „არ არის არც ერთი გუბერნია...“¹²
 № 48. მეთაური*, იწყება: „მუქარა აღსრულდა. ვგრეთ წოდებულ...“
 № 49. მეთაური*, იწყება: „გუშინწინ მობრძანდა ახალი...“
 № 53. მეთაური**, იწყება: „კარგახანია, რაც აქაურმა რუსულმა...“
 № 56. მეთაური**, იწყება: „ჩვენს მეთაურში ამას წინაღობა...“
 № 58* და 60 ტფილისის სამეურნეო—საკრედიტო საზოგადოების წლისთავი კრება.
 № 59.** პატარა საუბარი (კამათი Нов обзрев).
 № 61. მეთაური**, იწყება: „გარდა იმისა, რომ ჩვენს ქალაქში...“
 № 67. მეთაური**, იწყება: „ჩვენ წინა მეთაურში ვთქვი...“
 № 75. მეთაური**, იწყება: „ჩვენ ამას წინა მეთაურს წერილში“.
 № 78. მეთაური**, იწყება: „ცალიერი ინჟინერობა, მკურნალობა“.
 № 80. მეთაური**, იწყება: „ჩვენებთან მკურნალების, ჩვენებთან...“
 № 81. მეთაური**, იწყება: „ბ-ნი შალუოვის „სცდების...“¹³
 № 85. მეთაური**, იწყება: „ისტორია არუთინოვის და „ტრინინებისა“ ...“
 № 86. მეთაური**, იწყება: „ჩვენ წინა წერილში ეაჩვენეთ, რამდენიმე...“
 № 88. მეთაური**, იწყება: „წერ მანამ ივანეკოს ნაძიებს...“
 № 89. მეთაური**, იწყება: „ბ-ნი ივანეკოს გამოძიებდიან“.
 № 90. მეთაური**, იწყება: „ღღეს საჭიროდ დავინახეთ აღწინშნოთ...“
 № 93. მეთაური**, იწყება: „ჩვენ წინა წერილში მოკლედ აღწინშნეთ...“
 № 94. მეთაური**, იწყება: „ხვალ № 18-ს მისს ვანკითხვის...“
 №№ 97, 98, 99, 100, 101, 102, 105, 197, 108. წლიური კრება ტფილისის სათავადაზნაურო
 საადგილმამულო ბანკის წევრთა. ¹⁴
- № 189. მეთაური*, იწყება: „წლევანდელი წელიწადი განსაკუთრებით...“
 № 190. მეთაური**, იწყება: „ამირკაეკასია დასახლებულია მრავალგვარ...“

¹² ამის შემდეგ გადახაზულია: „№ 45. მეთაური. ნეკროლოგი თავადი ნ. ხ. ქაქავაძე“.

¹³ ამის შემდეგ ფრჩხილებში ჩაწერილია: „82 და 88 ნომერშია ანგარიში ტრინინებთან ღო-
 რების და ისბანდაროვის და შიოს შესახებ“.

¹⁴ ამის შემდეგ ფანჭრით წერია: „1890 ახალი დრამების გამო, გრ. ორბელიანი“.

- № 194. მეთაური*, იწყება: „პირაქეთელი ოსები ჰბინდრობენ...“
 № 196. მეთაური*, იწყება: „ჩვენებური თათარი უფრო ეული“.
 № 200. მეთაური*, იწყება: „ჩვენებურ თათრებს ზამთრის...“
 № 201. მეთაური*, იწყება: „არიან თათრებს შორის იმისთანანი“.
 № 215. მეთაური* იწყება: „ჩვენ წინა წერილებში შევნიშნეთ...“
 № 226. მეთაური*, იწყება: „ჩვენს წინა წერილებში მოვიხსენიეთ იგი მიზეზნი...“
 № 227. მეთაური*, იწყება: „იყოს თუ არა ევროპაში ოსმალეთი...“
 № 231. მეთაური*, იწყება: „რომ უკეთესად შევიცნოთ...“
 № 233. მეთაური*, იწყება: „თუ ინგლისის ვაბატონება...“
 № 245. მეთაური*, იწყება: «Новое время» თავისის არ იშლის“.
 № 265. მეთაური*, იწყება: „ჯერ კიდევ პუშკინმა სთქვა...“
 № 268.. მეთაური, იწყება: „ხოლო რა კამს მოვიდეს მუ კაცისა“.

1898

- № 1. მეთაური*, იწყება: „პა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი“.
 № 2. ნეკროლოგი, * ილია ოქროშქელიშვილი.
 № 4.* (იხ. მეორე გვერდზე „პატარა საუბარი“ (ქალეზზე).
 № 8. მეთაური*, იწყება: „11 იანვარს, როგორც მოეხსენებათ...“
 № 9. მეთაური**, იწყება: „ბევრს ქალაქაკობენ იმის თაობაზედ...“
 № 12. მეთაური*, იწყება: „ი. გ. თუმანოვს, როგორც უკვე ყველას მოეხსენება“.
 № 13. მეთაური*, იწყება: „თ. გ. თუმანოვი თავისს ვაჭეთში...“
 № 18. მეთაური*, იწყება: „მას აქედ, რაც ბერძენთა...“
 № 24. მეთაური*, იწყება: „დღევანდელ დიპლომატიისათვის...“
 № 26. მეთაური**, იწყება: „ამას წინად ტფილისის საბჭოში...“
 № 29. მეთაური, იწყება: „ყველაზე დიდი ნაკლი ჩვენის...“
 № 36. მეთაური**, იწყება: „ჩვენი ერთი დიდი უზედულება ის...“
 № 37. მეთაური**, იწყება: „ტფილისის სასულიერო სემინარიაში რამდენიმე...“
 № 39. მეთაური*, იწყება: „ამ თებერვლის 22 დღეს შესრულდა...“
 №№ 45 და 46. ფელეტონები*: „ოინაზობა თუ სულელობა“.
 №№ 84, 85, 86, 87, 88. ტფილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წევრთა საზოგადო
 კრება.
 № 102. მეთაური*, იწყება: „ქართველები ეამბობთ ხოლმე...“
 № 224. მეთაური**, იწყება: „დაიბეჭდა და ვითარც ჯერ არს...“
 № 240. მეთაური, იწყება: „დღეს, მ ნომებერს, მსრულდება...“
 № 245. მეთაური**, იწყება: „ამ უკანასკნელ წლებში ევროპის...“
 № 246. მეთაური**, იწყება: „ჩინეთის საქმე ხომ...“
 № 247. მეთაური**, იწყება: „წინა წერილებიდან სჩანს, რომ“.
 № 248. მეთაური*, იწყება: „შიდა რუსეთის ვაჭეთები...“
 № 249. მეთაური*, იწყება: „ჩვენს გუშინდელს მეთაურში...“
 № 253. მეთაური*, იწყება: „1870 წელსა, როცა გერმანია...“
 № 255. მეთაური, იწყება: „ჩვენს უკანასკნელს მეთაურში მოვიხსენიეთ...“
 № 261. მეთაური, იწყება: „მას აქედ, რაც სამთა კავშირი...“
 № 267. მეთაური, იწყება: „პატივემუღმა ან. ფურცელამე...“

1899

- № 1. მეთაური*, იწყება: „ჩვენ გვესმის და ადვილად...“
 № 19. მეთაური**, გაზეთს „Кавказ“-ში (№№ 18 და 19).
 №№ * 64, 65, 67, 59, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76. სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი-
 ფელეტონებად
 № 109. * ამ ნომერში პუშკინის დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო სხვათა შორის დაბეჭ-
 დილია ილია ქავჭავაძის თარგმნილი ორი ლექსი პუშკინის... „წინასწარმეტყველი“ და
 „ქუმბარიტება“.
 №№ 113, 114, 115, **, ტფილისის თავადაზნაურთა ბანკის წარმომადგენელთა საზოგადოების
 კრება.

№ 218. მეთაური*, იწყება: „არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენს...“

№ 255. ფელეტონი*, ასი წლის წინად (პირველად შემოსვლა რუსის ქარისა ტფილისში). აწერია ილია ჭავჭავაძე.

1900

№ 1. მეთაური*, იწყება: „ესეც პირველი დღე მეოცე საუკუნისა“.

№ 51. მეთაური*, იწყება „დღეს თუ ხვალ ჩვენში შემოღებულა...“

№ 54. მეთაური*, იწყება: „ჩვენ ამას წინად, როცა ვარჩევდით...“

№ 58. მეთაური*, იწყება: „ჩვენ წინა წერილში ავნიშნეთ, რომ...“

№№ 68 და 69. სამეურნეო ბანკის წევრთა წლიური კრება.

№ 74. მეთაური იწყება: „დღეს აქამომდე სულ ამას...“

№№ 90, 91, 93, 94, 95.* ტფილისის თავდაზნაურთა ადგილ-მამულების ბანკის რწმუნებულთა კრება¹⁵.

1903

№ 118. დაბეჭდილია კორესპონდენცია სოხუმიდან: თ. ილია ჭავჭავაძე სოხუმში (შიგ ილია ჭავჭავაძის სიტყვაა, წარმოთქმული საიღობზე, სოხუმელებმა რო გაუმართეს). კორესპონდენცია ეკუთვნის აწ განსვენებულს მეჭი ხახიაშვილს.

1902

№ 21. ფელეტონი*, გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჭორჭაძის ფსიხოლოგია. აწერს: ახალ-მოსული.

№ 44. ფელეტონი: არა—პატარა საუბარი. ახალმოსული¹⁶.

№ 230. მეორე გვერდზე. განყოფილება „ჩვენებურ ამბებში“ ილია ჭავჭავაძის ხელმოწერილი წერილი ივანე ოქროშკედლიშვილის მიმართ.

1905

№ 20. * თავდაზნაურთა კერძო თათბირი (შიგ ილიას სიტყვებია).

№ 21. * ილიას წერილი „წერილი რედაქციის მიმართ“.

№ 68.* დამატებად არის დაბეჭდილი ილიას „ნუ თუ?“ (პასუხად „მოგზაურის“ კორესპონდენციისა).

[1917—1920 წ.]

¹⁵ ამის შემდეგ გადახაზულია ჟეარედინად:

1902

№ 1. მეთაური, სწორედ დამდეგ 1902 წელს (?)

№ 131. მეთაური, ამ დღეებში ჩვენს გაზეთ (?)

№ 132. მეთაური, ბევრგვარი შემცდარი აზრი (?)

№ 133. მეთაური, ეს რამდენიმე დღეა.

№ 136. მეთაური, დღეს ჩვენს გაზეთში.

№ 137. მეთაური, დღეს ჩვენ ვბეჭდავთ.

№ 138. მეთაური, ბოლოს დროს სამასწავლებლო.

№ 140. მეთაური, ამ ბოლოს დროს ჩვენი.

¹⁶ ამის შემდეგ ჩარჩოში ჩასმით გადახაზულია: „№№ 26, 27, 37, 51, 60, 65, 94, 96, 252, 260. „სოფელი და სოფელნი“ და აწერს მ. ტფილისელი (?). (მ. მაჩაბელი)“. „მ. მაჩაბელი“ მიწერილია სხვა ხელით.—ლ. ჭრ.

263, 266, ფელეტონი სამთა კავშირი (აწერია ბ. ტფილისელი). (ამ წერილების კრიტიკა № 258-ში ბ. ბარბაქაძეს მიერ).



მ ე ც ნ ი მ რ ი ს ი შ ბ ი ლ ე

კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ი მ წ ე რ ე თ ე ლ ი

(დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავად)

გამოჩენილ ქართველ სემიტოლოგს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების ამსახურებულ პუბლიკებს, კონსტანტინე გრიგოლის ძე წერეთელს დაბადებიდან სამოცი წლისთავი შეუსრულდა.

კ. წერეთელი დაიბადა 1921 წლის 4 თებერვალს თბილისში, მასწავლებლის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე კავკასიური და აღმოსავლური ენების სპეციალობით, რომელიც წარმატებით დაასრულა 1941 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში ასპირანტად სემიტოლოგიის პროფილით, სადაც დასპეციალმბას განაგრძობდა აკად. გ. წერეთლის ხელმძღვანელობით.

ასპირანტურის დასრულების შემდეგ კ. წერეთელმა 1945 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ხმოვანთა პარამონიის საეტიხისათვის ურმიის არამეულ დიალექტში“, ხოლო 1956 წელს—სადოქტორო დისერტაცია, რომლის თემაც იყო „თანამედროვე ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკა“.

1944 წლიდან დღემდე კონსტანტინე წერეთელი მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასისტენტად, დოცენტად, პროფესორად, ხოლო 1977 წლიდან სემიტოლოგიის კათედრის გამგედ. პარალელურად 1945 წლიდან კ. წერეთელი მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში აღმოსავლურ ენათა განყოფილებაში უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. შემდეგ იგი უფროსი მეცნიერი თანამშრომელია, ხოლო 1960 წლიდან სათავეში ჩაუდგა ახალდაარსებულ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილებას.

პირველი სამეცნიერო ნაშრომი კ. წერეთელმა 1940 წელს გამოაქვეყნა და აქედან მოყოლებული მან საბჭოთა არამეისტიკა ასოცზე მეტი გამოკვლევით გაამდიდრა.

ძირითადი დარგები, რომელშიც პროფ. კ. წერეთელი ეწევა მუშაობას, არის არამეისტიკა და ებრაისტიკა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ავტორის გამოკვლევებმა არამეისტიკის დარგში დიდი ავტორიტეტი მოუპოვა ქართულ სემიტოლოგიას საერთაშორისო ასპარეზზე. მისი გამოკვლევები გამოაქვეყნებულია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე, საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის სამეცნიერო ორგანიზაცია და ცენტრებში.

კონსტანტინე წერეთლის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ამ მოკლე მიმოხილვაში ჩვენ შეეჩერდებით მის ძირითად მონოგრაფიულ გამოკვლევებზე. პირველ ყოვლისა ეს არის „ნარკვევები თანამედროვე ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკისა“ (თბილისი, 1958 წ.). ეს მონოგრაფია ფუნდამენტური გამოკვლევაა, რომელსაც ფაქტურით მასალის სიმდიდრისა და ანალიზის სიღრმის მხრივ ძნელად მოეძებნება პარალელი არამეულ დიალექტოლოგიაში. ეს ნაშრომი გერმანულ ენაზე თარგმნა და გამოაქვეყნა ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნე ფ. ალტჰაიმმა (1961 წ.).

1968 წელს კ. წერეთელმა გამოაქვეყნა „თანამედროვე ასურული ენის გრამატიკა“. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამგვარი ხასიათის გამოკვლევა საუქუნის წინათ გამოაქვეყნდა გერმანულ ენაზე. მას შემდეგ ამ ტიპის ნაშრომი აღარ დაბეჭდილა. კ. წერეთელმა ახალი მასალების გამოყენებით შექმნა ქართულ ენაზე ორიგინალური გამოკვლევა, რომელშიც თანამედროვე ასურული ენის სტრუქტურა სრულყოფილად აღსახა.

კ. წერეთელმა ჩაიწერა და შეისწავლა ყველა არამეული დიალექტი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული და დაიწყო დიალექტოლოგიური მასალის პუბლიკაცია. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა მისი ნაშრომი: „Материалы по арамейской диалектологии“, том I, 1965. ეს ნაშრომი შეიცავს ურმიული არამეულის ტექსტ ბს, მათ თარგმანსა და კომენტარებს. გამოცემა განხორციელებულია მდლად მეცნიერულ დონეზე და ამდენად მისი მნიშვნელობა სტდება

არამეისტიკის ფარგლებს. ეს ნაშრომი სათანადო მნიშვნელობას იქნის საერთოდ სემიტოლოგიისათვის. ამ მუშაობის ვაგრძელეზს წარმოადგენს კრებულში «Семитские языки» (ტ. I დატ. III) გამოქვეყნებული სალამსური და ვანური ტექსტები.

მკვლევარმა შესწავლა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეშე შემონახული რამდენიმე დიალექტი. რიგი მონოგრაფიებისა კ. წერეთელმა გამოაქვეყნა მოსკოვისა და უცხოეთში, მათ რიცხვს მიეკუთვნება: «Современный ассирийский язык (Москва, 1964) სერაიში» «Языки Азии и Африки». ნაშრომმა დიდი ინტერესი გამოიწვია და იგი ითარგმნა იტალიურ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

კ. წერეთლის ზოგი ნაშრომი ეძღვნება თანამედროვე ასურული დიალექტების შედარებით მორფოლოგიას.

1979 წელს სერაიში «Языки Азии и Африки», გამოქვეყნდა კ. წერეთლის მეორე ნაშრომი «Сирийский язык». იგი პირველ გამოკვლევას წარმოადგენს სამაქული ენათმეცნიერებაში, რომელშიც სრულყოფილად არის წარმოდგენილი კლასიკური სირიული ენის სტრუქტურების აღწერა. ამავე სერაიში იბეჭდება კ. წერეთლის კიდევ მონოგრაფია «Арамейский язык», რომელიც ავტორის მრავალწლიანი მუშაობის ერთგვარ შედეგებს წარმოადგენს არამეული ენების შესწავლის დარგში. უკანასკნელ წლებში კ. წერეთელი საინტერესო მუშაობას ეწევა სემიტური ენების შედარებითი ფილოლოგიის დარგშიც.

მაგრამ მეცნიერის მუშაობა არ იფარგლება მარტო საკუთრივ სემიტოლოგიური თემებით. სპეციალისტთათვის კარგად არის ცნობილი კ. წერეთლის დამსახურება ქართულ-აღმოსავლურ ენობრივ და კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა კვლევის დარგში. პირველ რიგში აქ აღსანიშნავია მისი გამოკვლევა ქართული ბიბლიური ტექსტის ენობრივ თავისებურებათა და ქართული ეთნიკური ტერმინების შესახებ.

კ. წერეთელი დიდ ყურადღებას უთმობს სახელმძღვანელოთა შედგენას სემიტოლოგიური დისციპლინებისათვის. მან გამოაქვეყნა „თანამედროვე არამეული ენის ქრესტომათია“ ლექსიკონით (I გამოცემა 1958 წ., II—1980 წ.). ეს სახელმძღვანელო წარმატებით გამოიყენება საბჭოთა კავშირისა და აგრეთვე უცხოეთის ზოგი უნივერსიტეტში. იბეჭდება „ებრაული ენის სახელისა და ზმნის პარადიგმათა“. ახლა მეცნიერი მუშაობს კლასიკური სირიულის ქრესტომათიისა და ლექსიკონის შედგენაზე. კ. წერეთლის მეცნიერული კვლევის შედეგებმა ფართო საერთაშორისო დიპლომატიის შეიძინა. ისინი ფართოდ გამოიყენებია სპეციალურ ლიტერატურაში. მათ დიდი აღივი ეთმობა ბიბლიოგრაფიულ თუ სხვა საცნობარო გამოცემებში. მეცნიერის ნაშრომთა დინტერესუბაზე მეტყველება მრავალი რეცენზია, რომელიც გამოქვეყნებულია ჩვენი და უცხოეთში (ნ. პიბგულესკაია, ი. ჭინიკოვი, მ. ბოგოლობოვი, გ. შარბათოვი, ი. ფრიდრიხი, ს. სევერი, ფ. ალტ-ჰაიმი, ჯ. რინალი, ჯ. გარბინი, პ. ნაველი და სხვა). ამ რეცენზიებში მოცემულია ავტორის სამეცნიერო პროდუქციის მაღალი შეფასება. კ. წერეთლის ნაშრომები ითხჯერ აღინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა სახელობის პირველი პრემიით.

კ. წერეთელს ხშირად იწვევენ ლექციების წასაკითხავად უცხოეთის უნივერსიტეტებში (ვლრ, უნგრეთი, ფინეთი, სირია, გრაცი, დას. ბერლინი, იტალია, გფრ და სხვ.).

კონტაქტინე წერეთელი არის აქტიური მონაწილე და ორგანიზატორი სემიტოლოგთა და არაბისტთა საკავშირო კონფერენციებისა. სისტემატურად იღებს მონაწილეობას აღმოსავლეთ-მცოდნეთა საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებში.

იგი არჩეულია ამერიკის აღმოსავლეთმცოდნეთა საზოგადოების საპატიო წევრად და რიგი უცხოური საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებების ნამდვილ წევრად.

დიდი დამსახურება აქვს კ. წერეთელს სემიტოლოგიის სხვადასხვა დარგის მეცნიერული კადრების მომზადების საქმეში, მათ შორის არიან მოსკოვისა და ლენინგრადის ახალგაზრდა სპეციალისტებიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მუშაობა აღმოსავლურ ენათა სწავლების მოწყობის მიზნით თბილისის საშუალო სკოლებში.

კ. წერეთელი ხელმძღვანელობდა თბილისში 1980 წელს ჩატარებულ პირველ საკავშირო კონფერენციას, რომელმაც განიხილა საშუალო სკოლებში აღმოსავლური ენების სწავლების მეთოდის საკითხები.

კ. წერეთელი არის რიგი მეთოდური და სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს წევრი. მეცნიერი აწარმოებს დიდ საზოგადოებრივ მუშაობას. იგი არის არაბულ ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. ამ საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან სოლდარობის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდენტის წევრი, უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდენტის წევრი.

უკუსურვით ჩვენ იუბილარს ჩანმრთელობა და შემოქმედებითი წარმატებები ჩვენი მეცნიერების საკეთილდღეოდ.

ვლადიმერ ახვლედიანი

კ რ ი ტ ი კ ა დ ა ზ ი მ ლ ი ბ რ ა რ ტ უ რ ს ს ნ რ ი ბ

А. Д. Алексидзе, Мир греческого рыцарского романа XIII—XIV вв., Тбилиси, 1979

Монография А. Д. Алексидзе «Мир греческого рыцарского романа XIII—XIV вв.» посвящена теме, которую никак не назовешь малоисследованной. Греческий роман, начиная с эллинистической и римской эпох и кончая завоеванием Византийской империи турками, интересует европейскую науку почти двести лет и привлекает не только античников или исследователей греческого средневековья, но в не меньшей степени—медиевистов-западников. Это обстоятельство ставит всякого нового исследователя греческого романа в трудное положение, заставляет искать при решении темы новые пути, стремиться к анализу материала с иных, чем это делалось прежде, точек зрения. Следует сразу отметить, что А. Д. Алексидзе, благодаря исключительно свободному владению материалом и глубокому знанию специальной литературы, удалось создать важное, новаторское исследование, не только подводящее итоги изучению греческого средневекового романа, но и определяющее новые пути разработки данной темы. В своей работе А. Д. Алексидзе проявляет себя как мастер литературоведческого анализа, в совершенстве владеющий его методикой и обладающий к тому же ценным качеством—резвостью исследовательской мысли, умело контролирующей и оценивающей явления истории литературы в системе фактов истории культуры в целом.

В книге А. Д. Алексидзе рассмотрены, по сути дела, все основные вопросы истории византийского романа. И хотя упор делается на изучении рыцарских романов XIII—XIV вв. «Каллимах и Хрисороя», «Велтандр и Хрисанца», «Ливистр и Родамна», анализ их ведется на фоне развития жанра греческого романа со времен поздней античности, а также при постоянном сопоставлении с развитием романа на средневековом Западе: именно эти аналогии часто делают выводы автора особенно надежными, позволяют вписать историю греческого романа в историю европейской литературы XII—XV вв. А. Д. Алексидзе, изучая греческий роман на протяжении всей его многовековой истории, приходит к важнейшему заключению о нем как о жанре, который, подобно другим жанрам мировой литературы, претерпевает в процессе своей долгой жизни значительную эволюцию.

Одной из интереснейших тем в византиноведении является соприкосновение западной и греческой культур в XIII—XV вв. Греческие рыцарские романы—памятники этих контактов, которые при умелом анализе позволяют получить ценные данные для истории взаимоотношений западного и греческого миров, а также определить степень самостоятельности или зависимости от европейских влияний создателей греческих романов. В своей работе А. Д. Алексидзе убедительно показал греческий, не западный характер большинства изучаемых им романов, раскрыв в то же время те особенности этих произведений, которые позволяют говорить о благотворном воздействии на византийскую литературу литературы европейской. Византийский роман А. Д. Алексидзе включает в общее русло развития византийской литературы и видит в нем непосредственное отражение идей своего времени. Воспевающий земную любовь и красоту, роман XIII—XIV вв. на византийской почве становится таким же принципиально новым явлением, какими в идейной жизни Запада представляются гуманистические и рационалистические течения. Сравнительный анализ греческого и западноевропейского средневекового романа позволяет автору прийти к важным выводам типологического характера, выявив как общее, так и особенное в развитии греческой литературы в Поздней Византии.

Монография А. Д. Алексидзе привлекает не только постановкой и решением ключевых проблем истории средневековой литературы. Большое значение имеют все те частные исследования огромного числа конкретных, «мелких» вопросов, без которых было бы невозможно создать концепцию истории греческого романа. В качестве примера высоко профессионального исследования такого рода сюжетов достаточно указать на анализ жанровой



природы «Каллимаха и Хрисоррон», а также разбор мнений относительно авторства этого романа. Представляется совершенно верным вывод А. Д. Алексидзе о том, что «Каллимах» не простое стихотворное переложение сказки, а новый жанровый этап, составными элементами которого были сказка, роман, акритический эпос с его пятнадцатисловным стихомь близкий к разговорной речи язык. Вместе с тем в этом произведении отчетливо проявились, черты реальной византийской действительности.

Интереснейшей с точки зрения историка является X глава монографии, в которой изучается социальная среда авторов и читателей (или слушателей) греческих рыцарских романов. А. Д. Алексидзе удалось убедительно проследить в проблематике, художественной системе, иерархии образов византийских рыцарских романов ощутимые приметы времени, определить классовую ориентацию авторов, выявить отражение специфики феодальных отношений в империи XIII-XIV вв.

Монография А. Д. Алексидзе по широте и актуальности поставленных проблем, их новому освещению, богатству материала и глубине его анализа является ценным научным трудом и представляет собой существенный вклад в современную византиноведческую науку.

З. В. УДАЛЬЦОВА

член-корреспондент АН СССР, директор
Института истории АН СССР (г. Москва)

ახალი წიგნები

გამომცემლობა „მეცნიერება“

ირაკლი კენჭოშვილი, გალაკტიონ ტაბიძის პოეტიკა.

რედაქტორი დ. ლაშქარაძე

ნაშრომი თავისებური გავრძელებაა ავტორის წინისა „გალაკტიონ ტაბიძე და ევროპული ლიტერატურა“ („მეცნიერება“, 1974), რომელიც თავისებურად ახალი პოეტური ფენომენის ჩამოყალიბების განმსაზღვრელ წყაროთა გარკვევას მიეძღვნა. ამჟერად ავტორი გალაკტიონ ტაბიძის პოეტური ვენის ზოგადი ძირითადი საკითხის გაშუქებას ისახავს მიზნად.

გალაკტიონის ლირიკულ ქმნილებებში ჩართულია „სხვისი მეტყველების“ სხვადასხვა ერთეულები — სემანტიკური და პროსოდიული აღწერები, ციტატები, კულტურული სიმბოლოები, რომანტიკული, სიმბოლისტური, ანტიკური და ხალხური პოეზიის სტილისტურ სისტემათა მანიშნებელი ელემენტები. ყოველივე ეს გ. ტაბიძის საუკეთესო ლექსებს პოლიფონიურ ელერაობას ანიჭებს. ასეთია ამ ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი დებულება. პოეტის სტილისტური ხერხების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ გ. ტაბიძის ლირიკის მიზანია არა ქეშმარიტების დეკლარირება, არამედ სინამდვილის გარდასახვა მშვენიერების იდეალის შესაბამისად.

68 გვ., ფასი 35 კაპ., ტირაჟი 3000.

მანანა გვეტაძე, თანამედროვე ქართული პოეზიის საკითხები.

რედაქტორი მ. აბულაძე

წიგნი ეხება თანამედროვე ქართულ პოეზიას. ცნობილი ქართველი პოეტების — ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძის, ოთარ ჭილაძის, ჭანსუდ ჩარკვიანის, შოთა ნიშნიანიძის და სხვათა ლირიკის ანალიზის საფუძველზე თვალმიდევნებელია თანამედროვე ქართული პოეზიის ძირითადი ტენდენციები, ხაზგასმულია ამ პოეზიის მოქალაქეობრივი პათოსი. წიგნი შედარა თანამედროვე ქართული ლექსის ევრისფიკაციის საკითხებზე, ეპიკურის და ლირიკულის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ თანამედროვე ლირიაში, აგრეთვე ლირიკული პოემისა და თანამედროვე პოეზიისათვის აქტუალურ ბევრ სხვა საკითხზე.

136 გვ., ფასი 80 კაპ., ტირაჟი 25000.

ნანა დამბაშიძე, ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული სტილის თავისებურებანი.

რედაქტორი გ. ციციშვილი.

ნაშრომი მოცემულია XX საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების სტილისტურ-შინაარსობრივი ანალიზი, განხილულია მისი მხატვრული თხზულებების ის თავისებურებანი, რაც მას განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს ქართული მწერლობის ისტორიაში. ამასთანავე, ნაშრომში ზოგადად მოხაზულია ის ლიტერატურული ფონი, რომელიც გენეტიკურად უკავშირდება ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრულ შემოქმედებას.

102 გვ., ფასი 60 კაპ., ტირაჟი 2000.

ფასი 1 მან

ბ. 49/145
Индекс

76 198



